

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შოთა ყარალაშვილი

საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში
(შედარებითი ანალიზი)

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, თსუ პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

თბილისი

2020

აბსტრაქტი

2018 წლამდე საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემა, სრულად საბიუჯეტო შემოსავლებზე დამოკიდებულებით ხასიათდებოდა, რაც ევროპული მომავლისაკენ მიმავალ გზაზე, ქვეყნისათვის ბარიერს წარმოადგენდა. ამ ბარიერის დასაძლევად, მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, პარლამენტმა 2018 წლის 21 ივლისს დაამტკიცა, რაც სახელმწიფოში დაგროვებითი საპენსიო სქემის დანერგვის საფუძველი გახდა. 2018 წლის 6 აგვისტოდან ძალაში შევიდა დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი; ეს ფაქტი, საქართველოს საპენსიო სისტემისათვის ახალი ერის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დაგროვებით საპენსიო სქემას, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, სახელმწიფო პენსიასთან შეხების წერტილები არ აქვს და საპენსიო სისტემის რეფორმირების პროცესი არ ითვალისწინებდა არსებული საპენსიო მოდელის დახვეწას, სახელმწიფო პენსია ძველი ფორმით განაგრძობს სიცოცხლეს. აქედან გამომდინარე ისეთი საკითხები როგორებიც არის: სახელმწიფო პენსიის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება, შრომით სტაჟზე მიბმული საპენსიო თანხების მოცულობა, საპენსიო შეღავათებით სარგებლობა და სხვ. ისევ ღიად რჩება.

რიიგიკოგუს მიერ 2020 წელს სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმის შესახებ კანონის დამტკიცების მიუხედავად, 2021 წლის 1 იანვრამდე განსაზღვრული სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის არსებული ფორმით მოქმედების ვადა, საბოლოო ჯამში ესტონეთის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაექვემდებარება; აქედან გამომდინარე, კანონში დამტკიცებული ცვლილებების უცვლელი ფორმით ძალაში შესვლის შემთხვევაში, საქართველოში და ესტონეთში მოქმედ საპენსიო მოდელებს შორის არსებული მთავარი მსგავსება, რასაც ქართული მოდელი ემყარება, სრულად გაქრება.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივი მაჩვენებლით დაბერებისკენ არის მიდრეკილი, მკაფიოდ იკვეთება მგრძნობიარობის ის ხარისხი, რომელიც თან სდევს საპენსიო სისტემის რეფორმირებას. აღნიშნულით არის

განპირობებული, არსებული პრობლემის გამოკვლევის აქტუალობა და აუცილებლობა.

სადოქტორო კვლევის მიზანია, საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის შედეგად, სახელმწიფო პენსიისა და დაგროვებითი საპენსიო სქემის წინაშე არსებული გამოწვევების დადგენა და ესტონური გამოცდილების საფუძველზე, მათი დაძლევის გზების შეთავაზება. მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ✓ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის შესწავლა-ანალიზი და ამის საფუძველზე, სრულყოფის საჭიროების მქონე მიმართულებების გამოვლენის შედეგად, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
- ✓ ანკეტური კვლევის საფუძველზე, დაგროვებითი საპენსიო სქემისადმი, საქართველოს მოსახლეობის აღქმების, მოლოდინებისა და განწყობების დადგენა;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის წარმატებულობის მაჩვენებელზე, ანკეტური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გამოკვეთილი აღქმების, მოლოდინებისა და განწყობების ზეგავლენის დადგენა;
- ✓ ესტონეთის საპენსიო სისტემის სიღრმისეული ანალიზის შედეგად, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა;
- ✓ ესტონეთსა და საქართველოში არსებული სახელმწიფო პენსიის მოდელების შედარებითი ანალიზი, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის ესტონურ და ქართულ მოდელს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენა;
- ✓ საპენსიო სისტემის სრულყოფის მიზნით, არსებული ესტონური მიდგომის შესწავლა-ანალიზი;
- ✓ ესტონეთის დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს რეალობისათვის შესაბამისი მიდგომების მისადაგება;

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული საფუძველია საკვლევ პრობლემაზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები. სადისერტაციო კვლევა ეყრდნობა ესტონეთის სტატისტიკის სააგენტოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკი-მბ), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოსა და ესტონეთის პროფილური სამინისტროების, საქართველოსა და ესტონეთის პროფილური

სახელმწიფო უწყებების, საქართველოსა და ესტონეთის ცენტრალური ბანკების მასალებს, ასევე საქართველოსა და ესტონეთის კანონებს საკვლევ თემატიკაზე. კვლევის სრულყოფისა და საქართველოს რეალობისათვის მაქსიმალურად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მოტივით, ჩატარდა მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა.

ზემოაღნიშნულმა კვლევის მეთოდებმა შესაძლებელი გახადა, იმ პრაქტიკული რეკომენდაციების გაცემა, რომელიც შეეხება შემდეგი გამოწვევების გადაჭრას: სახელმწიფო პენსიის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობა; საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში ინდივიდთა ინტერესების გათვალისწინების არასათანადო დონე; საქართველოს მოსახლეობაში არსებული ნეგატიური აღქმები, მოლოდინები და განწყობები; ნებაყოფლობითობის პრინციპის დანერგვის აქტუალობა.

კვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრის რეკომენდირებული გზების გათვალისწინებით, მოსალოდნელია: ქვეყნის მოსახლეობაში არსებული ნეგატიური ფონის შერბილება; სახელმწიფო პენსიის დიფერენცირების პრინციპიდან გამომდინარე ინდივიდებში სამართლიანობის განცდის ამაღლება; სახელმწიფოებრიობის განცდისა და სახელმწიფო წამოწყებებისადმი ნდობის ამაღლება; ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალური მიახლოება.

საკვანძო სიტყვები: საპენსიო სისტემა; დაგროვებითი საპენსიო სქემა; საპენსიო რეფორმა; ესტონური მოდელი; სახელმწიფო პენსია.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Faculty of Economics and Business

Shota Karalashvili

Pension reform in Estonia and Georgia

(Comparative analysis)

Scientific Supervisor: Avtandil Silagadze,

Academician, Doctor of Economics,

Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Until 2018, the pension system operating in Georgia was characterized by a complete dependence on budget revenues, creating a barrier for the country on its way leading to the European future. In order to overcome the barrier, the Parliament approved the draft law initiated by the Government on July 21, 2018. It became the basis for the introduction of the accumulative pension scheme in the state. On August 6, 2018, the Law of Georgia on Accumulative Pensions came into force; This fact can be considered as the beginning of a new era for the pension system.

Unlike the Estonian model, the accumulative pension scheme of Georgia has no direct contact with the state pension and the process of pension system reforming does not consider the refinement of the existing pension model. So the state pension has continued and exists now in old form. Accordingly the important issues including development of a methodology determining the state pension, the amount of pension funds tied to labor experience and the use of pension benefits still remained unresolved.

Despite the the fact that in 2020, Riigikogu approved a law on mandatory funded pension reform, the period of validity of the existing form of mandatory accumulative pension scheme defined by January 1, 2021 will ultimately be subject to the decision of the Estonian State Court; Accordingly the main similarity between the pension models operating in both Georgia and Estonia on which is based Georgian model will disappear completely.

According to both above mentioned and official data, that the population of Georgia is prone to aging in quantitative terms, we can clearly see the high degree of sensitivity accompanying the reform of the pension system. This is the reason underlining relevance and necessity of existing problem.

The aim of the doctoral research is to identify the challenges facing both the state pension and accumulative pension scheme and based on Estonian experience to offer the ways of helping to overcome them. In order to achieve the goal, we have set the following tasks:

- ✓ To study and analyse the Law of Georgia on Accumulative Pension, identify the directions for improvement and on the basis of obtained information, develop appropriate recommendations;
- ✓ Based on a survey, to determine perceptions, expectations and attitudes of the Georgian population towards the accumulative pension scheme;
- ✓ Based on the analysis of the survey results, to define the impact of pronounced perceptions, expectations, and attitudes on the success rate of the accumulative pension scheme;
- ✓ On the basis of in-depth analysis of the Estonian pension system, to identify its strengths and weaknesses;
- ✓ To make a comparative analysis of the state pension models in both Estonia and Georgia, to identify their advantages and disadvantages;
- ✓ To identify similarities and differences between the Estonian and Georgian models of the accumulative pension scheme;
- ✓ To study and analyse the Estonian approach to the improvement of the pension system;

✓ Based on the analysis of the additional accumulative pension scheme of Estonia, to determine the appropriate approaches to the reality of Georgia.

The methodological basis of the research is based on the works of Georgian and foreign scientists-researchers. The research is based on materials obtained from the Estonian Statistics Agency, the World Bank, the International Monetary Fund, the National Statistics Office of Georgia, the Ministry of Profile of Georgia and Estonia, the State Profile of Georgia and Estonia, the Central Banks of Georgia and Estonia, and the Law on Georgia and Estonia. In order to improve the research and develop the most relevant recommendations for the reality of Georgia, we have conducted a survey of the population.

The above research methods gave us possibility to make practical recommendations for overcoming the following challenges: non-compliance of the state pension with European standards; Inadequate level of consideration of the interests of individuals within the accumulative pension scheme of Georgia; Negative perceptions, expectations and attitudes in the population of Georgia; The urgency of introducing the principle of voluntariness.

Considering the recommendations which we have made to overcome challenges identified by the research, it is expected to: mitigate the negative background of the population of the country; increase the sense of justice among individuals based on the principle of differentiation of state pension; increase the feeling of statehood and confidence in state initiatives; receive maximum approximation to European standards.

Keywords: Pension System; Accumulative pension scheme; Pension reform; Estonian model; State pension.

შინაარსი

შესავალი.....	1
<i>თავი I. საპენსიო რეფორმის საფუძვლები.....</i>	<i>6</i>
1.1. საპენსიო რეფორმის თეორიული საფუძველი.....	6
1.2. საპენსიო რეფორმის სამართლებრივი საფუძველი საქართველოში.....	25
1.3. საპენსიო რეფორმისადმი დამოკიდებულება.....	59
<i>თავი II. საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი).....</i>	<i>77</i>
2.1. ესტონეთის საპენსიო სისტემის პირველი საფეხური და საქართველოს საპენსიო სისტემა.....	77
2.2. სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა (მსგავსებები და განსხვავებები).....	90
2.3. ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმირების ახალი ტალღა და საქართველოს გამოწვევები.....	134
2.4. დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემა.....	158
დასკვნა-რეკომენდაციები.....	172
ბიბლიოგრაფია.....	182
გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.....	194
დანართები.....	195

შესავალი

თემის აქტუალობა. 2018 წლამდე საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემა, სრულად საბიუჯეტო შემოსავლებზე დამოკიდებულებით ხასიათდებოდა, რაც ევროპული მომავლისაკენ მიმავალ გზაზე, ქვეყნისათვის ბარიერს წარმოადგენდა. ამ ბარიერის დასაძლევად, მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, პარლამენტმა 2018 წლის 21 ივლისს დაამტკიცა, რაც სახელმწიფოში დაგროვებითი საპენსიო სქემის დანერგვის საფუძველი გახდა. 2018 წლის 6 აგვისტოდან ძალაში შევიდა დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი; ეს ფაქტი, საქართველოს საპენსიო სისტემისათვის ახალი ერის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულ ნაშრომში, სწორედ ახალი საპენსიო სისტემა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, მოდელური საწყისები და წარმატებულობის ინდიკატორებია ფართოდ განხილული და ესტონურ გამოცდილებასთან შედარებული.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დაგროვებით საპენსიო სქემას, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, სახელმწიფო პენსიასთან პირდაპირი შეხების წერტილები არა აქვს და საპენსიო სისტემის რეფორმირების პროცესი არ ითვალისწინებდა არსებული საპენსიო მოდელის დახვეწას, სახელმწიფო პენსია ძველი ფორმით განაგრძობს სიცოცხლეს. აქედან გამომდინარე, ისეთი საკითხები როგორც არის: სახელმწიფო პენსიის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება, შრომით სტაჟზე მიბმული საპენსიო თანხების მოცულობა, საპენსიო შეღავათებით სარგებლობა და სხვ. ისევ ღიად რჩება.

რიიგიკოგუს მიერ 2020 წელს სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმის შესახებ კანონის დამტკიცების მიუხედავად, 2021 წლის 1 იანვრამდე განსაზღვრული სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის არსებული ფორმით მოქმედების ვადა, საბოლოო ჯამში ესტონეთის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაექვემდებარება; აქედან გამომდინარე, კანონში დამტკიცებული ცვლილებების უცვლელი ფორმით ძალაში შესვლის შემთხვევაში, საქართველოში და ესტონეთში მოქმედ საპენსიო მოდელებს შორის არსებული მთავარი მსგავსება, რასაც ქართული მოდელი ემყარება, სრულად გაქრება.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობაში დიდია ასაკოვანთა წილი (20.5%)¹, მკაფიოდ იკვეთება მგრძნობიარობის ის ხარისხი, რომელიც თან სდევს საპენსიო სისტემის რეფორმირებას. აღნიშნულით არის განპირობებული, არსებული პრობლემის გამოკვლევის აქტუალობა და აუცილებლობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადოქტორო კვლევის მიზანია, საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის შედეგად, სახელმწიფო პენსიისა და დაგროვებითი საპენსიო სქემის წინაშე არსებული გამოწვევების დადგენა და ესტონური გამოცდილების საფუძველზე, მათი დაძლევის გზების შეთავაზება. დასახული მიზნის მისაღწევად გამოკვეთილია შემდეგი ამოცანები:

- ✓ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის შესწავლა-ანალიზი და ამის საფუძველზე, სრულყოფის საჭიროების მქონე მიმართულებების გამოვლენის შედეგად, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
- ✓ ანკეტური კვლევის საფუძველზე, დაგროვებითი საპენსიო სქემისადმი, საქართველოს მოსახლეობის აღქმების, მოლოდინებისა და განწყობების დადგენა;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის წარმატებულობის მაჩვენებელზე, ანკეტური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გამოკვეთილი აღქმების, მოლოდინებისა და განწყობების ზეგავლენის დადგენა;
- ✓ ესტონეთის საპენსიო სისტემის სიღრმისეული ანალიზის შედეგად, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა;
- ✓ ესტონეთსა და საქართველოში არსებული სახელმწიფო პენსიის მოდელების შედარებითი ანალიზი, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის ესტონურსა და ქართულ მოდელებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენა;
- ✓ საპენსიო სისტემის სრულყოფის მიმართულებით არსებული ესტონური მიდგომის შესწავლა-ანალიზი;
- ✓ ესტონეთის დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს რეალობისათვის შესაბამისი მიდგომების დადგენა.

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური -
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>;
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>. 21.04.2020.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის *ობიექტს* წარმოადგენს საქართველოსა და ესტონეთში არსებული საპენსიო მოდელები, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი; ხოლო კვლევის *საგანია*, საქართველოსა და ესტონეთში მოქმედ საპენსიო სისტემებში, ინდივიდის ინტერესთა დაცულობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიული საფუძველია რ. აბესაძის, ჯ. აიდუკაიტეს, ი. ანანიაშვილის, მ. ანანიძის, ი. არჩვაძის, ლ. ბახტაძის, ნ. ბერის, თ. ბერიძის, ლ. ბერიძის, დ. ბერნოტასის, დ. ბიბიჩაძის, რ. ი. გალის, ჯ. ლ. გალიზოს, დ. გეგიას, პ. გედეონის, ს. გელაშვილის, რ. გველესიანის, მ. გველესიანის, ო. გოცაძის, ა. გუოგისის, მ. დარბაიძის, ო. დმიტრიევას, ე. დუნაჯევასის, ც. დურულის, გ. ვაგნერის, ე. ვაითჰაუსის, ვ. ლ. ვაინგორტის, შ. ვეშაპიძის, ა. ვიორკის, დ. ვიტასის, ე. ვოლსკისის, რ. ზიტეკის, თ. ზუბიაშვილის, ა. თვალჭრელიძის, მ. თოქმაზიშვილის, პ. იოჰანსონის, მ. კაზჯულჯას, ე. კაკულიას, ტ. კალვეტის, პ. კასტელის, ვ. კატკუსის, ტ. კიკვაძის, მ. კლემენტის, ტ. კოივუს, კ. კონრადის, ე. ლ. კროიტორუს, ვ. კრონსტრომის, ლ. ლეპიკის, რ. ლიეკსნისის, დ. ლინდემანის, ი. ლისეის, ფ. ლონგმანის, ვ. მაკგილივრეის, ტ. მ. მალევას, ნ. მაქაცარიას, მ. მედიჯაინენის, ნ. მეეტენენის, გ. მენნიკის, ე. მექვაბიშვილის, კ. მიულერის, მ. მიქელაშვილის, მ. მორას, ჯ. მორენოს, ტ. ე. ნიჯმანის, მ. ნოზაძის, რ. ოთინაშვილის, ჰ. ოკსანენის, კ. ოორნის, ვლ. პაპავას, ნ. პეტუხოვას, მ. პირიტისის, ა. პუურის, კ. რაეს, პ. რანელის, ტ. რანდმა-ლიივის, რ. რაუდლას, ო. რაჯევსკას, ე. როზინკას, კ. როსას, რ. როხას, ა. რუზიკის, მ. სალვადორის, დ. სეხნიაშვილის, ა. სილაგაძის, ო. ვ. სინიავესკაიას, ა. სიჭინავას, დ. სკუჩინენეს, კ. სმითის, შ. სრესელის, კ. სტაერის, ს. სტრუმსკიტეს, ა. სუნდენის, გ. ტავიტისის, ვ. ტაპიას, კ. ტონნისონის, ა. ტოოტსის, მ. ტუხაშვილის, მ. უნტის, დ. უშაკოვის. ს. ფერაროს, ე. ფულცის, რ. ფუტკარაძის, გ. ქეშელაშვილის, რ. ქინქლაძის, ლ. ქოქიაურის, თ. შენგელიას, ა. შიმელპფენინგის, ჯ. შიფის, ზ. შონიას, კ. შრადერის, ჯ. ხარიტონაშვილის, ა. ხლონ-დომინცზაკის, ე. ჯაროცინსკას, ა. ჯეიმე-კასტილოს, ე. ჯიოგის, გ. ჯოლიას, ბ. ჰენილანეს, ნ. ჰობდარის, რ. ჰოლცმანისა და სხვათა ნაშრომები.

ჩატარებული კვლევა ეყრდნობა ესტონეთის სტატისტიკის სააგენტოს, მზ-ს, სსფ-ს, საქსტატის, საქართველოსა და ესტონეთის პროფილური სამინისტროების,

საქართველოსა და ესტონეთის პროფილური სახელმწიფო უწყებების, საქართველოსა და ესტონეთის ცენტრალური ბანკების მასალებს, ასევე საქართველოსა და ესტონეთის კანონებს საკვლევ თემატიკაზე.

ამასთან, კვლევის სრულყოფისა და საქართველოს რეალობისათვის მაქსიმალურად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მოტივით, ჩვენ მიერ ჩატარდა მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა.

კვლევის მეცნიერული სიახლეა: ესტონეთსა და საქართველოში საპენსიო რეფორმების შედარებითი კომპლექსური ანალიზის გამოკვლევის მცდელობა, კერძოდ:

✓ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონისა და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, პოტენციური მონაწილე და მონაწილის შეწყვეტილი სტატუსის მქონე ინდივიდების ინტერესებიდან გამომდინარე, დაგროვებითი საპენსიო სქემის სრულყოფის შესაძლო გზების შეთავაზება;

✓ ანკეტური კვლევის საფუძველზე მოსახლეობის აღქმების, მოლოდინებისა და განწყობების არსებული და მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, როგორც საპენსიო სისტემის რეფორმირების, ასევე ზოგადად ქვეყნის განვითარების პროცესზე;

✓ საქართველოს სახელმწიფო პენსიის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობისათვის, ესტონური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი გადაკვეთის წერტილების მოძიება და სამოქმედო გეგმის შეთავაზება;

✓ საქართველოსა და ესტონეთში მოქმედ სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემათა ფარგლებში, ორი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და შეზღუდვების ანალიზის შედეგად, გამოვლენილი მსგავსებებისა და განსხვავებების დეტალური დახასიათება-შეფასება;

✓ 2019-2020 წლებში, ესტონეთში მიმდინარე სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმირების პროცესზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის, ესტონეთის რეფორმის იდეოლოგიურ საფუძვლებთან შესაბამისობის შეფასება;

✓ ანკეტური კვლევის შედეგად გამოვლენილი ერთ-ერთი გამოწვევის დასაძლევად, ესტონეთის საპენსიო სისტემის მესამე საფეხურის გამოყენება, როგორც

საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ეფექტიანობის ამაღლების განმაპირობებელი გონივრული ალტერნატივა.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარებისა და ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, არსებული საკვლევითების შედეგები და რეკომენდაციები მიზანშეწონილია საპენსიო სააგენტოს, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტისა და სხვა დარგობრივი სახელისუფლებო, არასამთავრობო, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა საქმიანობისათვის. ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკის მიმართულებისა და მისი მომიჯნავე დისციპლინების სწავლების პროცესში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომის ძირითადი ტექსტი მოიცავს 181 გვერდს და შედგება შესავალის, ორი თავისა და დასკვნა-რეკომენდაციებისაგან, რომელსაც თან ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართები. ძირითად ტექსტში წარმოდგენილია 6 ცხრილი, მითითებულია 173 სქოლიო. ბეჭდვითი და ელექტრონული გამოყენებული ლიტერატურის ჯამური რაოდენობაა 169. ნაშრომს, ასევე, თან ერთვის დისერტანტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

თავი I. საპენსიო რეფორმის საფუძვლები

1.1. საპენსიო რეფორმის თეორიული საფუძველი

პენსია (ლათინურიდან *pensio*, გადასახდელი), არის რეგულარული, როგორც წესი, ყოველთვიური, ფულადი დახმარება, რომელიც მიეცემათ პირებს, რომელთაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს (ხანდაზმულობის პენსია), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ინდივიდებს, რომელთაც დაკარგეს მარჩენალი.

პენსია და საპენსიო ასაკის უზრუნველყოფა, ეს ის საკითხებია, რომლებიც თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვნების მაღალი დონით ხასიათდება. საპენსიო ასაკი არის პერიოდი, როდესაც ინდივიდს ეძლევა შესაძლებლობა, განვლილი ცხოვრების განმავლობაში გაწეული შრომის შედეგი მოიმკას და პენსიაზე ყოფნის წლები ღირსეულად გაატაროს. აღნიშნულ პრინციპზე არის დამყარებული განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემათა აბსოლუტური უმრავლესობა, როდესაც ადამიანი ათვითცნობიერებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იზრუნო დღეს ხვალინდელ დღეზე. მაგრამ პოსტკომუნისტურ განვითარებად ქვეყნებში, სწორედ, კომუნისტური გამოცდილებიდან გამომდინარე, ადამიანთა, არც თუ ისე, მცირე ნაწილი დაგროვებითი პრინციპისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებით გამოირჩევა; გამონაკლისი არც საქართველოა; ქვეყანაში არიან ინდივიდები, რომლებიც საპენსიო ასაკის უზრუნველყოფის საკითხს, მხოლოდ, საკუთარ თავთან აკავშირებენ და სახელმწიფოს მყარ დასაყრდენად არ აღიქვამენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მუდმივად იყო, დასავლური მოდელებისადმი გამოხატული სიმპატია და სწრაფვა, დაგროვებითი საპენსიო მოდელისადმი სკეპტიკური განწყობა ცალსახაა, რასაც მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი განაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპენსიო რეფორმა თითოეული ქვეყნისათვის მგრძნობიარობის მაღალი დონით ხასიათდება, ეს დონე, კი, პიკს აღწევს ისეთი წარსულისა და აწმყოს მქონე ქვეყნისათვის როგორც საქართველოა. საქართველოს მსგავსად, ესტონეთის რესპუბლიკა ასევე პოსტკომუნისტურ ქვეყანას წარმოადგენს, რომელიც საპენსიო სისტემის სრულყოფის საკითხს დიდ ყურადღებას უთმობს. ორ ქვეყანას შორის, უახლეს წარსულში არსებული მსგავსებებისა და საქართველოს მიზნიდან გამომდინარე, გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, სსრკ-ს

დაშლის შემდგომ, წლების განმავლობაში საპენსიო სისტემის დახვეწის მიმართულებით ესტონეთის მიერ განვლილი გზა, საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარების პროცესში, ერთგვარ გზამკვლევად გვესახება. აღნიშნული მიმართულებებით, სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევარს ინდივიდუალური ხედვიდან გამომდინარე, მრავალი ნაშრომი აქვს შექმნილი, რაც საკითხის კვლევისათვის მნიშვნელოვან თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის.

ესტონეთის რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები, რომელიც ეხება ინდივიდის სამუშაო ძალაში ყოფნის ვადის გახანგრძლივებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორებიც არის სოციალურ-ეკონომიკური ფონი, დასაქმება და საპენსიო სისტემა, მ. უნტის, მ. კაზჯულჯასა და ვ. კრონსტრომის ერთობლივ ნაშრომში არის განხილული.² ნაშრომში საუბარია, ესტონეთზე, როგორც ქვეყანაზე, რომლის მოსახლეობაში ასაკოვან ინდივიდთა რაოდენობა შესამჩნევად მაღალია. აღნიშნულის მიუხედავად, ქვეყანაში, ბოლო წლების განმავლობაში დასაქმებულთა რიცხვის ზრდა შეინიშნება, რაც აქტივობის დონის მატებასთან და ასაკოვან ინდივიდთა სამუშაო პერიოდის გახანგრძლივებასთან არის კავშირში. სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, ესტონეთში ასაკოვანი ქალების დასაქმების დონე განსაკუთრებით მაღალია. გარდა აღნიშნული მოსაზრებებისა, ნაშრომში ასევე ყურადღება გამახვილებულია, იმ მიზეზებზე, რომლებიც განაპირობებს საპენსიო ასაკში ინდივიდთა სურვილს, დარჩნენ სამუშაო ძალაში. ეს მიზეზები, ესტონეთის რესპუბლიკაში არსებულ საშეღავათო საგადასახადო სისტემასთან არის დაკავშირებული, რომელიც საპენსიო ასაკის დასაქმებული ინდივიდების მიმართ ვრცელდება; ასევე აქცენტი გაკეთებულია, პენსიების სიმცირეზე, რაც სამუშაო ძალაში დარჩენის აუცილებლობას განაპირობებს. ნაშრომი ასევე ეხება გენდერულ ფაქტორს; ქალთა მიმართ არსებული მომატებული სიღარიბის რისკი, არასრულ განაკვეთზე მუშაობის მწირ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული.

ბალტიისპირეთის ქვეყნების საპენსიო სისტემებში, მდგრადობის კონცეფციის აღქმისა და უზრუნველყოფის საკითხზე არის აქცენტი გაკეთებული ო. რაჯევსკას

² Unt, M., Kazjulja, M., Krönström, V. (2020). Estonia - Extended Working Life Policies, გვ. 241-249. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-030-40985-2_17. 27.04.2020.

ნაშრომში „საპენსიო სისტემათა მდგრადობა ბალტიის ქვეყნებში“³. დახასიათებულია, საპენსიო სქემებში განხორციელებული ცვლილებების შედეგები; ამასთან, საპენსიო სისტემათა მდგრადობასთან დაკავშირებული, სხვადასხვა კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების ანალიზი აქვს ავტორს შემოთავაზებული. გარდა ამისა, ნაშრომი ასევე მოიცავს, მოქმედ საპენსიო კანონმდებლობათა შედარებით ანალიზს.

სავალდებულო საპენსიო სისტემასა და გადანაწილებასთან დაკავშირებით, ე. დუნაჯევასი და დ. სკუჩიენე თავიანთ ნაშრომში, ბალტიის სახელმწიფოების ინსტიტუციათა შედარებით ანალიზს გვთავაზობენ.⁴ ნაშრომში აქცენტი კეთდება, ეროვნულ ეკონომიკებში სოციალური დანახარჯების წილზე და აქედან გამომდინარე, სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში სავალდებულო საპენსიო სისტემათა ცენტრალურ როლზე. საპენსიო სისტემის ერთ-ერთ მიზანს, ინდივიდებს შორის შემოსავლების გადანაწილება წარმოადგენს. ამასთან, ავტორებისათვის ბუნდოვანია, თუ რამდენად ემთხვევა შემოსავლების გადანაწილების მიზანი, მიღებულ შედეგებს. სწორედ, ინსტიტუტების მიერ ჩამოყალიბებულ მიზნებსა და მიღებულ შედეგებს შორის არსებული განსხვავების შესწავლას ემსახურება მათი ნაშრომი. შედარებითი ინსტიტუციონალური ანალიზის საფუძველზე, ავტორების აზრით, ესტონეთის ხანდაზმულობის საპენსიო სისტემაში გადანაწილების პრინციპი ყველაზე უკეთ არის დაცული; მაგრამ ამის საპირწონედ, ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, გადანაწილების ეფექტიანობის მიმართულებით ლიეტუვის სავალდებულო საპენსიო სისტემა ლიდერობს.

ე. ვოლსკისის ნაშრომი „ბალტიის სახელმწიფოების საპენსიო სისტემათა რეფორმები: გამოწვევები და უპირატესობები“⁵, სსრკ-ს დაშლის შემდგომ, ლიეტუვის,

³ Rajevska, O. (2015). Sustainability of pension systems in the Baltic States. *Entrepreneurial Business and Economics Review*, Vol. 3, Iss. 4, გვ. 139-153. https://econpapers.repec.org/article/krkeberjl/v_3a3_3ay_3a2015_3ai_3a4_3ap_3a139-153.htm. 27.04.2020.

⁴ Dunajevs, E., Skučienė, D. (2016). Mandatory pension system and redistribution: the comparative analysis of institutions in Baltic States. *Central European Journal of Public Policy*, Vol. 10, Iss. 2, გვ. 16-29. https://www.researchgate.net/publication/312179143_Mandatory_Pension_System_and_Redistribution_The_Comparative_Analysis_of_Institutions_in_Baltic_States. 27.04.2020.

⁵ Volskis, E. (2012). Reforms of Baltic States Pension Systems: Challenges and Benefits. <https://www.ebrd.com/downloads/news/pension-system.pdf>. 27.04.2020.

ლატვიისა და ესტონეთის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ სოციალური დაცვის სისტემასა და მისი რეფორმირების ეტაპებს ეხება. თითოეული ქვეყნისათვის, დეტალურად არის განხილული მათ მიერ საპენსიო სისტემათა რეფორმირების მიმართულებით განვლილი გზა. დახასიათებულია წლების განმავლობაში სამი ქვეყნის საპენსიო სისტემებში განხორციელებული ცვლილებები და მათი ეფექტი. ამასთან, შედარებულია აღნიშნული ქვეყნების საპენსიო სისტემები და ამის საფუძველზე, გამოკვეთილია თითოეული სისტემის ის მიმართულებები, სადაც განხორციელებული ცვლილებები წარმატებულობით ან წარუმატებლობით დახასიათდა. ნაშრომში, ასევე საუბარია ბალტიის ქვეყნების სამომავლო პერსპექტივებზე.

ესტონეთის საპენსიო სისტემის რეფორმირების მიმართულებით, ლ. ლეპიკსა და ა. ვიორკს ვრცელი ნაშრომი აქვთ შექმნილი სახელწოდებით: „საპენსიო რეფორმა ესტონეთში“⁶. აღნიშნულ ნაშრომში ესტონეთი განხილულია, როგორც მეხუთე ქვეყანა ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში უნგრეთის, პოლონეთის, ლატვიისა და ხორვატიის შემდეგ, რომელმაც სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემა დანერგა, ხოლო საპენსიო სისტემის მეორე საფეხური სრულად საფონდო მოდელს დაუქვემდებარა. ავტორებს ყურადღება აქვთ გამახვილებული შემდეგ საკითხებზე: რეფორმამდელი სიტუაციის დახასიათება-ანალიზი; საპენსიო სისტემის რეფორმირების მეორე ტალღა და მასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც 1998-2002 წლებში მიმდინარეობდა ესტონეთში; რეფორმის შედეგების ანალიზი.

მნიშვნელოვანი საკითხები არის წამოწეული წინა პლანზე რ. აბესაძის ნაშრომში: „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“⁷. ავტორი ეხება ისეთ მიმართულებებს, როგორებიც არის: ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების არსის კვლევა; ეკონომიკური სისტემისა და სახელმწიფო პოლიტიკის ურთიერთგავლენა; ეკონომიკური განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები: უმუშევრობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე, მოსახლეობის

⁶ Leppik, L., Vörk, A. (2006). Pension Reform in Estonia - Pension reform in the Baltic States. გვ. 17-142. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.468.7095&rep=rep1&type=pdf#page=19>. 27.04.2020.

⁷ აბესაძე, რ. (2014). ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/ramaz_abesadze_wigni.pdf. 27.04.2020.

ზრდა და სხვა. აღნიშნული მიმართულებებით ავტორისეული ანალიზი დაფუძნებულია, როგორც ისტორიულ გამოცდილებაზე, ასევე თანამედროვე ტენდენციებზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანი აქცენტები აქვს გაკეთებული ვლ. პაპავას ნაშრომში: „არატრადიციული ეკონომიკის“⁸. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ადამიანზე, როგორც ეკონომიკისა და სახელმწიფოს მთავარ მამოძრავებელზე. ადამიანის ქცევა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი დანახულია, მისი სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი მიკუთვნებულობის ჭრილში. ხოლო, საბჭოთა ადამიანი და მისი ტრანსფორმაციის ეტაპების ანალიზი, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს ეხმიანება.

უმუშევრობის პრობლემასთან დაკავშირებით ლ. ბერიძე ნაშრომში: „უმუშევრობის შემცირების თანამედროვე ღონისძიებები“⁹, აქცენტს აკეთებს შემდეგ საკითხებზე: „მონო ქალაქების“ პრობლემა საქართველოში; ეკონომიკის ატროფირებული სექტორული და რეგიონული სტრუქტურა; სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები; დასაქმების არაეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკა და სხვა. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ავტორი საკუთარ ხედვას გვთავაზობს.

საპენსიო სისტემის რეფორმასა და მის მნიშვნელოვნებას ეხება მ. ნოზაძის ნაშრომი: „საპენსიო სისტემის რეფორმა: არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის“¹⁰. ავტორს გამოკვეთილი აქვს, საპენსიო სისტემის რეფორმის როლი, ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომში დახასიათებულია როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო სისტემები. გამოყოფილია საპენსიო უზრუნველყოფის სამი ძირითადი მოდელი და

⁸ პაპავა, ვლ. (2011). არატრადიციული ეკონომიკისი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.

⁹ ბერიძე, ლ. (2019). უმუშევრობის შემცირების თანამედროვე ღონისძიებები. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3. გვ. 41-44. https://drive.google.com/file/d/1m4-f1VKN5PvHL58cCuNf_Eq0TLsbkJEG/view. 27.04.2020.

¹⁰ ნოზაძე, მ. (2016). საპენსიო სისტემის რეფორმა: არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის. ჟურნალი „ეკონომიკა“, №11-12. გვ. 6-18. <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43STUc0TnBadlhKbmM/view>. 27.04.2020.

განალიზებულია თითოეული მათგანის სტრუქტურა. განხილულია საკენსიო უზრუნველყოფის ამერიკული და ევროპული მოდელები. ასევე დახასიათებულია საქართველოს საკენსიო სისტემა და ხაზგასმულია, მასში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

ქვეყნის ეკონომიკისათვის მცირე ბიზნესის მნიშვნელოვნების საკითხის ანალიზს ეხება ო. გოცაძის ნაშრომი თემაზე: „მცირე ბიზნესი, მისი განვითარების ტენდენციები და როლი ქვეყნის მშპ-ს შექმნაში“¹¹. ავტორი, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს მშპ-ს შექმნაში მცირე ბიზნესის როლის სიმცირეზე აკეთებს აქცენტს. მცირე ბიზნესის განვითარების ნელი ტემპი და ძირითადი ხელისშემშლელი პირობები, მოსახლეობის არაპროფესიონალიზმთან, კერძო სექტორში მუშაობის გამოუცდელობასთან და არასრულყოფილ საკანონმდებლო ბაზასთან არის დაკავშირებული. ნაშრომში ასევე მოტანილია სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც შეეხება: 2018 წლის 1-ლი აპრილის მდგომარეობით, რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობას რეგიონების მიხედვით; 2004-2017 წლებში, ბიზნეს-სექტორში ფუნქციონირებადი საწარმოების რაოდენობას; 2018 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, საკუთრების ფორმების მიხედვით დაყოფილ საწარმოებს; და 2007-2017 წლებში, ბიზნეს სექტორის ძირითად მაჩვენებლებს.

საგადასახადო კულტურასა და მისი განვითარების ანალიზს ეხება მ. მიქელაშვილის ნაშრომი: „საგადასახადო კულტურის ფორმირების პრობლემები საქართველოში“¹². ნაშრომში, საგადასახადო კულტურის დონის ამაღლება, საქართველოს საგადასახადო სისტემისათვის მნიშვნელოვან პრობლემად არის წარმოჩენილი; აღნიშნულის მიზეზად, კი, დასახელებულია შემდეგი თავისებურება: ტრადიციულად სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ინდივიდების ნდობის დაბალი ხარისხი. საგადასახადო კულტურის განვითარება განხილულია სამი სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით - სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელთა

¹¹ გოცაძე, ო. (2018). მცირე ბიზნესი, მისი განვითარების ტენდენციები და როლი ქვეყნის მშპ-ს შექმნაში. *ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“*, №3-4. გვ. 126-131. <https://drive.google.com/file/d/1se1SQHXyWTDpQUP6-faiyI44j8ofqNbg/view>. 27.04.2020.

¹² მიქელაშვილი, მ. (2019). საგადასახადო კულტურის ფორმირების პრობლემები საქართველოში. *ჟურნალი „ეკონომიკა“*, №10-12. გვ. 6-19. https://drive.google.com/file/d/1V4dmGJTYs0r9SWm_clRcs9Af3s9rxpld/view. 27.04.2020.

პოზიციიდან, როგორც სააღმზრდელო და სამოტივაციო პროცესი. ჩამოთვლილია ის ზოგადი საკითხები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის საგადასახადო კულტურის განვითარებას. განხილულია საგადასახადო კულტურის ფორმირების პროცესში, შემდეგი მნიშვნელოვანი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები: ისტორიული გამოცდილება; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე; მოსახლეობის ცხოვრების დონე; ქვეყნის საგადასახადო სისტემის განვითარების ხარისხი; საგადასახადო დაბეგვრის სოციალური სამართლიანობის პრინციპი; საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა და საგადასახადო ორგანოების თანამშრომელთა პროფესიონალიზმი; საზოგადოების წევრების კულტურისა და საშემსრულებლო დისციპლინის ზოგადი დონე; საბაზო სოციალური ინსტიტუტების მონაწილეობა კულტურის ფორმირების პროცესში; მენტალიტეტი - საზოგადოების მხარდაჭერა/მიუღებლობა გადასახადების არ გადახდისა და საკუთარი შემოსავლების დამალვის ფაქტისადმი; საზოგადოებაში საგადასახადო ქცევის მოდელის ფორმირება; და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები. ამასთან, ნაშრომში ჩამოყალიბებულია ის მიმართულებები, რომლებიც საქართველოში საგადასახადო კულტურის ამაღლების მიზნით, ავტორის აზრით, დახვეწას საჭიროებენ.

ზემოაღნიშნული და სხვა ლიტერატურის ანალიზი ცხადჰყოფს, წინამდებარე სადისერტაციო საკვლევი პრობლემის სხვადასხვა ასპექტის მეცნიერული დამუშავების საჭიროებას. სსრკ-ს დაშლა, თითოეული წევრი ქვეყნისათვის იყო გამოწვევა, თუ რამდენად შეძლებდნენ ისინი სოციალისტურიდან კაპიტალისტურ რელსებზე გადაწყობას. ისეთმა პოსტსაბჭოურმა ქვეყნებმა, როგორებიც არის: ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, ეკონომიკური რეფორმების პარალელურად, სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირებას მიჰყვეს ხელი; სწორედ, 90-იან წლებში ჩამოყალიბებული სოციალური დაცვის მოდელი უდევს საფუძვლად ესტონეთის თანამედროვე სოციალური დაცვის სისტემას. მიუხედავად მოტანილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული რეფორმირების ტენდენციისა, საქართველომ ამ პროცესში ჩართვა ვერ მოახერხა. ეს უკანასკნელი, ერთ-ერთ უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ, რის საფუძველზეც, საქართველო, ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთისაგან განსხვავებით, დიდი ევროპული ოჯახის წევრი დღემდე არ არის.

ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისათვის, ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს, არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობის მოთხოვნა, არამედ, უნდა გაატაროს ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია, უზრუნველყოს ადამიანის მაქსიმალური დაცულობა. ამ უკანასკნელში, იგულისხმება, როგორც მისი ფიზიკური უსაფრთხოება, ასევე სოციალური დაცვა და სხვა. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, ინდივიდების საპენსიო ასაკის უზრუნველყოფას. საქართველოში დაგროვებითი საპენსიო მოდელი, სწორედ, ევროკავშირისაკენ სწრაფვიდან და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებიდან გამომდინარე დაინერგა. წინამდებარე ნაშრომი, აღნიშნული მოდელის, ძირითადად ესტონურსა და ამასთან, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ ანალიზს ეთმობა.

შევეხოთ რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანას, რომელთა საპენსიო სისტემების რეფორმირებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება, საქართველოს საპენსიო სისტემის დახვეწის პროცესში მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ერთ-ერთი მათგანია ლატვია, რომლის განვლილი გზა, ისევე როგორც ესტონეთის, საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებოა. 2001 წლიდან ლატვიაში სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემა მოქმედებს. პირველი საფეხური გულისხმობს - სავალდებულო სახელმწიფო არასაფონდო საპენსიო სქემას; მეორე საფეხური - სახელმწიფო საფონდო საპენსიო სქემა; მესამე საფეხური - ნებაყოფლობითი კერძო სადაზღვევო სქემა.

ლატვიის საპენსიო სისტემა, ესტონეთის მსგავსად, საპენსიო ასაკის გათანაბრების პრინციპს ეყრდნობა. 2014 წლის 1 იანვრიდან, საპენსიო ასაკი რომელიც 62 წლით განისაზღვრებოდა, ყოველწლიურად 3 თვით იზრდება და 2025 წლის 1 იანვრიდან 65 წლის შესაბამის ნიშნულს მიაღწევს. საპენსიო პოლიტიკის ლატვიური მოდელი ასევე თანხვედრაშია ესტონურ მოდელთან, რომელიც ინდივიდების სამუშაო ძალაში ყოფნის ვადის გახანგრძლივებას გულისხმობს. მოტანილი ქვეყნების აღნიშნულ პოლიტიკას, საპენსიო უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი ხარჯების მინიმალიზების მცდელობა უდევს საფუძვლად.

ლატვიაში, 2025 წლის 1 იანვრამდე, ხანდაზმულობის პენსიის მისაღებად, ინდივიდი, 15 წლიანი სადაზღვევო სტაჟის არსებობის შესახებ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან, მოთხოვნილი პერიოდი 20 წლამდე გაიზრდება. გარდა ამისა, ლატვიური მოდელი ხანდაზმულობის პენსიის ვადაზე ადრე მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ინდივიდს, აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობის უფლება შემდეგ შემთხვევებში წარმოემოხა: არანაკლებ 30 წლიანი სადაზღვევო სტაჟის ქონა, სურვილის შემთხვევაში, პენსიაზე გასვლის ასაკის 2 წლით შემცირებას განაპირობებს; მშობელს ან ბავშვის მეურვეს, რომელსაც არანაკლებ 25 წლიანი სადაზღვევო სტაჟი აქვს, ხანდაზმულობის პენსია, განსაზღვრულ ვადაზე 5 წლით ადრე შეუძლია მოითხოვოს, თუ ბავშვის სრულწლოვანობამდე (18 წელი), არანაკლებ 8 წლის განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან 5 ან მეტ ბავშვზე ზრუნავდა; ჩერნობილის ატომურ ელექტრო სადგურზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს, რომელთაც არანაკლებ 15 წლიანი სადაზღვევო სტაჟი აქვთ, სურვილის შემთხვევაში, პენსიაზე გასვლა განსაზღვრულ საპენსიო ასაკზე 5 წლით ადრე შეუძლიათ; ასევე, 5 წლით ადრე შეუძლიათ პენსიაზე გასვლა იმ ინდივიდებს, რომელთაც რეპრესირებულის სტატუსი აქვთ მინიჭებული და მათი სადაზღვევო სტაჟი 30 წელს შეადგენს; ამასთან, მსგავსი საშეღავათო პოლიტიკა ვრცელდება ინდივიდებზე, რომელთაც სამუდამო ინვალიდობა დაუდასტურდათ; ქალებზე, რომლებიც 8 წლამდე, 5 ან მეტ ან ინვალიდ ბავშვს ზრდიდნენ; ინდივიდებზე, რომლებიც ფიზიკური დეფექტით ხასიათდებიან; პირებზე, რომლებიც 1996 წლამდე, განსაკუთრებით მძიმე/მძიმე ან განსაკუთრებით საზიანო/საზიანო სამუშაო პირობებში მუშაობდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ლატვიისა და ესტონეთის საპენსიო სისტემების პირველი საფეხური დიფერენცირების პრინციპს ეფუძნება. აღნიშნული ფუნდამენტური მსგავსების მიუხედავად, ლატვიის საპენსიო სისტემის პირველ საფეხურზე არსებული ცალკეული მიმართულებები ესტონურ მოდელში არ გვხვდება. ამასთან, მოტანილი ორი საპენსიო სისტემის პირველ საფეხურზე არსებული მსგავსი მიდგომები, აღსრულების განსხვავებულ პრინციპს ეფუძნება.

ლატვიაში საპენსიო სისტემის მეორე საფეხური 2001 წლის 1-ლი ივლისიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებდა, სოციალური დაზღვევის გადასახდელის ნაწილის საფინანსო ბაზარზე განთავსებას. ამის საფუძველზე, მეორე საფეხურის მონაწილეთა პირად ანგარიშზე გროვდება თანხა. სახელმწიფო საფონდო საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეეძლო სოციალური დაზღვევის მქონე ნებისმიერ ინდივიდს, რომლის ასაკი, 2001 წლის 1 ივლისისათვის, 50 წელს არ აღემატებოდა.

ლატვიის საპენსიო სისტემის მეორე საფეხურში მონაწილეობა სავალდებულოა მათთვის, ვისაც, 2001 წლის 1 ივლისამდე, არ ჰქონდათ შესრულებული 30 წელი ანუ იმ პირთათვის, რომლებიც 1971 წლის 1 ივლისის შემდგომ არიან დაბადებულნი. მეორე საფეხურის ამოქმედების თარიღისათვის, 30-დან 49 წლამდე ასაკობრივ სეგმენტში მყოფი ინდივიდებისათვის, აღნიშნულ სქემაში გაწევრიანება ნებაყოფლობითობის პრინციპს ექვემდებარებოდა.

ლატვიის საპენსიო მოდელი, საინვესტიციო რისკებთან დაკავშირებით, მსგავსი მოდელების მქონე სხვა ქვეყნების მიდგომას იზიარებს, მათ შორის ესტონურსა და ქართულს. სახელმწიფო საფონდო საპენსიო სქემის მონაწილეთათვის საინვესტიციო გეგმის შერჩევისას, მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის საპენსიო ასაკამდე დარჩენილი პერიოდის ხანგრძლივობის გათვალისწინება. რაც უფრო მეტია, ხანდაზმულობის საპენსიო ასაკამდე დარჩენილი პერიოდი, მით მეტია დასაშვები რისკის დონე და პირიქით. აქედან გამომდინარე, ლატვიის საპენსიო მოდელი, იმ პირთათვის, რომლებიც საპენსიო ასაკს არაუმეტეს 10 წელში მიაღწევენ, ინვესტირების აქტიური გეგმიდან, კონსერვატიულზე გადასვლის რეკომენდაციას ითვალისწინებს.

ესტონური მოდელის მსგავსად, ლატვიის საპენსიო მოდელი, მეორე საფეხურის წევრის საპენსიო თანხების დაგროვების პროცესში, დამსაქმებლის მონაწილეობას არ ითვალისწინებს. ამასთან, კიდევ ერთი მსგავსება, რომელიც ლატვიურსა და ესტონურ მოდელებს შორის იკვეთება, სოციალური გადასახდელის 20%-ის შესაბამისი თანხის, პირველ და მეორე საფეხურებს შორის გადანაწილების პრინციპს უკავშირდება. აღნიშნული მსგავსების მიუხედავად, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, ლატვიური მოდელი, საპენსიო უზრუნველყოფისათვის

გამოყოფილი, შემოსავლების 20%-ის შესაბამისი თანხიდან, მეორე საფეხურის დასაფინანსებლად განსაზღვრული ფიქსირებული თანხის ნაცვლად, წლების განმავლობაში, ორ საფეხურს შორის პროცენტული გადანაწილების ცვალებადობით ხასიათდება.

რაც შეეხება, მეორე საფეხურის ფარგლებში განსახორციელებელ გადახდებს, ლატვიის საპენსიო სისტემა, ასევე, ესტონური მოდელის მსგავს მიდგომას ეყრდნობა, როდესაც საპენსიო ასაკისათვის, მეორე საფეხურზე დაგროვებული თანხების გაცემას, როგორც პირველი საფეხურის პენსიასთან ერთად, ასევე მისგან დამოუკიდებლად, სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ითვალისწინებს.

ლატვიისა და ესტონეთისაგან განსხვავებით, ბელარუსის საპენსიო სისტემა საპენსიო ასაკის გათანაბრების პრინციპს არ იზიარებს. ამასთან, 2016 წლის ჩათვლით, ბელარუსის საპენსიო სისტემაში ასაკობრივი განაწილების მოდელი, სსრკ-ში არსებულ მოდელს ეყრდნობოდა (მამაკაცები - 60 წელი; ქალები - 55 წელი). 2017 წლიდან ქვეყანაში საპენსიო ასაკის ყოველწლიური მატების ევროპული პრინციპი დაინერგა, რომელიც 2022 წლამდე, საპენსიო ასაკის ყოველწლიურ 6 თვიან მატებას გულისხმობს. აღნიშნულის მიუხედავად, ცვლილება არ ითვალისწინებს საპენსიო ასაკის გათანაბრების მოდელზე გადასვლას და 2022 წლისათვის, პენსიაზე გასვლის ასაკი მამაკაცებისათვის 63, ხოლო ქალებისათვის 58 წლით განისაზღვრება. რაც შეეხება, 2022 წლის მომდევნო წლებს, საპენსიო ასაკი ყოველ მომდევნო წელს ცვლილებას აღარ დაექვემდებარება და 2022 წელს დაფიქსირებულ ნიშნულზე დარჩება.¹³

ბელარუსში, ინდივიდს, ხანდაზმულობის შრომითი პენსიის მიღების უფლება წარმოეშობა, თუ მან განსაზღვრულ საპენსიო ასაკს მიაღწია და ამასთან, აქვს არანაკლებ 25 წლიანი სამუშაო სტაჟი მამაკაცის, ხოლო არანაკლებ 20 წლიანი სამუშაო სტაჟი - ქალის შემთხვევაში. რაც შეეხება, ხანდაზმულობისა და ნამსახურები წლების პენსიის მიღების შესახებ უფლების წარმოშობას, ის სადაზღვევო სტაჟზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი, სავალდებულო სადაზღვევო შენატანების

¹³ <http://www.mintrud.gov.by/ru/infa1>. 27.04.2020.

მიხედვით ითვლება, რომელსაც ინდივიდი, ბელარუსის რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფო არაბიუჯეტურ ფონდში ახორციელებს. სადაზღვევო სტაჟი 2016 წლიდან მზარდია; 2016 წელს ის 15 წელსა და 6 თვეს შეადგენდა, ხოლო ყოველ მომდევნო წელს 6 თვით იზრდება. აღნიშნული მზარდი ტენდენცია 2025 წლამდე გაგრძელდება და ამ დროისათვის 20 წლიან ნიშნულს მიაღწევს. 2025 წლის შემდეგ, მოთხოვნილი სადაზღვევო სტაჟის მოცულობა, 2025 წელს დაფიქსირებულ ნიშნულზე დარჩება.¹⁴

ასევე, საქართველოსაგან განსხვავებით, ბელარუსის საპენსიო სისტემა, ესტონეთისა და ლატვიის საპენსიო სისტემათა პირველი საფეხურის მსგავსად, დიფერენცირების პრინციპს ემყარება. ამასთან, ის, ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლის შესაძლებლობას ითვალისწინებს. აღნიშნული შესაძლებლობა ვრცელდება - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლებზე; მრავალშვილიან დედებზე, რომელთაც 5 ან მეტი შვილი ჰყავთ; ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე; ომის ინვალიდებზე; ფიზიკური ნაკლოვანებების მქონე ინდივიდებზე და სხვა. ჩამოთვლილ კატეგორიებში შემავალ პირებს, განსაზღვრულ ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლის უფლებით სარგებლობა, 5 წლიანი სადაზღვევო სტაჟის არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ.

ბელარუსის საპენსიო სისტემაში დაგროვებითი პენსიის ნიშნების მატარებელი სქემა გვხვდება, რომელიც შორს არის ესტონური, ლატვიური და ქართული დაგროვებითი საპენსიო მოდელებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული სქემა შინაარსობრივად ერთობ საინტერესოდ მიგვაჩნია. დასაშვებია, გამოითქვას ვარაუდი, რომ სქემის ანალიზის შედეგად, შესაძლოა, საქართველოს საპენსიო სისტემის დახვეწის მიმართულებით შესაბამისი სქემების მიმდინარე ძიების პროცესში, ჩვენ მიერ კიდევ ერთი ახალი მიგნება გაკეთდეს.

ბელარუსის რესპუბლიკაში, 2009 წლის 1-ლი იანვრიდან, არახელსაყრელ სამუშაო პირობებში დასაქმებულთა პროფესიული საპენსიო დაზღვევის სისტემა შევიდა ძალაში. აღნიშნული სისტემის დანერგვით, მსგავს პირობებში

¹⁴ იქვე.

დასაქმებულთა მიერ, ვადაზე ადრე, საშეღავათო პენსიით სარგებლობისათვის, დამოუკიდებელი დაფინანსების წყარო შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსში შექმნილი ზემოაღნიშნული საპენსიო დაზღვევის სისტემა, ევროპული და ქართული დაგროვებითი საპენსიო სქემების მსგავს პრინციპს ეფუძნება, ნათლად იკვეთება რამდენიმე განმასხვავებელი ფაქტორი. პირველი, ეს არის სექტორული დაყოფის მოდელი. სახელიდან, ისედაც ნათლად ჩანს, რომ ეს სისტემა, ნებისმიერ სექტორში დასაქმებულ ინდივიდებს არ ეხება, არამედ, მხოლოდ მათ, ვინც არახელსაყრელ პირობებში მუშაობს. ამასთან, აღნიშნული სექტორული დაყოფა, ზოგადად რომელიმე განსაზღვრულ სექტორში დასაქმებულთა სრულად მოცვას არ გულისხმობს. ინდივიდი, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს არახელსაყრელ სამუშაო პირობებში დასაქმებულთა პროფესიული საპენსიო დაზღვევის სისტემით სარგებლობის უფლებას, თუ შესაბამის სექტორში კანონით განსაზღვრული მიმართულებით არის დასაქმებული.

რაც შეეხება, მეორე და მთავარ განმასხვავებელ ფაქტორს, ის მდგომარეობს შემდეგში: ზემოაღნიშნულ პირობებში დასაქმებულთა დამსაქმებლებს, მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფო არაბიუჯეტურ ფონდში, დასაქმებულების სასარგებლოდ, შენატანების განხორციელება ევალებათ. თითოეული მიმართულებით დასაქმებულთა სასარგებლოდ, მათ ინდივიდუალურ ანგარიშებზე, დამსაქმებელთა მიერ განსახორციელებელი შენატანების მოცულობა, რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება.

ზემოაღნიშნულის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბელარუსში დანერგილი საპენსიო დაზღვევის სისტემა, სახელმწიფო შეღავათებით სარგებლობის საჭიროების მქონე მიმართულებებით დასაქმებული პირების წახალისებაზე არის ორიენტირებული. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მთელ ამ მოდელში, სახელმწიფოს დანახარჯები ნულის ტოლია. გარდა ამისა, ესტონური და ლატვიური დაგროვებითი პრინციპებისაგან განსხვავებით, დამსაქმებელი, არა მარტო ჩართულია დაგროვების პროცესში, არამედ, ერთადერთ მონაწილედ გვევლინება.

ამრიგად, ჩვენ მიერ, აღნიშნულ სისტემასთან დაკავშირებით თავში გამოთქმული ვარაუდი შეიძლება ითქვას, რომ გამართლდა. ესტონური და

ლატვიური მოდელებისაგან განსხვავებით, საქართველოში მოქმედი დაგროვებითი საპენსიო სქემა, დაგროვების პროცესში დამსაქმებელს ერთ-ერთ მონაწილედ მოიაზრებს. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არის ისეთი სექტორები სადაც დასაქმებულთათვის შეღავათების დაწესების საკითხის აქტუალიზაცია მნიშვნელოვანია, ბელარუსში არსებულ მოდელზე დაყრდნობით, მსგავსი სექტორების გამოკვეთა და მათში დასაქმებულთა სასარგებლოდ, დაგროვებით საპენსიო სქემაში, თუნდაც მხოლოდ 4%-ის შესაბამისი შენატანების განხორციელების ვალდებულების სრულად დამსაქმებელზე დაკისრება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ესტონეთის, ლიეტუვისა და ლატვიისაგან განსხვავებით, საქართველო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდგომ, 1993 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანა ხდება. აღნიშნული თანამეგობრობის წევრობის ისტორია, 2003 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც გაგრძელდა. რუსეთსა და საქართველოს შორის, 2008 წელს მომხდარი ომი, იმდროინდელი ხელისუფლებისათვის გახდა საფუძველი, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დატოვების შესახებ განცხადება გაკეთებულიყო. 2009 წლის 18 აგვისტოს, დსთ-ში საქართველოს წევრობის ისტორია შეწყდა.

ყაზახეთი, ისევე როგორც საქართველო, სსრკ-ს დაშლის შემდგომ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ხდება. საქართველოსაგან განსხვავებით, ყაზახეთმა სსრკ-სგან მემკვიდრეობით მიღებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა არა მარტო განახორციელა, არამედ ამ მიმართულებით დსთ-ის წევრ ქვეყნებს შორის პიონერი იყო. ყაზახეთში საპენსიო სისტემის რეფორმა 1998 წელს განხორციელდა.¹⁵ ეს თარიღი, ესტონეთში საპენსიო მიმართულებით განხორციელებული რეფორმების მეორე ტალღას ემთხვევა.

საპენსიო რეფორმის განხორციელებამდე, ყაზახეთში, ისევე როგორც, სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში სოლიდარულ პრინციპზე დაფუძნებული საპენსიო სისტემა მოქმედებდა. აღნიშნული პრინციპი თაობათა სოლიდარობას გულისხმობს, როდესაც დასაქმებულები, პენსიონერებს უზრუნველყოფენ. მიუხედავად იმისა, რომ

¹⁵ https://www.enpf.kz/ru/pension-system/simple/base/index.php?ELEMENT_ID=1908#. 27.04.2020.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ყაზახეთში განვითარებული მოვლენები (კიპერინფლაცია, უმუშევრობის ზრდა, შობადობის შემცირება), თითქმის ერთი-ერთში იმეორებდა საქართველოს იმდროინდელ რეალობას, ყაზახეთისაგან განსხვავებით საპენსიო სისტემის რეფორმირების საკითხის აქტუალიზაცია საქართველოში 2018 წლამდე არ მოხდა, მაშინ როდესაც, 2018 წელს ყაზახეთის დაგროვებითი საპენსიო სისტემა, 20 წლიან ისტორიას ითვლიდა.

ყაზახეთის საპენსიო მოდელი, ევროპული მოდელების მსგავსად, სამსაფეხურიან პრინციპს ეყრდნობა. პირველი საფეხური, საბაზო და სოლიდარულ პენსიებს აერთიანებს. საბაზო პენსია, შრომით და ასევე, დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობის სტაჟზე არის დამოკიდებული. სოლიდარულ პენსიას რაც შეეხება, ის, 1998 წლამდე დაგროვებული შრომითი სტაჟის მიხედვით გამოითვლება. აღნიშნული საფეხური სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ყაზახეთის საპენსიო სისტემის დაგროვებითი ნაწილი, მეორე და მესამე საფეხურებს აერთიანებს. მეორე საფეხური ორი განშტოებისაგან შედგება: პირველი მათგანი, დასაქმებულთა მიერ, სავალდებულო საპენსიო შენატანების სახით, საკუთარი შემოსავლის 10%-ის შესაბამისი მოცულობის, ერთიან დაგროვებით საპენსიო ფონდში გადარიცხვას გულისხმობს; მეორე განშტოებას რაც შეეხება, ის კონკრეტულად, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ სამუშაო პირობებში დასაქმებულთა საპენსიო უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული; აღნიშნული მიმართულებით დასაქმებულთა დამსაქმებლებს, სავალდებულო პროფესიული საპენსიო შენატანების სახით, დასაქმებულის შემოსავლის 5%-ის შესაბამისი მოცულობის ერთიან დაგროვებით საპენსიო ფონდში გადარიცხვა ევალებათ. მესამე საფეხური, ისევე როგორც ევროპული ქვეყნების საპენსიო მოდელების უმრავლესობაში, ყაზახეთშიც ნებაყოფლობით საპენსიო შენატანებს გულისხმობს.

ყაზახეთის საპენსიო სისტემის ანალიზის შედეგად, ევროპულ და ქართულ საპენსიო მოდელებთან, როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები გამოიკვეთა. ყაზახეთში, ისევე როგორც საქართველოში, დასაქმებულთა საპენსიო შენატანებს, მხოლოდ ერთი საპენსიო ფონდი განკარგავს (საქართველოს შემთხვევაში - საპენსიო სააგენტო; ყაზახეთის შემთხვევაში - ერთიანი დაგროვებითი საპენსიო ფონდი).

ყაზახურ მოდელში, ევროპული მოდელებისაგან განსხვავებით, დაგროვების პროცესში დამსაქმებელი ჩართულია, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც ქართულ მოდელში. საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში, დამსაქმებელის ვალდებულება, დასაქმებულის ხელფასის 2%-ის შესაბამისი მოცულობის შენატანების განხორციელების შესახებ, დარგობრივი დიფერენცირების პრინციპს არ ექვემდებარება; მაშინ, როდესაც ყაზახეთში ასეთი დიფერენცირების პრინციპი მოქმედებს. ამასთან, ყაზახურ მოდელში მეორე საფეხურის პირველი განშტოების ფარგლებში, დასაქმებულის მიერ განსახორციელებელი შენატანების პროცენტული რაოდენობა, ქართულ მოდელში სახელმწიფოს, დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ ჯამურად განსახორციელებელი შენატანების მოცულობას 4%-ით აღემატება. ასევე ხაზგასასმელია, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, ყაზახეთის საპენსიო სისტემის მეორე საფეხური სახელმწიფოს ჩართულობას არ გულისხმობს.

ამრიგად, ბელარუსისა და ყაზახეთის საპენსიო სისტემათა ანალიზის შედეგად, საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმირებისათვის, არა მარტო, ევროპულ გამოცდილებაზე ორიენტირება, არამედ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და საქართველოს რეალობაზე მორგება, გონივრულ ნაბიჯად გვესახება.

საკვლევი პრობლემის შინაარსიდან გამომდინარე, შემდგომში მოტანილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს საპენსიო მოდელის რეფორმირებისათვის, ესტონური გამოცდილების გაზიარების მნიშვნელოვნება იკვეთება.

ცხრილი №1. ესტონეთის საშუალო სახალხო პენსია (1-ლი იანვრის მდგომარეობით)¹⁶ და საარსებო მინიმუმი¹⁷.

წელი	2001	2004	2007	2010	2013	2016	2017	2018	2019	2020
საშ. სახალხ.	60.9	62.7	69.3	103.1	104.4	121.5	128.6	145.6	165.3	184.0

¹⁶ ესტონეთის სტატისტიკის სააგენტო - http://pub.stat.ee/px-web.2001/I_Databas/Social_life/15Social_protection/06Social_insurance/04Pension_insurance/04Pension_insurance.asp. 22.04.2020.

¹⁷ იქვე, - <http://andmebaas.stat.ee>. 23.04.2020.

პენსია, ევრო										
საარსებო მინ., ევრო	-	117.3	149.6	174.8	205.3	200.1	207.2	215.4	221.3	-

ცხრილის №1 მონაცემებით ირკვევა, რომ ოცწლიანი პერიოდის განმავლობაში, ესტონეთის სახალხო პენსიის ოდენობა, საარსებო მინიმუმით გათვალისწინებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. აღნიშნულის მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ ესტონეთის რესპუბლიკაში სახალხო პენსიის მიმღებთა რიცხვი, კლებადი დინამიკით ხასიათდება და ამავდროულად, პენსიონერთა საერთო რიცხვში მცირე პროცენტს იკავებს (იხ. ცხრილი №2), ქვეყანაში პენსიონერთა უზრუნველყოფის საკითხი მასშტაბურ ჭრილში რისკის ქვეშ არ დგას.

ცხრილი №2.¹⁸ ესტონეთის სახალხო პენსიის მიმღებთა რიცხვი და მათი წილი პენსიონერთა საერთო რაოდენობაში; საშუალო პენსიის მოცულობა ესტონეთში (1-ლი იანვრის მდგომარეობით).

წელი	2001	2004	2007	2010	2013	2016	2017	2018	2019	2020
სახ. პენ. მიმღ.რიც.	6 816	11012	7 611	6 154	6 436	6 837	6 938	4 675	3 421	2 988
სახ. პენ. მიმღ. (%)	1.9	3	2	1.6	1.6	1.6	1.7	1.2	1	0.9
საშ. პენ., ევრო	93	121	180	273	279	327	346	386	429	473

ცხრილის №2 მონაცემებით ირკვევა, რომ ესტონეთში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სახალხო პენსიის მიმღებთა წილი პენსიონერთა ჯამური რაოდენობის 2%-ის შესაბამის ზღვარს არ სცდება. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოტანილ ოცწლიან პერიოდში ესტონეთის რესპუბლიკაში თითოეულ წელს დაფიქსირებული საშუალო პენსიის მაჩვენებელი მუდმივად აღემატებოდა საარსებო მინიმუმს, ხოლო ბოლო ათწლეულის განმავლობაში სხვაობის ეს დადებითი

¹⁸ იქვე, - <http://andmebaas.stat.ee>. 23.04.2020.

დინამიკა შესამჩნევად მზარდია და 2019 წლისათვის ქვეყანაში არსებული საშუალო პენსია საარსებო მინიმუმზე თითქმის ორჯერ მეტია, შეიძლება ითქვას, რომ საპენსიო უზრუნველყოფის ესტონური მოდელი, ინდივიდის კეთილდღეობაზე ორიენტირებულობის თვალსაზრისით, მსოფლიოს მასშტაბით წარმატებულობის მაღალი დონით ხასიათდება.

ესტონეთისაგან განსხვავებით, საქართველოში მინიმალური პენსია ანუ იგივე სახელმწიფო პენსია, ქვეყანაში აღრიცხული პენსიონერების აბსოლუტურ უმრავლესობაზე გაიცემა. ცხრილის №3 მონაცემებით ირკვევა, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში, სახელმწიფო პენსიის მოცულობამ, მხოლოდ, 2013 წლიდან გადააჭარბა საარსებო მინიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ კატეგორიის პენსიონერთათვის, რომლებიც მხოლოდ საპენსიო შემოსავლებზე იყვნენ დამოკიდებულნი, 2001 წლიდან 2013 წლამდე არსებული საპენსიო უზრუნველყოფის მოდელი, რომელიც დღემდე უცვლელი ფორმით მოქმედებს და სოციალური დახმარების ნიშნები უფრო მეტია მის შინაარსში, ვიდრე საპენსიო უზრუნველყოფის, პენსიონერთა არსებობისათვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა.

რაც შეეხება, 2013 წლიდან 2020 წლამდე პერიოდს, ის დადებითი დინამიკით ხასიათდება. ქვეყანაში საარსებო მინიმუმის ზრდის პარალელურად, იმატებს ბიუჯეტური პენსიის მოცულობა, რაც, ყოველწლიურად, საშუალო პენსიისა და საარსებო მინიმუმის ოდენობას შორის სხვაობის დადებით მაჩვენებელს უზრუნველყოფს.

ცხრილი №3. საქართველოში ასაკობრივი პენსიის საშუალო რაოდენობა სტაჟის დანამატის გათვალისწინებით¹⁹ და საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი²⁰.

წელი	2001	2004	2007	2010	2013	2016	2017	2018	2019	2020
საშ. პენსია, ლარი	14.0	14.0	62.5	87.4	150.0	180.0	180.0	180.0	200.0	220.0

¹⁹ სოციალური მომსახურების სააგენტო - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610. 22.04.2020.

²⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi>. 23.04.2020.

საარსებო მინ., ლარი	-	74.7	105.0	119.0	132.0	141.8	151.3	154.3	166.2	-
------------------------	---	------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	---

ამრიგად, მოტანილი სტატისტიკური ინფორმაციიდან გამომდინარე, საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმირების პროცესის ესტონურ მოდელზე დაფუძნების მიზანშეწონილობა და წინამდებარე ნაშრომში გაკეთებული აქცენტების მნიშვნელოვნება დასტურდება.

1.2. საპენსიო რეფორმის სამართლებრივი საფუძველი საქართველოში

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, საპენსიო სისტემას მისი შესადარისი ქვეყნისაგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

2018 წლამდე საქართველოს მოქალაქის პენსია დამოკიდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტზე და გასაკვირი არ არის, რომ ბოლო, თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში, სწორედ ბიუჯეტური სახსრების მოცულობაზე იყო მიბმული პენსიის ოდენობა. საქართველოს გამოვლილი აქვს ე.წ. 7 და 14 ლარიანი საპენსიო პერიოდები; ხელისუფლებათა ცვლასთან ერთად გაიზარდა პენსიებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტური ხარჯები და არსებული მდგომარეობით, საქართველოში სახელმწიფო პენსია 220 ლარს შეადგენს.

2018 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომელიც გულისხმობს დაგროვებითი საპენსიო სქემის შექმნას, რაც სახელმწიფო პენსიასთან ერთად უზრუნველყოფს, საქართველოს მოქალაქის ღირსეულ ცხოვრებას, პენსიაზე გასვლის შემდგომ პერიოდში.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნის იდეა ემყარება მის დამოუკიდებლობას სახელმწიფო პენსიითა და სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფისაგან. დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული კანონი (საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ) საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა 2018 წლის 21 ივლისს, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მისი მე-7 და 21-ე მუხლები, რაც ნიშნავდა მის უშუალოდ ამოქმედებას მხარეების ჩართულობის კუთხით. აღნიშნული კანონის პრინციპები შეეხება: დამსაქმებლებს; საქართველოს მოქალაქეებს (არარეზიდენტი ფიზიკური პირების გარდა); საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს (არარეზიდენტი ფიზიკური პირების გარდა) და სხვ.²¹

²¹ საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. თავი I, მუხლი 1-4.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=1>. 14.09.2019.

კანონის მიხედვით, დაგროვებითი საპენსიო სქემა - განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემა.²² სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის, რომელიც ხელფასის სახით იღებს შემოსავალს, იმ დასაქმებულების გარდა, რომელთაც კანონის ამოქმედებამდე შეასრულეს 60 წელი (მამაკაცები) და 55 წელი (ქალები). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონისმიერი საპენსიო სქემაში გაწევრების ვალდებულების არეალში არ ექცევიან ის დასაქმებულები, რომელთა ასაკიც საპენსიო ასაკზე არაუმეტეს 5 წელზე ნაკლებია. ეს მარტივად აიხსნება საპენსიო სქემის მიზნობრიობის ანალიზისას. იგი გათვლილია გრძელვადიან შენატანებზე, 20 წელი და მეტი, ამონაგების მაქსიმალიზების მოტივით. აღნიშნულ მსჯელობას შემდგომ გაამყარებს დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის/მონაწილეობაზე უარის თქმის სქემის ანალიზი, იმ დასაქმებულთათვის, რომელთა ასაკიც საქართველოს კანონის დაგროვებითი პენსიის შესახებ ამოქმედებამდე 40 ან მეტი წელი იყო.

რაც შეეხება ნებაყოფლობითობას, რომელიც აღნიშნული რეფორმის ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს, კანონის მიხედვით დაშვებულია ნებაყოფლობითი გაწევრება ყველა დასაქმებულისათვის, რომელნიც ხელფასის სახით იღებენ შემოსავალს და კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდათ 60 წელი მამაკაცებს, ხოლო - 55 წელი ქალებს.²³ აქ ასევე აღსანიშნავია, რომ ნებაყოფლობითი გაწევრიანების უფლება მინიჭებული აქვთ თვითდასაქმებულებს, თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში. ეს უკანასკნელი საკმაოდ საინტერესო საკითხია საქართველოს საგადასახადო სისტემისათვის. თვითდასაქმებულთა რაოდენობა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდია, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იღებს შემოსავალს, რომელიც აღრიცხვას არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარე ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ თვითდასაქმებულთათვის საპენსიო სქემაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემა, შესაძლოა ირიბად მოტივირებული იყოს მათი შემოსავლების აღრიცხვით, რაც მომავალში მათი გადასახადის გადამხდელთა რიცხვში ჩართვის პერსპექტივას უფრო გაამყარებს.

²² იქვე, თავი II, მუხლი 3-1. 14.09.2019.

²³ იქვე, თავი II, მუხლი 3-3. 14.09.2019.

საპენსიო სქემას შემდეგი სახე აქვს: მასში საპენსიო შენატანების განხორციელება ხდება მონაწილე დასაქმებულის ან მონაწილე თვითდასაქმებულის მიერ, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე. გარდა ამისა, სახელმწიფო და დამსაქმებელი ასევე ახორციელებენ შენატანებს მონაწილის სასარგებლოდ. რაც შეეხება, მოდელს, როდესაც მონაწილე არ არის თვითდასაქმებული, დამსაქმებელი ხელფასის გაცემისას მონაწილე დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს, დასაქმებულის ხელფასის ორი პროცენტის მოცულობით.²⁴ დამსაქმებელი აგრეთვე საპენსიო სქემაში მონაწილე დასაქმებულის სახელით ახორციელებს საპენსიო შენატანს, რომელიც დასაბეგრი ხელფასის ორ პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება, საპენსიო სქემაში მონაწილე თვითდასაქმებულს, მისი საპენსიო შენატანი თავისი წლიური შემოსავლის 4 პროცენტით განისაზღვრება.²⁵

სახელმწიფოს თანამონაწილეობა საპენსიო სქემაში ყველა მონაწილე დასაქმებულისათვის და თვითდასაქმებულისათვის შეადგენს, დასაბეგრი ხელფასის ან შემოსავლის 2 პროცენტს, თუ ის არ აღემატება წელიწადში 24 000 ლარს. როდესაც საპენსიო სქემაში მონაწილის მიერ მიღებული ხელფასი ან შემოსავალი (თვითდასაქმებულის შემთხვევაში) 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდეა, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შენატანი მონაწილის სასარგებლოდ, მიღებული ხელფასის ან შემოსავლის ოდენობის, 1 პროცენტამდე იკლებს. ხოლო 60 000 ლარზე მეტი წლიური ხელფასის ან შემოსავლის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო არ განახორციელებს მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანს. გარდა ამ უკანასკნელისა, სახელმწიფო საპენსიო შენატანს მას შემდეგ განახორციელებს, როდესაც საპენსიო სააგენტო შეტყობინებით დაადასტურებს, რომ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელდა შენატანი თვითდასაქმებულის მხრიდან ან შენატანები დამსაქმებლის მხრიდან, როგორც თავისი, ასევე დასაქმებულის სახელით.²⁶

²⁴ იქვე, თავი II, მუხლი 3-6ა. 15.09.2019.

²⁵ იქვე, თავი II, მუხლი 3-6გ. 15.09.2019.

²⁶ იქვე, თავი II, მუხლი 3-6დ. 15.09.2019.

სწორედ, ზემოთ განხილული დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებისათვის, მართვისა და ადმინისტრირებისათვის არის პასუხისმგებელი საპენსიო სააგენტო, რომელიც შექმნილია, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების ტექნიკურ მხარდაჭერას, საპენსიო შენატანების ადმინისტრირებასა და თითოეული მონაწილისთვის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის შექმნას, საპენსიო სააგენტო საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის გამოყენებით უზრუნველყოფს.²⁷ სწორედ, საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხდება საპენსიო სააგენტოს, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობები. ასევე საპენსიო ფონდში შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა საბანკო ანგარიშიდან ხელფასის გადახდისას წარმოქმნის შესაბამის ინფორმაციას, რაც ზემოთ არის განხილული, სახელმწიფო ხაზინისათვის, რომელიც სახელმწიფოსათვის კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების საფუძველია.²⁸ რაც შეეხება მოდელს, როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულს ხელფასს ნაღდი ფორმით უხდის, დამსაქმებელი ორივეს სახელით იანგარიშებს საპენსიო შენატანის მოცულობას და ხელფასის გაცემისას მიმართავს მას საპენსიო სააგენტოში. ამ შემთხვევაში ელექტრონული სისტემა ვერ წარმოქმნის სახელმწიფო ხაზინისთვის შესაბამის ინფორმაციას, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების შესრულების საფუძველს საპენსიო სააგენტოს მოთხოვნა წარმოადგენს. თვითდასაქმებულის შემთხვევაში, მისი ნებაყოფლობითი საპენსიო შენატანი ხორციელდება წლიური შემოსავლის დეკლარირებისას. აღნიშნული ჩანაწერი კანონში, ამყარებს ზემოთგამოთქმულ მოსაზრებას, თვითდასაქმებულთა შემოსავლების აღრიცხვის შესახებ. საპენსიო სააგენტო შენატანებზე მონიტორინგს შემოსავლების სამსახურის მხრიდან ინფორმაციული უზრუნველყოფით ახორციელებს. არა მარტო, შემოსავლების სამსახური, არამედ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია, რომ საპენსიო სააგენტო მონაწილის პერსონალური მონაცემებით უზრუნველყოს.

²⁷ იქვე, თავი III, მუხლი 7-1. 17.09.2019.

²⁸ იქვე, თავი III, მუხლი 7-3. 17.09.2019.

საპენსიო სააგენტო, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ვალდებულია, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა რაოდენობის ზრდაზე მუდმივად იზრუნოს.

საპენსიო სააგენტოს საქმიანობის (გარდა საინვესტიციო საქმიანობისა, რომლის რეგულირება ეროვნული ბანკის ფუნქციაა) ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს.

სამეთვალყურეო საბჭო 4 წევრისაგან შედგება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, რომელიც ამავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას იკავებს; საქართველოს ფინანსთა მინისტრი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი; საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარე. კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის სამეთვალყურეო საბჭოში გაწეული საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს.²⁹ სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაა საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება. საპენსიო სააგენტოს დირექტორი თანამდებობაზე 5 წლის ვადით ინიშნება და პირველი, ვინც ეს თანამდებობა დაიკავა არის ლევან სურგულაძე.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, ეროვნული ბანკი ამოწმებს, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის საქართველოს კანონის დაგროვებითი პენსიის შესახებ მოთხოვნებთან შესაბამისობას; ასევე - აქტივების მართვასთან დაკავშირებული პროცედურების, საპენსიო სააგენტოს სტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საპენსიო აქტივებთან დაკავშირებული საინვესტიციო საქმიანობისთვის აუცილებელ, მის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ეროვნული ბანკის უფლებამოვალეობებში შედის აგრეთვე, აქტივების განთავსების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის, საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა და აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევის პროცედურის მისივე დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება. ხაზგასასმელია, რომ საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო

²⁹ იქვე, თავი III, მუხლი 10-9. 17.09.2019.

გადაწყვეტილებებს ეროვნული ბანკი არ აფასებს. მაგრამ, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის შემოწმება მის უფლებამოსილებაში შედის. ამასთან, ეროვნული ბანკი, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ სააღრიცხვო, საანგარიშსწორებო, ადმინისტრაციულ და საინფორმაციო სისტემათა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის საშუალებების, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონთან და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას აკონტროლებს.³⁰

გარდა ზემოჩამოთვლილისა, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საპენსიო სააგენტოს მომსახურე სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის დამატებითი მარეგულირებელი წესები დაადგინოს. აღნიშნული წესები შესაძლებელია ეხებოდეს პერსონალის გამოცდილებას, საკუთარ კაპიტალს, მომსახურების მაქსიმალურ ფასს, ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას ან ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელსაც დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების მიზნებისათვის ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს.³¹ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს საპენსიო სააგენტოსაგან, საპენსიო სააგენტოსათვის მომსახურების გამწევი ფიზიკური და იურიდიული პირისაგან, ნებისმიერი, მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაცია. ეროვნულ ბანკის უფლებამოსილებების ნუსხაში შედის ასევე, საპენსიო სააგენტოსთვის, სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის და აქტივების მმართველი კომპანიის/ებისათვის, საანგარიშო დოკუმენტაციის ფორმის დადგენა და აღნიშნული ფორმით მოთხოვნილი დოკუმენტაციის მიღების პერიოდულობის განსაზღვრა. გარდა ამისა, მას უფლება აქვს დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, საპენსიო სააგენტო, სპეციალიზებული დეპოზიტარი და აქტივების მმართველი კომპანია (კომპანიები) ადგილზე შეამოწმოს. ეროვნული ბანკი საჭიროების შემთხვევაში ადგენს დამატებით პრინციპებს და წესებს, რომლებიც

³⁰ იქვე, თავი III, მუხლი 6-1. 20.09.2019.

³¹ იქვე, თავი III, მუხლი 6-2ა. 20.09.2019.

საპენსიო სააგენტოს მიერ ღია საფონდო ინსტრუმენტთა შერჩევის პროცესზე გავრცელდება. ეროვნული ბანკი, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია, მნიშვნელოვანი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საპენსიო სააგენტოს, გონივრული ვადის მითითებით, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ სავალდებულო მითითება ან/და საჯარო რეკომენდაცია მისცეს.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით, ეროვნულ ბანკს, თავის წლიურ ანგარიშში საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის კანონთან და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის ასახვა ევალება. იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ, საინვესტიციო საბჭოს სრული შემადგენლობით არსებობის პირობებში, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, ეს ფაქტი, ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშში საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობისადმი მიძღვნილ თავში, ინფორმატიულობის დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს.

ეროვნული ბანკის კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებში შედის საპენსიო აქტივების ღირებულების გამოთვლის, სავაჭრო დღის დახურვისა და სიდიდეთა დამრგვალების მეთოდოლოგიის დადგენა. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა უნდა მიაწოდოს საპენსიო სააგენტოს წერილობით ინფორმაცია, სპეციალიზებული დეპოზიტარის ორგანიზაციული ან ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან შესაძლო გაუარესების შესახებ, ასეთი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული დირექტივების დაცვით საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებას, საინვესტიციო საბჭო უზრუნველყოფს. საინვესტიციო საბჭოს წევრობის კანდიდატურებს შესარჩევი კომისია არჩევს და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. შესარჩევი კომისია 7 წევრისაგან შედგება: საქართველოს პარლამენტის 3 წევრი, 1 დამოუკიდებელი წევრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.³² რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის 3 წევრს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს არსებული საინვესტიციო საბჭოს წევრთა შერჩევის პროცესში და წარდგენილი იყვნენ საქართველოს პარლამენტის მიერ შესარჩევი კომისიის წევრებად, ესენი არიან: ირაკლი კოვზანაძე, აკაკი ზოიძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი. შესარჩევი კომისიის დამოუკიდებელი წევრის წარდგენის უფლება კანონით მინიჭებული აქვს ეროვნულ ბანკს. ეროვნულმა ბანკმა აღნიშნულ პოზიციაზე ზურაბ ლალაზაშვილი წარადგინა. შესარჩევ კომისიაში საქმიანობისთვის შრომის ანაზღაურება მხოლოდ დამოუკიდებელ წევრს მიეცემა; მას შრომითი ანაზღაურებით ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. სხვა ხარჯები, რომელიც შესარჩევი კომისიის საქმიანობასთან არის დაკავშირებული, საპენსიო სააგენტოს წლიური ბიუჯეტიდან ფინანსდება.³³

შესარჩევი კომისიის მიერ უნდა შეირჩეს საინვესტიციო საბჭოს წევრობის 5 კანდიდატი. კანდიდატურების შერჩევის პროცედურა განსაზღვრულია კანონით და გულისხმობს, შესარჩევი კომისიის მიერ კონკურსის გამოცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, მათ შორის - არანაკლებ ერთ საერთაშორისო ფინანსურ გამოცემაში განცხადების გამოქვეყნებას. საინვესტიციო საბჭოს წევრებს თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტი 5 წლის ვადით ირჩევს.³⁴ საინვესტიციო საბჭოს პირველი შემადგენლობის წევრები არიან: ოლივიერ რუსსო (თავმჯდომარე), ჟან-ფრედერიკ პოლსენი (თავმჯდომარის მოადგილე), ტიმო ვიჰერკენტა, მაიკლ რიდლი და დავით წიკლაური. საინვესტიციო საბჭოს წევრობა ანაზღაურებადი საქმიანობაა და საპენსიო სააგენტოს ბიუჯეტიდან ფინანსდება.³⁵ უფროსი საინვესტიციო ოფიცერის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, საინვესტიციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაა.³⁶

³² იქვე, თავი III, მუხლი 11-3. 25.09.2019.

³³ იქვე, თავი III, მუხლი 11-6. 25.09.2019.

³⁴ იქვე, თავი III, მუხლი 12-2. 25.09.2019.

³⁵ იქვე, თავი III, მუხლი 12-11. 25.09.2019.

³⁶ იქვე, თავი III, მუხლი 10-6გ. 25.09.2019.

საინვესტიციო საბჭოს კანონის მიხედვით ევალუა: საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება; საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის, არანაკლებ კვარტალში ერთხელ, მონიტორინგი და შეფასება; საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან საინვესტიციო საქმიანობის შესაბამისობის შეფასება და შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფროსი საინვესტიციო ოფიცერისათვის, გონივრულ ვადაში საინვესტიციო პორტფელის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებელი გეგმის წარმოდგენის მოთხოვნა; სპეციალიზებული დეპოზიტარის (დეპოზიტარების) და აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) შერჩევა; აგრეთვე საპენსიო სააგენტოს წლიური ბიუჯეტის მომზადების მიზნით, საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული წლიური ხარჯების თაობაზე წინადადებების შემუშავება, მათ შორის, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო სამსახურის თანამშრომლების რაოდენობასა და სახელფასო ხარჯებთან, მომსახურების გამწევ პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულ სხვა გადასახდელებთან დაკავშირებით; საპენსიო სააგენტოს წლიური ბიუჯეტის მომზადების მიზნით უფროსი საინვესტიციო ოფიცერის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა და ამის შესახებ საპენსიო სააგენტოს დირექტორისათვის წინადადებების წარდგენა.³⁷ თუ ამ ორი უკანასკნელის საფუძველზე მომზადებული საპენსიო სააგენტოს წლიური ბიუჯეტის პროექტი სამეთვალყურეო საბჭომ არ გაითვალისწინა, იგი ვალდებულია, აღნიშნულზე საინვესტიციო საბჭოს დასაბუთებული პოზიცია წარუდგინოს.³⁸

საინვესტიციო საბჭოს ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომ დაადგინოს აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის წესი და კრიტერიუმები, აგრეთვე - აქტივების მმართველი კომპანიებისათვის სამართავად გადასაცემი საპენსიო აქტივების მოცულობისა და გადაცემის ვადების განსაზღვრის კრიტერიუმები და წესი.³⁹ საინვესტიციო საბჭო ასევე ვალდებულია, ფინანსური ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით, აქტივების მმართველი კომპანიებისა და ღია საფონდო ინსტრუმენტების მემწეობით განთავსებული თანხების მთლიან

³⁷ იქვე, თავი III, მუხლი 13-1. 27.09.2019.

³⁸ იქვე, თავი III, მუხლი 13-2. 27.09.2019.

³⁹ იქვე, თავი III, მუხლი 13-4. 27.09.2019.

წლიურ ინვესტიციაში წილობრივ პროპორციასთან დაკავშირებული მომდევნო სამწილიან პერიოდზე გათვლილი გეგმა საჯაროდ განაცხადოს.⁴⁰

საპენსიო აქტივების საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად ინვესტირებისათვის უფროსი საინვესტიციო ოფიცერია პასუხისმგებელი.⁴¹ იგი ასევე ხელმძღვანელობს საინვესტიციო სამსახურს, რომელიც საპენსიო სააგენტოში საპენსიო აქტივების ინვესტირების მიზნით იქმნება. საპენსიო სააგენტო თავისი ბიუჯეტიდან უზრუნველყოფს, როგორც საინვესტიციო სამსახურს, ასევე უფროს საინვესტიციო ოფიცერს განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელი ყველა რესურსით, მათ შორის, ადამიანისეული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.⁴²

საინვესტიციო საბჭოს წევრები, უფროსი საინვესტიციო ოფიცერი, საპენსიო სააგენტოს ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი საპენსიო აქტივებთან დაკავშირებულ საინვესტიციო საქმიანობასთან, წარმოადგენენ ნდობითი ვალდებულების მქონე პირებს (საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეთა მიმართ პასუხისმგებელი პირი). სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ არიან ნდობითი ვალდებულების მქონე პირები, გარდა საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარისა, რომელსაც ნდობით ვალდებულებას პარალელურად საინვესტიციო საბჭოს წევრობა აკისრებს.

ნდობითი ვალდებულება წარმოიშობა იმ პირის მიმართ, რომელიც: საპენსიო სააგენტოს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აძლევს საინვესტიციო რჩევას; აღრიცხავს გარიგებებს და ამუშავებს ამ გარიგებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, აწარმოებს ან/და ინახავს მონაწილეთა შესახებ ჩანაწერებს; ახორციელებს საპენსიო აქტივების მართვის პროცესში ნებისმიერ უფლებამოსილებას ან კონტროლს, გარდა ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების მიზნებისთვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁴³

⁴⁰ იქვე, თავი III, მუხლი 13-5. 27.09.2019.

⁴¹ იქვე, თავი III, მუხლი 14-9. 30.09.2019.

⁴² იქვე, თავი III, მუხლი 14-5. 30.09.2019.

⁴³ იქვე, თავი I, მუხლი 2-5. 01.10.2019.

ნდობითი ვალდებულების მქონე პირს კანონის მიხედვით ევალება: კეთილსინდისიერი მოქმედება; ზრუნვა ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი საღად მოაზროვნე პირი; მოქმედება იმ რწმენით, რომ ეს საუკეთესოა საპენსიო აქტივების მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად.⁴⁴ მიუხედავად არსებული ჩანაწერისა, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში ნდობითი ვალდებულების მქონე პირებს, შესაძლოა არ წარმოადგენდნენ საინვესტიციო საბჭო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეულები, მაგრამ უშუალოდ მოახდენენ საპენსიო აქტივების ინვესტირებასა და მართვას, სასურველი იქნება, რომ მხოლოდ მათ კეთილსინდისიერებასა ან/და რწმენებზე არ იყოს აქცენტი გაკეთებული და ხდებოდეს მათი საქმიანობისა და გადაწყვეტილებების აქტიური მონიტორინგი, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დასაცავად.

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ნდობითი ვალდებულების მქონე პირს არ ექნება საკმარისი კვალიფიკაცია ან შესაძლებლობა სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად, მას, არა მარტო, უფლება აქვს, არამედ ევალება, მოიძიოს კონკრეტულ საკითხზე შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის მოსაზრება.

კანონში არსებული ჩანაწერი, იმის შესახებ, რომ ნდობითი ვალდებულების მქონე პირის ისეთი ქმედება, რომელიც მან საინვესტიციო საქმიანობის ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების დაცვით წარმართვის პროცესში განახორციელა, დამდგარი შედეგის მიუხედავად, არ ჩაითვლება ნდობითი ვალდებულების დარღვევად, გარკვეულწილად კანონს ამოფარებული მანიპულაციური ქმედებების განხორციელების შესაძლებლობის ნიშნებს ატარებს. დასაშვებია, რომ საინვესტიციო საქმიანობა ფორმალურად ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდეს, მაგრამ არ იქნას გამჟღავნებული ნდობითი ვალდებულების მქონე პირის მიერ, მის ხელთ არსებული შესაძლო ინფორმაცია, რომელიც საფუძველს შექმნიდა, იმისათვის, რომ განხორციელებული ინვესტიცია ნდობითი ვალდებულების დარღვევად ჩათვლილიყო, რაც შეუძლებელს გახდიდა აღნიშნული მიმართულებით ინვესტირებას ან გამოიწვევდა მის მიმართ კანონით განსაზღვრული

⁴⁴ იქვე, თავი VI, მუხლი 35-1. 01.10.2019.

პასუხისმგებლობის დაკისრებას, რომ არა აღნიშნული ჩანაწერი. სასურველია, კანონში დაზუსტდეს, თუ რომელი კონკრეტული განმაპირობებელი ფაქტორებიდან გამომდინარე არ ჩაითვლება საპენსიო აქტივების ინვესტირება, დამდგარი შედეგის მიუხედავად, ნდობითი ვალდებულების დარღვევად; რაც მაღალი ალბათობით ამოავსებს, დაშვებული შესაძლებლობების არეალს და დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფას უზრუნველყოფს.

ნდობითი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, საპენსიო სააგენტომ ნდობითი ვალდებულების მქონე პირს შეიძლება მოსთხოვოს, ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის შედეგად ამოღებული თანხები შესაბამისი მონაწილის ან მისი მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე იქნება დაბრუნებული, მიყენებული ზიანის პროპორციულად.

ამ მიდგომაში გრძელდება ის ხაზი, რომელიც უშვებს ნდობითი ვალდებულების მქონე პირის საქმიანობის მიმართ გარკვეულ ლოიალურობის ნიშნებს და შემოაქვს ტერმინი „შეიძლება მოსთხოვოს“. ეს ტერმინი მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია, რადგან თუ წინამდებარე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაშვებას ინვესტირების შემდგომ შესაძლო უარყოფითი შედეგის დადგომისას, სავარაუდო კვალიფიკაციის მინიჭების მოდელურ გაუმართაობაზე; ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს, უკვე დადასტურებულ, კონკრეტული კვალიფიკაციის ქმედებას, რომელიც გულისხმობს ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას; და ამ საკითხის მიმართ საქართველოს კანონში დაგროვებითი პენსიის შესახებ, ფორმულირებულია მიდგომა შემდეგი სახით, რომ „საპენსიო სააგენტომ შეიძლება ნდობითი ვალდებულების მქონე პირს მოსთხოვოს ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“.⁴⁵ „შეიძლება“ და არა „ვალდებულია“ ან „უნდა“ მოსთხოვოს; ნდობითი ვალდებულების მქონე პირის მიერ ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით, როდესაც გამოიყენება კანონში არსებული ტერმინი, იგი გარკვეულწილად ახალისებს ნდობითი ვალდებულების მქონე პირის შესაძლო დაუსჯელობის განცდას, რაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დამაზიანებლად იმოქმედებს მის პასუხისმგებლიანობის ხარისხზე, ეს კი საბოლოო ჯამში შესაძლოა

⁴⁵ იქვე, თავი VI, მუხლი 36-1. 01.10.2019.

განმაპირობებელი გახდეს იმ ქმედებისა, რისი პრევენციის მიზნითაც არის ჩადებული ზემოაღნიშნული მუხლი კანონში.

აღნიშნული ჩანაწერის შინაარსიდან იკვეთება კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, ამ შემთხვევაში, საპენსიო სააგენტოსთან მიმართებით. მას, იმავე ტერმინის საფუძველზე, ენიჭება უფლებამოსილება, რომ თავად გადაწყვიტოს მოსთხოვოს თუ არა, კონკრეტულ ნდობითი ვალდებულების მქონე პირს ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს რაიმე ჩანაწერი კანონში, რომელიც ნათლად წარმოაჩენს თუ რა შემთხვევაში შეუძლია საპენსიო სააგენტოს ნდობითი ვალდებულების მქონე პირისგან მოითხოვოს ან არ მოითხოვოს ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რჩება გარკვეული არეალი, რომლის ფარგლებშიც საპენსიო სააგენტოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები არა კანონის მკაფიო დირექტივებზე დაყრდნობით, არამედ საკუთარი ლოიალურობის ხარისხიდან გამომდინარე, ამა თუ იმ, ნდობითი ვალდებულების მქონე პირის მიმართ; რაც, ცალსახად, არაჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, გარკვეული საფრთხეების არსებობაზე მიანიშნებს.

რაც შეეხება საპენსიო სააგენტოს დაფინანსების წყაროებსა და წლიურ ბიუჯეტს, საპენსიო სააგენტოს საქმიანობა ფინანსდება საპენსიო სქემაში მონაწილეთა საპენსიო აქტივებიდან, საპენსიო აქტივების წლიური მომსახურების საფასურით, რომელიც საპენსიო აქტივების პროცენტული მოცულობით გამოიხატება.⁴⁶ საქართველოს კანონში დაგროვებითი პენსიის შესახებ ცალკე არის გამოყოფილი ქვეპუნქტი, რომელიც ავალდებულებს საპენსიო სააგენტოს, რომ მეტი გამჭვირვალობისათვის, რადგან მისი და მასთან ასოცირებული დანაყოფების დაფინანსება, კანონის მიხედვით, სწორედ საპენსიო სააგენტოს ბიუჯეტიდან ხდება და ეს ბიუჯეტი საპენსიო სქემაში მონაწილეთა შენატანებიდან დგება, აღრიცხოს წლიური ბიუჯეტის პროექტში შემდეგი: საინვესტიციო საქმიანობის, მათ შორის, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო სამსახურის ბიუჯეტი, აქტივების მმართველი კომპანიისა (კომპანიებისა) და სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის

⁴⁶ იქვე, თავი III, მუხლი 18-1. 02.10.2019.

(დეპოზიტარებისათვის) გადასახდელი მომსახურების საკომისიოები და საინვესტიციო საბჭოს ხარჯები; საპენსიო სააგენტოს მმართველობითი და ადმინისტრაციული ხარჯები; საერთო ხარჯების გადანაწილება.⁴⁷ საპენსიო სააგენტო ასევე ვალდებულია, რომ საინვესტიციო საქმიანობისა და მმართველობით-ადმინისტრაციული საქმიანობისათვის, წლიურ ბიუჯეტში, წლიური მომსახურების საფასურის პროცენტული მოცულობა როგორც მთლიანად, ისე ცალ-ცალკე განსაზღვროს.⁴⁸ ხაზგასასმელია, რომ საპენსიო სააგენტოს პირველი სამი წლის ბიუჯეტი 100%-ით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს კანონში არის ჩაწერილი დირექტივა, რომ მომდევნო ათი წლის განმავლობაში საპენსიო სააგენტოს ხარჯებმა არ უნდა გადააჭარბოს საპენსიო აქტივების 0.5%-ს, ხოლო ამ პერიოდის გასვლის შემდეგ - 0.25%-ს.⁴⁹

დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა - კანონის მიხედვით 2019 წლის 1-ლი იანვრიდან საპენსიო სქემის მონაწილე პირველი ხელფასის მიღებისთანავე გახდა თითოეული დასაქმებული, რომელთაც საქართველოს კანონის დაგროვებითი პენსიის შესახებ ამოქმედებამდე (2018 წლის 6 აგვისტო) შესრულებული არ ჰქონდათ 60 წელი მამაკაცის შემთხვევაში და 55 წელი - ქალის შემთხვევაში. იმ ასაკობრივ კატეგორიაში მოხვედრილ დასაქმებულებს, რომელთაც 2018 წლის 6 აგვისტომდე შეუსრულდათ 60 წელი მამაკაცის შემთხვევაში და 55 წელი - ქალის შემთხვევაში, ასევე თვითდასაქმებულებს, უფლება აქვთ საპენსიო სქემის მონაწილეები გახდნენ საკუთარი სურვილის მიხედვით, ნებაყოფლობით. ისინი საპენსიო სქემის მონაწილეებად ჩაითვლებიან პირველი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე.

კანონი დასაქმებულს უტოვებს არჩევანის თავისუფლებას, რადგან მას შეუძლია სურვილის შესაბამისად უარი თქვას დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე. მაგრამ, აღნიშნული შესაძლებლობა არ ვრცელდება ყველა დასაქმებულზე, არსებობს გარკვეული თავისებური მიდგომა, რომლიც აქვს კანონს კონკრეტული ასაკობრივი კატეგორიის მიმართ. მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულს, საქართველოს კანონის დაგროვებითი პენსიის

⁴⁷ იქვე, თავი III, მუხლი 18-2. 02.10.2019.
⁴⁸ იქვე, თავი III, მუხლი 18-3. 02.10.2019.
⁴⁹ იქვე, თავი VII, მუხლი 38-7. 02.10.2019.

შესახებ ამოქმედებამდე (2018 წლის 6 აგვისტო), შეუსრულდა 40 წელი და არ სურს იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, მას დაგროვებითი საპენსიო სქემის დატოვების უფლება, წევრობის სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდგომ წარმოეშობა, სავალდებულო წესით ავტომატურად გაწევრებიდან არაუგვიანეს 5 თვემდე ვადით.⁵⁰ სხვა შემთხვევაში, თუ დასაქმებული კონკრეტულად აღნიშნულ ვადებში არ იტყვის უარს საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, იგი რჩება სქემის მონაწილედ.

საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, უარის თქმის შემთხვევაში დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული შენატანების ის ნაწილი, რომელიც მისი დასაბეგრი ხელფასიდან იყო განხორციელებული და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალი შესაბამისი ხარჯების გამოკლებით დაიბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დაუბრუნდება დასაქმებულს. რაც შეეხება დამსაქმებლის მხრიდან განხორციელებულ შენატანებს და ამ შენატანებთან დაკავშირებულ საინვესტიციო შემოსავლებს, დასაქმებულის მიერ საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუბრუნდება დამსაქმებელს შესაბამისი ხარჯების გამოკლებით. სახელმწიფოც დაიბრუნებს მის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებსა და მასთან დაკავშირებულ საინვესტიციო შემოსავლებს, შესაბამისი ხარჯების გამოკლებით.⁵¹

კონკრეტული ასაკობრივი კატეგორიის სეგმენტში მყოფი დასაქმებულის მიერ დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმის კანონიერი უფლების შესაძლო გამოყენება, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ მისთვის საპენსიო სქემის კარი საბოლოოდ დაიკეტა. მას შეუძლია ნებისმიერ დროს ხელახლა გაწევრდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში. დასაქმებულის ხელახლა გაწევრებისას, იმ ვალდებულებების შესრულება რაც კანონის მიხედვით დამსაქმებელსა და სახელმწიფოს აქვთ დაკისრებული, დაიწყება გაწევრების შემდეგ მისთვის პირველი ხელფასის გადახდისთანავე.⁵²

⁵⁰ იქვე, თავი IV, მუხლი 22-1. 04.10.2019.

⁵¹ იქვე, თავი IV, მუხლი 22-3. 04.10.2019.

⁵² იქვე, თავი IV, მუხლი 22-4. 04.10.2019.

რაც შეეხება დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის განგრძობადობის საკითხს, კანონის მიხედვით, საპენსიო სქემის მონაწილისათვის ხელფასის სახით თანხის მიღების დროებითი შეჩერება, გამოიწვევს დაგროვებით საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელების დროებით შეჩერებას, მაგრამ ეს პროცესი განახლდება მონაწილისათვის ხელფასის სახით თანხის მიღების აღდგენისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო სქემის მონაწილე შეწყვეტს საპენსიო შენატანების განხორციელებას, რომელიც დაკავშირებული იქნება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან, ორსულობასთან, მშობიარობასა და ბავშვის მოვლასთან, ახალშობილის შვილად აყვანის გამო - შვებულებასთან ან დროებით ან ხანგრძლივ შრომისუუნარობასთან, ამ დრომდე დაგროვილი საპენსიო აქტივები, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რჩება.⁵³ ამასთან, თუ თვითდასაქმებული, რომელიც საკუთარი სურვილით ჩართულია დაგროვებით საპენსიო სქემაში, შეაჩერებს საპენსიო შენატანების განხორციელებას, მისი განახლება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.

საქართველოს კანონში დაგროვებითი პენსიის შესახებ იკითხება კიდევ ერთი განსაკუთრებული მიდგომა იმ პირთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებს, მაგრამ უარს იტყვიან მასში მონაწილეობის გაგრძელებაზე ქვეყნის სამუდამოდ დატოვების მოტივით. ასეთ მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღება ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით, იმ შემთხვევაში, თუ ის დაადასტურებს სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტით, რომ აქვს უფლება სხვა სახელმწიფოში მუდმივად და კანონიერად იცხოვროს. აღნიშნული პროცედურების წარმატებით გავლის შემდგომ, მონაწილის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშიდან მისაღებ თანხას ჩამოეჭრება მის სასარგებლოდ განხორციელებული სახელმწიფო შენატანების პროპორციული საპენსიო აქტივების ღირებულება, ხოლო დარჩენილი მისაღები თანხა დაიბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.⁵⁴ კანონში გაწერილი აღნიშნული ქმედება, გარკვეულწილად სახელმწიფოს მხრიდან

⁵³ იქვე, თავი IV, მუხლი 23-1. 05.10.2019.

⁵⁴ იქვე, თავი IV, მუხლი 23-4. 05.10.2019.

მონაწილის დაჯარიმების ნიშნების შემცველია. ეს შეიძლება ასე განიმარტოს, პირს რომელსაც არ აქვს სურვილი იმყოფებოდეს საქართველოს საზღვრებს შიგნით და ქმნიდეს დოვლათს ქართული სახელმწიფოსთვის, ასეთი პირის მიმართ სახელმწიფო იხსნის ვალდებულებას, ბიუჯეტიდან უზრუნველყოს მისი სარგებლის მატება; ამიტომ დაგროვილი თანხიდან, რომლითაც კანონიერად უნდა ესარგებლა მონაწილეს საპენსიო ასაკის დადგომისას, ხაზინას უბრუნდება მონაწილის სასარგებლოდ განხორციელებული სახელმწიფო შენატანები და ასევე დარჩენილი თანხის 20 პროცენტის საშემოსავლო გადასახადით გათვალისწინებული ბეგარა⁵⁵; როგორც იმის მაჩვენებელი, რომ იგი აღარ მოიაზრება სახელმწიფოს მზრუნველობაში მყოფად და მიჩნეულია მიზანშეუწონლად, რომ გადასახადების გადამხდელთა მიერ აკუმულირებული ბიუჯეტური თანხა უნდა მოხმარდეს ისეთ პირს, რომელსაც სურს ქვეყნის სამუდამოდ დატოვება.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ასახული საპენსიო აქტივები - მონაწილის საკუთრებაა. ამ საკუთრების განკარგვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში,⁵⁶ რომლებიც შემდგომ იქნება განხილული. ასევე კანონის მიხედვით აკრძალულია: დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის საპენსიო აქტივებზე მისი ქონებრივი უფლებების დაგირავება, უფლებრივი დატვირთვა, მათზე საკუთრების უფლების მესამე პირისათვის გადაცემა ან მათი სხვაგვარად გასხვისება მონაწილის მიმართ არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად. ეს აქტივები ვერ იქნება შეტანილი მონაწილის ან საპენსიო სააგენტოს გაკოტრების მასაში, მათზე არ იმოქმედებს რაიმე სახის ანგარიშსწორების პროცედურა და არ ექვემდებარება აღსრულებას.⁵⁷

საპენსიო აქტივების განკარგვის, კანონით გაწერილი, ზემოაღნიშნული, მოკლე დირექტივის განვრცობა, მისი ყველა თავისებურებით, მოხდება საპენსიო ასაკში პენსიის გაცემის სქემის ანალიზისას. როდესაც კანონში იკითხება, რომ თითოეული დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ,

⁵⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კარი V, თავი XI, მუხლი 82-1/ბ³. 05.10.2019.

⁵⁶ საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. თავი V, მუხლი 24-1. 07.10.2019.

⁵⁷ იქვე, თავი V, მუხლი 24-2. 07.10.2019.

უფლებამოსილია, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულება ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით მიიღოს;⁵⁸ იქვე დაზუსტებულია, რომ ერთიანი გადახდით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომელთაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს საპენსიო შენატანების განხორციელების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 5 წლისა. მონაწილეთა ამ ნაწილს წარმოადგენენ დასაქმებულები და თვითდასაქმებულები, რომლებიც თავიდანვე იმყოფებიან არასამიზნე სეგმენტში და მხოლოდ საკუთარი სურვილის შემთხვევაში წევრებიან დაგროვებით საპენსიო სქემაში. ანუ აღნიშნული ჩანაწერი კანონში, საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თავიდანვე ფორმალური ხასიათის მატარებელია. ამ მსჯელობას კიდევ ერთი არგუმენტი ამყარებს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა დასაქმებული ან თვითდასაქმებული, რომელიც სწორედ იმ არასამიზნე სეგმენტის წარმომადგენელია და არის დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, კანონით მინიჭებული უფლების გამოყენება, პენსიის ერთიანი გადახდით მიღებასთან დაკავშირებით, მისთვის არ იქნება შესაძლებელი თუ აღნიშნული მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება არ მოხვდება იმ მინიმალურ ზღვარში, რომელსაც საპენსიო სააგენტო ადგენს.

პროგრამული გატანის სქემას საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო ადგენს; ამასთან, სიცოცხლის ხანგრძლივობის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამული გატანის პერიოდულობის განსაზღვრის წესებსა და პირობებს ამტკიცებს.⁵⁹ თითოეული მონაწილისათვის საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, პენსიის სახით მისაღები თანხის დადგენის პროცედურა, ერთი შეხედვით მარტივ მეთოდოლოგიას ეფუძნება, რომლის მართებულობისადმი პრაქტიკულ ასპექტში შესაძლოა კითხვები არსებობდეს. აღნიშნული მეთოდოლოგია გულისხმობს, პროგრამული გატანით გასაცემი თანხის ოდენობის დაანგარიშებას, მონაწილის პენსიაზე გასვლის თარიღისთვის მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულების გაყოფით, მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელ დარჩენილ ხანგრძლივობაზე, რომელიც

⁵⁸ იქვე, თავი V, მუხლი 32-1. 10.10.2019.

⁵⁹ იქვე, თავი V, მუხლი 32-7. 10.10.2019.

ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს მოსახლეობის ასაკობრივი განაწილებისა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ.⁶⁰ აღნიშნული მონაცემები მოტანილია ცხრილში №4, სადაც როგორც მამაკაცების, ისე ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა არის ნაჩვენები დაბადებისას.

ცხრილი №4.⁶¹ საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წელი) სქესის მიხედვით										
სქესი/წელი	1994	1997	2000	2003	2006	2009	2012	2015	2018	2019
მამაკაცი	66.0	66.5	66.2	67.2	66.0	65.6	67.6	68.7	69.7	69.8
ქალი	74.1	73.9	73.9	73.8	74.8	74.2	76.7	77.3	78.2	78.4

ცხრილის №4 მონაცემებით ირკვევა, რომ ბოლო ათწლეულში ორივე სქესის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში არსებული, ინვესტირებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნების გარდა, მნიშვნელოვანია საპენსიო სააგენტოს მხრიდან მკაფიო პოზიციის დაფიქსირება, თუ რის საფუძველზე მოახდენს აღნიშნული მზარდი ტენდენციის დაკმაყოფილებას და არსებობს თუ არა რაიმე გეგმა, გაუთვალისწინებელი ასაკობრივი გადახრის უზრუნველსაყოფად. ეს მოხდება შენატანების განმახორციელებელი მონაწილეების თანხებით, თუ რომელიმე სხვა მეთოდით ანაზღაურდება თითოეული, გათვლილზე ზედმეტად ნაცხოვრები წელი მონაწილისათვის.

პროგრამული გატანით გასაცემი თანხის ოდენობა ყოველწლიურად, მონაწილის ასაკის შეცვლის თვეში, გადაანგარიშდება.⁶² კანონის მიხედვით მონაწილეს აქვს უფლება გადაავადოს პენსიაზე გასვლის თარიღი, მისთვის სასურველი ნებისმიერი ვადით. თუ მონაწილე საპენსიო ასაკის მიღწევის

⁶⁰ იქვე, თავი V, მუხლი 32-8. 10.10.2019.

⁶¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/>. 07.05.2020.

⁶² საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. თავი V, მუხლი 32-9. 10.10.2019.

მიუხედავად, არ გადის პენსიაზე და აგრძელებს საპენსიო შენატანების განხორციელებას საპენსიო სააგენტოში, ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი და სახელმწიფო უზრუნველყოფენ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, იმ თარიღამდე ვიდრე მონაწილე არ გამოთქვამს სურვილს პენსიაზე გასვლის შესახებ. დაუშვებელია - მონაწილე ერთდროულად იღებდეს პენსიას და აგრძელებდეს საპენსიო შენატანების განხორციელებას.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეს, შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე, საპენსიო ასაკის მიღწევამდე პენსიის მიღების უფლება აქვს. მონაწილეს, პენსიის მიღების რამდენიმე ფორმიდან (ერთიანი გადახდა, პროგრამული გატანა, სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შექმნა), პენსიის მიღების მიზნით, შეუძლია ერთ-ერთი გამოიყენოს.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი თანხა მემკვიდრეს გადაეცემა. მემკვიდრეს შეუძლია აირჩიოს საპენსიო აქტივების გადაცემის ერთ - ერთი ფორმა - ერთიანი გადახდა ან საპენსიო აქტივების მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანა. მონაწილის მემკვიდრის მიერ ერთიანი გადახდის არჩევის შემთხვევაში მისთვის გადასაცემი თანხა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიბეგრება.⁶³ აღნიშნული ჩანაწერი კანონში, პარალელს ავლებს საბანკო სფეროს მუშაობის სპეციფიკასთან და ე.წ. პირგასამტეხლოს ნიშნებს შეიცავს. აქედან გამომდინარე განსხვავება ქრება ინდივიდის მიერ ბანკთან ურთიერთობასა და საპენსიო სააგენტოსთან ურთიერთობას შორის. ამასთან, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, თუ საპენსიო სააგენტოში ფულის დაგროვება პენსიის მიღების მიზნით, არაფრით განსხვავდება კომერციულ ბანკში ფულის დაგროვებისაგან (იმის გათვალისწინებით, რომ კანონის მიხედვით, როგორც საპენსიო სააგენტოს დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრობა, ასევე მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან თავისუფლდება⁶⁴), მაშინ რატომ შეიქმნა ასეთი

⁶³ იქვე, თავი V, მუხლი 34-2. 12.10.2019.

⁶⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კარი V, თავი XI, მუხლი 82-1/ზ. 12.10.2019.

ორგანიზაცია, რომელმაც ერთპიროვნულად უნდა განკარგოს საქართველოს დასაქმებული და თვითდასაქმებული მონაწილეების შენატანები, და რატომ არ მოხდა კანონის ამავე შინაარსით მაგრამ მხოლოდ ერთი ჩასწორებით მიღება, რომელიც დაავალდებულებდა დასაქმებულებს და თვითდასაქმებულებს ეზრუნათ თავის საპენსიო ასაკზე თავისუფალი არჩევანისა და კონკურენციული გარემოს პირობებში, ბაზარზე არსებული კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების შეთავაზებების მეშვეობით. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ჩასწორება მრავალ ხარჯს აარიდებდა სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც საპენსიო სააგენტოს შექმნასთან და მის შენახვასთან არის დაკავშირებული პირველი სამი წლის განმავლობაში და შემდგომ უკვე მონაწილეებს, რომელთა მიერ განხორციელებული შენატანებიდან მოხდება საპენსიო სააგენტოს შენახვისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ამ შემთხვევაში, გარდა აღნიშნულისა, იკვეთება კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. თუ დავუშვებთ, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მემკვიდრე, არ არის ამავე სქემის მონაწილე უმუშევრობის, თვითდასაქმებულობის (არ გაწევრდა) ან საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის გამო, მაშინ მას კანონით დადგენილი ორი ალტერნატივიდან (ერთიანი გადახდა ან ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანა) ერთადერთი არჩევანი რჩება - თანხის ერთიანი გადახდით მიღება; ამ შემთხვევაში ის უფრო ნაკლებს მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თანხის დაბეგვრის შემდეგ, ვიდრე მიიღებდა საპენსიო აქტივების მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანით, რომელიც დაემატებოდა უშუალოდ მის სახელზე დაგროვილ თანხას და საპენსიო ასაკის მიღწევისას, დაგეგმილზე, რამდენადმე გაეზრდებოდა მისაღები პენსიის ოდენობა. ამ გარემოების გათვალისწინებით, კანონში მართებული იქნებოდა შესწორების შეტანა, რომელიც მამკვიდრებლის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხულ საპენსიო აქტივების შესაბამის თანხას გაათავისუფლებს დაბეგვრისაგან ერთიანი გატანის შემთხვევაში, ან მოახდენს მემკვიდრისათვის თანხის გადანაწილებას და გარკვეული პერიოდულობით გაცემას. აღნიშნული შესწორება მიზანშეწონილია ვრცელდებოდეს განსაკუთრებულ შემთხვევებზე, კონკრეტულად იმ მემკვიდრეებთან მიმართებით, რომლებიც ჯანმრთელობის

მდგომარეობიდან ან გარკვეული ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ დასაქმებას.

საინვესტიციო საბჭოს გარდა უკვე განხილული უფლებებისა და მოვალეობებისა აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, რაც გულისხმობს, ერთი ან რამდენიმე სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევასა და მასთან (მათთან) დეპოზიტარული მომსახურების ხელშეკრულების დადებას, რომლითაც დააკისრებს მას (მათ) საპენსიო აქტივების შენახვის ვალდებულებას. საინვესტიციო საბჭო სპეციალიზებულ დეპოზიტარს კონკურსის წესით შეარჩევს; კონკურსის ჩატარების პირობებს, პროცედურებსა და დეპოზიტარის წინასწარი შერჩევის მოთხოვნებს თავად განსაზღვრავს და ამტკიცებს. საქართველოში რეგისტრირებული სპეციალიზებული დეპოზიტარი, რომელიც საპენსიო სააგენტოს უწევს მომსახურებას, უნდა იყოს ლიცენზირებული და აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს, რაც შეეხება საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ დეპოზიტარული მომსახურების გამწევ პირს, იგი, სხვა სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებლის მიერ უნდა იყოს ლიცენზირებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ - აღიარებული.⁶⁵

სპეციალიზებულ დეპოზიტარს აქვს შემდეგი ფუნქციები: იღებს და ინახავს როგორც, ფასიან ქაღალდებს, ასევე - იმ გადარიცხვებისა და ფულადი სახსრების გაცემის თაობაზე ანგარიშსწორების დოკუმენტების ასლებს, რომლებიც საპენსიო აქტივებს შეადგენენ; სპეციალიზებულ დეპოზიტართან განთავსებული საპენსიო აქტივების რეესტრის შესაბამის ანგარიშებში ჩანაწერებს ახორციელებს; საპენსიო სააგენტოს, მისთვის დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაში დახმარების გაწევის მიზნით, ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს; საპენსიო აქტივების შეძენისა და განკარგვის თაობაზე დოკუმენტების, საქართველოს კანონმდებლობასთან და საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.⁶⁶

⁶⁵ საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. თავი V, მუხლი 26-4. 14.10.2019.

⁶⁶ იქვე, თავი V, მუხლი 26-6. 14.10.2019.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო საბჭოს მიერ დადგინდა, რომ საქართველოში საპენსიო აქტივების ერთ სპეციალიზებულ დეპოზიტართან განთავსება მიზანშეწონილი არ არის, საქართველოში საპენსიო აქტივების განსათავსებლად მეორე სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევა დასაშვებია.⁶⁷

სპეციალიზებულ დეპოზიტარს და მის მიერ დასაქმებულ იმ პირებს, რომელთაც საპენსიო აქტივებთან დაკავშირებული დისკრეციული უფლებამოსილება აქვთ, წარმოეშობათ ნდობითი ვალდებულება, ზემოგანხილული შემადგენელი პუნქტების სრული დაცვით.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების მიერ აკუმულირებული საპენსიო აქტივების ინვესტირება, მხოლოდ, კანონის შემდეგი მოთხოვნების დაცვით შეიძლება განხორციელდეს: საინვესტიციო ჰორიზონტში, ინფლაციის გათვალისწინებით მათი რეალური ამონაგების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად და კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით; ეს უკანასკნელი გულისხმობს: საპენსიო აქტივების ინვესტირების შედეგად გრძელვადიან პერიოდში, ინფლაციის გათვალისწინებით მათი რეალური ამონაგების მაქსიმალურად გაზრდას; ინვესტიციების დივერსიფიკაციას; გრძელვადიანი ინვესტირებისას საპენსიო აქტივების უსაფრთხოებასა და ადეკვატური ლიკვიდურობის შენარჩუნებას.⁶⁸

საპენსიო აქტივების ინვესტირება, განსხვავებული რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე, სამ საინვესტიციო პორტფელში ხორციელდება. დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე უფლებამოსილია, რომ თავისი რისკის მიმართ ტოლერანტულობის მიხედვით, თავად გადაწყვიტოს, თუ ყველაზე უკეთ, რომელი საინვესტიციო პორტფელი ან საინვესტიციო პორტფელის კომბინაცია შეეფერება. მონაწილე, საინვესტიციო პორტფელის ან საინვესტიციო პორტფელთა კომბინაციის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას, დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებიდან ერთი თვის ვადაში, დისტანციური ელექტრონული წვდომის საშუალებით ან განცხადებით აფიქსირებს.

⁶⁷ იქვე, თავი V, მუხლი 26-12. 14.10.2019.

⁶⁸ იქვე, თავი V, მუხლი 27-1,2. 15.10.2019.

აღნიშნული შესაძლებლობა, თავისთავად კარგია; იგი მონაწილეს აძლევს მეტ თავისუფლებას, რათა საკუთარ გათვლებზე და ანალიზზე დაყრდნობით მოახდინოს აქტივების ინვესტირება მისთვის უპირატეს საინვესტიციო პორტფელში. მაგრამ ყველა შესაძლებლობის სათანადოდ გამოყენებას, ადეკვატური ცოდნა და მასზე დაფუძნებული ანალიზის უნარი სჭირდება. აქედან გამომდინარე აღნიშნული შესაძლებლობის ეფექტიანად გამოყენების საკითხი, ფართო მასშტაბით, საქართველოს რეალობისთვის სათუო ხასიათის მატარებელია. აქ, ასევე ხაზგასასმელია ჩანაწერი, რომელიც მონაწილეს გაწევრებიდან მხოლოდ ერთი თვის ვადას აძლევს საკუთარი არჩევანის დასაფიქსირებლად, როდესაც კანონი საპენსიო სააგენტოს არ უწესებს კონკრეტულ ვადებს თუ როდის უნდა დაიწყოს საპენსიო აქტივების ინვესტირება.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, იმ დრომდე სანამ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე არ გამოიყენებს საინვესტიციო პორტფელის შერჩევის უფლებას, საპენსიო აქტივების ინვესტირება გახორციელდება შემდეგი პრინციპით: გაწევრების მომენტისთვის 40 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივების ინვესტირება მოხდება მაღალრისკიან საინვესტიციო პორტფელში; 40 წლიდან 50 წლამდე მონაწილისათვის - საშუალორისკიან საინვესტიციო პორტფელში; ხოლო 50 ან 50-ზე მეტი წლის მონაწილისათვის - ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში.⁶⁹

იმ შემთხვევაში, თუ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილემ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და თავად გადაწყვიტა თუ რისკიანობის როგორი ხარისხის მქონე პორტფელში უნდა მოხდეს მისი საპენსიო აქტივების ინვესტირება, მაშინ მას ასევე შეუძლია, არჩეული საინვესტიციო პორტფელი, არანაკლებ 12 თვიანი ინტერვალებით სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს. აღნიშნული ცვლილება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხულ თანხებს ან/და მომავალ საპენსიო შენატანებს შეიძლება შეეხოს.⁷⁰

თუმცა, ყველა აღნიშნული შესაძლებლობა ფორმალური ხასიათის მატარებელია, რამდენადაც მათი რეალური გამოყენება, მხოლოდ საქართველოს

⁶⁹ იქვე, თავი V, მუხლი 27-4. 15.10.2019.

⁷⁰ იქვე, თავი V, მუხლი 27-5. 15.10.2019.

კანონის დაგროვებითი პენსიის შესახებ ამოქმედებიდან 5 წლის გასვლის შემდგომ იქნება შესაძლებელი, რადგან სწორედ ამ ხუთწლიან ვადაში საპენსიო აქტივების ინვესტირების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში.

აღნიშნული დრო, სასურველი იქნება, რომ საპენსიო სააგენტოს მიერ გამოყენებულ იქნას, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა ცნობიერების ასამაღლებლად, რომელიც შეეხება მათთვის კანონით მინიჭებული ყველა უფლების განმარტვას, რაც დაეხმარება მონაწილეებს უკეთესი წარმოდგენა შეექმნათ საკუთარი უფლებების შესახებ და მისცემთ მეტ მოტივაციას, რომ თავისი მომავალი ცხოვრების დაგეგმვაში უშუალოდ ჩაერთონ.

საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებით კანონში დაგროვებითი პენსიის შესახებ არის მკაფიო დირექტივა, რომელიც ხაზს უსვამს, რომ თითოეული საინვესტიციო პორტფელში ინვესტიციები უნდა დაიგეგმოს იმ გათვლით, რომ საინვესტიციო ჰორიზონტის ბოლოსათვის, მაღალი სანდოობით (95 ან 95-ზე მეტი პროცენტის ალბათობით), ინვესტირებიდან, ინფლაციის გათვალისწინებით, დადებითი რეალური ამონაგები იყოს მოსალოდნელი.⁷¹

საინვესტიციო საბჭო განსაზღვრავს განსხვავებულ საინვესტიციო ჰორიზონტს თითოეული საინვესტიციო პორტფელისათვის. თითოეული საინვესტიციო პორტფელისათვის აგრეთვე განსაზღვრულია საინვესტიციო ჰორიზონტის ქვედა ზღვარი, რომელიც პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული რისკის დონის ზრდასთან. ეს მაშინ, როდესაც ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტი უნდა იყოს არანაკლებ 5 წელი, საშუალორისკიანი საინვესტიციო პორტფელის შემთხვევაში, საინვესტიციო ჰორიზონტი, ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტს უნდა აღემატებოდეს, ხოლო მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტი - საშუალორისკიანი საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტს. ასეთი მოდელი, მარტივად ახსნადია, უკვე განხილულ ასაკობრივ დაყოფასთან პარალელის გავლებით; თუ, დაგროვებითი საპენსიო სქემის იმ

⁷¹ იქვე, თავი V, მუხლი 27-7/დ. 15.10.2019.

მონაწილეთა მიერ აკუმულირებული საპენსიო შენატანების ინვესტირებას, რომელთაც საპენსიო ასაკამდე დარჩათ მაქსიმუმ 10 წელი ქალის შემთხვევაში, ხოლო - 15 წელი მამაკაცის შემთხვევაში, საპენსიო სააგენტო მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში მოახდენს, იქამდე ვიდრე მონაწილეები არ გამოიყენებენ მინიჭებულ უფლებას საინვესტიციო პორტფელის არჩევის შესახებ; მაშინ იმ მონაწილეთა საპენსიო აქტივები, რომელთაც საპენსიო ასაკამდე დარჩენილი აქვთ, იმავე განაწილებით, 10-15 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 20-25 წლისა, ავტომატურად, უკვე განსაზღვრული წესის მიხედვით, საშუალორისკიან საინვესტიციო პორტფელში ხვდებიან, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ასეთი ტიპის პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტი უფრო დიდი იქნება, ვიდრე ნაკლებად რისკიანი პორტფელისა. ამავე ლოგიკით გაგრძელდება მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელის შემთხვევაში. აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება, რომ საინვესტიციო პორტფელის რისკის დონე მიბმულია საინვესტიციო ჰორიზონტზე, საინვესტიციო ჰორიზონტი კი მიბმულია მონაწილის ასაკზე. მეტი ასაკი, ნაკლები რისკი, გარანტირებული სტაბილური ამონაგები. ნაკლები ასაკი, მეტი რისკი, რისკის ზრდასთან ერთად ამონაგების მაქსიმალიზების შესაძლებლობა.

საინვესტიციო საბჭოს მიცემული აქვს კონკრეტული დირექტივა თუ რა ჩარჩოებში უნდა მოხდეს თითოეული საინვესტიციო პორტფელისათვის საპენსიო აქტივების ინვესტირების მოცულობების განსაზღვრა სხვადასხვა საინვესტიციო მიმართულებით. ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელისათვის აქტივების 75%-მდე არის დაშვებული ფულად სახსრებსა და დეპოზიტებში ინვესტირება; აქტივების მოცულობის 100%-მდე ინვესტირება შეიძლება მოხდეს სასესხო ფასიან ქაღალდებში, ხოლო 20%-მდე - წილობრივ ფასიან ქაღალდებში. რისკის დონის ზრდასთან ერთად იცვლება საინვესტიციო ლიმიტები და საშუალორისკიანი საინვესტიციო პორტფელისათვის ასე გამოიყურება: ფულად სახსრებსა და დეპოზიტებში ინვესტირების ლიმიტი 50%-მდე არის შემცირებული ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელთან შედარებით; ხოლო სასესხო ფასიან ქაღალდებთან მიმართებით - 75%-მდე; რაც შეეხება, წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების ლიმიტს, დასაშვები ზღვარი 20%-დან 40%-მდე მერყეობს; ასევე სხვა ტიპის აქტივებში ინვესტირებისათვის საშუალორისკიანი საინვესტიციო

პორტფელისათვის დამატებულია აქტივების 10%-მდე ინვესტირების შესაძლებლობა, რომელიც ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში არ გვხვდება. მაღალრისკიან საინვესტიციო პორტფელში უპირატესობა მინიჭებული აქვს წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას, რაც აქტივების 40%-დან 60%-მდე დასაშვები საინვესტიციო ლიმიტის მიკუთვნებით დასტურდება. აღნიშნული პორტფელისათვის უპირატესობების დადმავალი პირამიდის შემდგომ საფეხურზე, 50%-მდე დასაშვები საინვესტიციო ლიმიტით, სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირება დგას, მას მოსდევს ფულად სახსრებსა და დეპოზიტებში ინვესტირება 25%-მდე დასაშვები საინვესტიციო ლიმიტით და ბოლო საფეხურზე დგას სხვა ტიპის აქტივებში ინვესტირება, ლიმიტის 10%-მდე მოცულობით.

სამივე საინვესტიციო პორტფელისათვის აგრეთვე განსაზღვრულია უცხოური ვალუტით დენომინირებულ საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსების მაქსიმალური ზღვრები, რომლებიც პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია პორტფელის რისკის დონის ზრდასთან; ზღვრების ზრდა არითმეტიკული პროგრესიით მიმდინარეობს, იწყება 20%-იანი ზღვრით ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელისათვის, შემდგომ 40%-იანი ზღვარი აქვს მინიჭებული საშუალორისკიან საინვესტიციო პორტფელს და 60%-იანი უმაღლესი ზღვრული მაჩვენებლით სრულდება მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელისათვის.

აღნიშნული ლიმიტები და შეზღუდვები არ წარმოადგენენ უპირობო ჩარჩო დირექტივას, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი აფერხებენ საპენსიო აქტივების ოპტიმალურად განთავსებას მონაწილეთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ასეთ დროს ეროვნული ბანკი და საინვესტიციო საბჭო უფლებამოსილნი არიან, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საინვესტიციო ლიმიტებისა და შეზღუდვების ცვლილებასთან დაკავშირებით, სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები წარუდგინონ.

განსაზღვრულია ასევე საპენსიო აქტივების ინვესტირებისათვის დასაშვები უცხოური და ეროვნული ვალუტით დენომინირებული საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტები. უცხოური ვალუტით დენომინირებული საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება

განხორციელდეს: ფულად სახსრებში, მათ შორის, სახელმწიფოს საბანკო მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ იმ კომერციულ ბანკებში არსებულ საბანკო ანგარიშებში, რომელთა წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება არ მიმდინარეობს და რომელთა ლიცენზიაც შეჩერებული არ არის; სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში; სასესხო ფასიან ქაღალდებში, რომლებიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ არის გამოშვებული; ფასიან ქაღალდებში, რომლებიც სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის ან სახელმწიფო სააგენტოს მიერ არის გამოშვებული, შესაბამისი სახელმწიფოს მიერ სათანადო გარანტიების არსებობის შემთხვევაში; შესაბამისი მარეგულირებლის მიერ რეგისტრირებულ და საჯარო ან კერძო შეთავაზების გზით განთავსებულ კორპორაციულ სასესხო ფასიან ქაღალდებში; სახელმწიფოს კაპიტალის ბაზრის შესაბამისი მარეგულირებლის მიერ რეგისტრირებულ და საჯარო შეთავაზების გზით განთავსებულ საწარმოთა აქციებში ან გლობალურ დეპოზიტარულ ხელწერილებში, რომლებით ვაჭრობაც საფონდო ბირჟაზე, იმ პირობით ხორციელდება, რომ მათზე შესაბამისი მარეგულირებლის განგრძობადი ზედამხედველობა გავრცელდება; ეროვნული ბანკის მიერ ინვესტირებისათვის შესაძლო დასაშვებ ღია საფონდო ინსტრუმენტებში და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ან/და არაფინანსურ აქტივებში.⁷²

რაც შეეხება საპენსიო აქტივების ინვესტირებას ეროვნული ვალუტით დენომინირებულ საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტებში, ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ: ფულად სახსრებში, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ იმ კომერციულ ბანკებში არსებულ საბანკო ანგარიშებში, რომელთა წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება არ მიმდინარეობს და რომელთა ლიცენზიაც გაუქმებული არ არის; სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთა მიერ გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებში; შესაბამისი მარეგულირებლის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ და საჯარო ან კერძო შეთავაზების გზით განთავსებულ კორპორაციულ სასესხო ფასიან ქაღალდებში; საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში ლიცენზირებულ საფონდო ბირჟის სიაში საჯარო შეთავაზების გზით განთავსებულ საწარმოთა აქციებში, რომლებზედაც შესაბამისი მარეგულირებლის

⁷² იქვე, თავი V, მუხლი 27-16. 15.10.2019.

განგრძობადი ზედამხედველობა ხორციელდება; საქართველოში რეგისტრირებულ და რეგულირებულ ღია საფონდო ინსტრუმენტებში; სხვა ფინანსურ ან/და არაფინანსურ ინსტრუმენტებში, რომლებიც შეიძლება ინვესტირებისათვის დაუშვას ეროვნულმა ბანკმა.⁷³

ეროვნული ბანკი, უკვე ნახსენები ნებისმიერი სახის საინვესტიციო ინსტრუმენტისთვის ან/და ემიტენტისთვის, არა მარტო, მინიმალურ დასაშვებ რეიტინგს, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით მოთხოვნებსაც ადგენს.

ამავდროულად, გარდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეიტინგებისა და მოთხოვნებისა, განსაზღვრულია აკრძალვის სფეროს შემადგენელი ის კონკრეტული მიმართულებები და მათი ცალკეული მახასიათებლები, რომელიც შეუძლებელს ხდის მათში საპენსიო აქტივების ინვესტირებას, მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპებიდან გამომდინარე; ასეთად მიჩნეულია: აქტივები, რომელთა გასხვისებაც კანონით დაუშვებელია; აგრეთვე ოფციონები, ფორვარდულ და ფიუჩერსულ გარიგებებთან და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები და ფინანსური აქტივები, გარდა იმ დერივატივებისა, რომლებიც ჰეჯირების სტრატეგიისათვის გამოიყენება და რომლებიც რისკების შემცირებას ემსახურება და ამავე დროს, ღია პოზიციებს არ ზრდის; ასევე საპენსიო აქტივების უძრავ ქონებაში ან ფიზიკურ აქტივებში ინვესტირება; სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, საინვესტიციო საბჭოს წევრის ან მასთან აფილირებული პირის ნებისმიერ ქონებაში ინვესტირება; აგრეთვე ფასიან ქაღალდებში, რომლებიც გამოუშვა: საპენსიო სააგენტოს ან/და აქტივების მმართველი კომპანიისთვის მომსახურების გამწვემა სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა ან მასთან აფილირებულმა პირმა; აქტივების მმართველმა კომპანიამ ან მასთან აფილირებულმა პირმა. საპენსიო აქტივების ინვესტირება ასევე აკრძალულია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ან/და არაფინანსურ ინსტრუმენტებში.⁷⁴

⁷³ იქვე, თავი V, მუხლი 27-17. 15.10.2019.

⁷⁴ იქვე, თავი V, მუხლი 27-20. 15.10.2019.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში, ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში (გარდა ფულადი სახსრებისა და საბანკო დეპოზიტებისა) საპენსიო აქტივების ინვესტირების ლიმიტი 15% იქნება, ხოლო აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდგომ, ლიმიტი მნიშვნელოვნად შემცირდება და დაუშვებელი გახდება, იმავე პრინციპით, საპენსიო აქტივების 5%-ზე მეტის ინვესტირება. აღნიშნული ხუთწლიანი პერიოდი, თანხვედრაში მოდის იმ ვადებთან, რომლის ფარგლებშიც საპენსიო აქტივების ინვესტირება, მხოლოდ, ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელშია ნებადართული. ასევე დაუშვებელია, საპენსიო აქტივების იმგვარად ინვესტირება, რაც გამოიწვევს ერთი ემიტენტის მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდების 10 პროცენტზე მეტის ფლობას.

მიუხედავად არსებული შეზღუდვებისა, არსებობს პრივილეგირებული სეგმენტი, რომელთა მიმართ კანონი გამონაკლისს უშვებს. გამონაკლისი კი მდგომარეობს შემდეგში, რომ თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ფლობს არანაკლებ AA- (ან მისი ეკვივალენტური) საკრედიტო რეიტინგს და ამავდროულად აღიარებულია საქართველოს მთავრობის, ეროვნული ბანკის ან საქართველოს მთავრობის მიერ, მაშინ მის მიერ ემიტირებულ ფასიან ქაღალდებზე აღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება. კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები თავისთავად აზრს კარგავს იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც საკრედიტო რანჟირების შკალაზე მაღალი შეფასების ჯგუფში ხვდებიან (AA-, AA, AA+), სწორედ ამ ან, საუკეთესო შემთხვევაში, უმაღლესი ჯგუფის (AAA საკრედიტო რეიტინგით) წევრი უნდა იყოს ის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომლის ფასიან ქაღალდებშიც განხორციელებული ნებისმიერი მოცულობის ინვესტიცია ითვლება, რომ უფრო უკეთესად იქნება დაცული, ვიდრე ეს რომელიმე კანონში გაწერილი შეზღუდვით მოხდებოდა. აღნიშნული მიდგომით, საპენსიო აქტივების კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების ჯეროვნად დაცვისათვის მეტი საფუძველი იქმნება.

2021 წლის 1-ლი იანვრიდან, დასაქმებულს, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტომდე შესრულებული ჰქონდა 40 წელი, მაგრამ არ დაუტოვებია დაგროვებითი საპენსიო სქემა და დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თვითდასაქმებულს,

ეწემათ უფლება, რომ მათ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ან/და საპენსიო შენატანების სრული მოცულობის ან მისი ნაწილის სამართავად აირჩიონ აქტივების მმართველი კომპანია (კომპანიები). აღნიშნული შესაძლებლობის მიცემა, არასამიზნე სეგმენტისათვის, გარკვეულწილად პასუხისმგებლობის გადაბარების ნიშნების მატარებელია. ამ მსჯელობას ისიც ამყარებს, რომ ყველა დანარჩენი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილისათვის, ანუ სამიზნე სეგმენტისათვის, აღნიშნული უფლებით სარგებლობას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის დაწესებული მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს, რომ ასეთ მონაწილეს, მხოლოდ, აქტივების იმ ნაწილის სამართავად აქვს აქტივების მმართველი კომპანიის არჩევის უფლება, რომელიც დაუგროვდა მის მიერ დასაბეგრი წლიური ხელფასის სახით მიღებულ თანხაზე და ამავდროულად ეს თანხა უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს. აღნიშნული, ჩანაწერი კანონში, რომ შესაძლებლობის ფორმალური ხასიათის ნიშნებს ატარებს, ღრმა ანალიზის გარეშეც ნათლად ჩანს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით საქართველოში 2018 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა 1068,3 ლარს.⁷⁵ აღნიშნული ხელფასის მქონე 30 წლის ინდივიდს, საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული საპროგნოზო საპენსიო მთვლელის მონაცემების მიხედვით, რომელიც გულისხმობს მის პენსიაზე გასვლის ასაკს 65 წელს, პენსიაზე ყოფნის პერიოდს 15 წელს, შემოსავლის საშუალო წლიურ ზრდას 4%-ს, ხოლო საშუალო წლიურ ამონაგებს საპენსიო დანაზოგზე 7%-ს, კანონით მინიჭებული შესაძლებლობის გამოყენების უფლება, აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევასთან დაკავშირებით, მიეცემა მხოლოდ საპენსიო ასაკისათვის; იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით სარგებლობა (აღნიშნული მუხლის ამოქმედების შემდეგ) შეუძლია დაგროვებითი საპენსიო სქემის ნებისმიერ მონაწილეს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული აქტივების მხოლოდ იმ ნაწილის სამართავად, რომელიც დაგროვდა მის მიერ დასაბეგრი წლიური ხელფასის სახით მიღებულ თანხაზე, რომელიც 60 000 ლარს აღემატება, ამასთან, ვინაიდან პენსიის მიმღები პენსიის დანიშვნის მომენტიდან აღარ

⁷⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>. 17.10.2019.

წარმოადგენს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეს, ეს უკანასკნელი მოკლებული იქნება შესაძლებლობას ისარგებლოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით. ხოლო იმ ინდივიდისათვის, რომელიც არ ხვდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემის არეალში, პირობითად 37 წლის არის და მისი ხელფასი შეადგენს 600 ლარს, შეუძლებელი ხდება კანონით მინიჭებული უფლების გამოყენება; რადგან, იმავე საბაზო მონაცემებზე დაყრდნობით, რაც წინა მაგალითისას იქნა გამოყენებული, დგინდება, რომ არათუ მხოლოდ მის წილად განხორციელებული შენატანების მოცულობა, არამედ ჯამურად დაგროვილი თანხა, საპენსიო ასაკისათვის 56 098.93 ლარს შეადგენს. ანუ სამივე მხარის მიერ განხორციელებული შენატანების შედეგად დაგროვილი აქტივების ჯამური ოდენობა საპენსიო ასაკისთვისაც, კი, არ აღემატება 60 000 ლარს. ამ მაგალითებიდან გამომდინარე, ჩნდება გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ სამიზნე სეგმენტში მყოფი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა მიერ მათ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული აქტივების, თავიანთი შეხედულებისამებრ სამართავად სხვა კომპანიისათვის გადაცემა, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის ინიციატორთათვის, თავიდანვე არ წარმოადგენდა დაინტერესების სფეროს. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე არ გამოიყენებს არსებულ უფლებას, მაშინ საპენსიო სააგენტო მათი საპენსიო აქტივების ინვესტირებას თავად განახორციელებს.

მიუხედავად ამისა, საპენსიო სააგენტოს ვალდებულებაა, რომ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, იმ აქტივების მმართველი კომპანიების სია განსაზღვროს, რომლებსაც საპენსიო აქტივების მართვის შესაძლებლობა ექნებათ. დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებს, კი, ამ სიიდან სასურველი კანდიდატურის შერჩევა შეეძლებათ, როგორც, დისტანციურად, ელექტრონული წვდომის საშუალებით, ასევე, წერილობითი ფორმით, განცხადების წარდგენის საფუძველზე.

აქტივების მმართველი კომპანია ხმის უფლების რეალიზებას ყველა წილობრივ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით ახორციელებს, რომელთაც ის, მონაწილეთა სახელით, მხოლოდ მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების

ინტერესების შესაბამისად მართავს.⁷⁶ აღნიშნული ჩანაწერი, აქტივების მმართველ კომპანიას წარმოუშობს ნდობით ვალდებულებას, როგორც საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით მონაწილეების მიმართ პასუხისმგებელ ყველა პირს, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურებით სარგებლობის უფლება აგრეთვე მინიჭებული აქვს საინვესტიციო საბჭოს. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საინვესტიციო საბჭო საპენსიო აქტივებს სამართავად გადასცემს აქტივების მმართველ კომპანიას, რომელიც დასაშვებია, რომ როგორც საქართველოს ფარგლებს შიგნით, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ იყოს რეგისტრირებული და უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული მოდელისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც გაწერილია წინასწარ ან/და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ დამატებით განისაზღვრება.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას აქტივების მმართველი კომპანიისათვის საპენსიო აქტივების სამართავად გადაცემის შესახებ, იგი თავად უზრუნველყოფს აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის წესისა და კრიტერიუმების განსაზღვრას; ამის საფუძველზე, შერჩევის გამჭვირვალე პროცედურების გამოყენებით, საინვესტიციო საბჭო ერთ ან ერთზე მეტ აქტივების მმართველ კომპანიას შეარჩევს.

საპენსიო აქტივების ინვესტირება, საინვესტიციო საბჭოს ან/და აქტივების მმართველი კომპანიის მიერ, დასაშვებია ღია საფონდო ინსტრუმენტში. ინვესტირების დასაშვები ზღვარი, ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს, საპენსიო აქტივების არაუმეტეს 40 პროცენტია. ეროვნული ბანკი, ამ შემთხვევაშიც, სტანდარტების მდგენელის პოზიციაშია და ღია საფონდო ინსტრუმენტისთვის მინიმალურ დასაშვებ საკრედიტო რეიტინგს განსაზღვრავს. რაც შეეხება, ერთი ემიტენტის ფასიან ქაღალდებში ინვესტირების შეზღუდვას, იგი, ერთ ღია საფონდო ინსტრუმენტში ინვესტირებისას არ გავრცელდება, იმ შემთხვევაში, თუ ამ ღია საფონდო ინსტრუმენტის საინვესტიციო პოლიტიკა ისეთ დივერსიფიკაციას

⁷⁶ საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. თავი V, მუხლი 27-26. 15.10.2019.

მოითხოვს, რომელიც დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაშია.⁷⁷

ეროვნულ ბანკს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უფლება-მოვალეობებისა, აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია. იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო აქტივების ინვესტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული საპენსიო აქტივების დანაკარგი 1 პროცენტზე მეტია, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არ არის გამოწვეული, აღნიშნული გარემოება ეროვნული ბანკის მიერ, სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის განხორციელების საფუძველს ქმნის. მისი განხორციელების საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე, მდგომარეობა, რომლის დროსაც საპენსიო სააგენტო დროებით ვერ ასრულებს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს და რომელიც საინვესტიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დროებითი მოქმედების განხორციელებას ითვალისწინებს ან ეროვნული ბანკის არსებითი მითითებების სისტემატური შეუსრულებლობა.⁷⁸ სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის განხორციელებისა და მოქმედების წესს თავად ეროვნული ბანკი განსაზღვრავს. აღნიშნული ჩანაწერით ეროვნული ბანკი გამოდის, უკანა პლანზე მდგომი, მხოლოდ რეკომენდაციების გამცემი მოთამაშის პოზიციიდან და კრიტიკულ მომენტში ლიდერის პოზიციას იკავებს, იმ დრომდე, ვიდრე არ მოხდება პროცესის ნორმალიზება.

ამრიგად, დაგროვებითი საპენსიო სქემის ხარვეზები, რომელიც წინამდებარე ქვეთავში მისი საკანონმდებლო საფუძვლის, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის დეტალური ანალიზისას გამოიკვეთა, მისი დახვეწის აუცილებლობაზე მიანიშნებს. ეს, კი, მარტივად განსახორციელებელია, ევროპული და არა მარტო, ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებითა და საქართველოს რეალობაზე მორგებით.

⁷⁷ იქვე, თავი V, მუხლი 30-9. 17.10.2019.

⁷⁸ იქვე, თავი III, მუხლი 6-6. 17.10.2019.

1.3. საპენსიო რეფორმისადმი დამოკიდებულება

სახელმწიფოში ნებისმიერი სოციალური ხასიათის რეფორმის წარმატების ინდიკატორს წარმოადგენს, მოსახლეობაში მისი პოპულარობა და შედეგიანობა/ეფექტიანობა. ამ უკანასკნელის შეფასება სრულფასოვნად შესაძლებელი იქნება, იმ 20 წლიანი სამიზნე პერიოდის გასვლის შემდეგ, რომელიც საფუძველად დაედო რეფორმას. ამის გათვალისწინებით, რეალურად ერთი ინდიკატორი რჩება, რის საფუძველზე შესაძლებელი გახდება, რეფორმის სიღრმისეული ანალიზი იმ ინდივიდების აღქმებზე, განწყობებზე და მოლოდინებზე დაყრდნობით, რომლებიც წარმოადგენენ რეფორმის როგორც სამიზნე სუბიექტებს, ასევე ნაწილობრივ იმპლემენტატორებს.

ამ მიზნით, ჩვენ მიერ ჩატარებული ანკეტური კვლევა, ასახავს 2019 წლის 25 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე ინტერვალში არსებულ მოსახლეობის აღქმებს, მოლოდინებსა და განწყობებს საპენსიო რეფორმისადმი. კვლევა ინდივიდებთან უშუალო კომუნიკაციით განხორციელდა, რამაც გააჩინა იმის შესაძლებლობა, რომ საპენსიო რეფორმის ანალიზი მოხდეს, არა იმ კანონებსა თუ დადგენილებებზე დაყრდნობით, რომელიც მას საკმაოდ დავარცხნილ იერს აძლევს, არამედ - იმ წიაღიდან, რომელიც უშუალოდ ახდენს აღნიშნული რეფორმის იმპლემენტაციას და ფურცელზე დაწერილ კანონს, რეალობით ნაკარნახებ კანონებს უქვემდებარებს.

კვლევის განსახორციელებლად დაიყო სამიზნე ჯგუფები, რომელთა მიმართ შემუშავდა ინდივიდუალური მიდგომა, ინფორმაციის მაქსიმალურად სწორი და ეფექტიანი აკუმულირებისათვის. აღნიშნული სამიზნე ჯგუფები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრი დასაქმებულები, არაწევრი დასაქმებულები, 40+ ასაკობრივ ჯგუფში შემავალი წევრი დასაქმებულები და არაწევრი თვითდასაქმებულები. სულ გამოიკითხა 500 ინდივიდი.

იმ სამიზნე ჯგუფში შემავალი ინდივიდების 88%-მა, რომელთა ასაკიც 40 წელს ქვევით არსებულ ზღვარს აკმაყოფილებს და სავალდებულო წესით გაწევრებულთა რიცხვში არიან (გამოკითხულთა 30%), მათთვის განკუთვნილი კითხვარის პირველ კითხვაზე (იხ. დანართი №1.) უარყოფითი პასუხი გასცა. მოტანილ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრი

დასაქმებულების აბსოლუტური უმრავლესობა, აღნიშნულ სქემაში არ გაწევრდებოდა, რომ არა კანონისმიერი ვალდებულება. ხოლო იმ ნაწილში, რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ სქემას და ამბობს, რომ ვალდებულების გარეშე გაწევრდებოდა, იკვეთება გარკვეული მყარ საფუძველს მოკლებული პოზიტიური მოლოდინები ან/და შენატანების სიმცირიდან გამომდინარე სქემისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოდელის დაშვებას, რომელიც გულისხმობს, სავალდებულო წესით გაწევრების ნებაყოფლობითობის პრინციპით ჩანაცვლებას, საპენსიო სისტემის სრული კრაზისკენ მივყავართ.

ზემოაღნიშნულ დაშვებასთან პირდაპირ კავშირშია, ასევე ის ფაქტი, რომ სავალდებულო წესით გაწევრებულ დაგროვებით საპენსიო სქემის მონაწილეთა შორის ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ინდივიდი, რომელიც რაიმე პლუსს დაასახელებს საპენსიო სქემასთან მიმართებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ რაიმეს დასახელება ხდება ეს არის მხოლოდ მომავლის იმედზე ორიენტირებული, დაბალი ალბათობის მქონე მოლოდინები, რომელთა განხორციელების სურვილი მძაფრად არის გამოხატული მოქალაქეებში.

იმ მცირე რაოდენობის პლუსებიდან გამომდინარე, რომელიც კვლევის დროს აღნიშნულ სეგმენტში გამოიკვეთა, შეიძლება შემდეგი სახის მსჯელობა ჩამოყალიბდეს: ერთი მხრივ დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა დადებითად შეიძლება შეფასდეს, რათა ამ გზით ქვეყნის ეკონომიკაში დამატებითი ფულადი სახსრების აკუმულირება მოხდეს, მაგრამ მეორე მხრივ მყისიერად უპირისპირდება აზრი, რომ ინდივიდები საკუთარ ფულს თავად უკეთ განკარგავენ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და ამასთანავე, ნდობა ეკონომიკაში აკუმულირებული ფულის სწორად მართვასთან დაკავშირებით ნულოვან ნიშნულს უტოლდება. ასევე, როგორც ასეთი საპენსიო სისტემის რეფორმირების იდეა არის პლუსად მიჩნეული, მაგრამ წარსული გამოცდილება და მომავლის ბუნდოვნება აღნიშნულ პლუსს აზრს უკარგავს. ფულის დაგროვების იდეა გარკვეული ნაწილისთვის სასურველ მოვლენად არის მიჩნეული, მაგრამ ის ფაქტი, რომ არსებულ გარემო პირობებში მათ შემოსავალს თანხა აკლდება უარყოფითად ფასდება.

პოზიტიურად განწყობილ ნაწილში არსებული, მომავლის იმედის მიუხედავად, მათ მიერ წამოიჭრა შემდეგი საკითხი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ხალხთან აქტიურ კომუნიკაციას იქამდე, სანამ რაიმე კანონის მიღება მოხდება, რომელიც ატარებს მსგავს მასშტაბურ სოციალურ ხასიათს.

აღნიშნული სეგმენტის, საპენსიო რეფორმისადმი პოზიტიურად განწყობილ ინდივიდთა ნაწილში წარმოიშვა ასევე ცნება, რომელმაც აქამდე არსებული განწყობებისა და მოლოდინების ვექტორი მთავარი ადრესატისგან შემოატრიალა 180⁰-ით და ტრანსფორმირდა შემდეგი სახით: „არასტაბილური ხალხი“. ეს უკანასკნელი თავის თავში გულისხმობს, ქვეყანაში არსებულ ყველა უარყოფით მოლოდინებსა თუ განწყობებზე პასუხისმგებლობის სახელმწიფოსგან ხალხზე გადაკისრებას, რაც სრულად ახალი მიდგომის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული მიდგომა, ხაზს უსვამს სახელმწიფოში მიმდინარე ნებისმიერ პოლიტეკონომიკურ პროცესზე მოქალაქეთა სრულ პასუხისმგებლობას. თითოეული ინდივიდის არჩევანი ქმნის ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს, რაც შემდგომ უკვე გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარების ყველა ასპექტზე; „არასტაბილური ხალხი“ თავად ქმნის საკუთარ მომავალს და იმის გათვალისწინებით, თუ რაციონალურობისა და ირაციონალურობის რა პროპორციით ფორმირდება არჩევანი, იმავე პროპორციის შესაბამისი რეალობა მიიღება.

დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით გაწევრებულთა 40 წლამდე ასაკობრივ სეგმენტში პირველი რაზმეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, ეს არის 30 წლამდე ასაკობრივი კატეგორია, მათი აღქმები, განწყობები და მოლოდინები. ადამიანები, რომლებიც მთავარ სამიზნე სეგმენტს წარმოადგენენ რეფორმისათვის. როგორც კვლევამ აჩვენა, 30 წლამდე ასაკობრივი სეგმენტი მეტი რისკიანობით, ოპტიმიზმისკენ მიდრეკილებით და რიგ შემთხვევაში არარაციონალურობით ხასიათდებიან. მათ პასუხებში სიტყვა „თუ“-ს სიმრავლე, ცალსახად მიანიშნებს ერთი მხრივ მათ რისკიანობაზე, რაც კვლევისას გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდული ზედაპირული და სიღრმეს მოკლებული ანალიზის შედეგია; მეორე მხრივ, კი, უალტერნატივო ვითარების ოპტიმისტურ ჭრილში დანახვის მცდელობაზე: „თუ გაამართლა რეფორმამ კარგია“; „თუ დაგვიბრუნდა თანხა კარგია“. ასაკობრივი ფაქტორიდან გამომდინარე, რისკის ხარისხი ასაკის ზრდასთან მიმართებით

უკუპროპორციულია; ახალგაზრდა ასაკობრივი სეგმენტი რისკის მიმართ მეტად ტოლერანტულია, ვიდრე შუა ხნის ან/და შემდგომი ასაკობრივი სეგმენტი.

ზემოაღნიშნულის გარდა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც 30 წელს ქვემოთ ასაკობრივ სეგმენტში შესამჩნევად ხშირია, ვიდრე შემდგომ ასაკობრივ კატეგორიებში. ახალგაზრდებში გამძაფრებულია სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხი, რომელიც გულისხმობს სკეპტიკურ დამოკიდებულებას საპენსიო ასაკამდე მიღწევის ალბათობასთან მიმართებით. მათი მხრიდან, აღნიშნული დაშვება ემყარება იმ აღქმებს, განწყობებსა და მოლოდინებს, რომელიც გააჩნიათ სახელმწიფოში არსებული საცხოვრებელი და სამუშაო გარემო პირობებიდან გამომდინარე. აღნიშნული დაშვების აქტუალობა, თავისთავად სახელმწიფოში არსებულ მრავალ პრობლემურ საკითხზე მიანიშნებს და უიმედობის განცდას ამკვიდრებს მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ღირსეული მომავალი.

დასახელებული არგუმენტებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც სავალდებულო წესით არიან გაწევრებულნი დაგროვებით საპენსიო სქემაში და კანონი არ აძლევს მათ სქემის დატოვების უფლებას, კანონისმიერი ვალდებულების არ არსებობის პირობებში, საკუთარი სურვილით აღნიშნულ სქემაში არ გაწევრდებოდა. ამავე სეგმენტის აღქმები, საპენსიო რეფორმის ძლიერ და სუსტ მხარეებთან მიმართებით, ცალსახად მიანიშნებს არსებული მოდელის უპირობო არაპოპულარობაზე. მთავარი მიწის, რაც აქილევსის ქუსლად მიჰყვება დაგროვებით საპენსიო სქემას ეს არის უნდობლობა. უნდობლობის ჩამოყალიბებას, მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი, ეს არის წარსული გამოცდილება, ქვეყანაში არსებული არასტაბილური გარემო, ლარის კურსის მერყეობა და უიმედობის განცდა. ადამიანებს სახელმწიფოს მხრიდან, არ აქვთ მკაფიო პასუხი კითხვაზე, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი დაგროვებული თანხების დაკარგვის შემთხვევაში. გამოკითხულთა ნაწილის აზრით, დაგროვებული თანხების დაკარგვის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან მათი დაბრუნების შესახებ პასუხისმგებლობის აღება, დაგროვებითი საპენსიო სქემისადმი ნდობის ამაღლებას გამოიწვევს.

რაც შეეხება დადებით მხარეს, გამოკითხულთა უმრავლესობა უმეტეს შემთხვევაში ვერანაირ პლუსს ვერ ხედავს დაგროვებით საპენსიო სქემაში და თუ ვინმე ასახელებს რაიმე პლუსს ეს არის არა აწმყოზე და რეალურ შეფასებაზე დამყარებული, არამედ მომავლის იმედზე, რომ თუ ამ მოდელმა გაამართლა, მაშინ რა თქმა უნდა მიმსასაღმებელია და საჭიროა საქართველოს მოსახლეობისათვის, მაგრამ ეს იმედი იმდენად სუსტია, რომ უფრო ოცნებას ჰგავს.

პარადოქსულია, მაგრამ იმ ინდივიდთა ნაწილი, რომლებიც პოზიტიურად არიან განწყობილნი დაგროვებითი საპენსიო სქემისადმი, სავალდებულო წესით გაწევრებას ეწინააღმდეგებიან, მიუხედავად ამისა მინუსებს ვერ ხედავენ აღნიშნულ სქემაში, საპენსიო რეფორმის დროულობას ყველაზე ცუდ შეფასებას აძლევენ, ხოლო რეალობაზე მორგებულობას საშუალო შეფასებას უწერენ. სწორედ ასეთი მიდგომა ამყარებს ზემოაღნიშნულ მსჯელობას „არასტაბილური ხალხი“-ს შესახებ.

საქართველოს დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით გაწევრებული ადამიანების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (97%) მათთვის განკუთვნილი კითხვარის მესამე და მეოთხე კითხვაზე (იხ. დანართი №1.) უარყოფითი პასუხი დააფიქსირა. ეს ნიშნავს, რომ ისინი, იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა ან/და იგივე თანხებს საპენსიო სააგენტო როგორ განკარგავს, ინფორმაციას არ ფლობენ. მოტანილი ფაქტი, აყალიბებს საკმაოდ მყარ მოსაზრებას, რომ რეფორმის იდეა მომავალზე ზრუნვასთან მიმართებით, მასებში არამც თუ პოპულარობით, არამედ სრული ინდიფერენტულობით ხასიათდება. როდესაც ადამიანს საკუთარი შემოსავლებიდან გასულ თანხებზე მონიტორინგის სურვილი არ უჩნდება, ეს, რეფორმის მიმართ მის დაბალ ინტერესს და ინდიფერენტულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.

კიდევ ერთი, რაზეც დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრები მკაფიო მინიშნებას აკეთებენ, ეს არის სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების არაეფექტიანად გამოყენების ფაქტი, რომელიც იძულების მეთოდის გამოყენებას ეხება. სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით იკვეთება ის მიზეზშედეგობრივი მიდგომა, რომელიც გააჩნია მოსახლეობას მოდელისადმი; ინდივიდებში

დაფიქსირდა უსამართლობის განცდა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოქალაქეების სურვილის წინააღმდეგ რაიმე რეფორმაში იძულების გზით ჩართვის მეთოდის გამოყენებით არის განპირობებული. ეს ქმედება აღიქმება, სახელმწიფოს დამოკიდებულებად მათ მიმართ, როგორც არა ქვეყნის მთავარი ორიენტირისადმი, არამედ, როგორც სისტემის უმნიშვნელო ნაწილისადმი, რომელთა აზრი მნიშვნელოვნების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ კვლევის პროცესში დაგროვებითი საპენსიო სქემისადმი, გამოკითხულთა დაბალი ინტერესი დაფიქსირდა; იმის გათვალისწინებით, რომ თავიდანვე ნებისით თუ უნებლიედ, სახელმწიფოს დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ინდივიდებს შეექმნათ მყარი მოსაზრება, დაგროვებით საპენსიო სქემაში მიმართული თანხების დაბრუნების დაბალი ალბათობის შესახებ, ისინი ზედმეტ დროს და ენერგიას აღარ უთმობენ ამ თანხების გადარიცხვის შემდგომი გასავლელი გზების მონიტორინგს.

კვლევის პროცესში, კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო და ყურადსაღები ფაქტი გამოიკვეთა, ყველა დაინტერესებული პირისათვის, იქნება ეს მკვლევარი, რეფრომის იდეის ავტორი თუ საპენსიო სააგენტო. ეს ფაქტი ეხება ე.წ. მცირე ბიზნესს და აღნიშნულ სექტორში დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობას. კანონში არსებული ჩანაწერის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი არ არის თავისი თავის დამსაქმებელი და არის დაქირავებული სხვა პირის მიერ, დასაქმებული რიცხავს თავისი დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს საპენსიო სააგენტოს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, 2%-ს - დამსაქმებელი და 2%-ს - სახელმწიფო. კანონი ამას ითვალისწინებს და ავალდებულებს დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართულ მხარეებს დაიცვას დირექტივა. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ იმავე კანონმდებლობის მოთხოვნის თანახმად, საპენსიო ფონდში თანხებს დამსაქმებელი დასაქმებულის სახელით მიმართავს, აღნიშნულმა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონში ჩადებული დირექტივის დამახინჯებულად ინტერპრეტირების შესაძლებლობა გააჩინა, რაც სახელმწიფოში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური ვითარებით არის ნაკარნახები და საპენსიო რეფორმისათვის ახალ რეალობას ქმნის.

საპენსიო სქემამ რეალურ გარემოში რადიკალურად განსხვავებული ფორმა მიიღო და ახალი მოდელის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. ამ მოდელის მიხედვით, მცირე ბიზნეს სექტორში დამსაქმებელი თავად იხდის როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის წილს დაგროვებით საპენსიო სქემაში, ისე რომ, უმეტეს შემთხვევაში, დასაქმებული, არც კი, ფლობს ინფორმაციას ამის თაობაზე. ანუ რეალურ გარემოში ჩამოყალიბდა მოდელი, როდესაც ფორმალურად დასაქმებული არის დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მისი სახელით ირიცხება თანხები, მაგრამ რეალურად ის ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას კანონის წინაშე, რიგი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე; ამიტომ არც მის შემოსავალს აკლდება რაიმე და სააღბათოა, რომ საპენსიო ასაკამდე, შესაძლოა, ვერც გაიგოს, რომ წლების განმავლობაში იყო დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე.

რეფორმის ტრანსფორმირება აღწერილი სახით ეწინააღმდეგება ყველა იმ ფუნდამენტურ იდეას, რომელიც დაედო საფუძვლად ახალი საპენსიო სისტემის შექმნას. აღნიშნული ასევე მიანიშნებს, სამართლებრივი წყობილებისათვის შეუსაბამო ე.წ. ჩრდილოვანი გადასახადის დანერგვაზე, რომელიც ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა გარემომ ბუნებრივად წარმოშვა. ფაქტია, რომ აღნიშნული ჩრდილოვანი გადასახადის წარმოშობა, მცირე ბიზნეს სექტორში არსებული დამსაქმებლებისათვის მეტი სარგებლიანობით ხასიათდება, ვიდრე კანონის მიერ მოთხოვნილი დირექტივების აღსრულება.

ცალსახაა, რომ ეკონომიკაში ყოველთვის იყო კანონის ჩარჩოებს გაცდენილი შიდა დინებები, რომელიც სიმძიმის განსხვავებული ხარისხით ხასიათდებოდა; მაგრამ ამ დროს ისმის ლეგიტიმური კითხვა, თუ სად არის ამ პროცესებში სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებლისა და კანონის უზენაესობის დამცველის როლი. ერთია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივ გადაცდომასთან კავშირი არ იკვეთება, მაგრამ ეს თავისთავად არ გულისხმობს, რომ მოყვანილი ფაქტი არ საჭიროებს რეაგირებას, რადგან ადგილი აქვს კანონის არასრულფასოვან აღსრულებას, თუნდაც დასაქმებულ პირთა კეთილდღეობაზე ზრუნვის მოტივით. აქედან გამომდინარე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობის ნიშნები იკვეთება, როდესაც მთავარი ორიენტირი არის შედეგი და

არა პროცესი. ეს ფაქტი კი აჩენს გონივრულ ეჭვს, ნებისთ თუ უნებლიედ, ზემოაღნიშნული ჩრდილოვანი გადასახადის წარმოქმნის ხელშეწყობის შესახებ, რომელიც გამოწვეულ იქნა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის უფლებელყოფით ან მისი არაჯეროვანი შესწავლით.

რეფორმის იდეას რაც შეეხება, გამოკითხვაში მონაწილე სავალდებულო წესით გაწევრებული ინდივიდების 100%-სათვის იდეა მისაღებია, აუცილებელია და შეიძლება ითქვას, დაგვიანებულებს არის, რომ ცხოვრობდნენ ისეთ ქვეყანაში სადაც მაღალი ნდობა იქნებოდა სახელმწიფოს მიმართ. მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ რა გარემოპირობებში უწევთ ცხოვრება, უმრავლესობის აზრით (92%), აღნიშნული რეფორმა არ არის მორგებული საქართველოს რეალობაზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის დატოვების უფლების მქონე წევრი ინდივიდების (გამოკითხულთა 5.6%) 100%, მათთვის განკუთვნილი კითხვარის პირველი კითხვის (იხ. დანართი №2.) პასუხად, კანონით მინიჭებული უფლების გამოყენებას, (საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით: 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, დაგროვებითი საპენსიო სქემა დატოვა 161 353 მონაწილემ)⁷⁹, ისევ და ისევ, უნდობლობის ფაქტორს უკავშირებს. ადამიანებს აქვთ დამოკიდებულება, რომ “ჩვენი ტიპის ქვეყანაში ერთი წლის შემდეგ რა იქნება ძნელი წარმოსადგენია, მითუმეტეს 10 და 15 წლის შემდგომ რა ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იქნება ქვეყანაში, ამის პროგნოზირება რთულია“ (წინამდებარე კვლევა), ამიტომ უპირატესობას ანიჭებენ ისინი, რომ გამოიყენონ შესაძლებლობა და დატოვონ სქემა.

ასევე, ამ სეგმენტში და არა მარტო ამ სეგმენტში, გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის განწყობებზე დიდ გავლენას ახდენს „მაგალითის ეფექტი“, როდესაც მათ სიახლოვეს მყოფი მაღალი თანამდებობის მქონე სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც პირველ რიგში უნდა იყვნენ დაგროვებითი საპენსიო სქემის მხარდამჭერები, ტოვებენ აღნიშნულ სქემას. ასეთი ფაქტები ინდივიდებზე უარყოფით გავლენას ახდენს და ისედაც სკეპტიკურ განწყობებს, მეტად მყარ

⁷⁹ საპენსიო სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა, პერიოდი: 1 იანვარი 2019 წელი - 30 ივნისი 2019 წელი, გვ. 9. - <https://www.pensions.ge/public-information/agency-activity-reports/2019-I-VI-report>. 3.11.2019.

საფუძველს უქმნის, რაც შემდგომ უკვე ჯაჭვური პრინციპით ვრცელდება მოსახლეობაში და საპენსიო რეფორმით უკმაყოფილებას ზრდის.

აღნიშნულ სეგმენტში სქემის დატოვების ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებლად ასევე სახელდება შემოსავლის სიმცირე. ინდივიდები დაგროვებით საპენსიო სქემაში ხელახლა გაწევრებას უშვებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შეიქმნება სტაბილური გარემო და სახელმწიფო იქნება გარანტორი, რომ დაუბრუნდებათ მონაწილეებს დაგროვილი თანხები; ასევე, გარკვეული ნაწილი აპელირებას აკეთებს ლარის სტაბილურობაზე და შემოსავლის ზრდაზე, რასაც საბოლოო ჯამში, ისევ და ისევ, სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემამდე მივყავართ.

როგორც მოყვანილ ისე სხვა სეგმენტებში, გარანტიების საკითხისადმი მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში მოხდა ინდივიდების ინფორმირება, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერის შესახებ, რომელიც გულისხმობს, უკვე დახასიათებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის განხორციელებას. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, ეროვნული ბანკი საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას შექმნილი ვითარების გამოსწორებასთან დაკავშირებით და დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრების შენატანების დაცულობის გარანტორი ხდება. ამ ინფორმაციის მიწოდების შედეგად, გამოკითხულთა დამოკიდებულებას გარანტიების საკითხისადმი ცვლილება არ განუცდია, რადგან მათი მხრიდან ეროვნული ბანკის როგორც საიმედო ინსტიტუტის აღქმა არ ხდება; ამის მიზეზად სახელდება, ფაქტი, რომელიც უშუალო ზეგავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხზე - ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა.

აქ ასევე იკვეთება წარსული გამოცდილების გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე ვალუტის კურსის მერყეობასთან დაკავშირებული უარყოფითი მოლოდინები, რაც დაკავშირებულია საპენსიო ასაკისათვის დღეს დაგროვილი თანხის ყიდვითუნარიანობის, ეკონომიკურ სტაბილურობაზე დამყარებული, პროგნოზის არ არსებობასთან. ამ შემთხვევაში, საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხების უცხოურ კომპანიებში ინვესტირებისას, წინა პლანზე

იწევს რისკების გაზომვა. მსგავსი ოპერაციის განხორციელება საჭიროებს ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაზე კონვერტირებას. ლარის დიდი მასის ბაზარზე გამოტანა, ეროვნულ ვალუტას დღევანდელთან შედარებით, უფრო მეტად გაუფასურების რისკის ქვეშ დააყენებს. ამიტომ ჩნდება უარყოფითი მოლოდინები, თუ რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ დღეს არსებული სამომხმარებლო კალათის ჯამური ღირებულება, პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იქნება კურსის ცვალებადობასთან, სამომხმარებლო კალათის უცვლელიობის პირობებში.

ზემოაღნიშნული უარყოფითი მოლოდინების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც საპენსიო სააგენტოს კანონით არ აქვს განსაზღვრული თუ რა ვადაში უნდა დაიწყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე რიცხული თანხების ინვესტირება და დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის, ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ, აკუმულირებული თანხების 100% ქვეყნის შიგნით, საბანკო ანგარიშებზე არის განთავსებული, 2019 წლის დეკემბერში საპენსიო სააგენტოს დირექტორის მიერ, რომელიც 2018 წლის 14 სექტემბერს სამეთვალყურეო საბჭომ 5 წლის ვადით დანიშნა საპენსიო სააგენტოს დირექტორის პოზიციაზე,⁸⁰ კეთდება საჯარო განცხადება, 2020 წლის 16 იანვრიდან დაკავებული თანამდებობის დატოვების შესახებ. საპენსიო სააგენტოს დირექტორის თქმით: „რეფორმა მიმდინარეობს წარმატებით; ის გაგრძელდება წარმატებით, მე დარწმუნებული ვარ; ყოველშემთხვევაში, მე ამის შესახებ ვილოცებ ყოველთვის“.

საპენსიო სააგენტოს დირექტორის ამ გადაწყვეტილებამ ბევრი კითხვა გააჩინა, მითუმეტეს მის მიერ გაკეთებული განცხადების ფონზე; ამავდროულად იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს პარლამენტისათვის 2019 წლის 30 სექტემბერს წარდგენილ, საპენსიო სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვაში, რომელიც მოიცავს პირველ ექვსთვიან პერიოდს (1.01.2019-30.06.2019), საკმაოდ ეფექტიან ჭრილში არის აღწერილი თითოეული მიმართულებით საპენსიო

⁸⁰ სსიპ საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული გამარტივებული საჯარო კონკურსის, სააგენტოს დირექტორის დანიშვნის და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №1 - <https://www.pensions.ge/legislation/protocols-of-supervisory-board>. 3.11.2019.

სააგენტოს საქმიანობა; აღნიშნულმა, უფრო მეტი კითხვა დაბადა, თუ რით იყო განპირობებული დირექტორის გადაწყვეტილება და ყველაზე მთავარი, რა ხასიათის მატარებელი იყო მისი საჯარო განცხადების ტექსტი. იყო ეს უბრალო მსუბუქი ხასიათის კომენტარი, თუ მყარი საფუძველის მქონე, არც თუ ისე, დამაიმედებელი, ნებისით თუ უნებლიედ, გაკეთებული მინიშნება.

საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი მიმოხილვის მიხედვით, 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, დაგროვებით საპენსიო სქემაში სულ ირიცხება 896 526 უნიკალური მონაწილე; აქედან 686 374 კერძო სექტორზე მოდის, ხოლო 210 152 - საჯარო სექტორზე.⁸¹ იმ პირობებში, როდესაც, ამავე ანგარიშში იმავე პერიოდის მდგომარეობით, მითითებულია, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემა დატოვა 161 353-მა უნიკალურმა მონაწილემ,⁸² რაც ჯამურად გულისხმობს, რომ საპენსიო სააგენტოში ირიცხებოდა 1 057 879 უნიკალური მონაწილე; ეს ფაქტი გარკვეულ კითხვებს აჩენს, თუ მოხდება იმის გათვალისწინება, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2018 წელს დაქირავებულის სტატუსით დასაქმებული იყო 860,2 ათასი კაცი, ხოლო თვითდასაქმებულის სტატუსით 833,4 ათასი კაცი,⁸³ ამ უკანასკნელთა აღრიცხვას, კი, საპენსიო სააგენტო 2019 წლის განმავლობაში არ ახორციელებს.

რაც შეეხება, იმავე ანგარიშში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასულია სულ 161 353 უნიკალური მონაწილე,⁸⁴ ხოლო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2018 წელს დაქირავებულის სტატუსით 40-დან 60 წლამდე ასაკობრივ სეგმენტზე მოდიოდა 358 ათასი დასაქმებული.⁸⁵ აღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც სავალდებულო

⁸¹ საპენსიო სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა, პერიოდი: 1 იანვარი 2019 წელი - 30 ივნისი 2019 წელი, გვ. 9. - <https://www.pensions.ge/public-information/agency-activity-reports/2019-I-VI-report>. 3.11.2019.

⁸² იქვე - <https://www.pensions.ge/public-information/agency-activity-reports/2019-I-VI-report>. 3.11.2019.

⁸³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>. 3.11.2019.

⁸⁴ საპენსიო სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა, პერიოდი: 1 იანვარი 2019 წელი - 30 ივნისი 2019 წელი, გვ. 9. - <https://www.pensions.ge/public-information/agency-activity-reports/2019-I-VI-report>. 3.11.2019.

⁸⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>. 3.11.2019.

წესით გაწევრებულ დასაქმებულთა იმ ნაწილის 45%-ზე მეტი გადის დაგროვებითი საპენსიო სქემიდან, რომელთაც ამის უფლება კანონმა მიანიჭა, ეს ფაქტი გარკვეული ანალიზისა და დასკვნების გაკეთების საჭიროებაზე მიანიშნებს, რათა გამოკვეთილი უარყოფითი ტენდენციის პროგრესი არ მოხდეს და პირიქით დადებითი ტენდენციის პროგრესირებას მიეცეს ბიძგი.

აღნიშნულ სეგმენტში, საპენსიო სისტემის რეფორმირების, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მოდელი დაბალი პოპულარობით სარგებლობს და არ არის მიჩნეული, ქვეყანაში არსებული ვითარების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ნახსენებ, საპენსიო სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ექვსთვიან მიმოხილვაში ცალკე მე-10 პუნქტად არის გამოყოფილი და დახასიათებული, ამ პერიოდის განმავლობაში გატარებული ინფორმაციული ხასიათის ღონისძიებები; კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხვისას, დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრი ის ინდივიდები (გამოკითხულთა 11.8%), რომელთაც არ ან ვერ გამოიყენეს კანონით მინიჭებული უფლება სქემის დატოვების შესახებ, მათთვის განკუთვნილი კითხვარის პირველი კითხვის პასუხად (იხ. დანართი №4.), სქემაში დარჩენის მთავარ განმაპირობებლად ყველაზე ხშირად (39%), აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის არ ფლობას ასახელებენ. ეს, კი, მიანიშნებს, რომ საჭიროა მსგავსი ტიპის კამპანიების გაგრძელება, რათა მოხდეს მოსახლეობის მაქსიმალური დაფარვა და ინფორმაციის სწორად მიწოდება. მაგრამ ეს უკანასკნელი არ იქნება, როგორც სარგებლიანობის ასევე სარგებლის მომტანი გამოკითხვაში მონაწილე აღნიშნული სეგმენტის იმ ინდივიდებისათვის (28.8%), რომელნიც დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ განცხადების დაწერის ვადაგადაცილების საფუძველზე, იძულებით რჩებიან დაგროვებით საპენსიო სქემაში. გარდა ამისა, არიან ინდივიდები (32.2%), რომლებიც იმედის თვალით უყურებენ საპენსიო რეფორმას და მოლოდინი აქვთ, რომ გაამართლებს, ამიტომ ისინი რჩებიან დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებად. მაგრამ ხაზგასასმელია, რომ ასეთი მონაწილეები, სრულებით არ ფლობენ ინფორმაციას თუ როგორ ხდება მათ მიერ დაგროვილი თანხების განკარგვა საპენსიო სააგენტოს მიერ და რეფორმას მიზერულ დონეზე იცნობენ, რაც აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ კვლევის პროცესში ასეთმა რესპოდენტებმა აღნიშნული პოზიცია ან საპენსიო სქემიდან, დროის უქონლობიდან

გამომდინარე, ვერ გამოსვლის საფუძველზე დააფიქსირეს, ან უბრალოდ, ისინი ხედავენ დაგროვებითი საპენსიო სქემის იმ დადებით მხარეებს, რასაც ვერ ხედავენ სხვა რესპოდენტები.

გარდა ამისა, აღნიშნულ სეგმენტში გამოიკვეთა კიდევ ერთი თავისებურება დროის ფაქტორთან მიმართებით, რამაც ხელი შეუწყო დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეთა დარჩენას. ის ფაქტი, რომ საპენსიო სააგენტოს მიერ, მონაწილეთა ინტერესების დაცვის მოტივით, დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ განცხადების დაწერა, მხოლოდ პირადი იდენტიფიცირების მეშვეობით იქნა დაშვებული,⁸⁶ აღნიშნულმა გარკვეული სირთულეები წარმოუშვა სქემის წევრთა ნაწილს. ეს სირთულეები მეტწილად უკავშირდება გასვლის პროცედურებისათვის საჭირო დროის არ ქონას ან ფაქტს, რომ გასვლის შემთხვევაში აღნიშნულ პროცედურაზე დახარჯული დროით მიღებული სარგებლიანობა, ამავე დროში გაწეული საქმიანობიდან მიღებულ სარგებლიანობასთან მიმართებით გაცილებით ნაკლებია, რაც მონაწილეებში აღნიშნული აქტივობის განხორციელებისადმი ინტერესის მიზერულ დონეს განსაზღვრავს.

რაც შეეხება, თვითდასაქმებულის სტატუსის მატარებელ ინდივიდებს, მათ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დაგროვებით საპენსიო სქემაში საკუთარი სურვილის საფუძველზე ჩართვის უფლება აქვთ მინიჭებული, სხვა შემთხვევაში, ისინი აღნიშნული სქემის წევრებად ვერ იქნებიან მოაზრებულნი.

იმის გათვალისწინებით, რომ თვითდასაქმებულთა გაწევრება დაგროვებით საპენსიო სქემაში ხდება ნებაყოფლობით, 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ გამომუშავებული შემოსავლის გათვალისწინებით, ხოლო საშემოსავლო დეკლარაციის წარდგენის ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1-ლი აპრილი, საპენსიო სააგენტო, მითითებულ შუალედში, დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებულ თვითდასაქმებულთა რაოდენობას არ აღრიცხავდა. მაგრამ,

⁸⁶ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №001, დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4. - <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4570255?publication=0>. 7.11.2019.

მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ნაკლებად სააღბათოა, აღნიშნული უფლების ძალაში შესვლის შემდეგ, საპენსიო სააგენტოში, დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვის მსურველ თვითდასაქმებულთა დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდეს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხვაში მონაწილე თვითდასაქმებულთა (გამოკითხულთა 52.6%) 33.1%, მათთვის განკუთვნილი კითხვარის პირველ კითხვაზე (იხ. დანართი №3.) უარყოფით პასუხს აფიქსირებს. ეს ნიშნავს, რომ გამოკითხული თვითდასაქმებულების თითქმის 1/3, სრულებით არ იცნობს ახალ საპენსიო სისტემას. ამის მიზეზად, დაგროვებითი საპენსიო სქემისადმი დაბალი ინტერესი ან ინფორმაციის არ ფლობა სახელდება. ეს უკანასკნელი, კი, მიანიშნებს, ისევ და ისევ, საინფორმაციო კამპანიის გაგრძელებისა და დახვეწის საჭიროებაზე.

ამ ნაწილში შემავალ თვითდასაქმებულებს, ხშირ შემთხვევაში, არც კი უფიქრიათ გაწევრდებოდნენ თუ არა დაგროვებით საპენსიო სქემაში და ვერც იმას ასახელებენ თუ იქნებოდა ისეთი რამ, რაც უბიძგებდათ აღნიშნულ სქემაში მონაწილეობისაკენ. ხოლო, სხვა შემთხვევაში, დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვის სურვილი ვერ განაპირობა, უბრალოდ, თვითდასაქმებულთა მხრიდან სურვილის ან ინტერესის არ ქონამ. ამავდროულად ისინი, საპენსიო რეფორმას ან საერთოდ არ აფასებენ, ან მის დროულობასა და რეალობაზე მორგებულობას მინიმალურ შეფასებას უწერენ.

რაც შეეხება კვლევაში მონაწილე თვითდასაქმებულთა დარჩენილ 2/3-ს, ისინი მეტ-ნაკლებად იცნობენ დაგროვებით საპენსიო სქემას და მეტი სიღრმით აფასებენ საპენსიო რეფორმას. აღნიშნული სამიზნე ჯგუფი არ გამოირჩევა სხვა სამიზნე ჯგუფებისგან განსხვავებული პოზიციებით და დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვის სურვილის არ ქონას უკავშირებენ - უნდობლობას, არასტაბილურ გარემოს ქვეყანაში, უიმედობას, შემოსავლის სიმცირესა და არასტაბილურობას, დაუხვეწავ საპენსიო სისტემას. ხოლო აღნიშნულ სქემაში ჩართვის პერსპექტივას უშვებენ მხოლოდ, მოტანილი ასპექტების გამოსწორების კუთხით, დადებითი ტენდენციების დაფიქსირების შემთხვევაში.

ის კონკრეტული თვითდასაქმებული რესპოდენტები, რომლებიც მათთვის უინტერესოდ მიიჩნევენ მსგავს სქემაში მონაწილეობას, საბოლოო ჯამში, შემოსავლის ზრდისა და ქვეყანაში სტაბილური გარემოს პირობებში, თავიანთ თავს მოიაზრებენ დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრად. ამასთან ერთად, გამოიკვეთა თვითდასაქმებულ ინდივიდთა ისეთი ნაწილი, რომელთაც სმენიათ საპენსიო რეფორმისა და ახალი საპენსიო სისტემის შესახებ, მაგრამ არ ფლობენ ინფორმაციას მათთვის კანონით მინიჭებული უფლების შესახებ; ხოლო ამ უფლების გამოყენებას ისინი ან საერთოდ არ უშვებენ, ან იმ შემთხვევაში - თუ ზემოაღნიშნული ასპექტების გამოსწორება მოხდება.

ამავე სამიზნე ჯგუფში დაფიქსირდა, მოსაზრება, რომელიც ადამიანებს უსამართლობის განცდას უღვივებს და ამასთანავე, დაგროვებითი საპენსიო სქემის ერთ-ერთ დიდ ხარვეზად არის მიჩნეული. ეს კრიტიკული მოსაზრება, კი, კანონში არსებულ ჩანაწერს ეფუძნება, რომელიც გულისხმობს, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების, მემკვიდრისათვის ერთიანი გადახდით გადაცემის შემთხვევაში, გადასაცემი თანხის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაბეგვრას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდებში დაგროვებითი საპენსიო სქემისადმი ლოიალობას გაზრდიდა და მეტად სამართლიანად იქნებოდა მიჩნეული, თუ მოტანილ შემთხვევაში, წევრის მემკვიდრისათვის მისი მამკვიდრებლის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი თანხის, ერთიანი გადახდით გადაცემისას, კანონში დაბეგვრის შესახებ ჩანაწერი ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა.

გარდა ამისა, თვითდასაქმებულთათვის დაწესებული შეზღუდვა გარკვეულ კითხვებს აჩენს რამდენიმე საკითხის მიმართ; თუნდაც, რატომ არ მიეცათ თვითდასაქმებულებს შესაძლებლობა, რომ 2018 წელს მიღებული დეკლარირებული შემოსავლის მიხედვით გაწევრებულიყვნენ დაგროვებით საპენსიო სქემაში და რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული ერთწლიანი შეფერხება. იმის გათვალისწინებით, რომ თვითდასაქმებული არ არის ვალდებული მოახდინოს საკუთარი შემოსავლის დეკლარირება, ნაკლებ სააღბათოა, აღნიშნულ ერთწლიან პერიოდში, მათ გაუჩნდეთ იმის გონივრული მოტივაცია, რომ გაიარონ მათთვის არასავალდებულო და

გარკვეულწილად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკური საფრთხის შემცველი რიგი პროცედურები, რათა გაწევრდნენ დაგროვებით საპენსიო სქემაში. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ კვლევის პროცესში არ გამოიკვეთა არც ერთი ფაქტი, როდესაც ადგილი ექნებოდა თვითდასაქმებულის მიერ დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების სურვილის გამოხატვას, შესაძლებელია გაკეთდეს მყარი დაშვება, რომ აღნიშნულ სეგმენტში დაგროვებით საპენსიო სქემას წარმატების დაბალი მაჩვენებელი ექნება.

რაც შეეხება თვითდასაქმებულთა აღქმებს, განწყობებსა და მოლოდინებს, კვლევის პროცესში გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელზეც არა მარტო რეფორმის დონეზე ღირს ყურადღების გამახვილება.

სახელმწიფოს მთავარი ორიენტირი და საყრდენი ადამიანია. ადამიანი ფლობს სახელმწიფოს და თავადვე წარმართავს მის ბედს. როდესაც ადამიანისაგან ამ ფუნდამენტური ღირებულებების დავიწყება ხდება, ამ დროს თავს იჩენს ისეთი თავისებურებები, როდესაც საზოგადოება საუბრობს მესამე პირში და საკუთარი უკმაყოფილების მიზეზად ცდილობს სხვა აქციოს. ასეთ გარემოში, ისადაგურებს უიმედობა და ყალიბდება განწყობა, რომ ვერავინ გაუქრობთ უიმედობის განცდას, როდესაც თავადვე არიან ამ უიმედობის შემქმნელნი და ხელეწიფებთ მისი დათრგუნვაც. მაგრამ, ალბათ ადამიანის ბუნება მიდრეკილია, საკუთარი, ნებისმიერი შინაარსის, წარუმატებლობის სხვაზე გადაბრალებისაკენ, რათა თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა და სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მსხვერპლის როლიც საკმაოდ კომფორტულია ასეთ ვითარებაში.

სწორედ ზემოაღნიშნულის დასტურია, ფაქტი, როდესაც თვითდასაქმებულის სტატუსის მატარებელ ინდივიდებში იკვეთება სახელმწიფოებრიობის განცდის შესუსტება. ისმის კითხვა, რამ განაპირობა ეს?! ნუთუ ამის შემოქმედნი თავად ამ სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან?! მაშინ რა ფენომენტან გვაქვს საქმე, როდესაც მათი მხრიდან, ადგილი აქვს მთავრობის გაიგივებას სახელმწიფოსთან; ეს არის მივიწყება იმისა, რომ სახელმწიფო არის ხალხი, თუ საკუთარი უნიათობის გამიზნული მიჩქმალვა, სხვისკენ თითის გაშვერითა და მუდმივი წუხილით სახელმწიფოს ბედზე. ამგვარი დამოკიდებულება მიჰყვება მათ მსჯელობას მთავარ

მოტივად, როდესაც საპენსიო რეფორმის დაკავშირება ხდება მთავრობასთან და ჩათვლილია, როგორც მისივე პროექტი, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა მიზნულია არსებული მთავრობის მმართველობის ხანგრძლივობაზე.

სახელმწიფოებრიობის განცდის არ ქონა, თავისთავად მაღალი რისკის ქვეშ აყენებს სახელმწიფოებრივი პროექტების წარმატებას, რაც საპენსიო რეფორმის მაგალითზე ნათლად გამოიკვეთა. მოსახლეობაში არსებული აღქმები, განწყობები და მოლოდინები დიდ როლს თამაშობს ეკონომიკაში და მასზე რამდენადმე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა. როდესაც ადამიანებს არ აქვთ ერთიანი, მყარი სისტემის აღქმა, აქედან გამომდინარე ჩნდება უარყოფითი მოლოდინები, რაც, ამავდროულად, ეკონომიკაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

აქედან გამომდინარე, მათი მსჯელობა მხოლოდ პესიმისტურ ჭრილში იშლება და დასავლური ქვეყნების მოდელებზე ოცნებით მთავრდება; ამ დროს არ არის გათვალისწინებული, რომ ყველა საოცნებო მოდელი იმავე ქვეყნის მოქალაქეების აქტიური ჩართულობიდან გამომდინარეა შექმნილი განვითარების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და ყველა ქვეყანას შესწევს უნარი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, მიაღწიოს სასურველ შედეგს.

ზემოაღნიშნულის შედეგია, თვითდასაქმებული ინდივიდების მხრიდან, საპენსიო რეფორმის ან საერთოდ შეფასების სურვილის არ ქონა, ან ქართული მოდელისათვის მინიმალური შეფასების მიცემა; რაც შეეხება თავად საპენსიო რეფორმის აუცილებლობას, მათი მხრიდან მიჩნეულია, რომ ასეთი რეფორმა მისაღები იქნებოდა და ჩართვის სურვილიც ექნებოდათ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ევროპის რომელიმე ქვეყნის დონესთან შესაბამისობაში მოვიდოდა სტაბილურობითა და განვითარებით; განვითარების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად, ხშირ შემთხვევაში ჩათვლილია, სახელმწიფოს განვითარების გრძელვადიანი ჩარჩო გეგმის შემუშავება, რომლითაც იხელმძღვანელებს ყველა ახალი მთავრობა, რაც გარანტორი იქნება სტაბილურობის და ინდივიდებს საკუთარი ცხოვრების უკეთ დაგეგმვის საშუალებას მისცემს.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზმა, დაგროვებითი საპენსიო სქემის მრავალი უცნობი დეტალი გამოკვეთა, რომელიც

სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას საჭიროებს. საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ეფექტიანობის ასამაღლებლად, წინამდებარე ქვეთავში განხილული გამოწვევების დაძლევა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ამისათვის, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობითა და საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ, აღნიშნული გამოწვევების ეფექტიანი დაძლევის მოტივით, შესაბამისი სქემები შემუშავდა, რომელიც ნაშრომის დასკვნა-რეკომენდაციების ნაწილში არის ფართოდ დახასიათებული.

თავი II. საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი)

2.1. ესტონეთის საპენსიო სისტემის პირველი საფეხური და საქართველოს საპენსიო სისტემა

პოსტსაბჭოურ ეპოქაში ესტონეთში განხორციელებული რეფორმებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს - საპენსიო რეფორმა. ესტონეთის საპენსიო სისტემის მიზანია, დაეხმაროს საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს შეინარჩუნონ ჩვეული ცხოვრების სტანდარტი და უზრუნველყოს მათი ყოველთვიური შემოსავალი.

ესტონეთის საპენსიო სისტემა შედგება სამი საფეხურისგან:

I საფეხური: სახელმწიფო პენსია;

II საფეხური: სავალდებულო დაგროვებითი პენსია;

III საფეხური: დამატებითი დაგროვებითი პენსია.

ესტონეთში არსებული სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემის შექმნას, ორეტაპიანი პროცესი უძღვოდა წინ. პირველი ეტაპი, რომელიც 1990-1992 წლებში მიმდინარეობდა, საბჭოთა საპენსიო სისტემისაგან გათავისუფლებას გულისხმობდა. გარდაქმნების მეორე ეტაპი 1998 წლიდან 2002 წლამდე გაგრძელდა, რის შედეგადაც ესტონეთში სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემა დაინერგა.

როგორც აღინიშნა, ესტონეთის საპენსიო სისტემის პირველი საფეხური ინდივიდების სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფას გულისხმობს. სახელმწიფო პენსია, სახელწოდებიდან გამომდინარე, გადაიხდება სახელმწიფოს მიერ. მისი მიზანია, ინდივიდისათვის, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს, დაკარგა შრომის უნარი ან მარჩენალი, უზრუნველყოს ყოველთვიური შემოსავალი. ესტონური საპენსიო სისტემა მოიცავს სახელმწიფო პენსიის რამდენიმე სახეს: ხანდაზმულობის პენსია, შრომისუუნარობასთან დაკავშირებული პენსია, მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებული პენსია, სახალხო პენსია და პენსია ნამუშევარი წლების მიხედვით.

ესტონეთის საპენსიო სისტემის პირველი საფეხური, ხანდაზმულობის საფუძველზე სახელმწიფო პენსიის გაცემას გულისხმობს; პენსია გაცივმა ინდივიდზე, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს და მისი ნამუშევარი წლების რაოდენობა არის არანაკლებ 15 წელი. საერთო ასაკი, რომელიც ინდივიდს ხანდაზმულობის პენსიის მიღების უფლებას წარმოუშობს, ესტონეთში 63 წელს შეადგენს. გათვალისწინებულია, რომ 2026 წლისათვის საერთო საპენსიო ასაკი ესტონეთში 65 წლამდე გაიზრდება.

საქართველოს საპენსიო სისტემაში, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, სახელმწიფო პენსიის, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე გათვლილ, დიფერენცირებულ სქემას არ ვხვდებით. ამავდროულად, ქვეყანა ასევე არ იზიარებს, საპენსიო ასაკის გათანაბრების პრინციპს.

სახელმწიფო პენსია ესტონეთში დაფუძნებულია სოლიდარობის პრინციპზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ პენსიის გადახდა იმ ინდივიდებისათვის, რომლებიც დღეს პენსიონერებს წარმოადგენენ, ხდება იმ გადასახადებიდან, რომელსაც დღეს არსებული დასაქმებულები იხდიან. სახელმწიფო პენსიას სახელმწიფო გასცემს ბიუჯეტში შეტანილი სოციალური გადასახადიდან. დამსაქმებელი დასაქმებულს ხელფასიდან უკავებს სოციალურ გადასახადს, რომელიც შეადგენს დასაქმებულის ხელფასის 33%-ს და მიმართავს სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული 33%-დან 13% ხმარდება სამედიცინო დაზღვევას, ხოლო დარჩენილი 20%, იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ პირველ საფეხურშია ჩართული ინდივიდი, ხმარდება დღევანდელი პენსიონერების პენსიით უზრუნველყოფას. მაგრამ, თუ ინდივიდი ჩართულია მეორე საფეხურში (დაგროვებითი პენსია), მაშინ ზემოაღნიშნული 20%-ის მაგივრად დღევანდელი პენსიონერების პენსიით უზრუნველყოფისათვის, მხოლოდ 16% მიემართება სოციალური გადასახადიდან, ხოლო დარჩენილი 4%, დაგროვებით საპენსიო ფონდში, ინდივიდის პირად ანგარიშზე ირიცხება.⁸⁷

საქართველოში დასაქმებული ინდივიდები სოციალური გადასახადის გადამხდელები არ არიან და მათი ხელფასი მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით

⁸⁷ Social Tax Act of Estonia, §10. 17.11.2019.

დაბეგვრას ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არ არსებობს ესტონური მოდელის მსგავსად, კონკრეტულ გადასახადზე მიბმული საპენსიო ბიუჯეტის დაანგარიშების პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, ჩამოყალიბებული მოდელის არ არსებობის მიღმა, საქართველოში არსებული სახელმწიფო პენსია, გარკვეულწილად, იმავე პრინციპს ეფუძნება, რაც ფორმულის სახით დამკვიდრებულია ესტონეთში; იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო პენსიის დაფინანსება გადასახადების გადამხდელთა მიერ აკუმულირებული საბიუჯეტო თანხებიდან ხორციელდება, შინაარსობრივად, ისევე როგორც ესტონეთში, საქართველოში დასაქმებული ინდივიდები, პენსიონერებისათვის პენსიების გაცემის შესაძლებლობას უზრუნველყოფენ.

ესტონეთში სახელმწიფო პენსია გაიცემა საპენსიო ასაკის მიღწევისას, შრომისუუნარობისა ან მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში, ესტონეთის მოქალაქეებზე და უცხოელებზე, რომლებიც ესტონეთში აუცილებლობიდან გამომდინარე ცხოვრობენ ან ქვეყანაში ცხოვრების უფლებით სარგებლობენ.

ხანდაზმულობის სახელმწიფო პენსია იყოფა ორ ნაწილად: 1. ხანდაზმულობის პენსია ნამუშევარი წლების მიხედვით; 2. სახალხო პენსია. ხანდაზმულობის პენსიის მისაღებად აუცილებელია შესაბამისი ასაკი და საპენსიო სტაჟი.

2017 წლის 1 იანვრიდან ხანდაზმულობის პენსიის ასაკობრივი ზღვარი თანდათანობით იზრდება და 2026 წლისათვის 65 წელს მიაღწევს. საპენსიო ასაკის მატება დაკავშირებულია დაბადების წელთან. იმისათვის, რომ ინდივიდმა ხანდაზმულობის პენსია მიიღოს, აუცილებელია არანაკლებ 15 წლიანი საპენსიო სტაჟი ესტონეთში.

თავის მხრივ, ხანდაზმულობის პენსია სამი ნაწილისაგან შედგება:

I - ძირითადი ანუ საბაზო ნაწილი - რომელიც 2019 წლის 1-ლი აპრილიდან 2020 წლის პირველ აპრილამდე 191.6 ევროს შეადგენდა, ხოლო 2020 წლის 1-ლი აპრილიდან 215.5 ევრომდე გაიზარდა.⁸⁸

⁸⁸ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/ru/novosti/s-1-aprelya-povyshenie-pensii-mozhno-uvidet-na-gosudarstvennom-portale>. 15.05.2020.

II - სტაჟის პაი - რომელიც გათვლილია 1998 წლის 31 დეკემბრამდე გაწეულ შრომაზე.

III - დაზღვევის პაი - პენსიაზე დანამატი, რომელიც ინდივიდუალურად გამოითვლება.

დაზღვევის პაის ოდენობა დამოკიდებულია, პენსიონერის საპენსიო სტაჟის ხანგრძლივობაზე. პაი ასევე ითვლება, მუშაობასთან გათანაბრებული, საქმიანობის წლების მიხედვით, მაგალითად, ბავშვების აღზრდა, აუცილებელი სამსახური, სწავლის პერიოდი საუნივერსიტეტო ან პროფესიული სასწავლებლის დღის სწავლებაზე, ასევე ის დრო, როდესაც დასაქმებული დროებით შრომისუუნარო იყო. ერთი ნამუშევარი წლის ღირებულება ყოველთვიურ პენსიაში 2019 წლის 1-ლი აპრილიდან 2020 წლის პირველ აპრილამდე 6.627 ევროს შეადგენდა, ხოლო 2020 წლის პირველი აპრილიდან ეს მაჩვენებელი 7.1 ევრომდე გაიზარდა.⁸⁹

დაზღვევის პაის მოცულობა დამოკიდებულია, 1999 წლის 1 იანვრიდან მომავალი პენსიონერის ხელფასიდან გადახდილი სოციალური გადასახადის მოცულობაზე. ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს საპენსიო დაზღვევის წლიური კოეფიციენტების მოცულობა. წლიური კოეფიციენტი აჩვენებს ურთიერთმიმართებას ინდივიდის ხელფასიდან გადახდილი სოციალური გადასახადის მოცულობასა და სახელმწიფოში არსებული საშუალო ხელფასიდან გადახდილი სოციალური გადასახადის მოცულობას შორის. თუ სოციალური გადასახადი საშუალო ხელფასიდან გადაიხდება, მაშინ წლიური კოეფიციენტი 1-ის ტოლია, ხოლო მისი ფულადი ეკვივალენტი პენსიაში 2020 წლის 1-ლი აპრილიდან 7.1 ევროს შეადგენს, რაც 2019 წლის 1-ლი აპრილის მაჩვენებელს (6.627 ევრო) თითქმის 0.5 ევროთი აღემატება.⁹⁰

რაც შეეხება დაბადების წლის მიხედვით ხანდაზმულობის პენსიის მიღების შესაძლებლობას, ქალებსა და მამაკაცებს შორის არის განსხვავებული მიდგომა. ასაკი, რომელიც ქალებთან მიმართებით ხანდაზმულობის პენსიის მიღების ზღვრებს

⁸⁹ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/ru/novosti/s-1-aprelya-povyshenie-pensii-mozhno-uidet-na-gosudarstvennom-portale>. 15.05.2020.

⁹⁰ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/ru/novosti/s-1-aprelya-povyshenie-pensii-mozhno-uidet-na-gosudarstvennom-portale>. 15.05.2020.

აკმაყოფილებს, დაბადების წლებთან ერთად იცვლება; ათვლა 1944 წლიდან იწყება და ამ წელს დაბადებულ ქალებს, დაბადებიდან 58 წელსა და 6 თვეში წარმოეშვათ ხანდაზმულობის პენსიის მიღების უფლება. რაც შეეხება 1945 წელს დაბადებულ ქალებს, მათი საპენსიო ასაკი, უკვე, 59 წელს შეადგენდა. 1944 წლიდან 1953 წლის ჩათვლით ყოველწლიურად ხანდაზმულობის პენსიის მიღების ასაკობრივი ზღვარი 6 თვით იმატებდა, რამაც 1953 წლისათვის 63 წელი შეადგინა. 1954 წლიდან ახალი არითმეტიკული პროგრესიით იზრდება ქალებში ხანდაზმულობის საპენსიო ასაკი; აღნიშნულ წელს 63 წელი და 3 თვე შეადგინა საპენსიო ასაკმა და ყოველ მომდევნო წელს 1960 წლამდე 3 თვით პროგრესირებდა, რამაც 1960 წლისათვის 64 წელი და 9 თვე შეადგინა.⁹¹

მამაკაცებთან მიმართებით, ესტონური საპენსიო სისტემა უფრო მარტივ მიდგომას იყენებს და ხანდაზმულობის პენსიის მიღების ასაკობრივ ზღვრად 63 წელს აწესებს 1938 წლიდან 1954 წლამდე დაბადებული მამაკაცებისათვის. 1953 წელს დაბადებული ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბრდება ასაკობრივი ზღვარი 63 წლის ნიშნულზე, ხოლო 1954 წლიდან ისე, როგორც ქალებში 3 თვიანი პროგრესიით იწყებს ზრდას მამაკაცების საპენსიო ასაკი და 1960 წლისათვის ანალოგიურად 64 წელსა და 9 თვეს შეადგენს.⁹²

ზემოაღნიშნული იმ გაცხადებული პოლიტიკის ნაწილია, რომელიც გულისხმობს 2026 წლისათვის ქალებისა და მამაკაცების საპენსიო ასაკის 65 წელთან გათანაბრებასა და ამ მიზნისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლას. აღნიშნული 65 წელს გათანაბრებული საპენსიო ასაკი, კი, უკვე 1961 წელს დაბადებულ ინდივიდებს შეეხებათ.

მოტანილი მოდელი პირდაპირ მიაჩნებს სახელმწიფოს პოლიტიკაზე გაუხანგრძლივოს მოქალაქეებს მუშაობის შესაძლებლობა და ამავდროულად სამუშაო სტაჟი, რაც გაზრდის მათი პენსიის მოცულობას საპენსიო ასაკისათვის და პარალელურად, შეამცირებს სახელმწიფო დანახარჯებს პენსიების გაცემის მიმართულებით.

⁹¹ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 19.11.2019.

⁹² <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 19.11.2019.

ხანდაზმულობის პენსია ასევე მოიცავს ორ გამონაკლისს, ესენია: ვადამდელი ხანდაზმულობის პენსია და გადავადებული ხანდაზმულობის პენსია.

ხანდაზმულობის პენსიის ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, მხოლოდ კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის დადგომამდე არაუადრეს სამი წლისა. ამ შემთხვევაში, პენსიის მოცულობა შემცირდება იმდენჯერ 0.4%-ით, რამდენი თვით ადრეც გავიდა ინდივიდი პენსიაზე. ვადამდელი ხანდაზმულობის პენსია ენიშნება ინდივიდს სიცოცხლის ბოლომდე ფიქსირებული სახით და მასზე არ ვრცელდება ცვლილებები, რომელსაც პერიოდულად განიცდის სტანდარტული ხანდაზმულობის პენსია. რაც გარკვეულწილად წაგებიან პოზიციაში აყენებს ინდივიდს, რომელიც ისარგებლებს ვადამდელი ხანდაზმულობის პენსიით; რადგან, მაგალითად, 2019 წლის 1-ლი აპრილიდან ესტონეთში პენსია საშუალოდ 8,4%-ით გაიზარდა, რომელი ზრდაც არ ვრცელდება ვადამდელი ხანდაზმულობის პენსიის მიმღებ ინდივიდებზე.⁹³ დასაქმებულ ადამიანს ვადამდელი პენსიით სარგებლობის უფლება არ აქვს, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც ის მიაღწევს ხანდაზმულობის პენსიის მისაღებად საჭირო აუცილებელ საერთო საპენსიო ასაკს.

პენსიაზე გასვლის თარიღის გადავადებასთან დაკავშირებით, ესტონური მოდელი გულისხმობს შემდეგ მიდგომას: ყოველ გადავადებულ თვეზე ინდივიდის პენსიას, თანხის 0.9% დაემატება.⁹⁴ დასახელებული ფაქტი ამყარებს ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ესტონეთის მთავრობის მხრიდან ინდივიდების სამუშაო ძალაში დარჩენის მაქსიმალურად წახალისებისა და ამით ბიუჯეტური ხარჯების შემცირების შესახებ.

სახელმწიფო პენსიის ზრდა დამოკიდებულია ესტონეთში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდაზე და სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური გადასახადის სახით შესული თანხების მოცულობის ზრდაზე (სახელფასო ფონდის ზრდა). წელიწადში ერთხელ ინდივიდისათვის განკუთვნილი პენსიის თანხა მრავლდება იმ ინდექსზე, რომელიც 1/5-ით დამოკიდებულია სამომხმარებლო კალათის ღირებულების წლიურ ზრდაზე, ხოლო 4/5-ით - სოციალური გადასახადიდან საპენსიო დაზღვევისათვის განკუთვნილი თანხების ზრდაზე.

⁹³ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 19.11.2019.

⁹⁴ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 19.11.2019.

ყოველწლიური ინდექსაციის შედეგად, მომატებული პენსიის გაცემა ხდება 1-ლი აპრილიდან.⁹⁵ როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი მატება 2019 წელსაც განხორციელდა, როდესაც თითქმის 350 000 პენსიონერს, პენსია საშუალოდ 8.4%-ით გაეზარდა. აღნიშნული წლისათვის, ინდექსმა 1.084 შეადგინა, რამაც პენსიის საბაზისო ნაწილი 191.6 ევროს გაუტოლა, ხოლო სტაჟზე მიბმული ნაწილი წელიწადზე - 6.627 ევროს.⁹⁶ 2020 წლის მონაცემებით, ინდექსმა 1.08 შეადგინა. გარდა ამისა, 2020 წელს, ხანდაზმულობის პენსიის ძირითადი ანუ საბაზო ნაწილი ინდექსაციისაგან დამოუკიდებლად, 7 ევროთი გაიზარდა და ჯამში, 215.5 ევრო შეადგინა.⁹⁷ ეს ფაქტი, COVID-19 მსოფლიო პანდემიის პირობებში, ესტონეთის ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ თამამ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

რაც შეეხება, სახალხო პენსიას, იგი მინიმალური პენსიით უზრუნველყოფს იმ ინდივიდებს, რომელთაც პენსიის მიღების უფლება სამუშაო სტაჟიდან გამომდინარე არ წარმოეშობათ. სახალხო პენსიაზე ასევე მოქმედებს საპენსიო ინდექსი, რომლის შედეგად 2019 წლის 1-ლი აპრილიდან ის 189.31 ევროდან 205.21 ევრომდე გაიზარდა, ხოლო 2020 წლის 1-ლი აპრილიდან - 221.63 ევროს შეადგენს.⁹⁸

სახალხო პენსიის გაცემა ხდება მხოლოდ, ესტონეთის მოქალაქეებზე და უცხოელებზე, რომლებიც ესტონეთში აუცილებლობიდან გამომდინარე ცხოვრობენ ან ქვეყანაში ცხოვრების უფლებით სარგებლობენ.

სახალხო პენსია ენიშნებათ ინდივიდებს, რომელთაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს, მაგრამ არ აქვთ ხანდაზმულობის პენსიის მისაღებად საჭირო შრომითი სტაჟი; და რომელნიც, მუდმივად ან აუცილებლობიდან გამომდინარე, სახალხო პენსიის მიღების შესახებ განაცხადის წარდგენამდე, ესტონეთში არანაკლებ 5 წელი ცხოვრობდნენ. ამასთან, ინდივიდს ეზღუდება ესტონეთში სახალხო პენსიის მიღების უფლება, თუ იგი სხვა ნებისმიერი სახელმწიფოსგან იღებს პენსიას.

⁹⁵ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 19.11.2019.

⁹⁶ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 19.11.2019.

⁹⁷ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/ru/novosti/s-1-aprelya-povyshenie-pensii-mozhno-uvidet-na-gosudarstvennom-portale>. 17.05.2020.

⁹⁸ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/ru/novosti/s-1-aprelya-povyshenie-pensii-mozhno-uvidet-na-gosudarstvennom-portale>. 17.05.2020.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საპენსიო სისტემაში, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების წარმოშობისათვის, ხანდაზმულობის პენსიისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილების მოთხოვნას არ ვხვდებით და სახელმწიფო პენსია არსებული ფორმით, უფრო მეტად სოციალური დახმარების ნიშნებს შეიცავს, საქართველოს სახელმწიფო პენსია ესტონეთის სახალხო პენსიის ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულ მსჯელობას ანალოგიის შესახებ, ამყარებს ფაქტი, რომ საქართველოს საპენსიო სისტემა პენსიის მოცულობას სამუშაო სტაჟის საფუძველზე არ განასხვავებს. აქედან გამომდინარე, საქართველოში სახელმწიფო პენსიის მიმღები თითქმის ყველა კატეგორიის ინდივიდისათვის პენსიის მოცულობა იდენტურია. აღნიშნული მსგავსების მიუხედავად, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო პენსიის დაანგარიშების ფორმულა და საპენსიო თანხების მატებას, მხოლოდ მთავრობათა პოლიტიკური ნება განაპირობებს.

ცხრილი №5. პენსიონერთა ჯამური რაოდენობა ესტონეთსა და საქართველოში; ხანდაზმულობისა და სახალხო პენსიის მიმღებთა რაოდენობა ესტონეთში.⁹⁹

	ესტონეთი				საქართველო			
	2016	2017	2018	2019	2016	2017	2018	2019
პენსიის მიმღები, სულ, ათასი	415.1	417.5	375.6	346.5	-	-	-	-
ხანდაზმულობის პენსიის მიმღები, ათასი	300.9	305.6	304.6	304.6	-	-	-	-
სახალხო პენსიის მიმღები, ათასი	6.8	6.9	4.7	3.4	720.2	732.1	745.0	762.6

იმის გათვალისწინებით, რომ ესტონეთის სტატისტიკის სააგენტო ტერმინში პენსიონერი - ხანდაზმულობის პენსიის, სახალხო პენსიის, შრომისუუნარობასთან და

⁹⁹ ესტონეთის სტატისტიკის სააგენტო - <https://www.stat.ee/58107?highlight=pensioners> ; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>. 7.03.2020.

მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებული პენსიის მიმღებ პირებს აერთიანებს, ხოლო საქართველოს საპენსიო სისტემა დიფერენცირების მსგავს პრინციპს არ ეფუძნება და არსებული სახელმწიფო პენსიის, ესტონეთის სახალხო პენსიასთან შინაარსობრივი კავშირი ცალსახაა, საქართველოში აღრიცხულ პენსიონერთა სტატისტიკური მონაცემები სახალხო პენსიის გრაფაში განთავსდა. აქედან გამომდინარე, დიფერენცირების პრინციპზე დაფუძნებულ ესტონეთის საპენსიო სისტემაში სახალხო პენსიის, ანუ მინიმალური პენსიის მიმღებთა რიცხოვნობასა და შრომითი სტაჟიდან გამომდინარე ხანდაზმულობის პენსიის მიმღებთა რიცხოვნობას შორის არსებული განსხვავება აშკარაა. მიუხედავად იმისა, რომ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის დამტკიცების შედეგად, შრომით სტაჟზე დაფუძნებული პენსიის მოცულობის დაანგარიშების პრინციპის დაცვა ბუნებრივად ხდება (მეტი სამუშაო სტაჟი = დაგროვებით საპენსიო სქემაში შენატანების მეტი რაოდენობა = საპენსიო თანხების მეტი მოცულობა), სახელმწიფო პენსიით დიფერენცირების საკითხი, ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, აქტუალობას არ კარგავს.

ესტონეთში ხანდაზმულობის პენსიის საშუალო მოცულობამ 2018 წელს 440,7 ევრო შეადგინა, რაც იმავე წლის სახალხო პენსიის მოცულობას 2,3-ჯერ აღემატება.¹⁰⁰ რაც შეეხება, 2019 წლის მონაცემებს, ინდექსაციის შედეგად, ხანდაზმულობის პენსიის საშუალო მოცულობა 475,9 ევროთი განისაზღვრა და სახალხო პენსიის ასევე გაზრდილი მაჩვენებლის ფონზე, თანაფარდობის 2018 წელს არსებული ნიშნული შენარჩუნდა.¹⁰¹ ხანდაზმულობის პენსიის საშუალო მოცულობის შესახებ მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დაანგარიშების პრინციპი 40 წლიანი სამუშაო სტაჟის გათვალისწინებას ეფუძნება.

ესტონეთის საპენსიო სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვების როლს, მათი მშობლების ან მზრუნველთა პენსიის განსაზღვრისას. საპენსიო დაზღვევის კანონის მიხედვით, სამუშაო სტაჟზე, პენსიის მოცულობის დათვლისას, ერთ-ერთ მშობელს, არაბიოლოგიურ მშობელს ან მეურვეს, ემატება ორი წელი თითოეულ ბავშვზე, რომლის აღზრდაზეც მინიმუმ 8 წელი დახარჯა.

¹⁰⁰ ესტონეთის სტატისტიკის სააგენტო - <https://www.stat.ee/58108>. 7.03.2020.

¹⁰¹ ესტონეთის სტატისტიკის სააგენტო - <https://www.stat.ee/58108>. 7.03.2020.

იმ შემთხვევაში თუ, ბავშვის აღზრდაში ორივე მშობელი იყო ჩართული, ერთ-ერთმა მშობელმა უნდა წარადგინოს განაცხადი, რომ უარს ამბობს სამუშაო სტაჟის დამატებით წლებზე მეორის სასარგებლოდ.

ესტონეთის საპენსიო სისტემაში ასევე აღსანიშნავია მიდგომა, რომელიც გულისხმობს ხანდაზმულობის პენსიის მიღებას შეღავათიანი პირობებით. იმ შემთხვევაში თუ ინდივიდს აქვს შესაბამისი სამუშაო სტაჟი, მას შეუძლია პენსიაზე გასვლა შეღავათიანი პირობებით; ამისათვის ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს¹⁰²: 1. უნდა იყოს ერთ-ერთი მშობელი ან არაბიოლოგიური მშობელი, ასევე მეურვე ან მზრუნველი, 18 წლამდე საშუალო, მძიმე ან ღრმა ფიზიკური ან გონებრივი არასრულფასოვნების მქონე ბავშვისა; ან ხუთი და მეტი ბავშვის აღზრდელი, მინიმუმ 8 წლის განმავლობაში და მას ეძლევა უფლება, რომ საპენსიო ასაკის დადგომამდე 5 წლით ადრე მოითხოვოს ხანდაზმულობის პენსია; 2. იმ ერთ-ერთ მხარეს, რომელიც მინიმუმ 8 წლის განმავლობაში 4 ბავშვს ზრდიდა, საპენსიო ასაკის დადგომამდე 3 წლით ადრე აქვს უფლება, რომ ხანდაზმულობის პენსია მოითხოვოს; 3. ხოლო იმ ერთ-ერთ მხარეს, რომელიც სამ ბავშვს ზრდიდა მინიმუმ 8 წლის განმავლობაში, საპენსიო ასაკამდე 1 წლით ადრე აქვს უფლება, რომ ხანდაზმულობის პენსიის მიღების შესახებ გააკეთოს განაცხადი.

საპენსიო სისტემის ესტონური მოდელი, გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე განასხვავებს მშობლობის პენსიას. 2013 წლის 1 იანვრიდან ხანდაზმულობის პენსიას, შრომისუუნარობასთან დაკავშირებულ პენსიას და მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებულ პენსიას, დაემატა ახალი პუნქტი, რომელიც გულისხმობს, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ საპენსიო დანამატს.¹⁰³

ოჯახში ერთ-ერთ მშობელს, მშობლის მეუღლეს, მეურვეს ან მზრუნველს, მიეცემა ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საპენსიო დანამატი თითოეულ ბავშვზე, რომელიც დაბადებულია 1980 წლის 31 დეკემბრიდან 2012 წლის 31

¹⁰² <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 21.11.2019.

¹⁰³ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 21.11.2019.

დეკემბრამდე და რომელსაც, ის ზრდიდა არანაკლებ 8 წელი; აღნიშნული დანამატი, კი, გაუთანაბრდება 2 წლის საპენსიო შემოსავლების ფულად ოდენობას.¹⁰⁴

რაც შეეხება ოჯახში ერთ-ერთ მშობელს, მშობლის მეუღლეს, მეურვეს ან მზრუნველს, რომელიც 1983 წლის 1 იანვრამდე დაიბადა და კანონი არ ავალდებულებს მას დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვას, თითოეულ ბავშვზე, რომელიც 2013 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაიბადა და მის აღზრდაზე არანაკლებ 8 წელი დახარჯა, მიეცემა ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საპენსიო დანამატი 3 საპენსიო წლის შესაბამისი ფულადი ოდენობით.¹⁰⁵

2018 წლის 1 იანვრიდან ესტონეთის საპენსიო სისტემაში ახალი შესწორება შევიდა ძალაში, რომელიც გულისხმობს,¹⁰⁶ ოჯახში ერთ-ერთი მშობლის, მშობლის მეუღლის, მეურვისა ან მზრუნველისათვის, ერთი საპენსიო წლის შესაბამისი ფულადი ოდენობის საპენსიო დანამატის გაცემას თითოეულ ბავშვზე, რომელიც 2013 წლის 1 იანვრამდე დაიბადა და რომლის გაზრდაზეც არანაკლებ 8 წელი დახარჯა.

როგორც ზემოთ განხილული პუნქტები აჩვენებს, ესტონური საპენსიო მოდელი მოიცავს ყველა სეგმენტს, რომელიც საჭიროებს რაიმე სახის წახალისებასა თუ ხელშეწყობას და მათ შორის გამონაკლისი არც სიცოცხლისათვის საშიში ხასიათის მატარებელი დასაქმების სფეროა. აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ინდივიდი სარგებლობს ხანდაზმულობის პენსიის საშეღავათო პირობებით მიღების პრივილეგიით.

ინდივიდს, რომელსაც არანაკლებ 20 წლიანი სამუშაო სტაჟი აქვს და აქედან - არანაკლებ 10 წელი იმუშავა ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშ სამუშაო გარემოში და განსაკუთრებით მძიმე პირობებში, კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის პენსიის მისაღებად აუცილებელი საპენსიო ასაკის მიღწევამდე 10 წლით ადრე პენსიის მიღების უფლება ენიჭება. ამასთან, ინდივიდი, რომელიც ასევე იყო დასაქმებული ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშ სამუშაო გარემოში

¹⁰⁴ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 21.11.2019.

¹⁰⁵ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 21.11.2019.

¹⁰⁶ <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/en/pension-benefits/pension-types-pensions-and-benefits>. 21.11.2019.

და განსაკუთრებით მძიმე სამუშაო პირობებში, მაგრამ ასრულებდა ზემოაღნიშნულისგან განსხვავებულ და შედარებით მსუბუქ სამუშაოს, უფლებამოსილია, არანაკლებ 25 წლიანი სამუშაო სტაჟის შემთხვევაში, რომელშიც არანაკლებ 12 წელი და 6 თვე სწორედ მსგავს პირობებში მუშაობაზე მოდის, მიიღოს ხანდაზმულობის პენსია, კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევამდე 5 წლით ადრე. გარდა ამისა, ასევე არსებობს ერთი თავისებურება, რომელიც თან სდევს ზემოაღნიშნულ სფეროში დასაქმებულთათვის შეღავათიანი საპენსიო პირობებით სარგებლობას. სამუშაო სტაჟად, რომელიც ინდივიდს აძლევს უფლებას ისარგებლოს შეღავათიანი ხანდაზმულობის პენსიით, ნამუშევარი არასრული სამუშაო დრო არ ითვლება.

საპენსიო სისტემის პირველი საფეხური ასევე ითვალისწინებს საზღვარგარეთ ნამუშევარი წლების მიხედვით პენსიის გაცემას. ინდივიდი, რომელიც ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობდა, საპენსიო ასაკისათვის პენსიას მიიღებს თითოეულ ქვეყანაში ნამუშევარი დროის მიხედვით; ეს უკანასკნელი, ფორმირდება, როგორც სამუშაო სტაჟი და გამოითვლება, თითოეულ დამსაქმებელ ქვეყანაში დაყოფილი ნამუშევარი წლების დაჯამებით.

ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე ნორვეგიაში, ისლანდიაში, ლიხტენშტეინსა და შვეიცარიაში მიღებული სამუშაო სტაჟის მიხედვით, პენსიის მიღება ინდივიდს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სამუშაო სტაჟი ხანგრძლივობა თითოეულ ქვეყანაში არანაკლებ 1 წელია.

ევროკავშირის, მთავარი საზრუნავი, რომ ადამიანი და მისთვის უსაზღვრო შესაძლებლობების მიცემაა, ადასტურებს კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც გულისხმობს, იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც დასაქმებულები არიან, არა რომელიმე კონკრეტულ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, არამედ ევროკავშირის სტრუქტურულ ერთეულებში, ენიჭებათ უფლება, მათი სამუშაო სტაჟი, რომელიც წარმოშობს უფლებას პენსიის მიღების შესახებ, კონკრეტული საცხოვრებელი ქვეყნის საპენსიო სქემიდან, გადაიტანონ ევრო გაერთიანების საპენსიო სქემაში და პირიქით; რათა მათთვის მეტად მისაღები მოდელის მიხედვით მოხდეს საპენსიო ასაკის უზრუნველყოფა.

საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სქემის დანერგვის მიუხედავად, სახელმწიფო პენსიის რეფორმირების საკითხი, ისევ ღიად რჩება. ქვეყანაში არსებული მოდელით, სახელმწიფო პენსიის მოცულობა იდენტურია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებისა და სამუშაო გამოცდილების არ მქონე თითოეული პირისათვის, რაც ინდივიდებში უსამართლობის განცდას განაპირობებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი, ცხოვრების დიდ მონაკვეთს შვილების აღზრდას უთმობს, ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული საპენსიო დანამატების ესტონური მოდელი, საქართველოს რეალობასთან სრულ შესაბამისობაში მოდის. ამასთან, რაც შეეხება სიცოცხლისთვის სახიფათო გარემოში დასაქმებულ პირთა საპენსიო შეღავათების საკითხს, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში, აღნიშნულ სფეროში, არა მარტო საპენსიო კუთხით, ცვლილებების საჭიროება ცალსახაა, ამ შემთხვევაშიც, ესტონური გამოცდილება, საქართველოსათვის მზა ფორმულად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამრიგად, ესტონეთის საპენსიო სისტემის პირველი საფეხურის ანალიზის შედეგად, საქართველოში სახელმწიფო პენსიის რეფორმირების საჭიროება მეტი სიმძაფრით გამოიკვეთა. ამასთან, საქართველოსათვის ესტონური მოდელის შესაბამისობა აშკარაა. მნიშვნელოვანია, საქართველომ ესტონეთის საპენსიო სისტემის პირველი საფეხურის შემადგენელი პრინციპები გაიზიაროს და სახელმწიფო პენსია მსგავს პრინციპებს დაუქვემდებაროს.

2.2. სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა (მსგავსებები და განსხვავებები)

მეორე საფეხურის ანუ სავალდებულო დაგროვებითი პენსიის მიზანია, მიმართოს დასაქმებული ინდივიდების ხელფასის ნაწილი, მათ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე, რათა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სახელმწიფო პენსიის გარდა, აგრეთვე ჰქონდეთ დამატებითი პენსია, რომელსაც თავად დააგროვებენ.

სავალდებულო დაგროვებითი პენსია წარმოადგენს, კანონით გათვალისწინებულ პერიოდულ კომპენსაციას, რომლის მისაღებად, სავალდებულო საპენსიო ფონდის პაის შექმნა ხდება; ხოლო შემდგომი გადახდა, საპენსიო ფონდის ან მზღვეველის მიერ ხორციელდება.¹⁰⁷

საპენსიო ფონდი არის იგივე საინვესტიციო ფონდი, რომლის ძირითადი მიზანია, საპენსიო ფონდის პაის მფლობელისათვის, დაგროვებითი პენსიის მიღების შესაძლებლობის მიცემა. ფონდების მმართველები, დანაზოგების ყოველწლიურად გაზრდის მიზნით, საპენსიო ფონდში არსებული შენატანების ინვესტირებას სხვადასხვა აქტივებში ახორციელებენ.

საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელებისას, ინდივიდი, საპენსიო ფონდის მიერ ემისირებული, შენატანების მოცულობის შესაბამისი, პაის რაოდენობას იძენს.¹⁰⁸ საპენსიო ფონდის პაიების ემისიისას, საპენსიო ფონდის პირობებით ვერ შეიზღუდება ერთდროულად შექმნილი პაიების რაოდენობა და მათში გადასახდელი თანხის ოდენობა.¹⁰⁹ ფონდის მმართველი პაის ემისიას მისი რეალური ღირებულებით ახდენს; იგი ასევე არ იღებს დამატებით თანხას შენატანების განხორციელებისათვის საპენსიო ფონდში, პაის ემისიისათვისა და ამ ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობისათვის.¹¹⁰

¹⁰⁷ Funded Pensions Act, Chapter 1., §2(2). 17.12.2019.

¹⁰⁸ იქვე, Chapter 2., §19(1). 17.12.2019.

¹⁰⁹ იქვე, Chapter 2., §20. 17.12.2019.

¹¹⁰ იქვე, Chapter 2., §19(5). 17.12.2019.

ინდივიდს ერთდროულად, მხოლოდ ერთ საპენსიო ფონდში შეუძლია შენატანების განხორციელება.¹¹¹ რაც შეეხება, საპენსიო ფონდის შეცვლას, ინდივიდს ახალ საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელება შეუძლია მას შემდეგ, რაც ანგარიშის მმართველს ან ესტონეთის ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ რეესტრს, ფონდის შერჩევასთან დაკავშირებით, ახალი განცხადებით მიმართავს; აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული ფონდი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

სავალდებულო დაგროვებითი პენსიისათვის განკუთვნილი არსებული ფონდის შეცვლა, მხოლოდ, სხვა სავალდებულო საპენსიო ფონდით არის შესაძლებელი. ეს, ორი გზით შეიძლება მოხდეს: 1. შენატანების სხვა ფონდში განხორციელებით, რაც გულისხმობს, რომ ძველ ფონდში შენატანების განხორციელება შეწყდება, მაგრამ არსებული პაიები დარჩება და დაერიცხებათ სარგებელი; ხოლო შენატანები, ინდივიდის მიერ შერჩეულ ახალ ფონდში მიიმართება. აქედან გამომდინარე, ინდივიდის საპენსიო ანგარიშზე სხვადასხვა ფონდის პაიები იქნება განთავსებული. 2. ფონდის პაიების გაცვლით.

როგორც აღინიშნა, ინდივიდს ასევე აქვს პაიების გაცვლის შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობა ქმედითია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელობაში არსებული საპენსიო ფონდის პაი გაიცვლება სხვა საპენსიო ფონდის პაიში. ინდივიდს შეუძლია გაცვალოს მის მფლობელობაში არსებული პაიების სრული რაოდენობა ან მათი ნაწილი.¹¹² აღნიშნული უფლებით მფლობელს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში სამჯერ. საპენსიო ფონდის პაი გაიცვლება პირველ სამუშაო დღეს, რომელიც მოსდევს პირველ იანვარს, პირველ მაისსა და პირველ სექტემბერს, ან მათ მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, თუ პირველი სექტემბერი არ არის სამუშაო დღე.¹¹³

საპენსიო ფონდის პაიების გაცვლის შემთხვევაში, საპენსიო ფონდი, რომელშიც ინდივიდის სავალდებულო დაგროვებით საპენსიო ანგარიშზე, ხორციელდებოდა ან

¹¹¹ იქვე, Chapter 2., §19(2). 17.12.2019.

¹¹² იქვე, Chapter 2., §24(2). 17.12.2019.

¹¹³ იქვე, Chapter 2., §24(3). 17.12.2019.

განხორციელდება შენატანები, რჩება უცვლელი.¹¹⁴ პაიების გაცვლა დაუშვებელია, თუ რომელიმე საპენსიო ფონდის მხრიდან, მათი გამოსყიდვა ან ემისია აკრძალულია საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონით.¹¹⁵

საპენსიო ფონდის პაიების გაცვლისას, ერთი საპენსიო ფონდის პაიების გამოსყიდვა და მეორე საპენსიო ფონდის პაიების ემისია ხდება.¹¹⁶ ამის შედეგად ინდივიდი იძენს სხვა საპენსიო ფონდის პაიების შესაბამის რაოდენობას, გამოსყიდული პაიების შესაბამის ფასად, რომლის გადახდას საპენსიო ფონდი კონკრეტულ დღეს მოქმედი რეალური ღირებულებით ახდენს.¹¹⁷ პაიების გაცვლის ორგანიზებას, საპენსიო ფონდის დეპოზიტართან ერთად, ესტონეთის ფასიანი ქაღალდების ცენტრალური რეესტრი ახდენს.¹¹⁸

იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონი, საქართველოში მხოლოდ ერთი საპენსიო ფონდის არსებობას ითვალისწინებს, ესტონური მოდელის ზემოაღნიშნული ნაწილი, ქართული რეალობისათვის შეუსაბამოა. გარდა ამისა, ესტონეთის ბაზარზე არსებული საპენსიო ფონდების მფლობელებს, უმრავლეს შემთხვევაში, ბანკები წარმოადგენენ, რაც მონაწილეთა ინტერესების დაცულობასთან დაკავშირებულ გარანტიების ნიშნულს, საქართველოსთან შედარებით, მაღალ დონეზე აყენებს; მაშინ, როდესაც საქართველოს საპენსიო ფონდი, მხოლოდ ინდივიდების შენატანებზეა დამოკიდებული და არსებული იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთათვის შენატანების შედეგად დაფიქსირებული აკუმულირებული თანხის მოცულობის შესაბამისი წილის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდის გაცემა შეზღუდულია, დაგროვებითი საპენსიო სქემის წარუმატებლობის შემთხვევაში, მონაწილეთათვის კომპენსაციის გაცემა, არა რაიმე უფლებას, არამედ სახელმწიფოს შესაძლებლობასა და ნებას დაეფუძნება.

¹¹⁴ იქვე, Chapter 2., §24(4). 17.12.2019.

¹¹⁵ იქვე, Chapter 2., §23(2). 17.12.2019.

¹¹⁶ იქვე, Chapter 2., §26(1). 17.12.2019.

¹¹⁷ იქვე, Chapter 2., §26(2). 17.12.2019.

¹¹⁸ იქვე, Chapter 2., §26(3). 17.12.2019.

დაგროვებითი პენსიის მეორე ანუ სავალდებულო საფეხური, გულისხმობს, დასაქმებულის მიერ ყოველთვიურად დაუბეგრავი ხელფასის 2%-ის გადახდას მის მიერ შერჩეულ საპენსიო ფონდში; სახელმწიფო, თავის მხრივ, დასაქმებულის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადის საპენსიო უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი ნაწილიდან, 4%-ს დაუმატებს.¹¹⁹

საქართველოში მოქმედი საპენსიო მოდელისაგან განსხვავებით, ესტონურ მოდელში, ხელფასის/შემოსავლის სიდიდეზე მიბმული სახელმწიფო კონტრიბუციის კლებადი პრინციპი არ გვხვდება.

ესტონეთის საპენსიო სისტემის მეორე საფეხურში (სავალდებულო დაგროვებითი პენსია) მონაწილეობა სავალდებულოა ყველა ინდივიდისთვის, ვინც 1983 წელს და მის შემდეგ არის დაბადებული. ინდივიდს, სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების უფლება და ვალდებულება, იმ მომდევნო წლის 1 იანვარს წარმოეშობა, როდესაც 18 წელი შეუსრულდა. 1983 წელს დაბადებული ინდივიდებისათვის, დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით გაწევრების თარიღად 2002 წლის 1 ივლისი დადგინდა.

ესტონეთში 2002 წლის 1-ლი მაისიდან 2010 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, 1942 წლიდან 1982 წლამდე პერიოდში დაბადებულ ინდივიდებზე სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრების უფლება გავრცელდა. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრების უფლების გამოყენების დასკვნით თარიღად 2010 წლის 31 ოქტომბერი გამოცხადდა, მას შემდეგ აღნიშნული უფლება გაუქმდა. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების განაცხადით, ინდივიდი საკუთარ თავზე გათვითცნობიერებულ პასუხისმგებლობას იღებდა, სქემის დატოვების უფლების არ ქონის შესახებ.

ესტონეთის საპენსიო სისტემამ დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვის სურვილის მქონე პირებს 2020 წლიდან ახალი შესაძლებლობა შესთავაზა; 1970-1982 წლებში დაბადებულ ინდივიდებს, რომლებიც სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრებს არ წარმოადგენენ, 2020 წლის 1-ლი იანვრიდან საპენსიო სისტემის მეორე საფეხურში ჩართვა შეუძლიათ. ხოლო, გაწევრების შემდეგ საპენსიო

¹¹⁹ იქვე, Chapter 2., §9., §10(1). 17.12.2019.

ფონდში შენატანების განხორციელება, 2021 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყება. სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებისათვის აუცილებელია, ფონდის შერჩევასთან დაკავშირებით, განცხადების დაწერა. ინდივიდი საპენსიო შენატანებს განცხადებაში მითითებულ ფონდში განახორციელებს.

საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ანალიზის მიხედვით, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, სავალდებულო წესით გაწევრებასთან დაკავშირებით, დაბადების წელზე მიბმული პრინციპი არ გვხვდება; საქართველოში მოქმედი კანონი, გაწევრების სავალდებულო წესის დასაცავად, ორიენტირებას არა დაბადების თარიღის, არამედ -ინდივიდის ასაკის მიხედვით ახდენს.

რაც შეეხება, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს, 40 წელზე მეტი ასაკის ინდივიდებისათვის დაგროვებითი საპენსიო სქემის დატოვების უფლების მინიჭებას, დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთში მოქმედ კანონში მსგავსი ჩანაწერი არ გვხვდება.

ამრიგად, ზემოგანხილულ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ესტონური მოდელი, ნებაყოფლობითობის პრინციპს პერიოდულად, მხოლოდ დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვასთან მიმართებით იყენებდა.

საქართველოში მოქმედი დაგროვებითი საპენსიო სისტემა, ნებაყოფლობითი გაწევრების უფლების მქონე ინდივიდთა (განმეორებითი გაწევრების უფლების მქონე დასაქმებულები და თვითდასაქმებულები) მიმართ, განსხვავებით ესტონური მოდელისაგან, ნებაყოფლობითი გაწევრებისას, აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის ვალდებულებას არ ითვალისწინებს. ქართული მოდელი, ესტონურ მოდელში არსებული ზემოაღნიშნული ვალდებულებისაგან განსხვავებით, აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევას, ნებაყოფლობითობის პრინციპს უქვემდებარებს. აღნიშნული შესაძლებლობის ამოქმედების ვადა, როგორც აქამდე აღინიშნა, საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ყველა წევრისათვის იდენტურია.

სწორედ, ზემოაღნიშნული ფაქტი არის ერთ-ერთი ასპექტი, იმ მთავარი განმასხვავებელისა, რომელიც საქართველოსა და ესტონეთში არსებულ დაგროვებით საპენსიო მოდელებს შორის გამოიკვეთა. დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონი არ ითვალისწინებს, საქართველოში მოქმედი საპენსიო სააგენტოს ანალოგის არსებობას, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა შენატანების განკარგვაზე. ამის ნაცვლად, ესტონეთში მოქმედებს საპენსიო რეგისტრი, რომელიც ასრულებს იმ ფუნქციას მცირე ნაწილს, რასაც საპენსიო სააგენტო საქართველოში.

ესტონეთის საპენსიო რეგისტრის ფუნქციებში შედის: დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შენახვა, მათ შორის სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართული საპენსიო ფონდების პაიების; ასევე - ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაციის დამუშავება; ფასიან ქაღალდებზე მფლობელობის უფლების შეცვლა, დაკრედიტების ოპერაციების რეგისტრაცია და რეგისტრში დარეგისტრირებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები. რეგისტრი ასევე ახორციელებს აღრიცხვას და ინახავს ინფორმაციას, ინდივიდების მიერ დაწერილი, დაგროვებით პენსიასთან და ფონდების შერჩევასთან დაკავშირებული, განცხადებების შესახებ; ასევე - შენატანების, შეძენილი პაიების, გადახდების, ფონდების შეცვლისა და სხვა ოპერაციების შესახებ, რომლებიც კავშირშია დაგროვებით პენსიასთან.

საქართველოსა და ესტონეთის საპენსიო მოდელების შედარებით ანალიზზე დაყრდნობით ლოგიკურია, რომ საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ არ ითვალისწინებს ინდივიდის მიერ აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის ვალდებულებას. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საპენსიო სააგენტო, ყველაფერთან ერთად, ითავსებს უმთავრეს ფუნქციას, რომელიც გულისხმობს, დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში, ინდივიდების მიერ განხორციელებული შენატანების შედეგად, აკუმულირებული თანხების ინვესტირებას. ესტონეთში აღნიშნულ ფუნქციას, საპენსიო ფონდები ასრულებენ. შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთის დაგროვებითი საპენსიო მოდელი ბაზარზე მეტად კონკურენტული გარემოს შექმნას უზრუნველყოფს, მაშინ, როდესაც საქართველოს

კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი, მსგავსი გარემოს შექმნის მხოლოდ სავარაუდო შანსს ტოვებს.

გარდა ყველა ზემოაღნიშნული ასპექტისა, ხაზგასასმელია, რომ საქართველოს საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს 4 წევრიდან სამი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია. აღნიშნულით, კიდევ ერთხელ იკვეთება ის ფუნდამენტური განსხვავება ქართულ და ესტონურ მოდელებს შორის, რომელიც დაგროვებითი პენსიის მიმართულებით სახელმწიფოს ჩართულობის ხარისხს უკავშირდება. ესტონეთის დაგროვებით საპენსიო სისტემას სრულად კერძო სექტორი ემსახურება, მაშინ როდესაც საქართველოში, შეზღუდული არჩევანის პირობებში, მხოლოდ საპენსიო სააგენტო უზრუნველყოფს დაგროვებითი საპენსიო სქემის მომსახურებას, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს მაღალი ჩართულობით.

ესტონური გამოცდილების მიუხედავად, კერძო სექტორის გვერდის ავლით, საქართველოში საპენსიო სააგენტოს შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია წევრ ინდივიდთა ინტერესების მაქსიმალურ დაცულობაზე, მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საპენსიო სააგენტოსთვის, ასევე საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეისობით საპენსიო სააგენტოში შენატანების ერთწლიანი ისტორიის შედეგად, აკუმულირებული თანხების 100% საბანკო ანგარიშებზეა განთავსებული, ეს გარემოება მყარ საფუძველს ქმნის, კომერციული ბანკების როლის გაძლიერების საკითხის აქტუალიზაციისათვის. საპენსიო აქტივების ინვესტირების მიმართულებით არსებული შეფერხება, ინდივიდების საპენსიო დანაზოგებზე სარგებლის დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს. აღნიშნული გარემოების გაუმჯობესება, დროებითი ცვლილებების განხორციელების შედეგად მარტივად მისაღწევია; კომერციული ბანკებისათვის, მათი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, საპენსიო თანხების ინვესტირების უფლების მინიჭებით; შედეგად, შესაძლებელი გახდება, ინდივიდების საპენსიო შენატანებზე დღესდღეისობით არსებული სარგებლის მაჩვენებლის ზრდა, რაც, ამავდროულად, დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრთა საპენსიო აქტივებისა და საპენსიო ასაკისათვის მისაღები პენსიის ზრდას გამოიწვევს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე მსჯელობის საგანია, ხარჯების თვალსაზრისით თუ რამდენად გამართლებულია, საპენსიო სააგენტოს არსებული ფორმით შექმნა. იმის გათვალისწინებით, რომ საპენსიო სააგენტოს პირველი 3 წლის ბიუჯეტი 100 პროცენტით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ეს შეიძლება საპენსიო სააგენტოს შექმნის იდეის ერთ-ერთ სუსტ მხარედ მივიჩნიოთ. აღნიშნული მსჯელობას ასევე ამყარებს, ესტონური გამოცდილება; იმ პირობებში როდესაც ბანკებს, ყველანაირი საჭირო რესურსი აქვთ იმისათვის, რომ დაგროვებითი პენსიისათვის განკუთვნილი თანხები ეფექტიანად განკარგონ, საპენსიო სააგენტოს შექმნის იდეა, მისი არსებობის ერთწლიანი ისტორიის ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებულობის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ რომ საპენსიო სააგენტოს ზედამხედველობის ფუნქციას, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში მყოფი აღმასრულებელი ხელისუფლების წევრთა მეშვეობით, სახელმწიფო ახორციელებს, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების ეკონომიის მიზნით, დაგროვებითი საპენსიო სქემის ზედამხედველობის ფუნქციის, კონკრეტული სახელმწიფო უწყებისათვის გადაცემა, საპენსიო სისტემის ეფექტიანობას გაზრდის.

ესტონური მოდელით გათვალისწინებულია დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვის სამი შესაძლებლობა: ინტერნეტის, საბანკო ფილიალების ან სადაზღვევო კომპანიების მომსახურების მეშვეობით. განაცხადი ხვდება ესტონეთის ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ რეესტრში, რის საფუძველზეც რეესტრი გაწევრებული ინდივიდისათვის საპენსიო ანგარიშის გახსნას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება იმ ინდივიდებს, რომელთაც დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონი ავალდებულებს საპენსიო სისტემის მეორე საფეხურში (სავალდებულო დაგროვებითი პენსია) ჩართვას, მათ ფონდის შერჩევასთან დაკავშირებული განცხადების დაწერა, ზემოაღნიშნულ ნებაყოფლობით გაწევრებულთაგან განსხვავებით, არ ევალებათ. ასეთ შემთხვევაში, თუ დაგროვებით საპენსიო სქემაში, სავალდებულო წესით გაწევრებული ინდივიდი არ დაწერს განცხადებას ფონდის შერჩევასთან დაკავშირებით, ესტონეთის ფასიანი ქაღალდების რეესტრი საბაჟო-საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით, კონკრეტული ინდივიდისათვის ხსნის საპენსიო ანგარიშს და მის მიერ განხორციელებულ შენატანებს კენჭის ყრით განსაზღვრულ საპენსიო ფონდში მიმართავს. კენჭის ყრაში ჩართულია ყველა კონსერვატიული სტრატეგიის მქონე ფონდის მმართველი კომპანია, ანუ ფონდები, რომლებიც ინვესტირებას მხოლოდ ობლიგაციებში ახორციელებენ.

კენჭის ყრის მეშვეობით, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო შენატანების განსახორციელებლად, ფონდი განისაზღვრება იმ ინდივიდებისათვის, რომლებიც 1983 წელს და მომდევნო წლებში დაიბადნენ, ანუ სავალდებულო წესით გაწევრებულთათვის, რომელთაც, დაგროვებით საპენსიო სქემაში პირველი შენატანის განხორციელებამდე არ ჰქონდათ დაწერილი განცხადება ფონდის შერჩევასთან დაკავშირებით და არ აქვთ გახსნილი საპენსიო ანგარიში. კენჭის ყრა ტარდება მას შემდეგ, რაც ინდივიდის ხელფასიდან პირველი შენატანი განხორციელდება.

თუ ინდივიდი გადაწყვეტს კენჭის ყრის შედეგად შერჩეული ფონდის შეცვლას, მან უნდა დაწეროს განცხადება დაგროვებითი საპენსიო ფონდის შერჩევასთან დაკავშირებით, რომელშიც მიუთითებს მისთვის მისაღებ ფონდს, სადაც სურს, რომ მიიმართოს მის მიერ განხორციელებული შენატანები. დაფიქსირებული არჩევანი დაუყოვნებლად შევა ძალაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ არა მარტო ნებაყოფლობითად გაწევრების უფლების გამოყენებისას, არამედ, ასევე სავალდებულო გაწევრების ფარგლებში, ესტონეთის კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ ითვალისწინებს გაწევრებული ინდივიდისათვის საპენსიო ფონდის უპირობო შერჩევას. საქართველოს შემთხვევაში, კი, ისევე როგორც ნებაყოფლობითად გაწევრების უფლების მქონე ინდივიდებთან მიმართებით, დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს, საპენსიო სააგენტოს ან დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით გაწევრებულ ინდივიდთა მიერ, რომელიმე კონკრეტული ფორმით, აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის ვალდებულებას.

საპენსიო ფონდებში ინდივიდების შენატანების შედეგად აკუმულირებული თანხების ინვესტირებას, ფონდების მმართველები ახორციელებენ. ესტონეთში არსებული ყველა ფონდის მმართველი, ფონდის მართვის შესახებ ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემულ, ატესტირებულ მოწმობას უნდა ფლობდეს.

ფონდის მმართველი ხელფასს იღებს იმ კომპანიისგან, რომელსაც თავად მართავს. აღნიშნული კომპანია არის ფირმა, რომელიც ფონდებსა და კერძო საინვესტიციო პორტფელებს მართავს. მმართველი კომპანია ფონდის ბუღალტრულ მომსახურებას, ასევე გაყიდვებსა და სხვა ფუნქციებს უზრუნველყოფს. ერთი მმართველი კომპანია შეიძლება რამდენიმე ფონდს მოიცავდეს და შესაბამისად, რამდენიმე მმართველი ჰყავდეს დაქირავებული.

ფონდის აქტივები განთავსებულია ფონდისათვის სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე სადეპოზიტო ბანკში. ფონდი აფორმებს ბანკთან (დეპოზიტართან) ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ბანკი იღებს ვალდებულებას ფონდის აქტივების შენახვასთან და მმართველი კომპანიის საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებით. სადეპოზიტო ბანკი ესტონეთში შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბანკი, რომელსაც ესტონეთის ცენტრალური ბანკისაგან შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ნებართვა აქვს მიღებული. დეპოზიტარი ბანკი ინვესტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს მთელ ჯაჭვში, რადგან სწორედ სადეპოზიტო ბანკშია განთავსებული ფონდის და შესაბამისად ინვესტორების აქტივები.

ფონდის საქმიანობა კონტროლდება სამ დონეზე:

- პირველ დონეზე, უშუალოდ, მმართველი კომპანიის მიერ, რომელიც ფონდის მიერ წაყენებული პირობების შესრულებასა და სამართლებრივ გამართულობაზეა პასუხისმგებელი. მმართველ კომპანიაში აღნიშნულ კონტროლს შიდა მაკონტროლებელი ან შიდა აუდიტორი უნდა ახორციელებდეს;
- მეორე დონეზე, სადეპოზიტო ბანკის მიერ, რომელიც პაის რეალური ღირებულების სწორად დაანგარიშებაზეა პასუხისმგებელი. კონტროლის განხორციელებისათვის ბანკს უფლება აქვს მმართველი კომპანიიდან

გამოითხოვოს ნებისმიერი ანგარიში და ფასის დადგენის პროცესში უშუალოდ ჩაერიოს;

- მესამე დონეზე, ფინანსური ინსპექციის მიერ, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა. ფინანსური ინსპექცია, როგორც სადეპოზიტო ბანკზე, ასევე მმართველ კომპანიაზე ახორციელებს კონტროლს. კომპანიას არ აქვს უფლება მართოს ფონდი, თუ ის, ფინანსური ინსპექციის შესაბამის ნებართვას არ ფლობს. კონკრეტულ ფონდს საქმიანობის დაწყება შეუძლია, მხოლოდ ფინანსურ ინსპექციაში მისი პირობების დარეგისტრირების შემდეგ. მოქმედი ფონდის მხრიდან ფინანსურ ინსპექციაში რეგულარულად იგზავნება ფონდისა და მმართველი კომპანიის საქმიანობის ანგარიში. ინსპექცია, ასევე, უფლებამოსილია ადგილზე მოახდინოს მათი საქმიანობის მონიტორინგი; ასეთ შემთხვევაში, ფინანსურ ინსპექცია სარგებლობს შეუზღუდავი წვდომის უფლებით მმართველი კომპანიის დოკუმენტებსა და ინფორმაციის მატარებლებზე; ასევე უფლებამოსილია, მოახდინოს სამუშაო პროცესზე დაკვირვება.

მაკონტროლებლის ფუნქციის გარდა, ფინანსური ინსპექცია წარმოადგენს ინდივიდების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელ ორგანოს, რომელიც არის გარანტორი მის მიერ გაცემული ნებართვის მქონე მმართველი კომპანიების სანდოობასთან მიმართებით. ინდივიდების შენატანების მაქსიმალურ დაცულობას ფინანსური ინსპექცია უზრუნველყოფს, საპენსიო ფონდების მართვის სურვილის მქონე მხოლოდ იმ მმართველი კომპანიებისათვის ნებართვის გაცემით, რომელთა მმართველები და მუშაკები კომერციული რეპუტაციის, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მხრივ დაწესებულ მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. საპენსიო ფონდის მმართველი შესაძლებელია გახდეს პირი, რომელიც უშუალოდ ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემულ საპენსიო ფონდის მმართველის დამადასტურებელ დოკუმენტს ფლობს. ამ უკანასკნელის მისაღებად, საპენსიო ფონდის მმართველობის პრეტენდენტმა უნდა ჩააბაროს გამოცდა. ამასთან ერთად საპენსიო ფონდის მმართველს უნდა ჰქონდეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საინვესტიციო ფონდის მართვის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება ან სინვესტიციო პორტფელის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის სამწლიანი გამოცდილება.

ფინანსური ინსპექცია ასევე ამოწმებს საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის მფლობელთა სტრუქტურას და იმ ცვლილებებს, რომელიც შესაძლოა მოხდეს ნებართვის გაცემის შემდეგ. ფინანსური ინსპექციის მოთხოვნები დამყარებულია გამჭვირვალობასა და ეფექტიან კონტროლზე, სწორედ ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლია იურიდიულ პირს საპენსიო ფონდის მნიშვნელოვანი წილის ფლობა.

საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფინანსურ ინსპექციას უფლება აქვს გამოიყენოს მის მიმართ სანქციები, რომლის უმაღლესი ფორმა ლიცენზიის შეჩერებაა. მას ასევე უფლება აქვს, მმართველ კომპანიას გაუწეროს სავალდებულო სამოქმედო გეგმა.

მმართველი კომპანიის მხრიდან, საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხების სადეპოზიტო ბანკისათვის დეპონირება ხდება. გარდა ამისა, სადეპოზიტო ბანკი პასუხისმგებელია, ფონდის პაიების გამოშვებისა და გამოსყიდვის, ასევე პაიების რეალური ღირებულების გამოთვლისა და საპენსიო ფონდის საკანონმდებლო აქტებთან და ვალდებულებებთან, საფონდო შემოსავლების გამოყენების შესაბამისობაზე. სადეპოზიტო ბანკად შეიძლება განხილულ იქნას საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ესტონეთის ცენტრალური ბანკის მიერ გაცემულ სადეპოზიტო საქმიანობის ლიცენზიას ფლობს.

იმ შემთხვევაში, თუ სადეპოზიტო ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის საქმიანობის, საპენსიო ფონდის სამართველბრივ აქტებთან ან პირობებთან, ან სადეპოზიტო ხელშეკრულებასთან, შეუსაბამობა იკვეთება, სადეპოზიტო ბანკი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლად აცნობოს ფინანსურ ინსპექციასა და მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს. სადეპოზიტო ბანკს, ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება, საპენსიო ფონდის, პაიების მფლობელების ან ფონდის მმართველი კომპანიისათვის მიყენებულ ზიანზე.

ესტონეთის საპენსიო სისტემის მეორე საფეხურის საპენსიო ფონდების აუდიტს, მმართველი კომპანიების აუდიტორები ახორციელებენ. საპენსიო ფონდის აუდიტორი წლიურ ანგარიშს მის დადასტურებამდე ამოწმებს და იგი ვალდებულია,

შემოწმების პროცესში, დაუყოვნებლად აცნობოს ფინანსურ ინსპექციას ნებისმიერი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლებელია გამოიწვიოს: საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიისა ან სადეპოზიტო ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შეუსრულებლობა; საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის საქმიანობის არასრულფასოვანი შესრულება ან შეწყვეტა; გარემოება ან გარემოების წარმოქმნის საფრთხე, რომლის შედეგად, ფონდის მმართველი კომპანია ან სადეპოზიტო ბანკი, ვერ შეძლებს საკუთარი ვალდებულებების შესრულებას; საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან მმართველი რგოლის წარმომადგენლის ან მათი მუშაკის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელმაც მიაყენა ან შესაძლებელია მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი მმართველ კომპანიას, მათი მართვის ქვეშე მყოფი ფონდის პაიების მფლობელებს ან კომპანიის სხვა კლიენტებს.

დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთში მოქმედი კანონის მიხედვით, საპენსიო ფონდის მმართველი კომპანია ვალდებულია შიდა კონტროლის მაღალი ხარისხი უზრუნველყოს. ამისათვის ინიშნება ერთი ან რამდენიმე მუშაკი ან ფორმდება აუდიტორთან ხელშეკრულება, რომელიც იღებს ვალდებულებას შიდა აუდიტორის ფუნქციის შესრულების შესახებ. პირი, რომელიც შიდა კონტროლს განახორციელებს, არ უნდა იყოს დაკავშირებული ან რაიმე სახით დამოკიდებული იმ ქვედანაყოფებთან ან მუშაკებთან, რომელთა საქმიანობის შემოწმება შედის მის მოვალეობაში.

შიდა აუდიტორი ვალდებულია შეამოწმოს საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის, მისი მმართველი რგოლისა და მუშაკების საქმიანობის შესაბამისობა: სამართლებრივ აქტებთან, შიდა ინსტრუქციებთან, საბუღალტრო საქმიანობის კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნასთან, სადეპოზიტო ხელშეკრულებასთან, მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებებთან და სხვა. კომპანიის მმართველი რგოლი თავის მხრივ ვალდებულია, უზრუნველყოს შიდა აუდიტორისათვის ყველა პირობის შექმნა, საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად. აღნიშნული პირობები ასევე გულისხმობს, საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის მმართველი რგოლიდან, აუცილებელი ახსნა-განმარტებების ან/და ინფრომაციის მიღებისა და შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრასთან

დაკავშირებით, შეთავაზებული გზების აღსრულების პროცესზე დაკვირვების უფლებას.

შიდა აუდიტორი ვალდებულია, საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამო ან კლიენტის ინტერესების დამაზიანებელი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ აცნობოს ფინანსურ ინსპექციას, ასევე - მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველ რგოლს.

ამრიგად, ესტონეთის საპენსიო მოდელში საქართველოს საპენსიო მოდელისაგან განსხვავებით, ფუნქციები სხვაგვარად არის გადანაწილებული. საქართველოს შემთხვევაში, ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები და ვალდებულებები სრულებით არ ემთხვევა ესტონეთის ცენტრალური ბანკის როლს დაგროვებით საპენსიო სისტემაში. ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონით გაწერილი ფუნქციები, ესტონეთის ფინანსური ინსპექციის ფუნქციებთან არა მარტო თანხვედრაში მოდის, არამედ გარკვეულ შემთხვევებში ერთი ერთში იმეორებს მას.

ესტონეთის ცენტრალური ბანკი, ისევე როგორც საქართველოს ეროვნული ბანკი დეპოზიტარის განსაზღვრის საკითხში იდენტური ფუნქციებით ხასიათდებიან. დაგროვებითი საპენსიო სქემის აღნიშნული მიმართულება, ორი ქვეყნის ინსტიტუციათა ფუნქციებს შორის, შეიძლება ერთადერთ, სრულ მსგავსებად ჩაითვალოს.

რაც შეეხება, საქართველოს დაგროვებით საპენსიო სქემაში სპეციალიზებული დეპოზიტარის ეროვნული ბანკისადმი ანგარიშვალდებულებას, აღნიშნულის შესახებ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში ჩანაწერს არ ვხვდებით. ეროვნული ბანკი თავად ახორციელებს სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის მონიტორინგს, მაშინ როდესაც, აღნიშნული მიმართულებით ესტონეთის ცენტრალური ბანკის ჩართულობა, დეპოზიტარისათვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ნებართვის გაცემით სრულდება. ამასთან, ესტონეთის დაგროვებითი საპენსიო სქემისაგან განსხვავებით, სპეციალიზებული დეპოზიტარი, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არ წარმოადგენს

კონტროლის ჯაჭვში ჩართულ ერთ-ერთ რგოლს და აღნიშნული კუთხით მისი ფუნქციები, მხოლოდ საპენსიო აქტივების შექმნისა და განკარგვის თაობაზე დოკუმენტების, საქართველოს კანონმდებლობასთან და საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან, შესაბამისობის უზრუნველყოფით შემოიფარგლება. მიუხედავად ამისა, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში იძებნება ჩანაწერი, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: „სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა პერიოდულად უნდა განახორციელოს აქტივების მმართველი კომპანიისა და საპენსიო სააგენტოს საქმიანობის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს კანონმდებლობითა და საპენსიო სააგენტოს წესებით/პოლიტიკით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით“.¹²⁰

იმ პირობებში, როდესაც ესტონური მოდელის მიხედვით, სადეპოზიტო ბანკი, საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის მაკონტროლებელს წარმოადგენს და ამასთანავე, მას ფინანსური ინსპექციის წინაშე ანგარიშვალდებულება გააჩნია, საქართველოს შემთხვევაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად, სპეციალიზებული დეპოზიტარს საპენსიო სააგენტოსა და აქტივების მმართველი კომპანიის კონტროლის ვალდებულება ეკისრება. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ახორციელებს სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის მონიტორინგს და ფინანსური ან ორგანიზაციული მდგომარეობის გაუარესების ან შესაძლო გაუარესების შესახებ, ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, საპენსიო სააგენტოს აცნობებს.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში იძებნება ჩანაწერი, რომელიც, სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულების ნებისმიერი არსებითი დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების, სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზიის გაუქმების ან სპეციალიზებული დეპოზიტარის წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში, სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტას გულისხმობს; მაგრამ, ესტონური

¹²⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10/4. 17.12.2019.

მოდელისაგან განსხვავებით, კანონში არ გვხვდება ჩანაწერი, საპენსიო ფონდის, აქტივების მმართველი კომპანიისა ან დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრთათვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლო მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, სპეციალიზებული დეპოზიტარის პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნულ საკითხი, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში არსებული ჩანაწერით არის გათვალისწინებული: „დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა უნდა უზრუნველყოს საპენსიო სქემის აქტივების (ფულადი სახსრები, დეპოზიტები და სხვა აქტივები) მიღება, შენახვა და მათი რეესტრის წარმოება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად“.¹²¹ იმავე ბრძანების საფუძველზე, სპეციალიზებული დეპოზიტარი უფლებამოსილია, ეროვნულ ბანკთან წინასწარი შეთანხმებით, წინამდებარე ფუნქციის დელეგირება მოახდინოს მესამე პირზე. „ამასთან, მესამე პირის მიერ ნებისმიერი შემდგომი დელეგირება მოითხოვს ეროვნული ბანკის წინასწარ თანხმობას. დელეგირებული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანაკარგზე, დარღვევაზე ან უზუსტობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება სპეციალიზებულ დეპოზიტარს“.¹²²

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, ესტონურ მოდელსა და ქართულ მოდელს შორის, დეპოზიტარის პასუხისმგებლობასთან მიმართებით, მსგავსება ცალსახაა. „სპეციალიზებული დეპოზიტარი პასუხისმგებელია საპენსიო სქემის მონაწილეების დანაკარგებზე, რომლებიც გამოწვეულია მასზე დაკისრებული დეპოზიტარის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო“.¹²³ ამასთან, „სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა უნდა უზრუნველყოს მასთან შენახული საპენსიო სქემის აქტივების დაცვა დაკარგვისაგან; აქტივის დაკარგვის შემთხვევაში იგი ვალდებულია,

¹²¹ იქვე, მუხლი 10/2ა. 17.12.2019.

¹²² იქვე, მუხლი 10/6. 17.12.2019.

¹²³ იქვე, მუხლი 12/1. 17.12.2019.

დაუყოვნებლივ ჩაანაცვლოს აღნიშნული აქტივი იდენტური აქტივით ან აანაზღაუროს დაკარგული აქტივის სრული საბაზრო ღირებულება“.¹²⁴

მოდელს შორის, ზემოაღნიშნული მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა, მსჯელობის საგანი გახდეს, თუ რამდენად გამართლებული იყო ესტონური გამოცდილებიდან გამომდინარე, მაკონტროლებელ ორგანოდ არა სამთავრობო ინსტიტუტის არამედ ეროვნული ბანკის სახით დამოუკიდებელი ინსტიტუტის შერჩევა. ამ საკითხის შეფასება, მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც საპენსიო სააგენტო სრულად შეასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს სრულფასოვან საქმიანობას.

რაც შეეხება აუდიტის საკითხს, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით საპენსიო სააგენტო არის საქართველოს შრომის ბაზარზე დასაქმებული ინდივიდების შენატანების ერთადერთი მმართველი, არანაირი მსგავსება არ იკვეთება ესტონურსა და ქართულ მოდელს შორის. საპენსიო სააგენტოს წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებას, საქართველოს პარლამენტის მიერ შერჩეული მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი მოახდენს. გარდა ამისა, საპენსიო სააგენტოში იქმნება შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. იმ პირობებში, როდესაც შიდა აუდიტის სამსახური, ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და არა, ამავდროულად ეროვნული ბანკის წინაშე, ადგილი აქვს ესტონურ მოდელთან შეუსაბამობას; ესტონურ მოდელში შიდა აუდიტორი ანგარიშვალდებულია, როგორც ფინანსურ ინსპექციის, ასევე მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი რგოლის მიმართ, ხოლო საქართველოში, ფინანსური ინსპექციის თითქმის იდენტური ფუნქციები კანონმდებლობით ეროვნულ ბანკს აქვს დაკისრებული; აღნიშნული ფაქტი გარკვეულწილად ფუნქციების აღრევის ნიშნებს შეიცავს, რამაც შესაძლოა საბოლოო ჯამში საპენსიო სააგენტოს ეფექტიანი მართვისა და კონტროლის პროცესს საფრთხე შეუქმნას.

¹²⁴ იქვე, მუხლი 12/2. 17.12.2019.

ესტონურ მოდელთან ზემოაღნიშნული მიმართულებით მეტი მსგავსება შესაძლოა 2021 წლის 1 იანვრიდან, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის ამოქმედების შედეგად გამოიკვეთოს, რაც გულისხმობს დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრთათვის აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) არჩევის უფლების მიცემას; მაგრამ აღნიშნული კანონის შინაარსს, ინდივიდისათვის მინიჭებული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაჰყავს, რის საფუძველზეც შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ საპენსიო სააგენტო სავალდებულო წესით გაწევრებულ ინდივიდთა სეგმენტის აქტივების ერთპიროვნულ მმართველად, მრავალი წლის განმავლობაში დარჩება. რაც შეეხება არასამიზნე სეგმენტს, რომელშიც შედიან ნებაყოფლობით გაწევრებული ინდივიდები და ინდივიდები, რომლებმაც მიუხედავად არსებული შესაძლებლობისა არ ან ვერ დატოვეს დაგროვებითი საპენსიო სქემა, მათ განსხვავებით სამიზნე სეგმენტისაგან დადგენილი ზღვრების გარეშე შეუძლიათ არსებული საპენსიო აქტივების ან/და საპენსიო შენატანების სრული მოცულობის ან მისი ნაწილის სამართავად აირჩიონ აქტივების მმართველი კომპანია(კომპანიები); მაგრამ ამ შემთხვევაშიც, მათ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აკუმულირებული თანხის მოცულობიდან, ასაკობრივი ფაქტორიდან, რისკისადმი ლოიალურობიდან და შესაბამისი ცოდნის დონის არ ქონიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევების მაღალი მაჩვენებელი ნაკლებად სააღბათოა და საბოლოო ჯამში საქართველოს ბაზარზე მონოპოლიას ისევ საპენსიო სააგენტო შეინარჩუნებს, რაც შესაბამისობაში არ მოდის, როგორც ესტონურ მოდელთან, ასევე ევროპულ მიდგომასთან.

ესტონეთის ბაზარზე ფუნქციონირებს არაერთი საპენსიო ფონდი; დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებს ფონდის თავისუფლად არჩევა შეუძლიათ:

1) “Luminor A Pluss” აგრესიული სტრატეგიის საპენსიო ფონდი, რომელიც ესტონეთის ბაზარზე 2009 წლიდან ფუნქციონირებს, აქტივების 100%-მდე ინვესტირებას ახორციელებს აქციებში და შესაბამისი რისკის დონის მქონე აქტივებში. დარჩენილი აქტივების ინვესტირება ხდება ობლიგაციებში, დეპოზიტებში და საფინანსო ბაზრის მსგავს ინსტრუმენტებში. აუცილებლობის

შემთხვევაში, ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფონდს შეუძლია აქტივების 100% დააბანდოს ობლიგაციებში და დეპოზიტებში, რაც ინდივიდისათვის საკუთარი აქტივების დაცულობის მყარი გარანტიაა;

2) “Luminor A” საპენსიო ფონდი (ფუნქციონირებს 2008 წლიდან) პროგრესული სტრატეგიით, რომელიც აქტივების 60%-მდე ინვესტირებას ახორციელებს აქციებში და შესაბამისი რისკის დონის მქონე აქტივებში. დარჩენილი აქტივების ინვესტირება ხდება ობლიგაციებში, დეპოზიტებში და ფინანსური ბაზრის მსგავს ინსტრუმენტებში. აუცილებლობის შემთხვევაში, ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფონდს შეუძლია აქტივების 100% დააბანდოს ობლიგაციებში და დეპოზიტებში, რაც ინდივიდისათვის საკუთარი აქტივების დაცულობის მყარი გარანტიაა. იმის გათვალისწინებით, რომ ფონდი ორიენტირებულია სავალდებულო დაგროვებითი პენსიისათვის განკუთვნილი თანხების აკუმულირებასა და ზრდაზე, ის შესაძლოა, არ იყოს ხელსაყრელი იმ ინვესტორებისათვის, რომლებიც პაის შეძენიდან 10 წელზე ადრე აპირებენ თანხის გატანას;

3) “Luminor B” საპენსიო ფონდი (ფუნქციონირებს 2008 წლიდან), რომელიც სტრატეგიაში, განხილული ფონდებისაგან განსხვავებით, ზომიერებით გამოირჩევა და აქტივების მხოლოდ 30%-მდე ინვესტირებით იფარგლება აქციებსა და შესაბამისი რისკის დონის მქონე აქტივებში. დარჩენილი აქტივების ინვესტირება ხდება ობლიგაციებში, დეპოზიტებში და საფინანსო ბაზრის მსგავს ინსტრუმენტებში. ზომიერებაზე ორიენტირებული სტრატეგიიდან გამომდინარე, ყალიბდება მოდელი, როდესაც მაღალი რისკის ჯგუფში და დაბალი რისკის ჯგუფში შემავალი ბაზრები აბალანსებენ ერთმანეთს და ამით ხელი ეწყობა მიზნის მიღწევას ზომიერი რისკის ფარგლებში. აუცილებლობის შემთხვევაში, ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფონდს შეუძლია აქტივების 100% დააბანდოს ობლიგაციებში და დეპოზიტებში, რაც ინდივიდისათვის საკუთარი აქტივების დაცულობის მყარი გარანტიაა. იმის გათვალისწინებით, რომ ფონდი ორიენტირებულია სავალდებულო დაგროვებითი პენსიისათვის განკუთვნილი თანხების აკუმულირებასა და ზრდაზე, ის შესაძლოა, არ იყოს ხელსაყრელი იმ ინვესტორებისათვის, რომლებიც პაის შეძენიდან 3 წელზე ადრე აპირებენ თანხის გატანას;

4) “Luminor C” არის საპენსიო ფონდი (ფუნქციონირებს 2008 წლიდან), რომელიც აქტივების ინვესტირებას მხოლოდ მაღალი სანდოობის ობლიგაციებში, დეპოზიტებსა და ფინანსური ბაზრის მსგავს ინსტრუმენტებში ახორციელებს. აქედან გამომდინარე, მისი სტრატეგია არის კონსერვატიული და სარგებლობს სრული უფლებით, მონაწილეობა მიიღოს კენჭის ყრის პროცესში, რომელიც ემსახურება იმ ინდივიდებისათვის საპენსიო ფონდის შერჩევას, რომლებიც კანონის მიხედვით ვალდებული არიან გაწევრდნენ დაგროვებით საპენსიო სქემაში. აღნიშნული სტრატეგიიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ძლიერი მოკლევადიანი რყევების თავიდან აცილება. სარგებლის მაღალი განაკვეთის არსებობის შემთხვევაში, ფონდს შეუძლია აქტივების დიდი ნაწილი დეპოზიტებზე განათავსოს, რაც განაპირობებს ობლიგაციების ბაზარზე შესაძლო რყევებისაგან მაქსიმალურ დაცულობას. ასევე, აღნიშნულ ფონდში ინვესტირება, არ იქნება იმ ინვესტორისათვის ხელსაყრელი, რომელიც პაის შექმნიდან 3 წელზე ადრე აპირებს თანხის გატანას.

ლუმინორის სახელწოდებით გაერთიანებული ყველა საპენსიო ფონდის მმართველ კომპანიას წარმოადგენს “Luminor Pensions Estonia AS” (ფუნქციონირებს 2008 წლიდან), ხოლო 100%-იანი წილის მფლობელს - “Luminor Bank AS”. საპენსიო ფონდებს არ ჰყავთ სხვადასხვა მმართველები და მეტიც ერთი მმართველის მიერ იმართება ყველა საპენსიო ფონდი. რაც შეეხება ფონდების მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, “Luminor C” ფონდის გარდა, ხარჯები შეადგენს ფონდის აქტივების 1.03%-ს წელიწადში, ხოლო “Luminor C” ფონდის მართვისათვის გაწეული დანახარჯი - 0.70%-ს; აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ “Luminor C” ტიპის ფონდები, სხვებთან შედარებით, უფრო მაღალი საიმედოობითა და დაბალი დანახარჯებით ხასიათდებიან.

ესტონეთის ბაზარზე “AS LHV Group”-ის მფლობელობაში არსებული რამდენიმე საპენსიო ფონდი ფუნქციონირებს, რომელთაც კომპანია “AS LHV Varahaldus” (ფუნქციონირებს 1999 წლიდან) მართავს. ეს უკანასკნელი მართავს შემდეგ საპენსიო ფონდებს: “LHV”, “LHV L”, “LHV M”, “LHV S”, “LHV XL”, “LHV XS”, “LHV index”. თითოეული მათგანი ბაზარზე განსხვავებული სტრატეგიით არის წარმოდგენილი; მაშინ, როდესაც “LHV” აგრესიული სტრატეგიით პოზიციონირებს, “LHV L” პროგრესული სტრატეგიით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, “LHV”-ს

აქტივების 100%-მდე, შესაბამისი ინსტრუმენტების მოძიების შემთხვევაში, ინვესტირება ხდება ესტონეთში და ესტონეთთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებში. ამავდროულად წილი ესტონეთთან დაკავშირებული ინსტრუმენტების საპენსიო ფონდში შეადგენს აქტივების ღირებულების არანაკლებ 50%-ს. ასევე ფონდის აქტივების სრული მოცულობის ინვესტირება, შესაძლებელია განხორციელდეს საფონდო ბაზრებზე. ამის გარდა, ფონდის ანგარიშიდან დასაშვებია 10%-მდე მოცულობის კრედიტის აღება. აქტივების გრძელვადიან, უპირატეს კლასს ფონდში, ესტონეთთან დაკავშირებული ინვესტიციები წარმოადგენენ. რაც შეეხება “LHV L”-ს, მისი აქტივების ინვესტირება ხდება დივერსიფიცირებულად, სხვადასხვა კლასის აქტივებში, როგორც ესტონურ ბაზრებზე ასევე მის ფარგლებს გარეთ. აქტივების გრძელვადიან, უპირატეს კლასს ფონდში, წარმოადგენს კერძო ინვესტიციები.

“LHV M” და “LHV S” (ფუნქციონირებენ 2002 წლიდან) სტრატეგიის ზომიერი სტილით ხასიათდებიან. მაშინ როდესაც, პირველი მათგანი აქტივების ინვესტირებისას უპირატესობას ანიჭებს ფულადი სახსრების მიმოქცევასთან დაკავშირებულ აქტივებს ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც მოიცავს დაბალლიკვიდურ ინვესტიციებს კერძო კაპიტალსა და უძრავ ქონებაში; მეორესთვის, ფონდის აქტივების ძირითად საინვესტიციო მიმართულებას ობლიგაციები წარმოადგენს. ამასთან ერთად აქტივების ინვესტირება შეიძლება განახორციელოს საინვესტიციო კლასზე დაბალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ობლიგაციებში. ასევე დასაშვებია, ფონდის 25%-მდე აქტივების უძრავ ქონებაში, ინფრასტრუქტურულ ობიექტებში, ფონდის აქციებში და გაცვლად ობლიგაციებში ინვესტირება. ასევე ფონდის ანგარიშიდან შესაძლებელია გაიცეს კრედიტები; აღნიშნული შესაძლებლობით არ ხასიათდება პირველი ფონდი. ეს უკანასკნელი, ინვესტიციებს ახორციელებს უპირატესად სამამულო ვალუტაში. ასევე, დასაშვებია, მისი აქტივების საერთო ღირებულების 75%-ის აქციებში ინვესტირება. მაშინ, როდესაც “LHV M”-თვის გრძელვადიან პერსპექტივაში აქტივების ინვესტირებისათვის უპირატეს მიმართულებას უძრავი ქონება წარმოადგენს, “LHV S” საბირჟო სავალო ინსტრუმენტებზე აკეთებს აქცენტს.

რაც შეეხება “LHV XL”-სა (შეიქმნა 2002 წელს) და “LHV index”-ს (შეიქმნა 2016 წელს), ორივე ფონდი აგრესიული სტრატეგიით არის წარმოდგენილი ბაზარზე,

განსხვავებით “LHV XS”-სგან, რომელიც კონსერვატიული სტრატეგიით პოზიციონირებს და აქტივების არანაკლებ 90%-ის ინვესტირებას საკრედიტო რეიტინგის მქონე ობლიგაციებში, დეპოზიტებში, სხვა საინვესტიციო ფონდების პაიებში ან აქციებში ახორციელებს, რომლებიც ასევე თავის მხრივ, მაქსიმალურად დაბალი რისკის მატარებელ საინვესტიციო ინსტრუმენტებში ახდენენ ინვესტირებას. ფონდმა ასევე შეიძლება განახორციელოს ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში, რომელთა საბაზო აქტივს წარმოადგენს ძვირფასი მეტალი ან მათზე ფასი დამოკიდებულია ძვირფასი მეტალის ფასზე. ფონდში აქტივების გრძელვადიან უპირატეს კლასს, დაბალრისკიანი სავალდებულო ინსტრუმენტები წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, 2020 წელს “LHV Pensionifond Roheline”-ის შექმნა. ეს საპენსიო ფონდი აგრესიული სტრატეგიით პოზიციონირებს ბაზარზე, მაგრამ ამასთან, პოტენციურ ინვესტორებს განსხვავებულ საინვესტიციო პაკეტს სთავაზობს, რაც სრულად გამოარჩევს სხვა ფონდებისაგან. აქტივების ინვესტირებას ფონდი მწვანე გარემოს პრინციპზე აფუძნებს, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი ინვესტიცია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული და რესურსების დაზოგვაზე ორიენტირებული უნდა იყოს.

აღნიშნულ ჯგუფში, ყველაზე დაბალი მმართველობითი დანახარჯით, ასევე, კონსერვატიული სტრატეგიის მქონე საპენსიო ფონდი გამოირჩევა, რაც ამყარებს წინა შემთხვევაში გამოთქმულ მოსაზრებას. მაგრამ არსებობს განსხვავება მართვის მოდელთან მიმართებით, თუ ლუმინორის შემთხვევაში ერთი მმართველი მართავდა რამდენიმე საპენსიო ფონდს, აქ, უკვე, რამდენიმე პირზეა აღნიშნული პასუხისმგებლობა გადანაწილებული.

კიდევ ერთი მოთამაშე ესტონურ ბაზარზე არის “SEB Skandinaviska Enskilda Banken AB“ ჯგუფში შემავალი “AS SEB Pank”-ის მფლობელობაში არსებული მმართველი კომპანია “AS SEB Varahaldus” (შეიქმნა 1996 წელს), რომელიც მართავს “SEB” ნიშნის ქვეშ გაერთიანებულ, განსხვავებული სტრატეგიის მქონე, საპენსიო ფონდებს.

“SEB”-ის კონსერვატიული საპენსიო ფონდის სტრატეგია ძირითადად იმეორებს სხვა, უკვე განხილული ანალოგიური სტრატეგიის მქონე ფონდების

სტრატეგიას, ისევე როგორც მიზანს, მაგრამ ის კონკურენტებისაგან განსხვავდება დასახული მიზნის მიღწევის ინდივიდუალური ხედვით, რომელიც გულისხმობს, რომ გრძელვადიან პერიოდში საპენსიო ფონდში დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი, ინფლაციის დონეს უნდა უტოლდებოდეს. მსგავსი პრინციპი გრძელდება პროგრესულ, ოპტიმალურ და ენერგიულ საპენსიო ფონდებში, სადაც გრძელვადიან პერიოდში საპენსიო ფონდში დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი, ინფლაციის დონეს უნდა აღემატებოდეს.

გარდა ამისა 2019 წელს დარეგისტრირდა ახალი საპენსიო ფონდი “SEB 100”, რომელიც ფონდის აქტივების 100%-ის ინვესტირებას ახდენს აქციებში, რასაც თან სდევს მაღალი რისკის მაჩვენებელი და აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ ფონდის აქტივების ღირებულებამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადოს. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი აგრესიული ტიპის სტრატეგიის მქონე საპენსიო ფონდი “SEB index 100” 2016 წლიდან არის ბაზარზე, რომელსაც იდენტური საინვესტიციო პოლიტიკა აქვს, აქტივების 100%-მდე აქციებში ინვესტირება, რომლის მთავარი მიზანია შემოსავლიანობის იმ ნიშნულის მიღწევა, რომელიც ფიქსირდება აქციების გლობალურ ბაზრებზე; რაც ნიშნავს, რომ საპენსიო ფონდში დაბანდებული კაპიტალის ღირებულება, პირდაპირ დამოკიდებულია აქციების ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე; ასეთ დროს, კიდევ ერთი, თითქმის იგივე შინაარსის მქონე ფონდის ახალ მოთამაშედ შემოყვანა, როდესაც “SEB index 100” მისი არსებობის მესამე წელს, 2019 წლის სექტემბრიდან გააქტიურდა, მხოლოდ ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: 1. კვლევებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ესტონეთში პოპულარობის მზარდი ტენდენციით ხასიათდება მსგავსი საინვესტიციო პოლიტიკის მქონე ფონდები; ან 2. აქციების ბაზრებზე მიბმული შემოსავლიანობასთან დაკავშირებული აქცენტების, ისევე ინფლაციის მაჩვენებელზე გადმოტანა, (რაც გულისხმობს, რომ გრძელვადიან პერიოდში “SEB 100”-ის აქტივების ზრდის მაჩვენებელმა ინფლაციის მაჩვენებელს უნდა გადააჭარბოს) განსაზღვრული პერიოდის ბოლოს, წინამორბედთან შედარებით, ჩადებული თანხის სავარაუდო ღირებულების შესახებ, პროგნოზირების ხარისხს ზრდის; რაც მიუხედავად იმისა, რომ ორივე საპენსიო ფონდი რისკის მაჩვენებლის მიხედვით ერთ საფეხურზე დგას, “SEB 100”-ს გარკვეულ უპირატესობაში აყენებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ “SEB 100” არის

საპენსიო ფონდი, რომელიც გათვლილია ისეთ ინდივიდებზე, რომელთაც საპენსიო ასაკის მიღწევამდე დარჩათ 5 წელზე მეტი და რომელნიც მზად არიან დაგროვების პროცესში საპენსიო აქტივების ღირებულების მნიშვნელოვანი ცვალებადობისათვის.

რაც შეეხება “Swedbank Robur AB”-ს მფლობელობაში არსებულ მმართველ კომპანიას “Swedbank Investeerimisfondid AS” (შექმნა 1997 წელს), იგი მართავს Swedbank-ის ნიშნის ქვეშ გაერთიანებულ 5 საპენსიო ფონდს: Swedbank K10, Swedbank K100, Swedbank K1990-1999 indeks, Swedbank K30, Swedbank K60. მმართველობითი ხარჯები - კონსერვატიული სტრატეგიის მქონე ფონდში, ამ შემთხვევაშიც, გაცილებით ნაკლებია, სხვა ფონდებთან შედარებით (მმართველობითი ხარჯები: კონსერვატიული სტრატეგია - ფონდის აქტივების 0.29%; აგრესიული სტრატეგია - ფონდის აქტივების 0.67%). ასევე, განხილული ფონდები კონკურენტებისაგან სტრატეგიების შინაარსობრივი თვალსაზრისით, თითქმის არ განსხვავდებიან; მაგრამ რაც შეეხება, საპენსიო ფონდს “Swedbank K1990-1999 indeks“, იგი არის ერთადერთი ფონდი, რომელიც მსგავსი პირობებით არის წარმოდგენილი ესტონეთის ბაზარზე, რაც განპირობებულია მისი შექმნის განსხვავებული მოდელით; “Swedbank K1990-1999 indeks“ შეიქმნა, როგორც ე.წ. სასიცოცხლო ციკლის ფონდი, თაობის ფონდი, რომელიც გულისხმობს, რომ ფონდი შექმნილია განსაზღვრული დროით და მას შემდეგ, რაც დადგება მისი მოქმედების დასრულების თარიღი, 2066 წელი, ფონდი არსებობას შეწყვეტს.

ზემოაღნიშნული Swedbank-ის ნიშნის ქვეშ გაერთიანებული ფონდები, ისევე როგორც Luminor-ის შემთხვევაში, ერთი პირის მიერ იმართება.

განსხვავებით ყველა ზემოაღნიშნული კონკურენტი ფონდისაგან, საპენსიო ფონდი “Tuleva”, ახალი მოთამაშეა ესტონეთის ბაზარზე, იგი სტარტს 2017 წლიდან იღებს და სრულიად ახალი ხედვის დამკვიდრებას ცდილობს. მისი შესვლა ბაზარზე საკმაოდ ამბიციური და გამოცდილი კონკურენტების იმიჯის შემარყვევლი ნაბიჯებით გამოირჩეოდა, რაც დასახულ მიზნებშიც გამოიკვეთა. საპენსიო ფონდ “Tuleva”-ს გზავნილი ინდივიდებისადმი არის, რომ ისინი იმსახურებენ უფრო უკეთეს ვიდრე საბანკო ფონდებია. “Tuleva”-ს პასიური საინვესტიციო პოლიტიკა

გულისხმობს გრძელვადიან პერსპექტივაში, რისკების გადანაწილებას მსხვილი კომპანიების აქციებსა და სახელმწიფო ობლიგაციებზე.

“Tuleva”-ს მთავარი სტრატეგია ბაზარზე დამკვიდრებისათვის არის ის, რომ ეს ფონდი წარმოადგენს არა ინდივიდებისათვის ნაცნობ კიდევ ერთ საპენსიო ფონდს, არამედ - სოციალურ სტარტაპს და ადამიანთა ინტერესების დაცვაზე ორიენტირებულ მაღალეფექტიან სამოქალაქო ინიციატივას. მათი მხრიდან აქცენტები კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა: 1. საპენსიო დანაზოგების ჯაჭვში შუამავალი რგოლის გაქრობა. ეს გულისხმობს, დანახარჯების შემცირებას და საპენსიო შემოსავლების ზრდას; მაგალითად 29 წლის ასაკში 1800 ევროს ოდენობის შემოსავლების პირობებში, მეორე საფეხურის წევრი ინდივიდის საპენსიო ანგარიშზე, საპენსიო ასაკისათვის სხვა ესტონური საპენსიო ფონდებში დაახლოებით 225 442 ევრო დაგროვდება, საშუალო წლიური 1.2% გადასახდელის პირობებში, ხოლო აღნიშნულ ფონდში - 263 009 ევრო 0.46%-იანი წლიური გადასახდელით, რაც საშუამავლო მომსახურებაზე 37 567 ევროს ოდენობით ზედმეტად გაწეული დანახარჯის დაზოგვით მიიღწევა; 2. საპენსიო კანონმდებლობის დახვეწა. ამ კუთხით, ერთ-ერთ მთავარ მიღწევად ჩათვლილია, მათი ინიციატივა, რომელიც საპენსიო ფონდის შეცვლასთან დაკავშირებული გადასახდელის გაუქმებას გულისხმობდა, რის საფუძველზეც ინდივიდებმა ერთ წელში ჯამში 1.5 მილიონი ევრო დაზოგეს.¹²⁵

დასახელებული ფაქტები აჩვენებს, რომ “Tuleva”-ს სტრატეგიის მთავარი კომპონენტია ესტონეთის ბანკების მუშაობის სტილის ნეგატიურად და საკუთარი ხედვების ერთადერთ სწორ გზად წარმოჩენა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ესტონეთში გახსნილი ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშების საერთო რაოდენობის 2.32%-ს ფლობს¹²⁶, იმ პირობებში, როდესაც არანაირი გამოცდილება არ აქვს და ბაზარზეც მხოლოდ მესამე წელია მოქმედებს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ არჩეული სტრატეგია გარკვეულწილად ამართლებს და სამომავლო პერსპექტივაც აქვს. მას სადეპოზიტო მომსახურებას “AS Swedbank” უწევს.

¹²⁵ <https://tuleva.ee/en/mutual-company-2/>. 20.12.2019.

¹²⁶ <https://tuleva.ee/en/>. 20.12.2019.

სწორედ, არჩევანის მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მაქსიმალურად ინდივიდის ინტერესებზე მორგებული მოდელის შექმნის შესაძლებლობას, რაც აუცილებელი წინაპირობაა პენსიაზე გასვლის შემდგომ, ცხოვრების სწორად დაგეგმვისათვის.

ესტონური მოდელი, სავალდებულო წესით გაწევრებული ინდივიდების დანაზოგების ინვესტირების შემთხვევაში, კონსერვატიული სტრატეგიის მქონე საპენსიო ფონდებზე აკეთებს აქცენტს. მიუხედავად ამისა, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის წევრი ინდივიდები, პროგრესული საინვესტიციო სტრატეგიის მქონე ფონდებს ანიჭებენ უპირატესობას. აქედან გამომდინარე პროგრესული საინვესტიციო სტრატეგიის მქონე ფონდების აქტივების ჯამური ღირებულება 3 მლრდ. ევროს აჭარბებს, რაც სავალდებულო დაგროვებითი პენსიის ფარგლებში აკუმულირებული აქტივების ჯამური ღირებულების 60%-ზე მეტია. პროგრესული საინვესტიციო სტრატეგიის მქონე საპენსიო ფონდებს შორის აქტივების ღირებულებისა და აქტიური ინვესტორების რაოდენობის მიხედვით, ესტონეთის ბაზარზე პირველ სამ ადგილს შემდეგი ფონდები ინაწილებენ: პირველ ადგილზეა, 138 185 აქტიური ინვესტორითა და 1 084 მლრდ. ევროს ღირებულების აქტივებით, საპენსიო ფონდი Swedbank K60; მეორე ადგილზეა, 100 004 აქტიური ინვესტორითა და თითქმის 914 მილიონი ევროს ღირებულების აქტივებით, საპენსიო ფონდი LHV L; მესამე ადგილს იკავებს პროგრესული საპენსიო ფონდი SEB - 90 066 აქტიური ინვესტორითა და 639 მილიონი ევროს ღირებულების აქტივებით.¹²⁷

ესტონეთის ბაზარზე არსებულ საპენსიო ფონდებს შორის, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის ფარგლებში აქტიური ინვესტორების რაოდენობისა და აქტივების ღირებულების მიხედვით, თითოეული საინვესტიციო სტრატეგიის მიმართულებით Swedbank-ის ნიშნის ქვეშ გაერთიანებული საპენსიო ფონდები ლიდერობენ. აღნიშნულ ფონდებზე ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში აკუმულირებული აქტივების ჯამური ღირებულების

¹²⁷ <https://www.swedbank.ee/private/pensions/pillar2/kfunds/k3/list/details;>
<https://www.lhv.ee/en/pension/ii/fund/1;>
https://e.seb.ee/ip/ipank.p?lang=ENG&act=FUND_DETAILS&isin=EE3600019725. 5.03.2020.

თითქმის 40% მოდის, ხოლო მათ აქტიურ ინვესტორებს, სქემაში ჩართული ინდივიდების 45% წარმოადგენს.¹²⁸

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრი ინდივიდისათვის გაწევრებიდან ერთი თვის ვადაში საინვესტიციო პორტფელის შერჩევის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ეს მიდგომა, ესტონური მოდელის მსგავს ნიშნებს შეიცავს, თუმცა მისი რეალური გამოყენება, მხოლოდ, წევრობის ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ არის დაშვებული. ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე არჩევს არა მისთვის მისაღები საინვესტიციო სტრატეგიის მქონე საპენსიო ფონდს, არამედ - საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილი სამი განსხვავებული რისკის შემცველი პორტფელიდან (ნაკლებრისკიანი, საშუალორისკიანი, მაღალრისკიანი) ერთ-ერთს.

როგორც უკვე აღინიშნა, ესტონური მოდელი რისკისადმი ინდივიდის ტოლერანტულობაზე დაფუძნებულ მოთხოვნას საპენსიო ფონდების მხრიდან შეთავაზებული 4 საინვესტიციო სტრატეგიის მეშვეობით აკმაყოფილებს და თითოეული საპენსიო ფონდი თითოეული სტრატეგიის განსახორციელებლად საკუთარ ხედვას სთავაზობს პოტენციურ აქტიურ ინვესტორს. ქართული მოდელის მიდგომა რისკისადმი ტოლერანტულობის საკითხისადმი განსხვავდება; გარდა იმისა, რომ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში, საპენსიო აქტივების ინვესტირება შესაძლებელია მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში; ამასთანავე, იმ მომენტამდე, ვიდრე ინდივიდი თავად არ შეარჩევს მისთვის მისაღები რისკის მაჩვენებლის მქონე საინვესტიციო პორტფელს, აღნიშნული კანონი, დაგროვებითი საპენსიო სქემის კონკრეტული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული აქტივების ინვესტირებისათვის, საინვესტიციო პორტფელის რისკის დონეს, აქტივების მფლობელის ასაკობრივი მაჩვენებლის საფუძველზე განსაზღვრავს. ამის განსახორციელებლად კანონში ასევე გაწერილია მოთხოვნები, თუ რა სქემით უნდა მოხდეს, საინვესტიციო საბჭოს მიერ, კონკრეტულ რისკის ჯგუფში შემავალ საინვესტიციო პორტფელში ინვესტირება.

¹²⁸ <https://www.pensionekskus.ee/en/statistics/ii-pillar/funded-pension-daily-statistics/>. 5.03.2020.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი, ხუთწლიანი წევრობის შემდეგ ინდივიდისათვის, არჩეული საინვესტიციო პორტფელის, არანაკლებ 12 თვიანი ინტერვალებით სრული ან ნაწილობრივი შეცვლის უფლების წარმოშობისა და აღნიშნული ცვლილების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხულ თანხებთან ან/და მომავალ საპენსიო შენატანებთან დასაშვები შემხებლობის შესახებ, გარკვეულ პარალელს ავლებს ესტონურ მოდელში არსებული პაიების გაცვლის პრაქტიკასთან.

რაც შეეხება საპენსიო ანგარიშს, იგი წარმოადგენს ინდივიდის პირად ანგარიშს, რომელიც ჩართულია სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში და სადაც ასახულია სრული ინფორმაცია, ინდივიდის მეორე საფეხურში ჩართულობასთან დაკავშირებით; ეს ინფორმაცია მოიცავს: ინდივიდის მიერ დაწერილ ყველა განცხადებას, შერჩეულ ფონდებს, განხორციელებულ შენატანებს, საპენსიო ფონდების შეძენილ პაიებს და ამ პაიების მონაცემებს, ასევე გაცემულ საპენსიო თანხებს.

საპენსიო ანგარიშის გახსნა შეიძლება განაპირობოს მხოლოდ შემდეგმა გარემოებებმა: ესტონეთის ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ რეესტრში საპენსიო ფონდის შერჩევასთან დაკავშირებით განაცხადის წარდგენის შემდეგ, ინდივიდის სახელზე იხსნება ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში. აღნიშნულ განცხადებას რეესტრი იღებს ბანკების, ინტერნეტ ბანკის ან საპენსიო ცენტრის შუამავლობით. მეორე გარემოება, რომელიც განაპირობებს საპენსიო ანგარიშის გახსნას დაფუძნებულია, საგადასახადო-საბაჟო დეპარტამენტიდან წარდგენილ მონაცემებზე; საპენსიო ანგარიში იხსნება იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი, ვალდებულია ჩაერთოს დაგროვებით საპენსიო სქემაში, რადგან დაბადებულია 1983 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ, მიაღწია სრულწლოვან ასაკს და დაიწყო მუშაობა, მაგრამ ხელფასიდან პირველი შენატანის განხორციელების მომენტისათვის არ ჰქონდა წარდგენილი განცხადება დაგროვებითი საპენსიო ფონდის შერჩევასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში ინდივიდის ჩართვა წილის ყრის მეთოდით მოხდება.

ინდივიდს შეუძლია მოახდინოს საკუთარი საპენსიო ანგარიშის მონიტორინგი, შეამოწმოს მონაცემები, ნახოს მისთვის საინტერესო ოპერაციები და

სხვ. იმისათვის, რომ ინდივიდმა საკუთარ საპენსიო ანგარიშთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მაქსიმალურად დროულად და ადვილად მიიღოს, ესტონეთის საპენსიო სისტემა სთავაზობს სამ გზას: საპენსიო ცენტრის ვებგვერდი, ინტერნეტ ბანკი, საბანკო ფილიალი.

ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში საკმაოდ მოცულობითი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებელია, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს ინდივიდისათვის. საპენსიო ანგარიშის მდგომარეობის კონტროლისათვის ინდივიდი უფლებამოსილია გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება: საპენსიო ანგარიშის სალდოს, კონკრეტული ან ყველა ოპერაციის ამონაწერს, კონსოლიდირებულ ამონაწერს საპენსიო დანაზოგების ზრდისა ან შემცირების შესახებ, საგადასახადო-საბაჟო დეპარტამენტიდან განხორციელებულ შენატანებს, საშემოსავლო გადასახადს, გამოსყიდულია თუ არა საპენსიო ფონდების პაი, რომელიც მემკვიდრეობით იქნა მიღებული. თითოეული მათგანი ინდივიდისათვის აუცილებელი ინფორმაციის მატარებელია, რათა სწორად მოხდეს საპენსიო ასაკის დაგეგმვა.

ინფორმაცია სალდოს შესახებ, ასახავს საპენსიო ანგარიშის მდგომარეობას კონკრეტულ დროში. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს: იმ საპენსიო ფონდების დასახელებებს, რომელთა პაის მფლობელია ან ფლობდა ინდივიდი; კონკრეტული თარიღისათვის საპენსიო ფონდის პაის რეალურ ღირებულებას; საპენსიო ფონდის პაის რაოდენობას, რომელიც ინდივიდის მფლობელობაშია; თანხობრივად გამოსახულ პაის ჯამურ ღირებულებას; თანხობრივად გამოსახულ საპენსიო ანგარიშის ჯამურ ღირებულებასა და საპენსიო ანგარიშის ჯამური ღირებულება სახალხო პენსიასთან მიმართებით.

რაც შეეხება ამონაწერს საპენსიო ანგარიშიდან, მისი მოთხოვნა შესაძლებელია დროის ნებისმიერ მონაკვეთზე. ამონაწერში მითითებულია, როგორც საპენსიო ფონდის პაისთან დაკავშირებული ოპერაციები, ასევე საგადასახადო-საბაჟო დეპარტამენტიდან განხორციელებული შენატანები. ინფორმაცია, საპენსიო ფონდის პაისთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ, მოიცავს: საპენსიო ფონდის დასახელებას, რომლის პაიც გახდა გარიგების საგანი საპენსიო ანგარიშის

მფლობელისათვის; საწყის ნარჩენ ერთეულებს - რომელიც გულისხმობს, პაის რაოდენობას ამონაწერის საწყისი თარიღისათვის; თარიღს, როდესაც საპენსიო პაი განთავსდა საპენსიო ანგარიშზე; გამოშვებული ახალი პაის ფასს; გარიგების დღეს გამოშვებული ან გამოსყიდული პაის რაოდენობას; საბოლოო ნარჩენ ერთეულს - ამონაწერის დასკვნითი თარიღისათვის საპენსიო ფონდში პაის ნარჩენი რაოდენობა; სადებეტო და საკრედიტო ბრუნვას, ასევე გარიგებების ჯამურ ღირებულებას, რომლებიც პაიების მეშვეობით განხორციელდა მითითებულ პერიოდში. ხოლო რაც შეეხება, ამონაწერში ფულადი სახის ოპერაციებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, იგი ასახავს: საწყის ნარჩენს ანუ თანხის ოდენობას ამონაწერის საწყისი თარიღისათვის; ასევე თარიღს, როდესაც ახალი შენატანი განხორციელდა საპენსიო ანგარიშზე; საგადასახადო-საბაჟო დეპარტამენტიდან, მეორე საფეხურისათვის (დაგროვებითი პენსია) განკუთვნილ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებულ შენატანებს; საბოლოო ნარჩენს ანუ თანხის ოდენობას ანგარიშზე ამონაწერის დასკვნითი თარიღისათვის; სადებეტო და საკრედიტო ბრუნვას მითითებული დროის მონაკვეთისათვის, რომელიც მოიცავს ფულად გარიგებათა მთლიან მოცულობას; ასევე ინდივიდის მფლობელობაში არსებულ საფონდო პაიების რაოდენობას და მათ ჯამურ ღირებულებას.

კონსოლიდირებული ამონაწერი მოიცავს ინფორმაციას, თუ საერთო ჯამში რამდენი შენატანი განხორციელდა საპენსიო ანგარიშზე და რამდენია მიმდინარე ღირებულება საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო ფონდის პაიების. კონსოლიდირებული ამონაწერი ასევე აჩვენებს, საპენსიო ანგარიშზე არსებული დანაზოგების რაოდენობრივ დინამიკას.

რაც შეეხება საგადასახადო-საბაჟო დეპარტამენტიდან განხორციელებულ შენატანებს, ასეთი ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, დეტალურად აღიწერება, თუ კონკრეტულად რომელმა დამსაქმებელმა განახორციელა ინდივიდის სახელით შენატანი დაგროვებით საპენსიო სქემაში და მოახდინა აღნიშნულის დეკლარირება. ასევე ნაჩვენებია, შენატანების ჯამური ოდენობა და გაშიფრულია თუ რომელი ნაწილებისგან არის შემდგარი. მითითებულია, თუ რა ნაწილი მოდის ინდივიდის დაუბეგრავი შემოსავლიდან გადახდილ 2%-ზე და რა ნაწილი - სოციალური გადასახადიდან გამოყოფილ 4%-ზე.

ესტონეთის საპენსიო სისტემის მეორე საფეხურში, რომელიც რეგულირდება „კანონით დაგროვებითი პენსიის შესახებ“, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, საპენსიო ფონდის პაიების მემკვიდრეობით გადაცემისა და მემკვიდრეობით მიღებული პაიების განკარგვის საკითხს.

პაის მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში, პაი გადადის მემკვიდრის მფლობელობაში. მემკვიდრე უფლებამოსილია მემკვიდრეობით მიღებული პაი გადაიტანოს საკუთარ ანგარიშზე ან გამოსყიდოს ის. რეესტრი უფლებამოსილია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პაი ჩათვალოს გაუქმებულად, თუ მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ 10 წლის განმავლობაში პაი არ იქნა გამოსყიდული ან გადატანილი მემკვიდრის საპენსიო ანგარიშზე. ასეთი გარემოების დროს, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია გაუქმებულად აღიარებულ პაისთან, ითვლება დასრულებულად, ხოლო პაით განსაზღვრული თანხა რჩება საპენსიო ფონდში.¹²⁹

მემკვიდრეს, მემკვიდრეობით მიღებული პაის საკუთარ საპენსიო ანგარიშზე გადატანის უფლება წარმოეშობა, თუ ის: 1. წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს; პასუხისმგებელ პირად ესტონეთის კანონმდებლობა თვლის რეზიდენტ-ფიზიკურ პირს (რეზიდენტი, პირი, რომელიც ცხოვრობს ესტონეთში ან 12 თანმიმდევრული თვის განმავლობაში 183 დღე იმყოფება ესტონეთში. პირი ითვლება რეზიდენტად, ესტონეთში მისი ჩასვლის დღიდან. რეზიდენტად ითვლება, ასევე, ესტონეთის დიპლომატი, რომელიც ქვეყნის გარეთ ეწევა საქმიანობას. რეზიდენტი ფიზიკური პირი არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი, ესტონური კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის შემოსავლიდან, რომელიც მიიღო ესტონეთში ან მის ფარგლებს გარეთ.¹³⁰), რომლის სასარგებლოდ სოციალური გადასახადის გადამხდელი ვალდებულნი არიან გადაიხადონ სოციალური გადასახადი, ან თავად იხდიან თავის სასარგებლოდ სოციალურ გადასახადს; ისინი ასევე ვალდებულნი არიან განახორციელონ შენატანები სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში, ესტონური კანონმდებლობით განსაზღვრული დირექტივების

¹²⁹ Funded Pensions Act, Chapter 2., §28(1,2,3,4). 17.12.2019.

¹³⁰ Income Tax Act, Chapter 2., §6(1). 17.12.2019.

გათვალისწინებით;¹³¹ 2. აღარ წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს, მაგრამ გახსნილი აქვს საპენსიო ანგარიში; 3. ჯერჯერობით არ სარგებლობს პასუხისმგებელი პირის სტატუსით, მაგრამ საშემოსავლო გადასახადის შესახებ ესტონეთის კანონით, წარმოადგენს რეზიდენტ-ფიზიკურ პირს.¹³² ჩათვლილია, რომ საკუთარ ანგარიშზე პაის გადატანის შესახებ განცხადების დაწერისას, მემკვიდრე ეთანხმება განცხადების ადრესატი საპენსიო ფონდის პირობებს.¹³³

რაც შეეხება პაის გამოსყიდვას, მემკვიდრეს შეუძლია აღნიშნულის განახორციელება, მემკვიდრეობასთან დაკავშირებით მისი უფლებების დადასტურების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.

საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, ესტონური მოდელის მსგავსად, საპენსიო აქტივების მფლობელის მემკვიდრისათვის, მემკვიდრეობით მიღებული აქტივების გადასაცემად, ასევე ორ ალტერნატივას უშვებს. აღნიშნული ალტერნატივები (ერთიანი გადახდა ან საპენსიო აქტივების მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანა), შესაბამისობაში მოდის დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმებთან. მიუხედავად მემკვიდრეობის საკითხისადმი შესადარის მოდელეებში არსებული ფორმალური მსგავსებისა, აღსანიშნავია მათი შინაარსობრივი განსხვავება.

თანაბარ პირობებში, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონის მიხედვით, მემკვიდრეობით მიღებული საპენსიო აქტივების ერთიანი გატანის პრინციპით გაცემის შემთხვევაში, გადასაცემი თანხა დაბეგვრას არ ექვემდებარება. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ესტონური კანონმდებლობით, ინდივიდის ინტერესები მეტად არის გათვალისწინებული და მათი მხრიდან აღქმული სამართლიანობის ხარისხი, შესაბამისად მაღალია.

გარდა ზემოაღნიშნული განსხვავებისა, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი, მემკვიდრის მიერ საპენსიო აქტივების საკუთარ საპენსიო

¹³¹ Funded Pensions Act, Chapter 2., §6. 17.12.2019.

¹³² იქვე, Chapter 2., §29(1). 17.12.2019.

¹³³ იქვე, Chapter 2., §29(2). 17.12.2019.

ანგარიშზე გადატანასთან ან ერთიან გამოტანასთან დაკავშირებულ ვადებს არ ადგენს; ასევე კანონით არ არის განსაზღვრული, მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში, გამოყენების რა ფორმას დაექვემდებარება, დაგროვებითი საპენსიო სქემის ყოფილი წევრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხები.

დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონის მიხედვით, გადახდები, რომელიც უნდა განხორციელდეს საპენსიო ფონდიდან, იწყება ინდივიდის საპენსიო ასაკის დადგომისას. დაგროვებითი საპენსიო სქემიდან მისაღები გადახდები არ არის დაკავშირებული ხანდაზმულობის პენსიის მიღებასთან. ინდივიდს შეუძლია ერთდროულად მიიღოს როგორც ხანდაზმულობის პენსია, ასევე დაგროვებითი პენსია ან ერთ-ერთი სახის პენსიის მიღება გადაავადოს.

ესტონური საპენსიო მოდელის მსგავსად, საქართველოში დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვის მიუხედავად, ძალაში რჩება სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით დაფინანსებული პენსია, დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართული ინდივიდებისათვის. ასევე, საქართველოს კანონში დაგროვებითი პენსიის შესახებ, ესტონური კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ერთ-ერთი სახის პენსიის მიღების გადავადებასთან დაკავშირებული ჩანაწერი არ გვხვდება და კანონი, მხოლოდ დაგროვებითი პენსიის მიღების გადავადების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ესტონურ მოდელში ინდივიდის მფლობელობაში არსებული პაიების ჯამური ღირებულებისა და სახალხო პენსიის ოდენობის ურთიერთმიმართება, შესაძლო გადახდის ფორმებს განსაზღვრავს. თუ პაიების ჯამური ღირებულება ნაკლებია ან ტოლია სახალხო პენსიის ათმაგი ოდენობის, ეს ინდივიდს აძლევს შემდეგ შესაძლებლობებს: ერთიანი გადახდით გაიტანოს თანხა ფონდიდან; ბანკში საფონდო პენსიის მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევაში, ისარგებლოს საფონდო გადახდებით; ან გააფორმოს საპენსიო ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასთან, მაგრამ ამ უკანასკნელს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების გაფორმებაზე.

რაც შეეხება, იმ ინდივიდს, რომლის მფლობელობაში არსებული პაიების ჯამური ღირებულება მეტია 2 052.1 ევროზე (10 x 205.21(სახალხო პენსია)), მაგრამ

ნაკლებია 10 260.5 ევროზე (50 x 205.21), მასზე არ ვრცელდება ერთიანი გატანის უფლება, მაგრამ შეუძლია ისარგებლოს საფონდო პენსიით ან სადაზღვევო საპენსიო ხელშეკრულებით, სადაზღვევო კომპანიის თანხმობის შემთხვევაში.

ერთიანი გადახდით და საფონდო პენსიით სარგებლობის უფლება ეზღუდებათ იმ ინდივიდებს, რომელთა მფლობელობაში არსებული პაიების ჯამური ღირებულება მეტია ან ტოლია ორმოცდაათი სახალხო პენსიის ოდენობის. ასეთ შემთხვევაში, ესტონეთის კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ უშვებს მხოლოდ იმ ტიპის გადახდებს, რომელსაც განახორციელებს სადაზღვევო კომპანია, სავალდებულო დაგროვებითი პენსიის დაზღვევის შესახებ ინდივიდთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

იმ ინდივიდისათვის, რომლის მფლობელობაში არსებული პაიების ჯამური ღირებულება, ესტონეთში არსებული სახალხო პენსიის ოდენობაზე არანაკლებ შვიდასჯერ მეტია, მხოლოდ სადაზღვევო გადახდებით სარგებლობაა დასაშვები; აღნიშნული გადახდების მისაღებად, ინდივიდს შეუძლია რამდენიმე გზა აირჩიოს: 1. დადოს სადაზღვევო კომპანიასთან სავალდებულო დაგროვებითი პენსიის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება, სრულ თანხაზე; 2. დადოს სადაზღვევო კომპანიასთან სავალდებულო დაგროვებითი პენსიის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება, მხოლოდ იმ თანხაზე, რომელიც შვიდასჯერ სახალხო პენსიის ტოლია და დარჩენილი პაიები დატოვოს საპენსიო ანგარიშზე; 3. საპენსიო ანგარიშზე, მეორე პუნქტში აღწერილი შესაძლებლობის გამოყენების შედეგად, დარჩენილი პაიების (შემდგომში - ნარჩენი პაი) შესაბამისი თანხა ერთიანი გადახდის პრინციპით გამოიტანოს, თუ აღნიშნული ქმედება შესაბამისობაში მოდის კანონთან დაგროვებითი პენსიის შესახებ; 4. ნარჩენი პაი დატოვოს საპენსიო ანგარიშზე და ისარგებლოს საფონდო პენსიით; 5. ნარჩენი პაის ჯამური ღირებულების გათვალისწინებით, დადოს მეორე ხელშეკრულება, სავალდებულო დაგროვებითი პენსიის დაზღვევის შესახებ.

საქართველოში არსებული საპენსიო მოდელი ასევე სთავაზობს დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრ ინდივიდებს საპენსიო გადახდების სამ ალტერნატივას: ერთიანი გადახდა, პროგრამული გატანა ან პენსიის მიღების მიზნით სადაზღვევო

ანუიტეტური პროდუქტის შექმნა. მიუხედავად აღნიშნული მსგავსებისა, საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ არ ითვალისწინებს ესტონური მოდელისათვის დამახასიათებელ შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას და გადახდების სამი ალტერნატივიდან მხოლოდ ერთ-ერთით სარგებლობის უფლებას უშვებს. ამასთან, საპენსიო აქტივების ერთიანი გადახდის პრინციპით გაცემის შემთხვევაში, საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, ბიუჯეტურ პენსიაზე მიბმულ დაანგარიშების პრინციპს არ ემყარება; მაგრამ მიუხედავად ფორმალური განსხვავებისა, შინაარსობრივად ორივე მიდგომა ერთსა და იმავე იდეას ეფუძნება - საპენსიო თანხების დიდი მოცულობა ერთიანი გადახდის პრინციპით არ გაიცეს. ესტონეთის შემთხვევაში თუ მხოლოდ ინდივიდის საპენსიო ანგარიშზე არსებული, სახალხო პენსიის არაუმეტეს ათმაგი ოდენობის შესაბამისი თანხის გატანის უფლებაა დაშვებული ერთიანი გადახდის პრინციპით, საქართველო მსგავს შეზღუდვას ასაკობრივ ფაქტორზე დაყრდნობით აწესებს. მიუხედავად ამისა, დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონში არსებული შეზღუდვის პირობებში, ინდივიდების მხრიდან ერთიანი გადახდის პრინციპით სარგებლობა მეტად რეალისტურია, თუ შევადარებთ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში არსებულ ჩანაწერს, რომელიც ერთიანი გადახდით სარგებლობის უფლებას ითვალისწინებს, მხოლოდ იმ ინდივიდებისათვის, რომელთაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს, საპენსიო შენატანების განხორციელების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული ჩანაწერი ეხებათ 55 წლის ასაკის ქალებს და 60 წლის ასაკის მამაკაცებს, ინდივიდებს, რომლებიც არ წარმოადგენდნენ არსებული კანონმდებლობის მიხედვით სავალდებულო წესით გაწევრებულთა რიცხვში შემავალ პირებს და მხოლოდ თავიანთი სურვილით შეუძლიათ გაწევრდნენ დაგროვებით საპენსიო სქემაში. გარდა ამისა, დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრი ინდივიდებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას, აღნიშნული უფლებით სარგებლობა შესაძლებელია შეიზღუდოს, თუ მათი მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილ მინიმალურ ზღვარს აღემატება. აღნიშნული მინიმალური ზღვარი, არსებული მდგომარეობით, უცნობია და ამასთან, უცნობია ასევე, თუ რა მეთოდს გამოიყენებს საპენსიო სააგენტო მის დასადგენად.

ზემოგანხილული შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში, არასამიზნე სეგმენტისათვის, საპენსიო ასაკამდე 5 წელზე ნაკლები რჩება, რაც დაგროვების თვალსაზრისით არასახარბიელო პერსპექტივას გულისხმობს. ამასთან, აღნიშნულ ასაკობრივ სეგმენტში, ჩატარებული კვლევის შედეგად, დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვისადმი დაინტერესების ნულოვანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული მოდელი, აღნიშნულ კონტექსტში, წევრ ინდივიდთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ესტონურ მოდელს ბევრად ჩამორჩება.

ესტონეთის დაგროვებითი საპენსიო სისტემის მეორე საფეხურის მომსახურე სადაზღვევო კომპანია, სავალდებულო დაგროვებითი პენსიის დაზღვევისას, იღებს ვალდებულებას, სიცოცხლის ბოლომდე გადაუხადოს ინდივიდს პენსია, იმ ოდენობით, რომელიც დამოკიდებულია სავალდებულო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხის მოცულობაზე. საფონდო პენსიით სარგებლობისას, დაზღვევის ვალდებულებებისაგან განსხვავებით, გადახდები განხორციელდება არა სიცოცხლის ბოლომდე, არამედ იმ მომენტამდე, ვიდრე საკმარისი იქნება ინდივიდის მიერ დაგროვებული თანხა.

ინდივიდმა საფონდო პენსიით სარგებლობისას, განსაზღვრული პირობები უნდა დაიცვას; მან უნდა აირჩიოს მისთვის შესაბამისი გადახდების გრაფიკი, რომელიც გულისხმობს ასაკისა და საპენსიო გადახდების ხანგრძლივობის ურთიერთდამოკიდებულებას. ინდივიდს, რომელიც 63 ან 64 წლის ასაკში გეგმავს პენსიაზე გასვლას, შეუძლია არანაკლებ 10 წელზე გადაანაწილოს საფონდო საპენსიო გადახდები; მათთვის ვინც, ორი (65 წელი) ან სამი (66 წელი) წლით გეგმავს პენსიაზე გასვლის თარიღის გადავადებას, საპენსიო გადახდების გადანაწილების მინიმალური ვადა 9 წელს შეადგენს. მსგავსად უკვე აღნიშნული ორი ასაკობრივი კატეგორიისა, დანარჩენ ასაკობრივ კატეგორიებში, იგივე ტენდენცია გრძელდება, ასაკის მატებასთან ერთად საფონდო პენსიით სარგებლობის მინიმალური ხანგრძლივობა მცირდება და იმ ინდივიდებისათვის, რომელთა ასაკი 79 ან მეტი წელია, 24 თვიანი ქვედა ზღვრით შემოიფარგლება.

იმ შემთხვევაში თუ, საფონდო პენსიის მიღება ხდება, დამატებითი გადახდების სახით, მაშინ საანგარიშო პერიოდი შემდეგი სახით ყალიბდება: 64 წლამდე ინდივიდისათვის ქვედა ზღვარი 5 წლით განისაზღვრება; 65-დან 69 წლამდე ასაკობრივ სეგმენტში ქვედა ზღვარი 4 წელია; 70-დან 74 წლამდე სეგმენტში - 3 წელი; 75 და მეტი წლის ინდივიდისათვის - 2 წელი.¹³⁴

საფონდო პენსიით სარგებლობისას შესაძლებელია შეირჩეს გადახდების პერიოდულობა: ყოველთვიური, ყოველკვარტალური ან ყოველწლიური.

სავალდებულო დაგროვებითი პენსიის დაზღვევას რაც შეეხება, სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საპენსიო ფონდში ინდივიდის სახელზე არსებული საპენსიო ანგარიშიდან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა შერჩეულ სადაზღვევო კომპანიაში გადაირიცხება. ინდივიდს შეუძლია აირჩიოს გადახდების პერიოდულობის ორი მოდელიდან ერთ-ერთი: ყოველთვიური ან ყოველკვარტალური.

ესტონეთის სადაზღვევო ბაზარზე, ინდივიდებს სავალდებულო დაგროვებითი პენსიის დაზღვევას სამი სადაზღვევო კომპანია სთავაზობს: “Compensa Life Vienna Insurance Group SE”, “Ergo Life Insurance SE Eesti filial”, “SEB Elu-ja Pensionikindlustus AS”. დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს: ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ გადასახდელს, ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ გადასახდელს და სხვა ხარჯებს, რაც საბოლოო ჯამში უმცირებს ინდივიდს პენსიის სახით მისაღებ თანხას.

საქართველოს შემთხვევაში, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტით სარგებლობის მიმართულებით მკაფიოდ ჩამოყალიბებულ წესებს არ ვხვდებით, რაც მისი შეფასებისა და შედარების შესაძლებლობას ზღუდავს. რაც შეეხება საპენსიო თანხების პროგრამულ გატანას, ქართული მოდელი ემყარება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის პრინციპს.

ესტონეთში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის საერთო მაჩვენებელი დაბადებისას, 1960 წლიდან 2017 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს

¹³⁴ <https://www.pensionikeskus.ee/en/ii-pillar/payments/payments-from-the-insurance-company-and-from-the-pension-fund/>. 7.03.2020.

მაჩვენებელი 1960 წელს დაბადებულთათვის დაახლოებით 68 წელს შეადგენს, ხოლო 2017 წელს დაბადებულთათვის 78 წელს.¹³⁵ ანალოგიური საერთო მაჩვენებელი საქართველოში ისევე როგორც ესტონეთში 1960 წლიდან 2017 წლამდე 10 წლით გაიზარდა. საქართველოში 1960 წელს დაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაახლოებით 63 წელს შეადგენს, ხოლო 2017 წელს დაბადებულთათვის მაჩვენებელმა 73 წელს მიაღწია.¹³⁶ ამასთან, 1960 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, საქართველოში, ესტონეთისაგან განსხვავებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მიმართულებით მნიშვნელოვანი კლება არ დაფიქსირებულა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ესტონეთში 1988 წლიდან 1994 წლამდე, აღნიშნული მაჩვენებელი 4,2 წლით შემცირდა (1988 – 70,7 წელი; 1994 – 66,5 წელი)¹³⁷, მიუხედავად ამისა, 2017 წლისათვის ორ ქვეყანას შორის განსხვავება 5 წელს შეადგენს, ესტონეთის სასარგებლოდ. ეს შეიძლება, 2001 წლიდან ესტონეთის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით აიხსნას. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში დაფიქსირებული ასევე დადებითი დინამიკის მიუხედავად, ესტონეთის ნახტომი შესამჩნევია.

საქართველოში არსებული საპენსიო თანხების პროგრამული გატანის პრინციპით გაცემისას, ზემოაღნიშნული დაანგარიშების წესი, ყოველთვიური მისაღები პენსიის მოცულობის დადგენის პროცესში, საპენსიო აქტივების მფლობელის ჩართულობას არ გულისხმობს. ესტონური მოდელი, კი, პენსიაზე გასვლის ასაკზე მიბმულ, საპენსიო თანხების გადანაწილების პერიოდის ქვედა ზღვარს ადგენს, რის საფუძველზეც, ინდივიდს შეუძლია თავად განსაზღვროს თუ დროის რა მონაკვეთზე გადაანაწილოს დაგროვებული საპენსიო აქტივები. აღნიშნული უფლების შედეგად, ინდივიდის უშუალო ჩართულობით ხდება, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის ფარგლებში, საპენსიო გადახდების ხანგრძლივობისა და მოცულობის დადგენა.

¹³⁵ მსოფლიო ბანკის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა -

<https://data.worldbank.org/indicator/SP.DYN.LE00.IN?end=2017&locations=EE&start=1960&view=chart>. 10.03.2020.

¹³⁶ იქვე. - <https://data.worldbank.org/indicator/SP.DYN.LE00.IN?end=2017&locations=EE-GE&start=1960&view=chart>. 10.03.2020.

¹³⁷ იქვე. - <https://data.worldbank.org/indicator/SP.DYN.LE00.IN?end=2017&locations=EE-GE&start=1960&view=chart>. 10.03.2020.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში, განსხვავებით ესტონური კანონმდებლობისაგან, არ იძებნება, საპენსიო თანხების პროგრამული გატანით სარგებლობისას, გადახდების პერიოდულობის სამი ალტერნატივის (ყოველთვიური, ყოველკვარტალური ან ყოველწლიური) არსებობის შესახებ ჩანაწერი, რაც გულისხმობს, პენსიის მხოლოდ ყოველთვიური გადახდების პრინციპით გაცემას.

იმის გათვალისწინებით, რომ ესტონური კანონმდებლობისაგან განსხვავებით საქართველოს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილის როლი მინიმალურია, საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი საინვესტიციო მოთხოვნების ჩამოყალიბებით. აღნიშნული კანონი, ფაქტობრივად საპენსიო სააგენტოს ანიჭებს უფლებას ერთპიროვნულად განკარგოს დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრთა აქტივები. აქედან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს ინდივიდის პენსიაზე გასვლის შემდგომ მისთვის პროგრამული გატანის ფარგლებში გასაცემი თანხის ოდენობის ყოველწლიურად გადაანგარიშებას, მონაწილის ასაკის შეცვლის თვეში, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, კითხვებს აჩენს.

ესტონური მოდელი დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის წევრს უფლებას აძლევს თავად განსაზღვროს საფონდო პენსიით სარგებლობის ვადა, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე დაფუძნებული მოდელის შედეგად, პროგრამული გატანის პრინციპი ინდივიდის სიცოცხლის ბოლომდე პენსიით უზრუნველყოფაზეა გათვლილი. ეს უკანასკნელი ესტონურ მოდელში არსებულ პენსიის დაზღვევის პრაქტიკასთან ავლებს პარალელს, რომელიც ინდივიდს სიცოცხლის ბოლომდე პენსიით უზრუნველყოფს. თუმცა, როგორც საფონდო პენსიით სარგებლობის, ისე პენსიის დაზღვევის შემთხვევაში, საპენსიო გადახდები ცვლილებას არ ექვემდებარება. საფონდო პენსიით სარგებლობისას წინასწარ დგინდება პენსიაზე ყოფნის ვადა და მასზე ხდება დაგროვებული თანხების გადანაწილება, ხოლო პენსიის დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არსებული მოდელის მიხედვით, პენსიის სახით გასაცემი თანხის მოცულობა, დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულების, ინდივიდის სიცოცხლის მოსალოდნელ დარჩენილ ხანგრძლივობაზე გაყოფით განისაზღვრება და პროგრამული გატანის ფარგლებში გასაცემი თანხის ოდენობა ყოველწლიურად გადაანგარიშებას ექვემდებარება, არსებობს მოსალოდნელ რისკებთან დაკავშირებული გონივრული ეჭვი. საპენსიო თანხების მოცულობის განსაზღვრისას ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, გათვლილზე მეტი სიცოცხლის ხანგრძლივობის დაფიქსირებისას, საპენსიო თანხების არასაკმარისობის პირობებში, პენსიის გაცემასთან დაკავშირებული რისკი მაღალია. ამასთანავე, ყოველწლიური გადაანგარიშების შედეგად, მოსალოდნელი რისკების გათვალისწინების საფუძველზე, საპენსიო გადახდების მოცულობის კლებადი ტენდენციის ჩამოყალიბების ალბათობა იზრდება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრთა ინტერესების დასაცავად და მეტი გამჭვირვალობისათვის, მნიშვნელოვანია პროგრამულ გატანასთან დაკავშირებული შესაძლებლობის პარალელურად, შემუშავდეს ალტერნატიული საპენსიო გადახდების მოდელი, რომელიც დასახელებულ რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს. საქართველოს კანონში დაგროვებითი პენსიის შესახებ, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, მხოლოდ პროგრამულ გატანასთან დაკავშირებით ვხვდებით ვრცელ ჩანაწერს. რაც შეეხება, პენსიის მიღების მიზნით, სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შექმნასა და საპენსიო აქტივების სხვა ფორმით გაცემის შესაძლებლობას, მათთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე ჩანაწერი, რომელიც ერთ შემთხვევაში, დაარეგულირებს სადაზღვევო კომპანიასა და დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეს შორის ურთიერთობებს, ხოლო სხვა შემთხვევაში ნათლად განმარტავს, თუ რა შესაძლო ალტერნატიულ ფორმებს ითვალისწინებს კანონი.

2018 წლის 1-ლი იანვრიდან ესტონეთში დაუბეგრავი შემოსავლის ზღვარი დადგინდა, რომელიც თვიურად 500 ევროს ან წელიწადში 6000 ევროს არ უნდა აღემატებოდეს. 14 400 ევრომდე წლიური შემოსავლის პირობებში, დაუბეგრავი შემოსავალი შეადგენს 6000 ევროს წელიწადში. ინდივიდის წლიური შემოსავლის 14

400 ევროდან 25 200 ევრომდე მერყეობის შემთხვევაში, ესტონეთის საგადასახადო სისტემა დაუბეგრავ შემოსავალს შემდეგი ფორმულით გამოთვლის: $6000 - 6000 \div 10 800 \times (\text{წლიური შემოსავალი} - 14 400)$.¹³⁸ თუ დავუშვებთ, რომ ინდივიდის წლიური შემოსავალი 14 000 ევროდან, 20 000 ევრომდე გაიზარდა, მაშინ ფორმულის გამოყენებით, დაუბეგრავი წლიური შემოსავალი 6000 ევროდან 2 888 ევრომდე შემცირდება. თუ ინდივიდის წლიური შემოსავალი 25 200 ევროზე მეტია, ესტონეთის საგადასახადო სისტემა, ასეთ შემთხვევაში შეღავათებს არ ითვალისწინებს და შესაბამისად, წლიური შემოსავლიდან გადასახადით დაბეგრისაგან გათავისუფლებული თანხა 0-ის ტოლია.

ესტონეთის საგადასახადო სისტემაში დაუბეგრავი შემოსავლის მოდელი დაბალშემოსავლიანი ინდივიდებისათვის შეღავათების გაწევას ემსახურება; აღნიშნული მოდელი შინაარსით, პროგრესული გადასახადის ნიშნებს ატარებს, რაც გულისხმობს ინდივიდის შემოსავლის ზრდის პარალელურად, გადასახადის პროცენტული მაჩვენებლის ზრდას; მაგრამ ამ შემთხვევაში, არა პროცენტის ზრდით, არამედ ფიქსირებული პროცენტის პირობებში, დაუბეგრავი შემოსავლის მოცულობის კლებით ხდება პროგრესული გადასახადის პრინციპის დაცვა.

განსხვავებით საქართველოში არსებული მოდელისაგან, ესტონეთის საპენსიო სისტემის მეორე საფეხურზე (სავალდებულო დაგროვებითი პენსია), დამსაქმებელი უშუალოდ არ არის ჩართული დაგროვებით საპენსიო სქემაში. ესტონურ მოდელში დამსაქმებლის დაკავშირება სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემასთან, მხოლოდ დასაქმებულის მეშვეობით ხდება. აღნიშნულ საფეხურზე დამსაქმებლის როლი, დასაქმებულისათვის დაუბეგრავი ხელფასის 2%-ის შესაბამისი თანხის ჩამოჭრითა და საბაჟო-საგადასახადო დეპარტამენტში გადარიცხვით შემოიფარგლება.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული აქტივების წარუმატებელი ინვესტირების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და ანაზღაურების ფორმების შესახებ ჩანაწერი არ გვხვდება. იმის

¹³⁸ <https://www.emta.ee/eng/private-client/declaration-income/tax-free-income-calculation>. 21.12.2019.

გათვალისწინებით, რომ საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას საინვესტიციო საბჭო, უფროსი საინვესტიციო ოფიცერი და საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო სამსახური ინაწილებენ, მოსალოდნელია, რომ წარუმატებელი ინვესტირების შემთხვევაში პასუხისმგებლობა, ასევე, მათ დაეკისრებათ.

ესტონეთის კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, ზემოაღნიშნული საკითხისადმი შემდეგ მიდგომას იყენებს: ფინანსური ინსპექციის მიერ, საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონში არსებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, რაც საპენსიო ფონდის პაიების მფლობელის დანაკარგების გამომწვევ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, საპენსიო ფონდის მმართველი კომპანია, ვალდებულია, საპენსიო ფონდის პაიების მფლობელს, დანაკარგები აუნაზღაუროს. დანაკარგების მოცულობის განსაზღვრისას, საპენსიო ფონდის მმართველი, მხედველობაში იღებს მიყენებული ზიანის სრულ მოცულობას, ამასთანავე, იმ მისაღებ შემოსავალს, რომელიც დარღვევის ფაქტის არ არსებობის პირობებში ინდივიდს გეგმურად უნდა მიეღო. დანაკარგების ანაზღაურების მიზნით, საპენსიო ფონდის მმართველი კომპანია საკუთარი ხარჯებით ახდენს ახალი პაიების ემისიას. ახალი პაიების ემისიისათვის, საპენსიო ფონდის მმართველ კომპანიას, მის მფლობელობაში არსებული საპენსიო ფონდის პაიების გამოსყიდვა შეუძლია.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საპენსიო სააგენტო დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა შენატანებზე არის სრულად დამოკიდებული და ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, საპენსიო ფონდების მმართველ კომპანიების მსგავსად ბანკების კაპიტალი არ უმაგრებს ზურგს, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ ასეთ შემთხვევებში რა გზით მოხდება მონაწილისათვის დანაკარგების ანაზღაურება. საპენსიო სააგენტოს განკარგვაში არსებული საპენსიო აქტივები არის დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა შენატანების შედეგად აკუმულირებული ნაერთი თანხა; აქედან გამომდინარე, ამ თანხის მონაწილეთა დანაკარგების ანაზღაურების მიზნით გამოყენება, პარალელურად გამოიწვევს სხვა მონაწილეთა საპენსიო აქტივების შემცირებას, რაც დანაკარგების ანაზღაურების მიმართულებით არსებულ სუსტ ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს.

იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი, საპენსიო აქტივების ინვესტირების და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად საპენსიო აქტივების 1%-ზე მეტი დანაკარგის შემთხვევაში, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არ არის გამოწვეული, ეროვნული ბანკის მიერ სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის განხორციელებას ითვალისწინებს; არსებობს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნულ პირობებში, ეროვნული ბანკის როლის გაძლიერება, დანაკარგების ეროვნული ბანკის რეზერვებით შევსებასთან არის კავშირში. აღნიშნულ მსჯელობას, ამყარებს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საპენსიო სააგენტოს სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის მიხედვით: საპენსიო სააგენტოს დროებითი ადმინისტრატორი უფლებამოსილია, საპენსიო სააგენტოს მიერ დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნამდე ერთი წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება, სასამართლოში სარჩელის შეტანით, სადავო გახადოს და მისი ბათილობა მოითხოვოს, თუ ამის შედეგად საპენსიო სააგენტოსთან დაკავშირებულმა პირებმა საპენსიო სააგენტოს ხარჯზე ქონებრივი სარგებელი მიიღეს ან რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით ისარგებლეს, რამაც საპენსიო სააგენტოსთვის ან საპენსიო სქემის მონაწილეთათვის ზიანის მიყენება გამოიწვია.¹³⁹ აღნიშნული ჩანაწერი არის ერთადერთი, რომელიც ეხება სააგენტოსათვის ან საპენსიო სქემის მონაწილეთათვის ზიანის მიყენების საკითხს. ამასთანავე ეს ჩანაწერი, მხოლოდ, ცალკეულ შემთხვევებს ეხება და პრობლემას სრულად არ მოიცავს; არ არის განსაზღვრული, დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრებისათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების პრინციპი, ასევე - კონკრეტულ შემთხვევებში, საპენსიო სქემის მონაწილეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მქონე პირები. ამასთან, შეუმუშავებელია, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ვალდებულების მქონე პირის მხრიდან ზიანის ასანაზღაურებლად არსებული სავარაუდო შესაძლებლობები.

¹³⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №256/04, საპენსიო სააგენტოს სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 5/3. 12.03.2020.

რაც შეეხება, ისეთ გარემოებას, როდესაც დანაკარგების მოცულობა ეროვნული ბანკის მიერ სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის განხორციელების შესაძლებლობას არ წარმოშობს, ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთ ალტერნატივად სახელმწიფოს ჩართულობა შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, წინამდებარე ქვეთავში, საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემისა და ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის შედარებითი ანალიზის შედეგად გარკვეული მსგავსებების პარალელურად, არაერთი განსხვავება გამოიკვეთა. აქედან გამომდინარე, ქართულ მოდელში ინდივიდის ინტერესების დაცულობის მიმართულებით მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა ცალსახაა. ამისათვის, მნიშვნელოვანია საქართველოს ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა, რაც ალტერნატიული საპენსიო ფონდების ამოქმედებითა და სადაზღვევო კომპანიების როლის გაძლიერებით მარტივად მიღწევადია.

2.3. ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმირების ახალი ტალღა და საქართველოს გამოწვევები

ესტონეთის სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემის მთავარი მამოძრავებელი, მეორე საფეხური ანუ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემაა. ეს უკანასკნელი, წლების განმავლობაში, ესტონეთის მოსახლეობის საპენსიო ასაკის უზრუნველყოფის გარანტს წარმოადგენდა. ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის, უკვე განხილული ყველა დეტალი, ამ სქემის მაქსიმალურად ინდივიდის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, 2019 წელი, ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ძირითადი პრინციპის მოქმედების დასასრულის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

2019 წლის ბოლოს ესტონეთის მთავრობის მიერ დაგროვებითი პენსიის შესახებ ახალი კანონპროექტის ინიცირება მოხდა, რომელიც 2020 წლის 29 იანვარს პარლამენტმა დაამტკიცა. აღნიშნულ ინიციატივას თამამად შეიძლება რევოლუციური ეწოდოს. მთავრობის ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო მიდგომა, რომ თითოეულ ინდივიდს უნდა შეეძლოს თავად გადაწყვიტოს, თუ როგორ უზრუნველყოფს ის საკუთარ სიბერეს. კიდევ ერთი გარემოება, რამაც კანონპროექტის ინიცირება განაპირობა, ეს არის დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურში მონაწილეობის წესების გადამეტებული სიმკაცრე. კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ახალი შესაძლებლობები იხსნება, რაც გაწევრების, დაგროვებისა და სქემიდან გასვლის პროცესების ცვლილებას გულისხმობს. ამასთან, ახალგაზრდებისათვის, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურში, არა ასაკისა და დასაქმებულის სტატუსიდან გამომდინარე, არამედ საკუთარი სურვილის მიხედვით გაწევრების შესაძლებლობა არის დაშვებული.

იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედო კანონპროექტის ინიცირებას გულისხმობს: ინდივიდების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული მოდელის ძიების მნიშვნელოვნებას, დაგროვების პარალელურად. კანონში განხორციელებული აღნიშნული ცვლილებები, ვალდებულების პრინციპის ნებაყოფლობითობის პრინციპით ჩანაცვლებას ითვალისწინებს, რაც როგორც ჩანს, არა მარტო

საქართველოს, არამედ ესტონეთის მოსახლეობისთვისაც დიდმნიშვნელოვანია. კანონი საშუალებას აძლევს თითოეულ ინდივიდს, ნებაყოფლობითობის საფუძველზე ჩაერთოს ან დატოვოს დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხური. სხვა შემთხვევაში, თუ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე გადაწყვეტს, არსებული პირობებით განაგრძოს დაგროვება, მისთვის არაფერი იცვლება. რეალურად აღნიშნული კანონპროექტით, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის, ნებაყოფლობითი საპენსიო სქემით ჩანაცვლება ხდება. ინდივიდებს, რომლებიც არ წარმოადგენენ დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის წევრებს, ეძლევათ გაწევრების შესაძლებლობა. ახალი მოდელი, ასაკობრივ შეზღუდვებს აღარ ითვალისწინებს; ამასთან ერთად შენატანების პროცენტული გადანაწილება იგივე რჩება: 2% ინდივიდის დაუბეგრავი შემოსავლიდან და 4% სოციალური გადასახადიდან.¹⁴⁰

კანონი ასევე ითვალისწინებს ახალ შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს ინდივიდების მიერ სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში დაგროვებული თანხების დამოუკიდებლად ინვესტირებას. ამისათვის საჭიროა ინდივიდმა დაწეროს განცხადება, რაც მის საკუთრებაში არსებული პაიების საპენსიო ფონდის მიერ ფულად გადაქცევის საფუძველი გახდება, რის შემდეგაც, აღნიშნული თანხა ინდივიდის მიერ ბანკში გახსნილ სპეციალურ საინვესტიციო ანგარიშზე გადაირიცხება.

საპენსიო საინვესტიციო ანგარიშზე შესაძლებელია, როგორც დაგროვებული საპენსიო თანხების გადარიცხვა, ასევე მეორე საფეხურისათვის განკუთვნილი ახალი საპენსიო შენატანების განხორციელება; სხვა გზებით აღნიშნულ ანგარიშზე ფულის განთავსება დაუშვებელია. საინვესტიციო ანგარიშიდან თანხის გამოტანის პირობები ემთხვევა საპენსიო ფონდის პირობებს, რაც გულისხმობს, საპენსიო ასაკისათვის მისი გამოყენების უფლების წარმოშობას, მაგრამ გარკვეული აუცილებლობიდან გამომდინარე მეორე საფეხურის დატოვება და თანხის გამოტანა, დაშვებულია ვადაზე ადრე.

¹⁴⁰ <https://www.valitsus.ee/ru/novosti/pravitelstvo-napravilo-uvyazanny-s-golosovaniem-o-doverii-proekt-pensionnoy-reformy-v.02.02.2020>.

ისევე როგორც საპენსიო ფონდების შემთხვევაში, ინდივიდს შეუძლია საინვესტიციო ანგარიშის შეცვლა. ამასთან, საინვესტიციო ანგარიშის საპენსიო ფონდით ჩანაცვლება, კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე დაშვებულია. აღნიშნული ჩანაწერი ასევე ხაზს უსვამს ინდივიდისათვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭების საკითხს. მთავრობა ცდილობს, რომ საპენსიო სისტემის დახვეწის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების საფუძველზე, მოქალაქეებში მათდამი კმაყოფილების დონე მაქსიმალურად გაზარდოს; მისცეს მათ შესაძლებლობა, საკუთარ შეხედულებებზე, გამოცდილებაზე, არსებულ მდგომარეობაზე დაყრდნობით თავად გააკეთონ თავისუფალი არჩევანი. ამასთან, უმთავრესი რის საშუალებასაც კანონი აღნიშნული ჩანაწერით იძლევა, ეს არის შედარების შესაძლებლობა; რაც არ უნდა კარგი იყოს რომელიმე შეთავაზებული პროექტი, როდესაც არსებობს ალტერნატივა და ამ ალტერნატივის არჩევის უფლება არ აქვს ადამიანს, წარმოიშობა უკმაყოფილება. უკმაყოფილება, გამოწვეული შეზღუდვით. სწორედ ამ პრობლემის დასაძლევად, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მიგნება გაკეთდა აღნიშნული ჩანაწერით, რომლის მიხედვით ინდივიდს თავად შეუძლია შეაფასოს, საინვესტიციო ანგარიშის ფლობის შემდეგ, თუ რამდენად კარგი იყო აქამდე შეთავაზებული მოდელი და რა შუქ-ჩრდილები აქვს ახალ მოდელს; მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს მისთვის შესაბამისი არჩევანი და გადაწყვიტოს, მიემხროს ახალ მოდელს და გააგრძელოს დამოუკიდებლად ინვესტირება, თუ საინვესტიციო ანგარიშზე გადატანილი თანხები ისევ უკან, საპენსიო ფონდში მიმართოს.

საპენსიო საინვესტიციო ანგარიშზე არსებული თანხების ინვესტირება შესაძლებელია იმავე პრინციპით, როგორც ეს, სხვა, ნებისმიერ საინვესტიციო ანგარიშზე არსებული თანხების მეშვეობით ხდება. ანუ თანხის ინვესტირება დაშვებულია, როგორც ფასიან ქაღალდებში ასევე სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში.

კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, თითოეულ ადამიანს, რომელიც საპენსიო ასაკს მიაღწევს, შეუძლია აირჩიოს, გადახდის სამი ალტერნატივიდან ერთ-ერთი: გამოიტანოს დაგროვებული თანხის სრული მოცულობა ერთიანი გადახდის მეშვეობით; დაგროვებული თანხით უზრუნველყოს პენსიის გადახდა სიცოცხლის ბოლომდე (უვადო პენსია) ან განსაზღვროს ვადა

(ვადიანი პენსია), რომელზეც გადანაწილდება აკუმულირებული თანხა და ვადის ამოწურვის შემდგომ შეწყდება გადახდები. იმ შემთხვევაში, თუ დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურზე დაგროვებული თანხების გაცემის ფორმად შეირჩევა ვადიანი ან უვადო პენსიის ფორმა, პენსიაზე გასვლის შემდგომ, ინდივიდის საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხის მოცულობა გაიყოფა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის მიღწევამდე დარჩენილი წლების რაოდენობაზე და ამ მონაცემზე დაყრდნობით პენსიის სახით გასაცემი თანხა დაანგარიშდება. აღნიშნული ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთით სარგებლობის შემთხვევაში, პენსიის სახით გასაცემი თანხა საშემოსავლო გადასახადით დაბეგრას არ დაექვემდებარება.

თუ ინდივიდი გადაწყვეტს, რომ მოკლევადიანი საპენსიო პერიოდით ან ერთიანი გადახდის მოდელით ისარგებლოს, კანონი, საშემოსავლო გადასახადის 20%-დან 10%-მდე შემცირებას ითვალისწინებს, განსხვავებით, იმ შემთხვევისა, როდესაც ინდივიდს საპენსიო ანგარიშიდან თანხა ვადაზე ადრე გააქვს.

ახალი მოდელის მიხედვით, ინდივიდის პენსიაზე გასვლა დაშვებულია ვადაზე ადრე, თუ არსებული ასაკი, დადგენილ საპენსიო ასაკზე, არაუმეტეს 5 წლით ნაკლებია; ამავდროულად აღნიშნული უფლება, ინდივიდს შრომისუუნარობის დადგენის შემთხვევაში წარმოეშობა. გადახდები, რომელიც დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელდება, არ არის ჩართული დაუბეგრავი შემოსავლის გამოთვლის პროცესში.

კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, არსებული მოდელისაგან განსხვავებით, ინდივიდებს შეუძლიათ, სურვილის შემთხვევაში, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურისათვის განკუთვნილი შენატანების განხორციელება შეწყვიტონ. ამისათვის დასახელებულია ორი ალტერნატივა: 1. ინდივიდი წყვეტს შენატანების განხორციელებას, მაგრამ დაგროვებულ თანხას ტოვებს ფონდში, რათა გაგრძელდეს სარგებლის დარიცხვა; 2. ინდივიდი ტოვებს დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურს და გააქვს დაგროვებული თანხა. შედეგად, ის აღარ წარმოადგენს შენატანების განხორციელების ვალდებულების მქონე პირს და მისი შენატანების ისტორია ამით იხურება.

მიუხედავად, ზემოაღნიშნული ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთის გამოყენების შემდგომ, ინდივიდს რჩება შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში ისევ გაწევრდეს დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურში. აღნიშნული უფლება ინდივიდს, მეორე საფეხურის დატოვებიდან 10 წლის გასვლის შემდეგ წარმოეშობა. ასეთი შესაძლებლობის გამოყენების შემდეგ, ინდივიდისათვის, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის განმეორებით დატოვება, მხოლოდ წევრობის არანაკლებ 10 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ არის ნებადართული. განმეორებითი დატოვებისას შესაძლო ალტერნატივათა ანალოგიური მოდელი მოქმედებს, როგორც პირველადი დატოვების შემთხვევაში.

ინდივიდს, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის ორჯერ დატოვების შემთხვევაში, კანონის მიხედვით, ხელახლა გაწევრების შესაძლებლობა ეზღუდება. აღნიშნული საფეხურის დატოვების შემდგომ, თუ ინდივიდი თანხას არ ტოვებს საპენსიო ანგარიშზე, საპენსიო ასაკისათვის მისი პენსია, საპენსიო სისტემის პირველი საფეხურის შესაბამისად განისაზღვრება.

ესტონეთის მთავრობის მიერ ინიცირებული დაგროვებითი პენსიის რეფორმა, ინდივიდის მიერ, ფონდიდან თანხის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, დაგროვებული თანხის სრული მოცულობით გადახდას ითვალისწინებს. ამასთან, აღნიშნული გადახდა ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის სრული განაკვეთით დაბეგვრას; გარდა ამისა, რაც შეეხება დაუბეგრავი შემოსავლის დაანგარიშების მოდელს, ის მასზე გავლენას არ ახდენს.

ინდივიდებთან მიმართებით, რომლებიც დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ, პირველად, ნებაყოფლობითად გაწევრდებიან მეორე საფეხურში, ვრცელდება ანალოგიური წესი, დატოვების შემთხვევაში, რაც არსებული წევრების მიმართ. მათ, მეორე საფეხურის დატოვების უფლება, წევრობის ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ წარმოეშობათ.

ახალი მოდელით, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის დატოვების შესაძლებლობა, ასევე არსებული პენსიონერებისათვის არის გათვალისწინებული. კანონში ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, მეორე საფეხურის პენსიონერს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს, მიმართოს საპენსიო ფონდს, საპენსიო

თანხების ერთიანი გადახდით გაცემის მოთხოვნით ან საპენსიო დაზღვევით სარგებლობის შემთხვევაში, გაწყვიტოს ხელშეკრულება. პენსიონერისათვის ერთიანი გადახდით გასაცემი თანხა, საშემოსავლო გადასახადის განახევრებული განაკვეთით (10%) დაბეგრას ექვემდებარება.

რიიგიკოგუს (ესტონეთის პარლამენტი) მიერ, დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, ინდივიდებისათვის შეცვლილი პირობებით სარგებლობა 2021 წლის იანვრიდან იქნება შესაძლებელი.

ახალი მოდელი ითვალისწინებს, მეორე საფეხურზე დაგროვებული თანხების გაცემის, ასევე შენატანების განხორციელების შეწყვეტის ან დაწყების პროცედურას, წელიწადში სამჯერ - იანვარში, მაისში და სექტემბერში. განცხადების დაწერის თარიღზეა დამოკიდებული, თუ როდის მოხდება დაგროვებული თანხის გაცემა, შენატანების განხორციელების დაწყება ან მათი შეწყვეტა.

იმისათვის, რომ ინდივიდი ნებაყოფლობით გაწევრდეს ან დატოვოს დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხური და ასევე გაიტანოს დაგროვებული საპენსიო თანხები, განცხადების დაწერა, ახალი მოდელით, 2021 წლის იანვრიდან არის დაშვებული. ყველა განცხადება, რომელიც წარდგენილი იქნება არაუგვიანეს 2021 წლის 31 მარტისა, დაკმაყოფილდება 2021 წლის სექტემბერში; აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდები, რომლებიც შეცვლილი კანონის თანახმად, გამოიყენებენ ნებაყოფლობითი გაწევრების ან დატოვების შესაძლებლობას, შესაბამისად შენატანების განხორციელების დაწყება ან მათი შეწყვეტა, სექტემრის თვეში მოხდება; ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი დატოვებს დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურს და ამასთან, არ მოისურვებს დაგროვებული თანხების საპენსიო ანგარიშზე დატოვებას, ის ასევე 2021 წლის სექტემბერში აღნიშნულ თანხას სრულად მიიღებს.¹⁴¹

თითოეული განცხადება, რომელიც კანონში ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, კონკრეტული წლის 1-ლი აპრილიდან არაუგვიანეს 31 ივლისის ჩათვლით იქნება წარდგენილი, დაკმაყოფილდება მომდევნო წლის იანვარში. რაც შეეხება

¹⁴¹ იქვე.

განცხადებებს, რომლებიც 1 აგვისტოდან 30 ნოემბრის ჩათვლით იქნება წარმოდგენილი, დაკმაყოფილდება მომდევნო წლის მაისში.¹⁴²

ზემოაღნიშნული გადანაწილება, საპენსიო ფონდებისათვის კომფორტულ გარემოს უზრუნველყოფს. მათ შეეძლება, საპენსიო ფონდის პაიების მფლობელთა მხრიდან, მინიმუმ 5 თვით ადრე მიიღონ შეტყობინება, ფონდის დატოვების შესახებ. აღნიშნული ვადის კანონპროექტში გათვალისწინებას საფუძვლად უდევს, საპენსიო ფონდებისათვის, ინვესტიციების ეფექტიანი მართვის შესაძლებლობის მიცემა. კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ, საპენსიო ფონდებისათვის გადახდებთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად, კანონში ჩადებულია კიდევ ერთი შესწორება, რომელიც გულისხმობს, საპენსიო ფონდის ანგარიშზე არსებული თანხის სრული მოცულობიდან კრედიტის სახით გასაცემი თანხის წილის 10%-დან 25%-მდე გაზრდას.¹⁴³

რაც შეეხება, საპენსიო ფონდიდან თანხის საინვესტიციო ანგარიშზე გადარიცხვას, აღნიშნულის განხორციელება 2021 წლის 1-ლი აპრილიდან იქნება შესაძლებელი. აღნიშნული შესაძლებლობის გათვალისწინების შედეგად, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის მომავალთან მიმართებით ესტონეთის მთავრობის ახალი ხედვა, არსებულ მოდელთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობით ხასიათდება. იმ შემთხვევაში, თუ განცხადების წარდგენა საპენსიო ფონდიდან საინვესტიციო ანგარიშზე თანხის გადატანის შესახებ 1 აპრილიდან 31 ივლისის ჩათვლით მოხდება, საინვესტიციო ანგარიშზე თანხა, იმავე წლის 1 სექტემბერს გადაირიცხება. რაც შეეხება, 1 აგვისტოდან 31 ნოემბრის ჩათვლით ინტერვალს, აღნიშნულ პერიოდში დაწერილი განცხადების საფუძველზე, თანხის გადარიცხვა 2022 წლის 3 იანვარს განხორციელდება.¹⁴⁴

ინდივიდს, რომელიც დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურისათვის განკუთვნილი შენატანების, საინვესტიციო ანგარიშზე მიმართვის სურვილს გამოთქვამს, აღნიშნული შესაძლებლობა 2021 წლის სექტემბრიდან მიეცემა. ამისათვის საჭიროა, ბანკში ან საპენსიო ცენტრში დაიწეროს განცხადება, რის

¹⁴² იქვე.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ იქვე.

საფუძველზეც შენატანები გადაირიცხება, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.¹⁴⁵

კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საპენსიო ფონდიდან თანხის სრულად გამოტანის პროცედურისათვის გაცილებით მეტი დრო არის გათვალისწინებული, ვიდრე, იმავე თანხის საინვესტიციო ანგარიშზე გადარიცხვის შემთხვევაში. ვადებში ასეთი განსხვავება, შეიძლება შემდეგი მიზეზით აიხსნას: როდესაც ინდივიდი ტოვებს დაგროვებითი პენსიის მეორე სფეხურს და საპენსიო ფონდიდან თანხის სრულად გადახდას ითხოვს, ამ შემთხვევაში საპენსიო ფონდს უფრო მეტი დრო სჭირდება, რათა თანხების გატანის პარალელურად, სწორი პოლიტიკა შეიმუშაოს, მაქსიმალურად ნაკლებრისკიანი გარემოს ფორმირებისათვის; ხოლო, რაც შეეხება დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურზე დაგროვებული საპენსიო თანხების საინვესტიციო ანგარიშზე გადარიცხვას, იქიდან გამომდინარე, რომ ესტონეთის ბაზარზე არსებული საპენსიო ფონდების უმრავლესობას ბანკები ფლობენ, იმის ალბათობა, რომ საპენსიო ფონდის ანგარიშზე არსებული თანხები, ამავე ფონდის მფლობელი ბანკის საინვესტიციო ანგარიშზე გადაირიცხება, მაღალია; რაც, ბანკებისათვის მოსალოდნელი რისკების დონეს ამცირებს. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს ასევე ფაქტი, რომ ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებს, რომელთაც მასში შეტანილი ცვლილებები ეხებათ, თავად აქვთ შერჩეული არსებული საპენსიო ფონდები; რაც ნიშნავს, რომ მათ, ინდივიდუალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, უპირატესობა მიანიჭეს კონკრეტულ ფონდს, ბაზრის სხვა მოთამაშეებთან შედარებით; აქედან გამომდინარე, ეს შეიძლება, გარკვეულწილად, ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად ჩათვალოს, რომ ისინი, საპენსიო საინვესტიციო ანგარიშით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, არსებული საპენსიო ფონდის მფლობელი ბანკის საინვესტიციო ანგარიშის სასარგებლოდ მიიღებენ გადაწყვეტილებას.

ესტონეთის მთავრობის ინიციატივას, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმის შესახებ, როგორც მხარდამჭერები ასევე მოწინააღმდეგეები ჰყავს. მხარდამჭერთა არგუმენტები რეფორმის სასარგებლოდ მდგომარეობს შემდეგში: პირველი და უმთავრესი, ეს არის ინდივიდებისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ

¹⁴⁵ იქვე.

თავად გადაწყვიტონ თუ რა ფორმით დააგროვებენ თანხებს საპენსიო ასაკისათვის; გარდა ამისა, საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდა; კონკურენციის ზრდა, რაც განაპირობებს, საპენსიო ფონდების მმართველი კომპანიების მხრიდან მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვას, რათა არ დაკარგონ კლიენტები; ამასთან ერთად, გაიზრდება საპენსიო ფონდების საქმიანობის ეფექტიანობა, რაც მომავალში უფრო მაღალ პენსიებს განაპირობებს.

რაც შეეხება, რეფორმის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს, ისინი ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ესტონეთის ცენტრალური ბანკის პოზიციას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ესტონეთის მთავრობისადმი მიცემულ რეკომენდაციაში, აქცენტი გაკეთებულია საპენსიო სისტემის მეორე საფეხურის სავალდებულო პრინციპის შენარჩუნების მნიშვნელოვნებაზე, რადგან მეორე საფეხური პირველი საფეხურის შემავსებელს წარმოადგენს.¹⁴⁶ ესტონეთის ცენტრალური ბანკი ასევე სრულად იზიარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს. ამ რეკომენდაციებში ასევე ნათქვამია, რომ სასურველია ესტონეთის მთავრობა სიფრთხილით მოეკიდოს საპენსიო სისტემაში განსახორციელებელი ცვლილებების საკითხს და ამასთან ერთად, გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების გამოცდილება. აქ ასევე ყურადღება გამახვილებულია, გრძელვადიან პერსპექტივაში, დაგეგმილი ცვლილებების შედეგად მოსალოდნელი გავლენების შეფასებისა და ცვლილებების დაგეგმვის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ფართო განხილვა/დისკუსიაში ჩართულობის მნიშვნელოვნებაზე.¹⁴⁷

ესტონეთის ცენტრალური ბანკის ოფიციალურ პოზიციაში, რომელიც ბანკის პრეზიდენტმა მთავრობის მიერ კანონპროექტის პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგინებამდე რამდენადმე ადრე დააფიქსირა, აქცენტი გაკეთდა საპენსიო სისტემის პირველი და მეორე საფეხურის შემავსებელ შინაარსზე და ამ მოდელის შენარჩუნების კრიტიკულ მნიშვნელოვნებაზე, ისეთი ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობა დაბერებისკენ არის მიდრეკილი; ასევე გამოითქვა ვარაუდი, რომ თუ საპენსიო დანაზოგების მქონე 700 000 ადამიანიდან, კანონში დაგეგმილი

¹⁴⁶ <https://www.eestipank.ee/en/press/imf-recommends-government-keep-second-pension-pillar-mandatory-04112019>. 25.01.2020.

¹⁴⁷ იქვე.

ცვლილებების განხორციელების შედეგად, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დატოვებს, იმ ინდივიდების აქტივების ღირებულება, რომლებიც დარჩებიან აღნიშნულ საფეხურზე, შემცირდება.¹⁴⁸

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა არასახარბიელო პროგნოზი გააკეთა ესტონეთის საპენსიო სისტემის რეფორმის მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით, რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურს, წევრ ინდივიდთა დიდი ნაწილი დატოვებს და პარალელურად მეორე საფეხურის ფარგლებში დაგროვებულ თანხებს დახარჯავს, აქედან გამოწვეული ეკონომიკური ზრდა იქნება არასტაბილური. აღნიშნულ პოზიციას იზიარებს ესტონეთის ცენტრალური ბანკი და მთავრობის მიერ დაგეგმილი ცვლილებებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას, იმ შემთხვევაში თუ დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურს, წევრთა დიდი ნაწილი დატოვებს, მხოლოდ, მოკლევადიან პერიოდში ვარაუდობს; ასევე, პროგნოზის მიხედვით, აღნიშნულ მოკლევადიან აფეთქებას, მოჰყვება ზრდის ტემპების კლება ან უკიდურეს შემთხვევაში რეცესია; ეს პროცესი, კი, გამოიწვევს ესტონელი ხალხის ცხოვრების დონის გაუარესებას.¹⁴⁹

მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ესტონეთის ცენტრალური ბანკი, 2021 წელს ფასების, ანაზღაურებისა და იმპორტის ზრდას პროგნოზირებდა. ხოლო, მას შემდეგ, რაც დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის დატოვების შედეგად მიღებული თანხები სრულად გაიხარჯება, გაზრდილი მოთხოვნა, ისევე როგორც მოკლევადიან ზრდის პერიოდში შექმნილი სამუშაო ადგილები, შემცირდება. მოთხოვნის მოკლევადიანი ზრდით განპირობებული ფასებისა და ანაზღაურების გაზრდილი მაჩვენებლები, შემდგომში მოსალოდნელი ზრდის ტემპების შემცირების პარალელურად, კლების ტენდენციის შესაბამის დონეს ვერ აჩვენებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ესტონური კომპანიების კონკურენტუნარიანობას შეასუსტებს.¹⁵⁰

მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ფონდებში აკუმულირებული თანხების დიდი ნაწილის ინვესტირება საზღვარგარეთ ხორციელდება, ბოლო წლებში

¹⁴⁸ იქვე.

¹⁴⁹ <https://www.eestipank.ee/en/press/planned-changes-pension-system-will-make-economy-more-volatile-14102019>. 27.01.2020.

¹⁵⁰ იქვე.

ესტონეთის ბაზარზე ინვესტირების მზარდი ტენდენცია აღინიშნება. აღნიშნული პროცესი, ადგილობრივ კომპანიებს განვითარების შესაძლებლობას აძლევს. მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებების ძალაში შესვლის შემთხვევაში, შეიძლება ვივარაოდოთ, რომ საპენსიო ფონდები ლიკვიდურობის დაბალი მაჩვენებლის მქონე სექტორში ინვესტიციებს აღარ განახორციელებენ, რაც პირველ რიგში ადგილობრივ ბაზარზე მოახდენს უარყოფით გავლენას. გარდა ამისა, აქტივების ასეთ მოკლე ვადებში გაყიდვა, გამოიწვევს თანხობრივ დანაკარგს, როგორც იმ ინდივიდებისათვის, ვინც დატოვებს დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურს, ასევე მათთვის ვინც განაგრძობს უცვლელი პირობებით დაგროვებას.

ესტონეთის ცენტრალურ ბანკს აქვს მოლოდინი, რომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის გაუქმება, საპენსიო ასაკისათვის სიღარიბის რისკს გაზრდის, რადგან ადამიანებს შეუძლიათ მეორე საფეხურის წევრობის პერიოდში დაგროვებული თანხები, რასაც მათი პენსიაზე ყოფნის წლები უნდა უზრუნველყოს, მოკლე ვადაში დახარჯონ. აქედან გამომდინარე, ინდივიდები მხოლოდ საპენსიო სისტემის პირველი საფეხურით გათვალისწინებულ პენსიას მიიღებენ, რაც დიდი ალბათობით, ვერ განაპირობებს მათთვის შესაბამისი ცხოვრების დონის შენარჩუნებას.

ესტონეთში საპენსიო ასაკის მატების პარალელურად, არსებული სისტემის მიხედვით, ერთი პენსიონერის საპენსიო ასაკის უზრუნველყოფისათვის საჭირო დასაქმებულთა რაოდენობა, მომდევნო ათი წლის განმავლობაში შემცირდება; ის კრიტიკულ წერტილს 2060 წელს მიაღწევს, როდესაც ერთი პენსიონერისათვის 1.6 დასაქმებული იმუშავებს, ნაცვლად არსებული მაჩვენებლისა (2.2 დასაქმებული ერთ პენსიონერზე).¹⁵¹ კანონში განხორციელებული ცვლილებები, აღნიშნულ ურთიერთმიმართებას გააუარესებს, რაც საპენსიო ხარჯების ზრდას და საგადასახადო ტვირთის დამძიმებას გამოიწვევს.

ესტონეთის მთავრობის ინიციატივის განხორციელება, რაც უფრო მეტად გამოიწვევს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში

¹⁵¹ Eesti Pank, "Summary of the impact analysis of the changes to the pension system", გვ. 1. - <https://www.eestipank.ee/en/press/planned-changes-pension-system-will-make-economy-more-volatile-14102019>. 27.01.2020.

დაგროვებული თანხების შემცირებას, მომავალში შესაბამისად მაღალი იქნება, საპენსიო სისტემის პირველი საფეხურით დაფინანსებული პენსიის გაზრდასთან დაკავშირებული, მოსალოდნელი ზეწოლის დონე. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი საფეხური სრულად სახელმწიფო დაფინანსებაზეა დამოკიდებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ პირობებში, გადასახადების გაზრდის პერსპექტივა გარდაუვალია.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე ესტონეთის ცენტრალური ბანკის მიერ შემუშავდა რეკომენდაციები: 1. მნიშვნელოვანია, საპენსიო სისტემაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებამდე, ნათლად ჩამოყალიბდეს თუ რა შედეგების მოტანის მოლოდინი არსებობს; ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნულთან დაკავშირებით ფართო შეთანხმების მიღწევა. საერთო სურათი უნდა ასახავდეს, თუ რა მოცულობის პენსიით უზრუნველყოფს სახელმწიფო ინდივიდებს მომავალში, ასევე - თანხას, რომელსაც, ინიცირებული მოდელის მიხედვით, ინდივიდები თავად შეიტანენ და - საპენსიო სისტემის ღირებულებას; 2. ესტონეთის ცენტრალური ბანკი ნებაყოფლობითობის პრინციპზე გადასვლას რეკომენდაციას არ უწევს, რადგან ეს შესაძლოა, მომავალში პენსიების შემცირებისა და გადასახადების გაზრდის საფუძველი გახდეს; 3. რადგან მთავრობას ასე გადაჭრით სურს, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა გახადოს ნებაყოფლობითი, ზემოაღნიშნული რისკებიდან გამომდინარე, ესტონეთის ცენტრალურმა ბანკმა შეიმუშავა მათი თავიდან აცილების გზები: არასტაბილური ეკონომიკური ზრდის დასაბალანსებლად, გონივრული იქნება, მთავრობამ არ დახარჯოს დამატებითი გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები და ამავე დროს, გაზარდოს საპენსიო დანაზოგების გატანის მინიმალური პერიოდი. ნებაყოფლობითობის პრინციპის დანერგვის პარალელურად, მნიშვნელოვანია ინდივიდების სტიმულირება, რათა არ შეწყვიტონ დაგროვებითი პენსიის მისაღებად განკუთვნილი შენატანების განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია იმ აქციონერების დაცვა, რომლებმაც დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის საპენსიო ფონდებში ჩადეს ფული და ფლობენ ნაკლებად ლიკვიდურ აქტივებს.¹⁵² ამ რეკომენდაციით, ესტონეთის

¹⁵² იქვე, გვ. 3.

ცენტრალური ბანკი ხაზს უსვამს, ესტონეთის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების დაცვის პრიორიტეტულობას.

საპენსიო სისტემის სავალდებულო დაგროვებითი სქემის რეფორმასთან დაკავშირებით, ესტონეთის სადაზღვევო საზოგადოებათა კავშირის მიერ, ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვა, ესტონეთის მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების კვლევას ეხებოდა. გამოიკვეთა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტში გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შევიდოდა, არსებული წევრების მხოლოდ 44% განაგრძობდა საპენსიო ფონდების მეშვეობით დაგროვებას.¹⁵³ გამოკითხულთა 41%-მა, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრობის პერიოდში, დაგროვებული თანხის გამოტანას მიანიჭა უპირატესობა.¹⁵⁴ გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ყოველი ექვსი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა არ იცის, თუ როგორ მოიქცევა კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ.

გამოკითხულთა 29%-მა, დაგროვებული თანხის გამოტანის შემდეგ, დამოუკიდებლად ინვესტირების სურვილი გამოთქვა.¹⁵⁵ რაც შეეხება გამოკითხულთა 11%-ს, ისინი არ გეგმავენ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის დატოვების შედეგად მიღებული თანხის ინვესტირებას;¹⁵⁶ ამის ნაცვლად, აღნიშნული თანხა მიიმართება კრედიტებისა და მიმდინარე ხარჯების დასაფარად; მიღებულ გადაწყვეტილებას, ამ მიზეზებზე დაყრდნობით, 11%-ში შემავალ ინდივიდთა მხოლოდ მცირე ნაწილი ასაბუთებს, რაც შეეხება მოტანილი სეგმენტის 77%-ს, ისინი ვერ ასაბუთებენ, თუ რატომ სურთ სამომავლო საინვესტიციო გეგმის არ ქონის პირობებში, თანხის საპენსიო ანგარიშიდან გატანა.¹⁵⁷

ესტონეთის ცენტრალური ბანკისა და ესტონეთის სადაზღვევო საზოგადოებათა კავშირის პოზიცია ემთხვევა, როდესაც საუბარია დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის რეფორმირების საჭიროებაზე. მაგრამ, ამასთან ერთად

¹⁵³ ესტონეთის სადაზღვევო საზოგადოებათა კავშირი - <http://www.eksl.ee/ru/союз-страховых-обществ-эстонии-почти-половина-накапливающих-пенсию-людей-намерены-изъять-свои-деньги>, 27.01.2020.

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ იქვე.

ისინი ასევე თანხმდებიან, ესტონეთის მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის დახვეწის მნიშვნელოვნებაზე.

მთავრობის მიერ ინიცირებული სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმის გარშემო არსებული ზემოაღნიშნული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, 2020 წლის 29 იანვარს, მეორე მოსმენით, რიგიკოგუმ კანონი დაამტკიცა. ინიცირებულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა რიგიკოგუს 56-მა წევრმა, ხოლო დამტკიცების წინააღმდეგ წავიდა 45 წევრი.

როგორც კენჭისყრამ აჩვენა, ხმები თითქმის თანაბრად გაიყო და კანონპროექტი მცირე უპირატესობის პირობებში დამტკიცდა. რიგიკოგუს წევრთა შორის მთავრობის მიერ ინიცირებული კანონი სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმის შესახებ, მაღალი პოპულარობით არ სარგებლობს; ამის მიზეზად, იმ პარლამენტარების მხრიდან, რომელთაც კანონის მიღების წინააღმდეგ მისცეს ხმა, დასახელდა, გრძელვადიან პერსპექტივაში რეფორმის შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, ასევე ინდივიდების მხრიდან ინვესტირებისათვის საჭირო უნარების არ ქონა, რაც საბოლოო ჯამში დანაზოგების დაკარგვის ალბათობას ზრდის. რაც შეეხება პარლამენტარებს, რომელთაც კანონის მიღებას მხარი დაუჭირეს, მათი ნაწილი მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტად, გარდა მთავრობის მხრიდან დასახელებული რეფორმის პლუსებისა, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის საფუძველზე, ბანკებისათვის უზარმაზარი ფინანსური რესურსის შექმნის მიუღებლობას ასახელებს.

ბანკებთან მიმართებით, ესტონელი პარლამენტარების მხრიდან დაფიქსირებული პოზიცია აქტუალურია, როგორც ესტონეთში ასევე საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი, არ განსაზღვრავს დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრ ინდივიდთა შენატანების შედეგად აკუმულირებული თანხების ინვესტირების დაწყების ვადებს, იმავე კანონის 21-ე მუხლის ამოქმედების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა შენატანების შედეგად აკუმულირებული თანხების სრული მოცულობა საბანკო ანგარიშებზე იყო განთავსებული.

საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭომ, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის არ არსებობის პირობებში, 2020 წლის 22 იანვარს, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის დროებითი დებულება დაჩქარებული წესით დაამტკიცა, რაც ავტომატურად, საპენსიო აქტივების ინვესტირების უფლების წარმოშობის საფუძველი გახდა. იმის გათვალისწინებით, რომ საინვესტიციო საბჭოს მიერ, ყველა ტიპის საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტისათვის, შემუშავებული საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, კანონთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ეროვნულ ბანკს 2020 წლის თებერვალში გაეგზავნა, ხოლო 2020 წლის 22 იანვარს დამტკიცებული დოკუმენტი არის დროებითი, ეს უკანასკნელი, საინვესტიციო პორტფელში, ეროვნული ვალუტით ან/და უცხოური ვალუტით დენომინირებული, მხოლოდ სამი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობას უშვებს: 1. საქართველოს კომერციული ბანკების მიმდინარე დეპოზიტები; 2. საქართველოს კომერციული ბანკების ვადიანი დეპოზიტები; 3. საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები.¹⁵⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დროებითი დოკუმენტის მიხედვით, საპენსიო აქტივების ინვესტირება, მხოლოდ კომერციულ ბანკებში არის დაშვებული. აღნიშნული, ეწინააღმდეგება ესტონელი პარლამენტარების პოზიციას, ბანკებისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების შექმნის მიუღებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საპენსიო სააგენტომ 575 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია, მაღალრეიტინგული ადგილობრივი ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში განახორციელა, ხოლო 15 მილიონი ლარის ოდენობის საპენსიო აქტივები ეროვნულ ვალუტაში განათავსა, ბანკების ვადიან დეპოზიტებზე. ოფიციალური პოზიციის თანახმად, საინვესტიციო საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება, საპენსიო აქტივებზე რეალური ამონაგების გაზრდის მიზნით და მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად მიიღო. გარკვეულწილად, დასახელებული ციფრები მათ მოტივს მყარ საფუძველს უქმნის, როდესაც საუბარია 14,8%-იან საშუალო ნომინალურ სარგებლის განაკვეთზე და საინვესტიციო პერიოდის ბოლოს ინვესტირებული თანხების გაორმაგების პერსპექტივაზე. მაგრამ,

¹⁵⁸ Investment Policy for Portfolio of Cash and Cash Equivalents - <https://pensions.ge/docs/legislation/investment-board-protocol-6.pdf>. 7.03.2020.

ზოგიერთი გარემოებიდან გამომდინარე გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები იკვეთება; ქრონოლოგიურად თუ მივყვებით, მივიღებთ შემდეგ სურათს: საინვესტიციო საბჭო 2020 წლის იანვარში დამტკიცებული საინვესტიციო პოლიტიკის დროებითი დოკუმენტით, საპენსიო აქტივების ინვესტირებას, მხოლოდ საქართველოს კომერციულ ბანკებში ხდის შესაძლებელს; საპენსიო სააგენტო 2020 წლის თებერვალში საპენსიო აქტივების ინვესტირებას ადგილობრივ კომერციულ ბანკებში ახორციელებს; სწორედ ამ პერიოდში ხდება მსოფლიოში COVID-19 ვირუსის აფეთქება და გამონაკლისი არც საქართველოა; ხოლო, 2020 წლის მარტის პირველ ნახევარში საქართველოს მთავრობა და ადგილობრივი კომერციული ბანკები აღწევენ შეთანხმებას, სამთვიანი საშუავათო პერიოდის ამოქმედების შესახებ. შესაძლოა ეს უბრალო დამთხვევად მივიჩნიოთ, მაგრამ არსებობს გონივრული საფუძველი, რომ გამოითქვას ვარაუდი, საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრული გეგმის არსებობის შესახებ, რომელიც ქვეყანაში ვირუსის გავრცელების საფუძველზე მოსალოდნელი მძიმე ვითარების ფონზე, საპენსიო აქტივების კომერციულ ბანკებში მიმართვის შედეგად, ზემოაღნიშნული შეთანხმების მიღწევას გახდიდა შესაძლებელს; ეს, კი, სამივე მხარისათვის (სახელმწიფო, კომერციული ბანკები და მოქალაქეები) მოსალოდნელი ზიანის დონის მინიმუმამდე დაყვანას შეუწყობდა ხელს.

რაც შეეხება, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმის შესახებ, რიგიკოგუს მიერ დამტკიცებულ კანონს, მას, 2020 წლის 7 თებერვალს, ესტონეთის პრეზიდენტმა ვეტო დაადო. პრეზიდენტი აღმოჩნდა ერთ-ერთი მათგანი, ვინც აღნიშნულ კანონპროექტს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეფორმის იდეის დაბადებასთან ერთად მიმდინარეობდა დისკუსია, რასაც ინიციატორი მხარე არ იზიარებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ესტონეთის პრეზიდენტმა თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად სწორედ ეს არგუმენტი დაუდო: „რესპუბლიკის პრეზიდენტი არ მოქმედებს, რომელიმე კანონის სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ. მაგრამ ის ვალდებულია, რომ ძირითადი კანონის მიხედვით, აკონტროლოს, რომ ჩვენი სამართლებრივი გარემო

კონსტიტუციურ ჩარჩოებში დარჩეს.¹⁵⁹ - განაცხადა პრეზიდენტმა კერსტი კალულაიდმა.

პრეზიდენტი კალულაიდის შეფასებით, საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებული კანონი, არაპროპორციულად ეხება ადამიანთა უფლებებს და ამასთან ერთად, შეუსაბამობაში მოდის, როგორც, კონსტიტუციით გათვალისწინებული სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებთან, ასევე გამართლებული მოლოდინის პრინციპთან.¹⁶⁰

პრეზიდენტის განცხადება და მისი ვეტო, რიიგიკოგუს მხრიდან კონსტიტუციასთან შეუსაბამო კანონის მიღებას უსვამს ხაზს. მას შემდეგ რაც პრეზიდენტმა კალულაიდმა, რიიგიკოგუს კანონი უკან დაუბრუნა, მისი შემდგომი განხილვისა და ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რიიგიკოგუს საკონსტიტუციო კომისიამ, პრეზიდენტის გადაწყვეტილების საპასუხოდ, 2020 წლის 20 თებერვალს, მხარი დაუჭირა კანონის უცვლელი ფორმით დამტკიცებას. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, პრეზიდენტის მიერ იურიდიული ვეტოს გამოყენების ფაქტი, მის პოლიტიკურ ნებას დაუკავშირა.

2020 წლის 25 თებერვალს, რიიგიკოგუს ფინანსური კომისიის სხდომაზე, დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებთან მიმართებით პრეზიდენტის ვეტოს განხილვის შედეგად, კომისიაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კომისიის წევრთა უმრავლესობამ რიიგიკოგუს მიერ დამტკიცებული კანონის უცვლელი ფორმით მიღებას დაუჭირა მხარი. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ესტონეთის პარლამენტის ფინანსურმა კომისიამ საკონსტიტუციო კომისიის პოზიცია გაიზიარა. რიიგიკოგუს კომისიათა მხრიდან პრეზიდენტის რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა, ჯერ კიდევ, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის განცხადების შედეგად პროგნოზირდა; განცხადების შინაარსი, პრეზიდენტის პოზიციის არა ობიექტურ, არამედ სუბიექტურ საფუძვლებზე მიაწინებდა.

¹⁵⁹ <https://www.president.ee/ru/mediae/press-releases/15809-2020-02-10-08-07-40/index.html>. 14.02.2020.

¹⁶⁰ იქვე.

შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ სრულად გაიზიარა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია, როდესაც განაცხადა, რომ კანონპროექტის განხილვის პერიოდში დაფიქსირებული განსხვავებული პოზიციები, კანონის მიღებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. აივარა კოკკას (ფინანსური კომისიის თავმჯდომარე) აღნიშნულ ზოგად განცხადებაში, რეალურად, პრეზიდენტის ქცევისადამი მიმართული პასუხი იკითხება. ეს ქცევა, დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებისადმი არსებული პოზიციით იყო ნაკარნახები, რაც არაერთხელ გაჟღერდა განხილვის პროცესში ჩართული თუ სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ. ამასთან ერთად, რიგიკოგუს ფინანსური კომისიის თავმჯდომარის განცხადება, ფაქტობრივად, ვეტოს, როგორც შემაკავებელი ინსტრუმენტის, არაეფექტიან გამოყენებაზე მიანიშნებს. აღნიშნული, კომისიის მიერ, კანონის განმეორებით მისაღებად, რიგიკოგუსათვის მისი უცვლელი სახით წარდგენის შედეგად დასტურდება.

ვეტოს არაეფექტიანობას, ასევე ხაზს უსვამს განმეორებითი განხილვისათვის კანონში მხოლოდ ენობრივი და ტექნიკური დაზუსტებების შეტანა, რაც რეგლამენტის შესახებ კანონის თანახმად, არ ითვლება შესწორებებთან დაკავშირებულ ინიციატივად; აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი პლენარულ სხდომაზე კენჭისყრას არ ექვემდებარება.

2018-2019 წლების მონაცემებით, ესტონეთის მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP) საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტზე თითქმის ორჯერ მეტია. ამასთან, იმავე პერიოდში მოსახლეობის აღრიცხვის შედეგად, ესტონეთში, საქართველოს მოსახლეობაზე თითქმის სამჯერ ნაკლები მცხოვრები დაფიქსირდა; გარდა ამისა, საქართველოში მოსახლეობის კლებადი რიცხოვნობის საპირისპიროდ, ესტონეთში მოსახლეობის რიცხოვნობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება (იხ. ცხრილი №6). რაც შეეხება, უმუშევრობის დონეს, საქართველოსთან შედარებით ესტონეთში, აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება. ესტონეთში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ესტონეთის მთავრობის ინიციატივამ, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ნაბაყოფლობითად გარდაქმნის შესახებ, რიგიკოგუს მხარდაჭერა მოიპოვა. ეს ფაქტი, იმ ქვეყნისათვის, რომელიც ეკონომიკური განვითარების სახელმძღვანელოდ

ესტონურ გამოცდილებას იყენებს და რომლის საპენსიო სისტემის რეფორმისათვის განკუთვნილი კანონი ამავე სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზეა შემუშავებული, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ცვლილებებთან დაკავშირებული ესტონეთში მიმდინარე მოვლენები, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

ცხრილი №6.¹⁶¹ მთლიანი სამამულო პროდუქტი, მოსახლეობის რიცხოვნობა და უმუშევრობის დონე ესტონეთსა და საქართველოში.

	ესტონეთი		საქართველო	
	2018	2019	2018	2019
მთლიანი სამამულო პროდუქტი (მლრდ. აშშ დოლარი)	30 732	33 071	17.6	17.7
მოსახლეობა (ათასი კაცი)	1 319.1	1 324.8	3 729.6	3 723.5
უმუშევრობის დონე (%)	5.4	4.4	12.7	11.6

იმ პირობებში, როდესაც ესტონეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე თითქმის 5-ჯერ აღემატება საქართველოში არსებულ ცხოვრების დონეს, პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცენტრალური ბანკის წინააღმდეგობის, ასევე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, 2020 წლის 11 მარტს, 52 პარლამენტარის მხარდაჭერის საფუძველზე, პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების შედეგად ესტონეთის პარლამენტში განსახილველად დაბრუნებული, დაგროვებითი პენსიის სავალდებულო ნაწილში შესატანი ცვლილებების შესახებ კანონი, რიიგიკოგუმ უცვლელი ფორმით დაამტკიცა. აღნიშნული გადწყვეტილებით, პარლამენტმა, საკონსტიტუციო და ფინანსურ

¹⁶¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>; 1.04.2020. ესტონეთის სტატისტიკის სააგენტო - <https://www.stat.ee/stat-gdp-at-current-prices>; <https://www.stat.ee/stat-population-at-beginning-of-year>; <https://www.stat.ee/stat-unemployment-rate>. 1.04.2020.

კომისიათა მსგავსად, არ გაიზიარა პრეზიდენტის პოზიცია, კანონში შესატანი ცვლილებების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ.

პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცვლილებები, საპენსიო თანხების დაგროვებისათვის ახალ შესაძლებლობებს ხსნის. ახალი მოდელის მთავარი უპირატესობა, ეს არის, არჩევანის თავისუფლება, რის საფუძველზეც ინდივიდებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, გამოიყენონ თუ არა, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხური საპენსიო თანხების დასაგროვებლად. ამასთან, ინდივიდებს დაგროვებული საპენსიო თანხების ინვესტირებისა და გამოყენების დამატებითი შესაძლებლობები ეძლევათ, როგორც საპენსიო ასაკამდე, ასევე საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგ.

ისარგებლებს თუ არა ესტონეთის მოსახლეობა პარლამენტის მიერ ორგანოს დამტკიცებულ კანონში გათვალისწინებული შესაძლებლობებით და დაიწყება თუ არა ახალი ერა ესტონეთის საპენსიო მოდელისათვის, ამის გადასაწყვეტად ჩართული მხარეების (პრეზიდენტი, პარლამენტი) ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა. უცვლელი ფორმით განმეორებით დამტკიცებული კანონი, 2020 წლის 16 მარტს, პრეზიდენტ კალულაიდს გადაეგზავნა. რიგიკოგუს მსგავსად, უცვლელია სახელმწიფოს მეთაურის პოზიცია. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა 2020 წლის 20 მარტს, საკუთარი პოზიციის ჭეშმარიტებისა და რიგიკოგუს მიერ დამტკიცებული კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დამტკიცების მიზნით, პოლიტიკური დავის ესტონეთის სახელმწიფო სასამართლოში გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ახლა ესტონეთის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ამ პოლიტიკურ პროცესში თუ რომელი მხარე დარჩება მოგებული. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მსგავს შემთხვევაში, რომელიც თავდაცვის ძალების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების კონსტიტუციასთან შეუსაბამობას უკავშირდებოდა, ესტონეთის სახელმწიფო სასამართლომ, პრეზიდენტის პოზიცია ნაწილობრივ გაიზიარა. ეს ფაქტი, ესტონეთის სახელმწიფო სასამართლოს მიერ სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმის შესახებ კანონის განხილვის მსგავსი შედეგით დასრულების ალბათობას ზრდის.

ესტონეთის პარლამენტის მიერ, სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმის შესახებ კანონის განმეორებით დამტკიცების შედეგად, მისი ძირითადი ნაწილი, 2021 წლის 1 იანვრიდან უნდა შესულიყო ძალაში. მაგრამ, ზემოაღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე, კანონის ძალაში შესვლის თარიღი, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამასთან, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, შემდეგი: 1. დარჩება თუ არა, ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმა, მხოლოდ ფურცელზე; 2. რეფორმის რეალურ გარემოში განხორციელების შემთხვევაში, რამდენად თანხვედრაში იქნება ინიციატივის მოტივი, დამდგარ შედეგთან.

იმის გათვალისწინებით, რომ ესტონეთისა და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მაღალასაკოვანია და ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, ესტონეთისას შესამჩნევად ჩამორჩება, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრობის შედეგად ინდივიდებისათვის გამოწვეული ტვირთი, საქართველოს მოსახლეობისათვის ავტომატურად უფრო მეტი სიმძიმით ხასიათდება, ვიდრე ესტონელი ხალხისათვის. აქედან გამომდინარე, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმირების საკითხი, საქართველოსათვის მეტად აქტუალურია, ვიდრე ესტონეთისათვის.

აქამდე განხილული მიზეზებიდან გამომდინარე, საღ აზრს მოკლებული იქნებოდა იმის დაშვება, რომ საქართველოს მთავრობა, უახლოეს მომავალში, დღის წესრიგში, დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმირების საკითხს დააყენებს, რომელიც გაწევრების პრინციპის ცვლილებასთან იქნება შემხებლობაში. მიუხედავად ამისა, სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმის შესახებ ესტონეთის კანონში არსებული ზოგიერთი ჩანაწერის, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში გათვალისწინება, მის ეფექტიანობას გაზრდის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმის შედეგად, დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონში განხორციელდა, საპენსიო ასაკისათვის, მონაწილის მიერ დაგროვებული საპენსიო თანხების ერთიანი გადახდით გაცემის წესს შეეხება. აღნიშნული წესი, აღარ ექვემდებარება სახალხო პენსიის მოცულობაზე დაფუძნებულ

დაანგარიშების ფორმულას, რომელიც ინდივიდებისათვის, საპენსიო თანხების ერთიანი გადახდის პრინციპით გატანის შესაძლებლობას, მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში და დაგროვებული თანხების მხოლოდ მცირე ნაწილზე ავრცელებდა. ამის საპირისპიროდ, ახალი მოდელის მიხედვით, საპენსიო ასაკის დადგომისას, შეთავაზებული ორი ალტერნატივიდან (მოკლევადიანი საპენსიო პერიოდი ან ერთიანი გადახდის პრინციპი) ერთ-ერთით სარგებლობის შემთხვევაში, დაგროვებული საპენსიო თანხები საშემოსავლო გადასახადის განახევრებული განაკვეთით დაბეგვრას ექვემდებარება. კანონში არსებული აღნიშნული ჩანაწერით, საპენსიო ასაკის დადგომისას, ერთიანი გადახდის პრინციპით სარგებლობის შემთხვევაში დაწესებული შეზღუდვები უქმდება და პენსიონერებს დაგროვებული თანხის სრული მოცულობის გატანის შესაძლებლობა ეძლევათ. რაც შეეხება, საპენსიო ანგარიშიდან თანხის ვადაზე ადრე გატანას, ის საშემოსავლო გადასახადის სრული განაკვეთით დაბეგვრას ექვემდებარება.

ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის რეფორმის შედეგად განხორციელებული, ზემოაღნიშნული ორი ცვლილებიდან, საქართველოს რეალობაში, მხოლოდ ერთის გადმოტანა არის შესაძლებელი, ისე, რომ არსებული საპენსიო მოდელის ფუნდამენტური ცვლილება არ მოხდეს. ეს, ინდივიდებისათვის საპენსიო ასაკის დადგომისას, საპენსიო თანხების ერთიანი გადახდის პრინციპით გაცემის შესაძლებლობას ეხება. დღემდე, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონი, აღნიშნული საკითხისადმი, ესტონურ მოდელში არსებულ ფუნდამენტურ მიდგომას იზიარებდა; მიუხედავად ამისა, საქართველოს მხრიდან, ესტონეთში განხორციელებული ცვლილებებისადმი, გულგრილი დამოკიდებულება, მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონის სავალდებულო დაგროვებითი პენსიის ნაწილში პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცვლილებების ძალაში შესვლის შემთხვევაში, ესტონელი ხალხისათვის კიდევ ერთი შესაძლებლობა იხსნება; ახალი მოდელი, დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურის ფარგლებში პენსიაზე გასვლას, ვადაზე ადრე, იმ ინდივიდებისათვის ხდის შესაძლებელს, რომელთა ასაკი, დადგენილ საპენსიო ასაკზე არაუმეტეს 5 წლით ნაკლებია. დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონის სავალდებულო პენსიის ნაწილში

განხორციელებული აღნიშნული ცვლილება, სრულად თავსებადია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. ის არ გამოიწვევს, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში არსებული ძირითადი პრინციპების დარღვევას. ამასთან, აღნიშნული ცვლილებით მოსალოდნელია ორი დადებითი ეფექტი: 1. დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრი ინდივიდების მიერ, ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლის სურვილის არსებობის შემთხვევაში, საპენსიო თანხებით მათ უზრუნველყოფას ხდის შესაძლებელს; 2. აღნიშნული ცვლილება, საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული დასაქმების პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო კომპლექსური მიდგომის, ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.

2020 წლის 19 მარტის მონაცემებით ესტონეთის დაგროვებითი პენსიის მეორე საფეხურზე სულ 751 394 ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში ირიცხებოდა; აქედან, აქტიური ინვესტორების მფლობელობაში, მხოლოდ 204 412 ანგარიშია. აღნიშნული მონაცემებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წელს მიღწეული და მეტი ასაკის ინდივიდების წილი პროგნოზის მიხედვით, მომდევნო 30 წლის განმავლობაში, შესამჩნევად მზარდია (2020 წ. – 20.1%; 2025 წ. – 21.6%; 2030 წ. – 23.1%; 2035 წ. – 24.2%; 2040 წ. – 25.6%; 2045 წ. – 26.7%; 2050 წ. – 27.9%)¹⁶², პენსიაზე გასვლის უფლების წარმოშობისათვის საჭირო ზღვრული ასაკის მატების ტენდენციის პარალელურად, სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში შეტანილი ცვლილებები, ესტონეთის საპენსიო სისტემისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, ესტონეთის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ქვეყანაში სავალდებულო დაგროვებითი პენსიის რეფორმა რა ფორმით განხორციელდება ან განხორციელდება თუ არა, ესტონეთის საპენსიო სისტემისათვის მოსალოდნელი გამოწვევების სიმძაფრის შემამსუბუქებელ უმთავრეს ფაქტორად, მოსახლეობის თვითშეგნების მაღალი დონე შეიძლება დასახელდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ესტონეთის სადაზღვევო საზოგადოებათა კავშირის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 70%-ზე მეტი, ტრადიციული ან შეთავაზებული ახალი გზებით დაგროვების

¹⁶² ესტონეთის სტატისტიკის სააგენტო - <https://www.stat.ee/news-release-2019-077>. 19.03.2020.

სურვილს გამოთქვამს,¹⁶³ მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის საპენსიო ასაკის უზრუნველყოფის საკითხი, რისკის თითქმის ნულოვანი მაჩვენებლის მატარებელია.

¹⁶³ ესტონეთის სადაზღვევო საზოგადოებათა კავშირი - <http://www.eksl.ee/ru/союз-страховых-обществ-эстонии-почти-половина-накапливающих-пенсию-людей-намерены-изъять-свои-деньги>. 27.01.2020.

2.4. დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემა

ესტონეთის საპენსიო სისტემის მესამე საფეხური ინდივიდს საპენსიო ასაკისათვის უკეთესად მომზადების შესაძლებლობას აძლევს. ამ საფეხურში მონაწილეობის შედეგად, ინდივიდის მიერ დაგროვებული თანხა, პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში მისაღებ საპენსიო თანხებს დაემატება.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის მესამე საფეხური, რომელიც ცნობილია, როგორც დამატებითი დაგროვებითი პენსია, წარმოადგენს ნებაყოფლობით დაგროვებით საპენსიო სქემას. ეს საფეხური კავშირში არ არის საპენსიო სისტემის დანარჩენ ორ საფეხურთან (I საფეხური - სახელმწიფო პენსია; II საფეხური - სავალდებულო დაგროვებითი პენსია). ამის ერთ-ერთ გამამყარებელ არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ, დამსაქმებლის როლი ნებაყოფლობით დაგროვებით საპენსიო სქემაში. დამსაქმებელს, მეორე საფეხურისგან განსხვავებით, ნებაყოფლობით დაგროვებით საპენსიო სქემაში შენატანების გადარიცხვასთან დაკავშირებული პირდაპირი ვალდებულება არ აქვს; რადგან დაგროვება, დამატებითი საპენსიო სქემის მეშვეობით, შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდის სურვილიდან გამომდინარე. დამატებით დაგროვებით საპენსიო სქემაში შენატანები ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება. ამასთან, შენატანების მოცულობას განსაზღვრავს არა სახელმწიფო, არამედ - თავად დასაქმებული.

დამსაქმებლის როლი, ამ საფეხურზე, შეიძლება შემოიფარგლოს, მხოლოდ როგორც ბიძგის მიმცემი, რათა დასაქმებულებს, ესტონეთის საპენსიო სისტემის სამივე საფეხურში გაწევრების სურვილი გაუჩნდეთ და ამით პენსიაზე გასვლის შემდგომ, ცხოვრების დონის უცვლელად შენარჩუნება უზრუნველყონ.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც დაგროვებითი პენსიის მესამე საფეხურს მეორესაგან განასხვავებს, ეს არის დამსაქმებლისათვის დასაქმებულის მნიშვნელოვნების ხაზგასმის შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, დაფასებულობა და მნიშვნელოვნების განცდა, დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. აღნიშნული მოთხოვნილებები, ასევე აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მეოთხე საფეხურზე დგას და იმისათვის, რომ დასაქმებულებმა კმაყოფილების შესაბამის საფეხურს მიაღწიონ, ერთ-ერთ გზას

დამსაქმებელს დაგროვებითი პენსიის მესამე საფეხურის სტრუქტურა სთავაზობს, რაც გულისხმობს, რომ დამსაქმებელს, დასაქმებულების სახელზე, დამატებით დაგროვებით საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელება შეუძლია. ერთი შეხედვით, დამსაქმებლის მხრიდან ასეთი ნაბიჯი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოგებაზე ორიენტირებულ სტრატეგიასთან შეუსაბამობაში მოდის. მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ დამატებით დაგროვებით საპენსიო სქემაში დასაქმებულების სახელზე განხორციელებულ შენატანებთან დაკავშირებული ხარჯები, დამსაქმებლისათვის იმ მოსალოდნელ სარგებელზე რამდენჯერმე ნაკლებია, რასაც დიდ წილად დასაქმებულთა მოტივაციის დონე განაპირობებს.

ზემოაღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია სამი გზით: 1. დამსაქმებლის მიერ, ნებისმიერ ნებაყოფლობით საპენსიო ფონდში დასაქმებულების სახელზე შენატანების განხორციელებით; 2. დამსაქმებლის მიერ, საპენსიო ფონდის შექმნით, რომელიც განკუთვნილი იქნება მხოლოდ მისივე დასაქმებულთათვის; 3. დამატებით დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებით.

რაც შეეხება, ზემოჩამოთვლილი გზებიდან ერთ-ერთის არჩევის შემდეგ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხს, ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. 2012 წლის 1-ლი იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ ესტონეთის კანონში ძალაში შევიდა შესწორება (დამსაქმებლისათვის დასაქმებულის სახელზე, დამატებითი დაგროვებითი პენსიის ფარგლებში, სადაზღვევო შენატანების განხორციელებისა ან/და ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიების შექმნის უფლების მინიჭების შესახებ), რომლის მიზანს წარმოადგენს, რომ დამსაქმებელმა, საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული შეღავათებით სარგებლობის საფუძველზე, დაგროვებითი საპენსიო სისტემის მესამე საფეხურზე დასაქმებულის სახელზე განხორციელოს შენატანები, რათა აქედან გამომდინარე, დასაქმებულს, მესამე საფეხურში განხორციელებულ შენატანებზე, წლის განმავლობაში, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების

შესაძლებლობა მიეცეს.¹⁶⁴ საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშებისას, ინდივიდის დაუბეგრავ შემოსავალს აკლდება დაგროვებითი საპენსიო სისტემის მესამე საფეხურზე მის სახელზე დამსაქმებლის მიერ განხორციელებული შენატანების შესაბამისი თანხა და მხოლოდ ამის შედეგად დარჩენილი თანხა ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგრვას. როგორც ასეთი, დასაქმებული სამმაგად მოგებიან პოზიციაშია; გარდა იმისა, რომ საპენსიო ასაკისათვის დამატებით დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობით უგროვდება თანხა, რომელსაც ის თავად არ იხდის, ამასთან, მისი არსებული დაუბეგრავი შემოსავლის ნაწილი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, რაც საბოლოო ჯამში, სტანდარტულ მოდელთან შედარებით, განკარგვადი შემოსავლის ოდენობის ზრდას განაპირობებს.

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული საშემოსავლო შეღავათები, ინდივიდის სახელზე, დამატებით დაგროვებით საპენსიო სქემაში, დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ შენატანებზე გავრცელდეს, აუცილებელია, რომ აღნიშნული შენატანების მოცულობა წელიწადში, 6000 ევროს ან ინდივიდის წლიური დაუბეგრავი შემოსავლის 15%-ს არ აღემატებოდეს.¹⁶⁵

განხილული მოდელი, შესაძლოა ერთ-ერთ ალტერნატივად ჩაითვალოს, საქართველოს საპენსიო სისტემისადმი დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა აღქმების, განწყობებისა და მოლოდინების კვლევის შედეგად, გამოვლენილი ე.წ. ჩრდილოვანი გადასახადის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად. საქართველოში მოქმედი, დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის გვერდის ავლით, აღნიშნული მოდელის დამკვიდრებას, დასაქმებულისათვის საგადასახადო ტვირთის შემცირება უდევს საფუძვლად; ეს, დამსაქმებლის მხრიდან სრული 4%-ის ექვივალენტი თანხის საკუთარი შემოსავლებიდან გადახდის გზით ხორციელდება. თუ დავუშვებთ, ესტონური გამოცდილების საქართველოს რეალობაში გადმოტანას, მისი ქართულ რეალობასთან უმტკივნეულო ადაპტაციისათვის, ქვეყანაში მოქმედი საპენსიო სისტემის უცვლელად დატოვების პირობებში, უმჯობესია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: 1. დადგინდეს ხელფასის ქვედა ზღვარი; 2. ქვედა ზღვარზე ნაკლები

¹⁶⁴ Income Tax Act, Chapter 3., §21. 27.12.2019.

¹⁶⁵ იქვე, Chapter 4., §28(2). 27.12.2019.

ხელფასის მქონე დასაქმებულთა დამსაქმებლებს, დაგროვებით საპენსიო სქემაში, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, საკუთარი შემოსავლიდან დასაქმებულის ხელფასის 4%-ის შესაბამისი თანხის გადარიცხვა დაევალოთ. აღნიშნული ღონისძიებები, დაბალშემოსავლიან დასაქმებულებს, თავიდან აარიდებთ შემოსავლის კიდევ უფრო შემცირებას, ხოლო იმ სეგმენტში, სადაც დამსაქმებელი ისედაც დასაქმებულის მაგივრად იხდის საპენსიო შენატანებს, მათ ქმედებას სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო, თავის მხრივ, მარეგულირებლის ფუნქციას შეინარჩუნებს. ამასთან, საპენსიო სისტემისათვის განკუთვნილი ქვედა ზღვრის დადგენის პრაქტიკა, წარმატებით დანერგვის შემთხვევაში, ანალოგიური მიდგომის შრომის ბაზარზე გავრცელების შესაძლებლობას გაზრდის. აღნიშნული, შრომის ბაზარზე მინიმალური ხელფასის არსებული ღონის რეალობასთან მიახლოების საფუძველი გახდება და ბიძგი მიეცემა მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებზე მორგებული მანკიერი მოდელის რღვევას, რომელიც დასაქმებულის მხრიდან გაწეული შრომისა და მიღებული ანაზღაურების თანაფარდობის არაპროპორციულობით ხასიათდება.

მესამე საფეხურში (დამატებითი დაგროვებითი პენსია) ჩართვა შესაძლებელია ორი გზით:

1. სიცოცხლის მზღვეველ კომპანიებთან საპენსიო დაზღვევასთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმებით;
2. ნებაყოფლობით საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელებით.

ამ საფეხურზე, ე.წ. საგადამხდელო შვებულების მოდელია დანერგილი და ინდივიდი, ამასთანავე, უფლებამოსილია, შეაჩეროს შეთანხმება.

დამატებითი დაგროვებითი პენსია, ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, რომ დაგროვებული თანხა 55 წლის ასაკიდან გამოიყენოს. დამატებითი დაგროვებითი პენსია გაიცემა ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად. აღნიშნულ საფეხურზე დაგროვება შესაძლებელია გადასახადების გადახდის გარეშე.

დამატებითი დაგროვებითი პენსიის მისაღებად ინდივიდმა უნდა შეიძინოს ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაი ან სადაზღვევო კომპანიასთან გააფორმოს ხელშეკრულება (დამატებითი დაგროვებითი პენსიის შესახებ). ასევე შესაძლებელია,

ერთდროულად, სხვადასხვა ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიების ფლობა ან შექმნა და ერთ ან რამდენიმე სადაზღვევო კომპანიასთან, დამატებითი დაგროვებითი პენსიის შესახებ, სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება. დამსაქმებელს შეუძლია, ინდივიდის სახელზე განახორციელოს შენატანები, რომელიც ემსახურება ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიების შექმნას ან სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

იმის გათვალისწინებით, თუ ინდივიდი რამდენად ტოლერანტულია რისკის მიმართ, შეიძლება აირჩეს საპენსიო დაზღვევის ორი სახეობიდან ერთ-ერთი. პირველი მათგანი, შეესაბამება რისკისადმი ნაკლებად ტოლერანტულ ინდივიდებს და გულისხმობს საპენსიო დაზღვევას გარანტირებული პროცენტებით, რომელიც დაგროვებითი დაზღვევის კლასიკურ ფორმას წარმოადგენს. ინდივიდსა და სადაზღვევო კომპანიას შორის იდება ხელშეკრულება, სადაც ფიქსირდება პროგნოზირებული შემოსავლიანობა. ინდივიდი, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას, შენატანების განხორციელების შესახებ. საინვესტიციო რისკზე პასუხისმგებელი სადაზღვევო კომპანიაა, რომელიც რეზერვებზე, მინიმალური შემოსავლიანობის დონის არსებობის გარანტორს წარმოადგენს. წარმატებული ინვესტირების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია ინდივიდს დამატებითი სარგებელი გადაუხადოს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ, ინდივიდისათვის დაგროვებული თანხის გადახდა, აღნიშნულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული არჩევანის მიხედვით ხდება.

საინვესტიციო რისკის შემცველი საპენსიო დაზღვევა, არის ალტერნატივა, იმ ტიპის ინდივიდისათვის, რომელსაც საპენსიო ასაკისათვის თანხის დასაგროვებლად, თავად სურს საკუთარი ინვესტიციის რისკის დონის შერჩევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი კარგად უნდა იცნობდეს ინვესტირების პრინციპებს.

საინვესტიციო რისკის შემცველი საპენსიო დაზღვევა იყოფა ორ ჯგუფად: საპენსიო დაზღვევა და პერსონალური საინვესტიციო პორტფელი. შინაარსით ორივე ჯგუფი ერთმანეთს ძალიან ჰგავს, ისინი წარმოადგენენ ინვესტიციების დივერსიფიცირებასთან დაკავშირებულ ფართო შესაძლებლობის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც ინდივიდებს შესაძლებლობას აძლევენ, მართონ

საკუთარი საპენსიო ან სიცოცხლის დაზღვევის აქტივები და თავად განსაზღვრონ, შენატანების რა ნაწილის ინვესტირება მოხდება რომელიმე ფონდსა თუ ფინანსურ ინსტრუმენტში. აღნიშნული ალტერნატივა, შინაარსიდან გამომდინარე, მაღალი რისკის მატარებელია, ამიტომ, შენატანებზე მოსალოდნელი შემოსავალი, ისევე როგორც დანაკარგი, ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული.

საინვესტიციო რისკის შემცველი საპენსიო დაზღვევის გზით თანხის დაგროვებას, ინდივიდისათვის რამდენიმე პლუსი აქვს - შესაძლებლობა, რომ თავად მართოს საკუთარი ინვესტიციები და შესაბამისად შემოსავლები. ასევე, შეადგინოს საინვესტიციო პორტფელი, სხვადასხვა საერთაშორისო საინვესტიციო ფონდებისაგან. აუცილებლობის შემთხვევაში, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა და ამასთან, ხელშეკრულების პირობებში დაამატოს სიცოცხლის დაზღვევა.

მოტანილი ალტერნატივისათვის უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში, გარანტია შემოსავლიანობის შესახებ არ არსებობს, მაგრამ გრძელვადიანი დაგროვების შემთხვევაში, ფონდების დახმარებით გაცილებით მეტი თანხის გამომუშავება შეიძლება, ვიდრე საპენსიო დაზღვევით, რომელიც უზრუნველყოფილია გარანტირებული სარგებლით. შემოსავლიანობას, სწორად შერჩეულ საინვესტიციო ფონდთან ერთად, ფასიანი ქაღალდების ბაზრების დინამიკა განაპირობებს. პენსია ანუ გადახდებისათვის განკუთვნილი ჯამური თანხა, ეს არის, საფონდო პაიების ჯამური ღირებულება ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას.

ინდივიდებს, რომლებიც რისკისადმი დაბალი ტოლერანტულობით გამოირჩევიან, შეუძლიათ ისარგებლონ, საინვესტიციო რისკის შემცველი შეთავაზებების დაზღვევის სისტემით. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს შენატანების დაცულობას, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ შეწყდება წინასწარგანსაზღვრული დაზღვევის ვადის დასრულებამდე. ასეთ პირობებში, თუ ინვესტიცია წარუმატებელი აღმოჩნდება და თანხის დიდი ნაწილი დაიკარგება, ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, შესაძლებელი ხდება, განხორციელებული შენატანების სრული მოცულობის დაბრუნება, მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებისათვის განკუთვნილი გადასახდელი თანხის დანაკლისით.

ესტონური საპენსიო სისტემის მესამე საფეხურში ჩართული სადაზღვევო კომპანიების მხრიდან, გაცვლის პროცესში, საპენსიო შენატანების რეზერვიდან ხდება გაცვლასთან დაკავშირებული ხარჯების შესაბამისი თანხის ჩამოჭრა, რომლის მოცულობა წინასწარ არის განსაზღვრული სადაზღვევო ხელშეკრულებაში ან გამოქვეყნებულია იმ პირობათა ნუსხაში, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ინდივიდმა სადაზღვევო კომპანიის შერჩევას.

ნებაყოფლობით საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელებით, ინდივიდი იძენს ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის მიერ ემიტირებულ პაიებს იმ რაოდენობით, რომელიც შეესაბამება მისი ან დამსაქმებლის მიერ, მის სახელზე განხორციელებული შენატანების მოცულობას. თავის მხრივ საპენსიო ფონდის მმართველ კომპანიას აქვს ვალდებულება, ინდივიდისათვის პერსონალური შეთავაზების განხორციელებამდე, შეაფასოს მისთვის საპენსიო ფონდის პაიების შესაბამისობა და განსაზღვროს, ინდივიდის საინვესტიციო მიზნები, მისი რისკისადმი ტოლერანტულობა, ინვესტირების სავარაოდო ხანგრძლივობა, ასევე საინვესტიციო მიმართულებით ინდივიდის ცოდნის დონე და გამოცდილება, რათა დადგინდეს, რამდენად აცნობიერებს, ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიების შექმნასთან დაკავშირებულ რისკებს.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ესტონური კანონმდებლობა, ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის მმართველ კომპანიებს, ინდივიდის მიმართ მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს, რათა მაქსიმალურად მოხდეს, ამ უკანასკნელისთვის, საპენსიო შენატანებთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანა. აქედან გამომდინარე, მმართველმა კომპანიამ უნდა აცნობოს ინდივიდს, ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაის მისთვის შეუსაბამობა, თუ ინდივიდის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ამის საფუძველს იძლევა. საპენსიო ფონდში არასაკმარისი ინფორმაციის წარდგენის ან ინფორმაციის არ წარდგენის შემთხვევაში, მმართველი კომპანია აფრთხილებს ინდივიდს, ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიების შესაბამისობის შეფასების შეუძლებლობისა და აქედან გამომდინარე, მისი ინტერესების დაცულობის მოსალოდნელი დაბალი მაჩვენებლის შესახებ. გარდა ამისა, კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოება, ინდივიდის ინტერესების დაცულობის ხარისხს ზრდის; აღნიშნული გარემოება მდგომარეობს შემდეგში: მმართველ კომპანიას აქვს

უფლება, ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაის შესაბამისობის შეფასებისას, დაეყრდნოს ინდივიდის მიერ მიწოდებულ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მმართველ კომპანიას აქვს ინფორმაცია ან უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რომ წარმოდგენილი მონაცემები მოძველებულია, არაზუსტია ან არასრულია.

რაც შეეხება ინდივიდის მფლობელობაში არსებულ პაიებს, ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაის გაცვლა, დასაშვებია მხოლოდ სხვა ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიში. ამასთანავე ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდი ვერ შეზღუდავს ინდივიდს, გასაცვლელი პაიების რაოდენობაში და პაიების გაცვლის სიხშირეში. პაიების გაცვლისას, ინდივიდის ანგარიშიდან, არსებული ფონდის მმართველი კომპანია ჩამოაჭრის თანხას, რომელიც განკუთვნილია პაიების გამოსყიდვისათვის, ხოლო ის მმართველი კომპანია, რომლის მართვაში მყოფი ფონდის პაიებშიც მოხდება გაცვლა - პაიების გამოშვებისათვის. ასევე შესაძლებელია, მესამე საფეხურის საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხების გადარიცხვა დამატებითი საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად და პირიქით, სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში დაგროვებული თანხის ნაწილობრივი ან სრული გადარიცხვა - მესამე საფეხურის საპენსიო ფონდში.

საფონდო პაიები მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდებიან. პაიების გამოსყიდვას ან მათი შესაბამისი თანხის პერიოდულ გადახდას, ფონდი თავად ახორციელებს, რადგან ფონდი საკუთარ პაიებს ყველა შემთხვევაში გამოისყიდის.

საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელებისას, თანხები, სახელმწიფო ხაზინაში არსებული საპენსიო ცენტრის ანგარიშზე გადაირიცხება. საპენსიო ფონდში დაგროვებისას, რისკის დონე მაღალია და მისაღები სარგებლის პროგნოზირება შეუძლებელი. ფონდებში ინვესტირების გზით, როდესაც საინვესტიციო პერიოდი დიდია, შემოსავლიანობის მაღალი ნიშნულის დაფიქსირების ალბათობა მეტია, მაგრამ არაგარანტირებული. მეტი გარანტიების მისაღებად, ესტონური კანონმდებლობა, დაგროვებას ერთდროულად რამდენიმე სადაზღვევო პროდუქტის მეშვეობითა და ფონდებით ხდის შესაძლებელს.

ყოველთვიური პენსიის მისაღებად, ასევე არსებობს ორი შესაძლებლობა:

1. პენსიის მიღება სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე;

2. პენსიის მიღება ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდიდან.

მესამე საფეხურში (დამატებითი დაგროვებითი პენსია) ჩართული ინდივიდი თავად განსაზღვრავს შენატანების ოდენობას. ამავდროულად ნებისმიერ დროს შეუძლია მას შეცვალოს აღნიშნული შენატანების მოცულობა. ასევე შესაძლებელია, შენატანების განხორციელების დროებითი შეჩერება და პენსიაზე გასვლამდე თანხის ნაწილის გამოტანა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართული ინდივიდის მიერ განხორციელებული შენატანები წელიწადში 6000 ევროს არ აღემატება ან დაუბეგრავი შემოსავლის არაუმეტეს 15%-ს შეადგენს, ასეთი შენატანები საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება.¹⁶⁶

ესტონეთის ბაზარზე არსებული საპენსიო დაზღვევის კომპანიებისა და საპენსიო ფონდების მიერ, არის განსაზღვრული შენატანების ქვედა ზღვარი. ეს უკანასკნელი შეადგენს 30 ევროს ყოველთვიური შენატანების შემთხვევაში, ხოლო 1000 ევროს - ერთჯერადად განხორციელებული შენატანისას. გარდა აღნიშნულისა, გარანტირებული საპენსიო დაზღვევით სარგებლობა, ყოველთვიური შენატანების ქვედა ზღვრის ნიშნულს, 32 ევრომდე ზრდის, ხოლო პერსონალური საპენსიო პორტფელით სარგებლობისას, ინდივიდის მიერ განხორციელებული შენატანების ყოველთვიურმა მინიმუმმა 50 ევრო უნდა შეადგინოს.¹⁶⁷

რაც შეეხება საპენსიო გადახდებს, მათი მოცულობა დამოკიდებულია დაგროვებულ რეზერვებზე და საპენსიო პერიოდის ხანგრძლივობაზე. ინდივიდისათვის საპენსიო პერიოდი შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდეს ან ერთიანი გადახდით მიიღოს თანხა. ინდივიდებს, რომლებიც გარანტირებული სარგებლის ან საინვესტიციო რისკის შემცველი საპენსიო დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებას ფლობენ და სადაზღვევო კომპანიიდან სიცოცხლის ბოლომდე უნდა მიიღონ საპენსიო გადახდები, აქვთ შესაძლებლობა, დამატებით აიღონ გარანტირებული პერიოდი, რომელიც გარდაცვალების შემდგომ, გადახდების მემკვიდრისათვის განხორციელებას უზრუნველყოფს.

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ <https://www.pensionikeskus.ee/en/iii-pillar/contributions/>. 27.02.2020.

ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდიდან საპენსიო გადახდების მიღება, პაიების გამოსყიდვის შედეგად ხორციელდება. ინდივიდმა თანხის მისაღებად, არსებული პაიები ისევ ფონდს უნდა მიყიდოს. პაიების გაყიდვა შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ. საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაიდოს სადაზღვევო ხელშეკრულება, რაც ინდივიდისათვის საპენსიო გადახდების განხორციელების საფუძველი გახდება.

უკვე ნახსენები ასაკობრივი მაჩვენებელი (55 წელი), დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრთათვის, შესაძლებლობების ფართო არეალის გამყოფად შეიძლება ჩაითვალოს. საგადასახადო პოლიტიკა ორიენტირებას სწორედ ასაკობრივ ფაქტორზე დაყრდნობით ახდენს და დაგროვების პერიოდში 55 წლამდე წევრი ინდივიდებისათვის შემდეგ პუნქტებს ითვალისწინებს: საშემოსავლო გადასახადით (20%) იბეგრება თანხა, რომელიც სადაზღვევო შენატანების ნაწილობრივი ან სრული გამოსყიდვის ან საფონდო პაიების გამოსყიდვის შედეგად მიიღო დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილემ. ინდივიდის გარდაცვალების შემთხვევაში, დამატებითი დაგროვებითი პენსიის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაცია, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, თუ აღნიშნული ხელშეკრულება 2002 წლის 1 მაისის შემდეგ არის გაფორმებული. საშემოსავლო გადასახადის განახევრებული განაკვეთით იბეგრება ინდივიდი, რომელიც სრული შრომისუუნარობიდან გამომდინარე იღებს საპენსიო გადახდებს. საშემოსავლო გადასახადი არ ვრცელდება იმ გადახდებზე, რომელიც სადაზღვევო კომპანიამ ინდივიდის სრული შრომისუუნარობის დადგომის შედეგად, სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად უნდა განახორციელოს.¹⁶⁸

დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის იმ წევრთათვის, რომლებმაც 55 წელს მიაღწიეს, საგადასახადო პოლიტიკა იცვლება. საშემოსავლო გადასახადის სრული განაკვეთით იბეგრება გადახდები, თუ მათი განხორციელება დაიწყო, დაგროვების ან პაიების პირველადი შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დადებიდან, არაუგვიანეს 5 წლისა. აღნიშნულ სეგმენტში, საშემოსავლო გადასახადის განახევრებული განაკვეთი ვრცელდება, ერთიან ან

¹⁶⁸ Income Tax Act, Chapter 3., §21; Chapter 12., §61(10,11). 27.12.2019.

ვადიან გადახდებზე (გადახდების დასრულების თარიღი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული) იმ შემთხვევაში, თუ დაგროვებისა ან პაიების პირველადი შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დადებიდან, გასულია 5 წელზე მეტი. ასევე, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება სადაზღვევო კომპანიის მიერ სიცოცხლის ბოლომდე განსახორციელებელი გადახდები, თუ დაგროვებისა ან პაიების პირველადი შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დადებიდან, გასულია 5 წელზე მეტი.¹⁶⁹

დამატებითი დაგროვებითი პენსიის საფეხურზე, ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიების მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში, მემკვიდრე უფლებამოსილია მოითხოვოს მემკვიდრეობით მიღებული პაიების სრული ან ნაწილობრივი გადარიცხვა, ფასიანი ქაღალდების საკუთარ ანგარიშზე ან - პაიების გამოსყიდვა. ამ უკანასკნელის აღსრულებისათვის, აუცილებელია საპენსიო ფონდის მმართველს წარედგინოს განცხადება და მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ ესტონეთის საპენსიო სისტემის მესამე საფეხურში, საპენსიო დაზღვევის გზით ჩართული ინდივიდი, საპენსიო გადახდების დაწყების ვადამდე გარდაიცვლება, განხორციელებული შენატანების შედეგად დაგროვებული თანხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების გამოკლებით, სადაზღვევო კომპენსაციის სახით გადაეცემა მემკვიდრეს. ხოლო თუ ინდივიდი, რომელმაც ისარგებლა საპენსიო დაზღვევით, გადახდების მიღების პერიოდში გარდაიცვალა, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პენსია, საგარანტიო პერიოდის დასრულებამდე, მემკვიდრეზე გაიცემა. გადახდები, რომელიც მონაწილის მემკვიდრისათვის დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში ხორციელდება, საშემოსავლო გადასახადის სრული განაკვეთით დაბეგრას ექვემდებარება.

ესტონეთის საპენსიო სისტემის მესამე და მეორე საფეხური, მემკვიდრეობის საკითხთან მიმართებით განსხვავებულ მიდგომას ეფუძნება. იმ დროს, როდესაც სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა, მემკვიდრისათვის მემკვიდრეობით

¹⁶⁹ იქვე, Chapter 3., §21. 27.12.2019.

მიღებული საპენსიო ფონდის პაიების, მხოლოდ საკუთარ საპენსიო ანგარიშზე გადატანას ან გამოსყიდვას უშვებს, დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემა მემკვიდრეს არ ზღუდავს არჩევანში და ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პაიების, მის მფლობელობაში არსებული, ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე გადატანის უფლებას აძლევს.

მესამე საფეხურზე საპენსიო ფონდებს პაიების გამოსყიდვასთან დაკავშირებული საკომისიო აქვთ დაწესებული, რაც მეორე საფეხურზე არ გვხვდება. ამ მხრივ გამონაკლისია, უკვე ნახსენები საპენსიო ფონდი “Tuleva III Samba Pensionifond”, რაც ლოგიკურია, რადგან როგორც აღინიშნა, მისი მიზანია ინდივიდების დანაზოგების მაქსიმალიზება, მომსახურებაზე გასაწევი დანახარჯების მინიმალიზების გზით. აღნიშნული სტრატეგია, შესამჩნევია მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ფონდში აკუმულირებულ თანხებთან ფარდობისას, რაც 0.3%-ს შეადგენს და ამავდროულად, კონკურენტი ფონდების მაჩვენებლებზე მინიმუმ 0.7%-ით ნაკლებია.¹⁷⁰ დანახარჯების მინიმალიზების მიმართულებით აღნიშნული საპენსიო ფონდის კონკურენტებად შეიძლება ჩაითვალოს “LHV index +” და “Swedbank V100 index” საპენსიო ფონდები. პირველი მათგანი 2016 წლის 9 ნოემბერს არის რეგისტრირებული, თუმცა მისი აქტივობა 2019 წლის აგვისტოდან იღებს სათავეს; ამ შემთხვევაშიც, პაიების გამოსყიდვასთან დაკავშირებული საკომისიო საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხების 0%-ით განისაზღვრება. ესტონეთის ბაზარზე გამოცდილი მოთამაშის “LHV”-ს მხრიდან აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა, უდაოდ მიანიშნებს თამაშის ახალი წესების დამყარებაზე. ამასთან, თამაშის წესებისათვის ფეხის აწყობა, რომ არ არის მარტივი, ამაზე მათ მიერ მართვასთან დაკავშირებული ხარჯების 0.39%-იანი ნიშნულის დადგენა მიუთითებს,¹⁷¹ რაც ცალსახაა რომ კონკურენტულ უპირატესობას არ ანიჭებს “LHV index +”-ს “Tuleva III Samba Pensionifond”-თან მიმართებით; ერთადერთი რაზეც შეიძლება, რომ ინდივიდმა აქცენტი გააკეთოს და კონკურენტული უპირატესობის პინა “LHV index +”-სკენ გადახაროს, ეს არის მრავალწლიანი გამოცდილება.

¹⁷⁰ <https://www.pensionikeskus.ee/en/iii-pillar/supplementary-pension-funds/>. 27.02.2020.

¹⁷¹ იქვე.

როგორც უკვე აღინიშნა, “LHV index +”-სთან ერთად კიდევ ერთი დიდი მოთამაშე ცდილობს ახალი წესებიდან გამომდინარე არ დადგეს რისკის ქვეშ და 2019 წლის 14 თებერვალს ახალ საპენსიო ფონდს “Swedbank V100 index”-ს არეგისტრირებს. აღნიშნული ფონდი, ასევე პაიების გამოსყიდვის 0%-იან საკომისიოს სთავაზობს ინდივიდებს და ამასთან ერთად, მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებზე ფონდში აკუმულირებული თანხის მხოლოდ 0.29%-ს ხარჯავს,¹⁷² რაც “Tuleva III Samba Pensionifond”-თან შედარებით 0.01%-ით ნაკლებია. მოტანილი მაჩვენებლები და მრავალწლიანი გამოცდილება, ერთი შეხედვით, “Swedbank V100 index”-ს უპირობო ლიდერად წარმოაჩენს ბაზარზე, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ თავისებურებას, რომელიც თან ახლავს აღნიშნული საპენსიო ფონდის პაიების ფლობას; ფონდი ზღუდავს დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილისათვის იმ შესაძლებლობებს, რომელიც მას ფუნდამენტურად განასხვავებს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემისაგან. “Swedbank V100 index”-ის პაიების მფლობელს, იქამდე ვიდრე 55 წელს არ მიაღწევს, არ აქვს უფლება გაცვალოს ან გაყიდოს მის მფლობელობაში არსებული პაიები; გარდა ორი შემთხვევისა: 1. თუ ინდივიდმა დაკარგა შრომის უნარი ან 2. ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის ლიკვიდაცია მოხდა. აღნიშნული გარემოებები, ინდივიდისათვის ფონდიდან განსახორციელებელ გადახდებზე, საშემოსავლო გადასახადის შემცირებული პროცენტით დაბეგვრის უფლებას წარმოშობს. იმ სეგმენტის ინდივიდებისათვის, რომლებიც მცირე პროცენტით მაინც უშვებენ 55 წლამდე მათ მფლობელობაში არსებული პაიების გაცვლას ან გაყიდვას, დასახელებული შეზღუდვები მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის შერჩევის პროცესში, რასაც “Swedbank V100 index”-ზე არჩევანის შეჩერების ალბათობა მინიმუმამდე დაჰყავს. განხილული გარემოებებიდან გამომდინარე “Tuleva III Samba Pensionifond” “Swedbank V100 index”-თან მიმართებით ასევე ფლობს კონკურენტულ უპირატესობას, რაც მათ მიერ შერჩეული სტრატეგიის, ესტონურ ბაზარზე, ე.წ. წარმატების ფორმულად ჩამოყალიბების პერსპექტივას, დამაჯერებლობას მატებს.

ზემოაღნიშნული ფაქტების მიუხედავად, “Tuleva III Samba Pensionifond” პაიების მფლობელთა რაოდენობით, ლიდერთა სამეულში არ შედის. პირველ სამ

¹⁷² იქვე.

ადგილს შემდეგი ფონდები იკავებენ: პირველ ადგილს, პაიების 23 419 მფლობელით, Swedbank-ის ნიშნით გაერთიანებული საპენსიო ფონდები იკავებენ, რაც 2020 წლის 25 მარტის მონაცემებით, მესამე საფეხურის ფარგლებში პაიების მფლობელთა ჯამური რაოდენობის თითქმის 45,2%-ს შეადგენს.¹⁷³ აღსანიშნავია, რომ Swedbank-ის ლიდერობა არ არის განპირობებული “Swedbank V100 index”-ის პაიების მფლობელთა რაოდენობით; მათი რიცხოვნობა, პაიების, მხოლოდ, 1 013 მფლობელია, რაც თითქმის ხუთჯერ ნაკლებია “Tuleva III Samba Pensionifond”-ის პაიების მფლობელთა რიცხოვნობაზე (პაიების 5 004 მფლობელი). ლიდერთა სამეულში, პაიების 13 370 მფლობელით, მეორე ადგილს, “SEB” ნიშნით გაერთიანებული ფონდები იკავებენ; ხოლო მესამე ადგილს, პაიების 5 320 მფლობელით - “Luminor”-ის ნიშნით გაერთიანებული ფონდები. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მესამე ადგილი “Luminor”-მა ორი საპენსიო ფონდის ჯამური მაჩვენებლით მოიპოვა, სხვა შემთხვევაში “Tuleva III Samba Pensionifond” ცალკე აღებულ თითოეული ფონდის მაჩვენებელს აღემატება. მიუხედავად ამისა, მათ მიერ ნაჩვენები პაიების მფლობელთა რაოდენობა იმდენად ახლოს დგას, რომ მაღალი ალბათობით, უახლოეს მომავალში, “Tuleva III Samba Pensionifond” ლიდერთა სამეულში მესამე ადგილს დაიკავებს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთის საპენსიო სისტემაში მესამე საფეხურს განსაკუთრებული როლი არ აქვს, რაც ამ საფეხურში მონაწილე ინდივიდების რიცხოვნობით დასტურდება, ქვეყნისათვის მსგავს პრინციპზე დაფუძნებული საპენსიო სქემის არსებობა მნიშვნელოვანია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ესტონეთის მთავრობის ინიციატივისა და პარლამენტის მხარდაჭერის საფუძველზე, მესამე საფეხურის მსგავსად, მეორე საფეხურის ნებაყოფლობითობის პრინციპისათვის დაქვემდებარების მცდელობას აქვს ადგილი. თავისუფალი არჩევანის პრინციპი თავისუფალი მსოფლიოს მთავარი მამოძრავებელი ღერძია. ამიტომ, ესტონეთის კვალდაკვალ, ადრე თუ გვიან, საქართველოს საპენსიო სისტემის დღის წესრიგი იმ შინაარსით ჩამოყალიბდება, რაც დღეს ესტონეთის რესპუბლიკაში მოქმედებს.

¹⁷³ <https://www.pensionikeskus.ee/en/statistics/iii-pillar/suppl-funded-pension-daily-statistics/>. 25.03.2020.

დასკვნა-რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მრავალი ფაქტორი, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება:

✓ ესტონური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საპენსიო ასაკის გათანაბრებისა და მისი მზარდი ტენდენციის შენარჩუნების პრაქტიკის გაზიარება. აღნიშნულის შედეგად: 1. შესაძლებელი გახდება ინდივიდისათვის შრომითი სტაჟის გახანგრძლივება; 2. გაზრდილი შრომითი სტაჟი, პარალელურად, დაგროვებით საპენსიო სქემაში შენატანების რაოდენობის ზრდას გულისხმობს; 3. შენატანების რაოდენობის ზრდა, საბოლოო ჯამში, საპენსიო ასაკისათვის პენსიის მოცულობის მატებასთან და პენსიაზე ყოფნის პერიოდში ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული;

✓ გათანაბრებისა და მზარდი ტენდენციის პრინციპის დანერგვის პარალელურად, დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში, პენსიაზე გასვლა დაშვებულ იქნას, საპენსიო ასაკის მიღწევამდე არაუმეტეს 5 წლით ადრე. აღნიშნული, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს - დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა ინტერესების დაცულობის ამაღლების მიმართულებით. ამ შესაძლებლობის საფუძველზე, ინდივიდს, რომელსაც სურვილი აქვს განსაზღვრულ ვადაზე ადრე გავიდეს პენსიაზე, არჩევანის თავისუფლება ენიჭება. ამასთან, პენსიაზე ვადაზე ადრე გასვლის შემთხვევაში, მის ღირსეულ ცხოვრების დონეს, დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში მისაღები საპენსიო გადახდები უზრუნველყოფს. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილისათვის, საპენსიო ასაკის მიღწევამდე სქემის დატოვების უფლებას არ ითვალისწინებს და ამასთან, დასაქმებულის სტატუსის შენარჩუნების პარალელურად დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გადახდების მიღება კანონთან შეუსაბამობაში მოდის, ზემოაღნიშნული უფლების მინიჭების შესახებ, გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე კანონში ცვლილების განხორციელება, საქართველოში სამუშაო ადგილების სიმცირესთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრისათვის

საჭირო კომპლექსური მიდგომის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.

მნიშვნელოვანია, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთათვის ზემოაღნიშნული უფლების მინიჭების საფუძველზე, დაგეგმილი შედეგების მისაღწევად, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში გაკეთდეს შემდეგი შინაარსის ჩანაწერები: 1. დაგროვებითი პენსიის ვადაზე ადრე მიღების უფლება წარმოეშობა დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულ პირს, რომელიც აღნიშნული კანონით დადგენილ ასაკობრივ ზღვარს აკმაყოფილებს და საპენსიო სააგენტოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს: მოთხოვნას დაგროვებითი პენსიის ვადაზე ადრე მიღების შესახებ და დაკმაყოფილებულ განცხადებას, გადახდების დაწყების მომენტისათვის დაკავებული სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ. 2. დაგროვებითი პენსიის ვადაზე ადრე მიღების უფლება წარმოეშობა დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დროებით უმუშევარ პირს, რომელიც აღნიშნული კანონით დადგენილ ასაკობრივ ზღვარს აკმაყოფილებს; ასევე, საპენსიო სააგენტოში დაგროვებითი პენსიის ვადაზე ადრე მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნის წარდგენის შედეგად, ინდივიდი, ავტომატურად, კანონის წინაშე იღებს ვალდებულებას, საპენსიო გადახდების დაწყების მომენტიდან დასაქმების უფლებით სარგებლობის შეზღუდვის შესახებ;

✓ ბიუჯეტის თანხების ეკონომიის მიზნით, მიზანშეწონილია, დადგინდეს საპენსიო ასაკისათვის დაგროვებული თანხების ზღვარი, რომელიც დაგროვებითი პენსიის პარალელურად, პენსიონერის სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის საკითხს განსაზღვრავს. იმ შემთხვევაში, თუ პენსიაზე გასვლის მომენტისათვის, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივების ჯამური ღირებულება ზღვრულ მაჩვენებელზე ნაკლები აღმოჩნდება, სახელმწიფო მას დამატებით საბიუჯეტო პენსიით უზრუნველყოფს. ხოლო, რაც შეეხება გარემოებას, როდესაც დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში პენსიაზე გასვლის სურვილის მქონე მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივების ჯამური ღირებულება ზღვრულ მაჩვენებელზე მეტია, აღნიშნულის საფუძველზე, მონაწილისათვის დამატებით საბიუჯეტო პენსიის გაცემის ვალდებულება სახელმწიფოს არ დაეკისრება.

იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეს დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით, მინიჭებული აქვს უფლება დაგროვებითი პენსიის მიღების გადავადების შესახებ, ხოლო მსგავსი უფლება საბიუჯეტო პენსიაზე არ ვრცელდება, ინდივიდის მხრიდან დაგროვებითი პენსიის მიღების გადავადების სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში, საბიუჯეტო პენსიის გადახდასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ვალდებულების წარმოშობის საკითხი, შემდეგ პრინციპს დაექვემდებარება: კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევის მომენტისათვის, ინდივიდის მხრიდან დაგროვებითი პენსიის მიღების გადავადების უფლებით სარგებლობის პირობებში, საპენსიო სააგენტო დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებულ საპენსიო აქტივთა ჯამურ ღირებულებას შეადარებს და დამდგარი შედეგი, ავტომატურად, სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ინდივიდისათვის საბიუჯეტო პენსიის გადახდის ვალდებულების წარმოშობის ან არ წარმოშობის საფუძველი გახდება;

✓ დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვასთან ერთად, სახელმწიფო პენსიის რეფორმირების საკითხი უფრო მეტ აქტუალობას იძენს. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო, დაგროვებითი პენსიის პარალელურად ინდივიდების საბიუჯეტო პენსიით უზრუნველყოფის ვალდებულებას ინარჩუნებს, საბიუჯეტო პენსიის არსებული ფორმა, ევროპულ სტანდარტებთან, შეუსაბამოდ მიგვაჩნია.

ესტონეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის პენსიის მოდელის საქართველოს რეალობაში გადმოტანა და დანერგვა, არსებული სახელმწიფო პენსიის ევროპულ სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის, პირველ და უმთავრეს ნაბიჯად გვესახება. რაც შეეხება, ხანდაზმულობის პენსიის მოდელში არსებულ ცალკეულ ფოკუს ჯგუფებს, რომელთა მიმართ ესტონეთის კანონმდებლობა ინდივიდუალურ მიდგომას იყენებს, საქართველოში არსებული რეალობის ანალიზზე დაყრდნობით, სახელმწიფო პენსიის, მსგავსი დიფერენცირების პრინციპისათვის დაქვემდებარება, ქვეყანაში დადებითი პროცესების განვითარების ერთ-ერთ განმაპირობებლად შეიძლება ჩაითვალოს;

✓ დაბალი შემოსავლის მქონე დასაქმებულთათვის დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრობით გამოწვეული ტვირთის შემსუბუქების მოტივით, საქართველოს საგადასახადო სისტემაში ფიზიკური პირებისათვის დაუბეგრავი შემოსავლის პრინციპის დანერგვა, აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული რეკომენდაციის ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ესტონეთის სახელმწიფოში არსებული დაუბეგრავი შემოსავლის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ქართული მხარის მიერ გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოდ;

✓ მნიშვნელოვანია განისაზღვროს, საპენსიო აქტივების ინვესტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული საპენსიო აქტივების 1%-ზე ნაკლები დანაკარგის შემთხვევაში, თუ რა გეგმით მოახდენს საპენსიო სააგენტო დანაკარგის ანაზღაურებას.

ასევე ხაზგასასმელია, რომ საპენსიო აქტივების ინვესტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული საპენსიო აქტივების 1%-ზე მეტი დანაკარგის შემთხვევაში, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დროებითი ადმინისტრირების რეჟიმის პირობებში, ევროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული აღნიშნული რეჟიმის განხორციელებისა და მოქმედების წესი, არსებული პრობლემის შესაძლო გამომწვევი მხოლოდ კონკრეტული მიზეზის გადაჭრის შესაძლებლობის დახასიათებით იფარგლება. აღნიშნულისა და დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონში არსებული შინაარსობრივად შესაბამისი ჩანაწერების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ევროვნული ბანკის მხრიდან განისაზღვროს შემდეგი: 1. დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრებისათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების პრინციპი; 2. კონკრეტულ შემთხვევებში, საპენსიო სქემის მონაწილეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მქონე პირები; 3. დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ვალდებულების მქონე პირის მხრიდან ზიანის ასანაზღაურებლად არსებული სავარაუდო შესაძლებლობები;

✓ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის არასრულფასოვან აღსრულებასთან დაკავშირებული და ნაშრომში „ჩრდილოვანი

გადასახადის“ სახელით მოხსენიებული, კვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, მიზანშეწონილია ესტონეთის საპენსიო სისტემის მესამე საფეხურის ანალოგიური მოდელის საქართველოში დანერგვა. იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სქემის უცვლელი ფორმით გადმოტანა, არსებულ დაგროვებით საპენსიო მოდელში განსახორციელებელ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, არა მარტო კანონის დონეზე, არამედ ის გულისხმობს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის მიღმა, ნებაყოფლობითი დაგროვებითი საპენსიო სქემის შექმნას და ამასთან, დამსაქმებლებისათვის დაგროვებითი საპენსიო ფონდის შექმნის უფლების მინიჭებას, აღნიშნული ფუნდამენტური ცვლილებების გვერდით ავლით, შესაძლებელია ესტონეთის დამატებითი დაგროვებითი პენსიის პრინციპის საქართველოს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემისათვის მისადაგება. ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. დადგინდეს ხელფასის ქვედა ზღვარი;
2. ქვედა ზღვარზე ნაკლები ხელფასის მქონე დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულთა დამსაქმებლებს, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, საკუთარი შემოსავლიდან დასაქმებულის ხელფასის 4%-ის შესაბამისი თანხის გადარიცხვა დაევალოთ;
3. მე-2 პუნქტის დამატებად, სურვილის შემთხვევაში, დამსაქმებლისათვის, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დასაქმებულის წილი შენატანის საკუთარი შემოსავლებიდან გადარიცხვის უფლება კანონით არ უნდა შეიზღუდოს;
4. მნიშვნელოვანია, რომ მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, დამსაქმებელმა, აღნიშნულის შესახებ ოფიციალური წერილით საპენსიო სააგენტოს აცნობოს; წერილში დამსაქმებელმა უნდა მიუთითოს იმ დასაქმებულის/ების საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელთა სასარგებლოდაც იყენებს მე-3 პუნქტით მინიჭებულ უფლებას.

მე-2 პუნქტის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდება იმ დარგების შესახებ ინფორმაციის აკუმულირება, სადაც ხელფასის სიმწირიდან გამომდინარე,

დამსაქმებელს უხდება შენატანების 4%-ის გადახდა; ამასთან, აკუმულირებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დაგროვებითი საპენსიო სქემის ეფექტიანობის გაზრდის მოტივით, შესაძლებელი გახდება გამოვლენილ დარგში მომუშავე დამსაქმებლისათვის შეღავათების დაწესების საკითხის აქტუალიზება, რაც გამოიწვევს: 1. დამსაქმებლისათვის განკარგავადი შემოსავლის ზრდას; 2. დამსაქმებლის შემოსავლის ზრდის პარალელურად დასაქმებულთა ხელფასების მატებას; 3. დასაქმებულთა ხელფასების მატების პირობებში შრომით ბაზარზე, მუშაკთა გადამხდელუნარიანობის ამაღლებას; 4. წინამდებარე პუნქტის საფუძველზე, კონკრეტული დამსაქმებლების კანონისმიერი ვალდებულების გავრცელების არეალიდან გამოსვლის ალბათობის გაზრდას. 5. საბოლოო ჯამში, აღნიშნული პროცესის მოსალოდნელი შედეგი, საქართველოს მოსახლეობის დაბალშემოსავლიან სეგმენტში, ცხოვრების დონის ამაღლებას უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, ზემოაღნიშნულ სეგმენტში არსებული დამსაქმებლებისათვის ნებისმიერი შინაარსის შეღავათების დაწესების ინიციატივას, რომელიც მათი განკარგავადი შემოსავლის ზრდასთან იქნება კავშირში, მათ მიერ დასაქმებული ინდივიდებისათვის კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლით ხელფასის მატების ვალდებულება დაედოს საფუძველად. ამასთან, საპენსიო სისტემისათვის განკუთვნილი ქვედა ზღვრის დადგენის პრაქტიკის, წარმატებით დანერგვის შემთხვევაში, ანალოგიური მიდგომის შრომის ბაზარზე ასევე წარმატებით გავრცელების ალბათობა გაიზრდება. აღნიშნული, ბიძგს მისცემს, არა მარტო, საპენსიო სისტემის დახვეწის, არამედ, პარალელურად შრომის კოდექსის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესს;

✓ მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო აქტივების მმართველი კომპანიის არჩევის უფლების შესახებ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი დიდწილად ფორმალური ხასიათის მატარებელია, მნიშვნელოვანია, აღნიშნული უფლების ძალაში შესვლის მომენტისათვის ზედმიწევნით ნათლად იყოს გაწერილი ყველა ის კრიტერიუმი, რაც დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესს გაამარტივებს. აღნიშნული პროცესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მიზანშეწონილია, ესტონური გამოცდილების გათვალისწინება.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული უფლება, მონაწილეთა ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხების ინვესტირებასთან არის კავშირში, შესაძლო რისკების დაზღვევის მიზნით, მიზანშეწონილია, საპენსიო სააგენტოს მხრიდან, აქტიური საინფორმაციო კამპანიის განხორციელება;

✓ საპენსიო სისტემის რეფორმასთან მიმართებით საზოგადოების აღქმების, განწყობებისა და მოლოდინების კვლევის შედეგად აკუმულირებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: რეფორმის იდეა დადებით კონტექსტში არის აღქმული, მაგრამ დაგროვებითი საპენსიო სქემის სტრუქტურაზე მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა, საქართველოს რეალობასთან მისი შესაბამისობის ამაღლების მოტივით არის ნაკარანახები. ამასთან, არსებულ მოდელთა დახვეწისაკენ მუდმივი სწრაფვა, ევროპული სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი რეკომენდაციებია:

1. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ დაგროვების პროცესის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, საპენსიო სააგენტომ 575 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია, მაღალრეიტინგული ადგილობრივი ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში განახორციელა, ხოლო 15 მილიონი ლარის ოდენობის საპენსიო აქტივები ბანკების ვადიან დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში განათავსა; ამასთან, 2019 წელს საქართველოში 762.6 ათასი პენსიონერი აღირიცხა, რომელთა პენსია 220 ლარით არის განსაზღვრული.

ესტონურ გამოცდილებაზე დაყრდნობითა და საქართველოს მოსახლეობის ნების გათვალისწინებით, აღნიშნულ სქემაში მონაწილეობით გამოწვეული კმაყოფილების დონისა და თვითდასაქმებულთა მხრიდან მონაწილეობის სურვილის ამაღლების მოტივით, ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმირების ახალი ტალღისათვის მოსალოდნელი ეფექტიანობის შესაბამისი დონის მატარებლად შემდეგი სქემა გვესახება: დაგროვებით საპენსიო სქემაში ერთ წლის განმავლობაში აკუმულირებულმა თანხამ

ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა, ეს ფაქტი, ესტონური საპენსიო მოდელის გარკვეული მახასიათებლების საქართველოს საპენსიო სისტემაზე გავრცელებას შესაძლებელს ხდის. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის პენსიით უზრუნველყოფისათვის არსებული მდგომარეობით, წლიურად 2 მილიარდ ლარზე მეტი საბიუჯეტო სახსრები იხარჯება და პენსიის მომატების ყოველი ფაქტი, ბიუჯეტს უფრო მეტ ტვირთად აწვება, დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში აკუმულირებული თანხების მიმდინარე პენსიების ზრდისათვის გამოყენება, გონივრულ ალტერნატივად მიგვაჩნია. ამასთან, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში წლის განმავლობაში აკუმულირებული თანხიდან, სახელმწიფო პენსიისათვის გამოყენებადი თანხის პროცენტული წილის ზედა ზღვარი, რის საფუძველზეც მოხდება სახელმწიფო პენსიაზე განსახორციელებელი დანამატის მოცულობის დაანგარიშება; მაგალითად: ჯამური თანხის 30%-ის შესაბამისი ზედა ზღვრის, 762.6 ათასი პენსიონერისა და 30.12.2019 წლისათვის სქემის მონაწილეთა ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე ჯამურად 503 მილიონ ლარზე მეტი თანხის არსებობის პირობებში, 2020 წლის 1 იანვრიდან თითოეული პენსიონერისათვის პენსიის დაახლოებით 17 ლარით მომატება იქნებოდა შესაძლებელი.

ზემოაღნიშნული მოდელის დანერგვის საფუძველზე, დაგროვებითი საპენსიო სქემის პარალელურად, პენსიების ზრდასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ტვირთი სახელმწიფოს ფაქტობრივად ეხსნება; დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეთა სასარგებლოდ განხორციელებულ 2%-ის შესაბამის შენატანში, მოდელის საფუძველზე, სახელმწიფოს ორი ვალდებულება ერთიანდება, რომელთაგან პირველი, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა მიმართ ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო მეორე, არსებული პენსიონერების ღირსეული ცხოვრების დონით უზრუნველყოფას ეხება. გარდა ამისა, მოდელის პირობებში, სახელმწიფო პენსიაზე დანამატის სახით გასაცემი თანხის მოცულობაში, საბიუჯეტო სახსრების წილი 1/3-ით განისაზღვრება;

2. საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემა, ისევე როგორც რეფორმამდელი ესტონეთის საპენსიო სისტემის მეორე საფეხური, სავალდებულო გაწევრების პრინციპზე არის აგებული. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში რეფორმირების ესტონური მოდელის გაზიარების შესახებ რეკომენდაციის გაცემა, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საპენსიო რეფორმის ეფექტიანობას, სწორედ სავალდებულო გაწევრების პრინციპი განაპირობებს, ამ უკანასკნელის შენარჩუნების პარალელურად, ესტონური მოდელის ცალკეული სიკეთეების ჩვენს რეალობაში გადმოტანა შესაძლებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ საპენსიო სააგენტომ, დაგროვების დაწყების მომენტიდან ინვესტირების პროცესის დაწყებამდე, დაგროვებით საპენსიო სქემაში აკუმულირებული თანხების სრული მოცულობის შესაბამისი ინვესტიცია ადგილობრივ ბაზარზე და კონკრეტულად ადგილობრივ კომერციულ ბანკებში განახორციელა, ერთ წელზე მეტი ვადით საპენსიო აქტივების ინვესტირების პროცესის შეფერხება, საბოლოო ჯამში არსებული სურათის მისაღებად, ეფექტიანი ინვესტირების პრინციპებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ზემოაღნიშნულისა და კვლევის შედეგად გამოკვეთილი საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, სავალდებულო გაწევრების პრინციპის შენარჩუნების პარალელურად, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთათვის ადგილობრივი ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული პაკეტების მეშვეობით საპენსიო თანხების დაგროვების უფლების მინიჭება, როგორც დაგროვებითი საპენსიო სქემის ეფექტიანობის, ასევე საქართველოს მოსახლეობაში აღნიშნული სქემისადმი ნდობის ხარისხის ზრდის გამომწვევ ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს;

✓ დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთის კანონის სავალდებულო დაგროვებითი პენსიის ნაწილში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების მსგავსად, მნიშვნელოვანია, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტი შემუშავდეს, რომელიც დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილისათვის, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული აქტივების დამოუკიდებლად ინვესტირების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებულ ინიციატივას დაედება საფუძვლად;

✓ და ბოლოს, ცალსახაა, რომ ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით და ევროპულ მოდელებზე დაყრდნობით, ამა თუ იმ სფეროს რეფორმირება დადებითი პროცესია; მაგრამ, თუნდაც მხოლოდ ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის გარშემო ბოლოდროინდელი განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროპა მუდამ ახლის ძიების პროცესშია, მუდამ უკეთესი მოდელების შემუშავებისაკენ მისწრაფვის და არ არის მიზანშეწონილი, მხოლოდ იმიტომ რომ კონკრეტული მოდელი რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ამა თუ იმ პერიოდში წარმატებით დაინერგა, საუკეთესო მიგნებად მივიჩნით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ევროპულ მოდელზე ორიენტირება აუცილებლობით არ ხასიათდება; აღნიშნულთან შედარებით მნიშვნელოვნების მაღალ საფეხურზე დგას ევროპული აზროვნებისა და იდეოლოგიის გაზიარება. ეს უკანასკნელი, კი, გულისხმობს დროის მიმდინარეობის პარალელურად წარმოშობილი ახალი გამოწვევების კვალდაკვალ, ინდივიდთა ინტერესების დაცულობის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ პროცესს.

ბიბლიოგრაფია:

1. აბესაძე, რ. (2014). ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.
2. ანანიაშვილი, ი., პაპავა, ვლ. (2009). გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი.
3. ანანიძე, მ. (2017). მცირე და საშუალო ბიზნესის როლი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3. გვ. 56-57. თბილისი.
4. ბახტაძე, ლ. (2010). ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი და მისი გამოკვლევის პრინციპები. თბილისი.
5. ბახტაძე, ლ. (2010). საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა. თბილისი.
6. ბახტაძე, ლ. (2009). სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის სხვადასხვა დონეს შორის საგადასახადო უფლებამოსილებათა გადანაწილების საკითხები. თბილისი.
7. ბერიძე, ლ. (2019). უმუშევრობის შემცირების თანამედროვე ღონისძიებები. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3. გვ. 41-44. თბილისი.
8. გელაშვილი, ს., შონია, ზ., ქინქლაძე, რ. (2013). სოციალური სტატისტიკა. თბილისი.
9. გველესიანი, რ. (2008). შემოსავლებისა და სოციალური პოლიტიკის მიზანთა წინააღმდეგობრივი იერარქია. თბილისი.
10. გველესიანი, რ. (2010). შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგობები და წარმატების სტრატეგია. თბილისი.
11. გოცაძე, ო. (2018). მცირე ბიზნესი, მისი განვითარების ტენდენციები და როლი ქვეყნის მშპ-ს შექმნაში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3-4. გვ. 126-131. თბილისი.
12. ვეშაპიძე, შ., დარბაიძე, მ., ბერიძე, თ. (2016). ევროატლანტიკური ფასეულობები: ის, რაც ჩვენ გვაკავშირებს. თბილისი.
13. ვეშაპიძე, შ., გველესიანი, მ. (2016). ევროპული ღირებულებები: რა განვახორციელოთ საქართველოში და როგორ განვახორციელოთ. თბილისი.

14. ვეშაპიძე, შ., სეხნიაშვილი, დ., ჯოლია, გ. (2012). გლობალური დისბალანსების პრობლემა და სუვერენული საინვესტიციო ფონდები. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №2. გვ. 150-156. თბილისი.
15. ვეშაპიძე, შ., დურული, ც. (2012). ეკონომიკური განვითარების ისტორიული გამოცდილება: დასკვნები და გაკვეთილები. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3. გვ. 101-111. თბილისი.
16. თვალჭრელიძე, ა., სილაგაძე, ა., ქეშელაშვილი, გ., გეგია, დ. (2011). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. გამომცემლობა „ნეკერი“. თბილისი.
17. თოქმაზიშვილი, მ., არჩვაძე, ი. (2007). შრომის ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ასპექტები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები. კვარტალური მიმოხილვა. თბილისი.
18. კახნიაშვილი, ჯ. (1997). ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები სამთავრობო ეკონომიკის ჩარჩოებში. ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-3. თბილისი.
19. კიკვაძე, ტ., გეგია, დ. (2019). ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3. გვ. 175-179. თბილისი.
20. მაქაცარია, ნ., ბერიძე, თ., ბიბიჩაძე, დ. (2016). ეკონომიკური ზრდა და სოციალური პროგრესი. ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4. გვ. 38-47. თბილისი.
21. მექვაბიშვილი, ე. (2009). ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. გამომცემლობა „ინოვაცია“. თბილისი.
22. მიქელაშვილი, მ. (2019). საგადასახადო კულტურის ფორმირების პრობლემები საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა“, №10-12. გვ. 6-19. თბილისი.
23. ნოზაძე, მ. (2016). საპენსიო სისტემის რეფორმა: არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის. ჟურნალი „ეკონომიკა“, №11-12. გვ. 6-18. თბილისი.
24. ოთინაშვილი, რ. (2013). ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმები და მეთოდები. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №2. გვ. 55-60. თბილისი.
25. პაპავა, ვლ. (2018). ეკონომიკური ზრდის შეფასება ევროკავშირის პოსტკომუნისტურ და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში. თბილისი.

26. პაპავა, ვლ. (2015). საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი.
27. პაპავა, ვლ. (2011). არატრადიციული ეკონომიკისი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.
28. სილაგაძე, ა., გელაშვილი, დ. (2002). საპენსიო სისტემათა მდგრადობა: საერთაშორისო ტენდენციები და საქართველოს რეალობა. თსუ შრომები, „ეკონომიკა“. №1-2, გვ. 28-39. თბილისი.
29. სილაგაძე, ა., თოქმაზიშვილი, მ. (2008). საბანკო სისტემის განვითარების ასპექტები საქართველოში. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. გამომცემლობა „სიახლე“. თბილისი.
30. სილაგაძე, ა., თოქმაზიშვილი, მ. (2008). პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა. გამომცემლობა „ინოვაცია“. თბილისი.
31. სიჭინავა, ა. (2010). ინვესტიციები (თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა). თბილისი.
32. სიჭინავა, ა. (2018). ექსპერიმენტალური ეკონომიკა - ეკონომიკური თეორიის ახალი მიმართულება. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3-4. გვ. 24-29. თბილისი.
33. სრესელი, შ. (2012). ინვესტირების ძირითადი ეკონომიკური ასპექტები. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №4. გვ. 132-135. თბილისი.
34. ფუტყარაძე, რ. (2011). გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურება. თბილისი.
35. ფუტყარაძე, რ. (2012). იტალიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიული ასპექტები. თბილისი.
36. ქოქიაური, ლ. (2013). ინვესტიციების თეორიული გენეზისი. მე-2 გამოცემა. თბილისი.
37. ქოქიაური, ლ. (2010). საინვესტიციო საქმე. თბილისი.
38. ქოქიაური, ლ. (2012). საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა. მე-2 გამოცემა. თბილისი.
39. ქოქიაური, ლ. (2009). ინვესტიციის ბაზარი: არსი, ფორმირება, განვითარება. თბილისი.

40. Abesadze, R. (2011). Some Theoretical Aspects of Economic Development. J. The Caucasus & Globalization. Vol. 5, Iss. 1-2, pp. 70-87. CA&CC Press, Sweden.
41. Abesadze, R., Kakulia, E. (2009). The Problems of State Regulation of Small Business in Georgia. J. Central Asia and The Caucasus. №6(60), pp. 51-63. CA&CC Press, Sweden.
42. Aidukaite, J. (2009). The transformation of welfare systems in the Baltic States: Estonia, Latvia and Lithuania. In Post-Communist Welfare Pathways, pp. 96-111. Palgrave Macmillan, London.
43. Barr, N. (2004). Reforming Pensions: Myths, Truths and Policy Choices. Chapter 6 of the Publication: Reforming Public Pensions (Sharing the Experiences of Transition and OECD Countries). OECD Publishing. Paris.
44. Barr, N. (2006). Non-Financial Defined Contribution Pensions: Mapping the Terrain. Chapter 4 of the Publication: Pension Reform: Issues and Prospects for Non-Financial Defined Contribution (NDC) Schemes. The World Bank. Washington, D.C.
45. Bernotas, D., Guogis, A. (2007). Reforming Social Security in a Transition Economy: The Comparative Case of Lithuania, Latvia and Estonia. Social Science Tribune, 49.
46. Cerami, A. (2011). Ageing and the politics of pension reforms in Central Europe, South-Eastern Europe and the Baltic States. International Journal of Social Welfare, Vol. 20, Iss. 4, pp. 331-343.
47. Chlon-Dominczak, A., Mora, M. (2003). Commitment and Consensus in Pension Reform. Chapter 5 of the Publication: Pension Reform in Europe: Process and Progress. The World Bank. Washington, D.C.
48. Croitoru, E. L. (2012). ANALYSIS OF PENSION REFORMS IN EU MEMBER STATES. Annals of the University of Petrosani, Economics, Vol. 12, Iss. 2, pp. 117-126.
49. Dunajevs, E., Skučienė, D. (2016). Mandatory pension system and redistribution: the comparative analysis of institutions in Baltic States. Central European Journal of Public Policy, Vol. 10, Iss. 2, pp. 16-29.

50. Ferraro, S., Hänilane, B., Staehr, K. (2018). Minimum wages and employment retention: A microeconomic study for Estonia. *Baltic Journal of Economics*, Vol. 18, Iss. 1, pp. 51-67.
51. Fultz, E. (2002). A comparative overview of disability pension reform in the Czech Republic, Estonia and Poland. *Reforming Worker Protections: Disability Pensions in Transformation*. Budapest: ILO, pp. 13-31.
52. Gallizo, J. L., Moreno, J., Salvador, M. (2018). The Baltic banking system in the enlarged European Union: the effect of the financial crisis on efficiency. *Baltic Journal of Economics*, Vol. 18, Iss. 1, pp. 1-24.
53. Holzmann, R. (2006). *Toward a Coordinated Pension System in Europe: Rationale and Potential Structure*. Chapter 11 of the Publication: *Pension Reform: Issues and Prospects for Non-Financial Defined Contribution (NDC) Schemes*. The World Bank. Washington, D.C.
54. Jaime-Castillo, A. M. (2013). Public opinion and the reform of the pension systems in Europe: the influence of solidarity principles. *Journal of European Social Policy*.
55. Johanson, P. (2017). *Pension Reform in Continental Europe*. Stockholm University.
56. Kalvet, T. (2016). The Estonian economy: Structure, performance and prospects. In *Small States and the European Union*, pp. 68-85. Routledge.
57. Katkus, V. (2004). Pension Funds and their Role in the Future of the Baltic States' Economies. *Private Pensions Series №5: Pension Reform in the Baltic Countries*, pp. 179-239. OECD Publishing. Paris.
58. Klesment, M. (2009). The Estonian Economy Under Soviet Rule: A Historiographic Overview. *Journal of Baltic Studies*, Vol. 40, Iss. 2, pp. 245-264.
59. Koivu, T. (2001). Current issues in Pension Reform in the Baltics. *BOFIT*, №8.
60. Konrad, K. A., Wagner, G. G. (2000). *Reform of the public pension system in Germany*. Berlin.
61. Leppik, L., Võrk, A. (2006). Pension Reform in Estonia. *Pension reform in the Baltic States*. pp. 17-142. Budapest.

62. Leppik, L., Männik, G. (2002). Transformation of old-age security in Estonia. *Transformation of Pension Systems in Central and Eastern Europe*, pp. 89-124.
63. Lesay, I. (2009). *Reforming Pensions in Central Europe (Path Dependence and Path Departure in the Pension Systems of Former Czechoslovakia)*. Saarbrücken.
64. Lieksnis, R. (2010). Evaluating the financial performance of Latvian and Estonian second-pillar pension funds. *Research in Economics and Business: Central and Eastern Europe*, Vol. 2, Iss. 2, pp. 54-70.
65. Lindeman, D. C. (2004). Review of Recent Pension Reforms in the Baltic Region. *Private Pensions Series №5: Pension Reform in the Baltic Countries*, pp. 7-25. OECD Publishing. Paris.
66. Longman, Ph. (2004). Pension Reform. Chapter 13 of the Publication: *Covering Globalization*. Columbia University Press. New York.
67. Määttänen, N., Vörk, A., Piirits, M., Gal, R. I., Jarocinska, E., Ruzik, A., Nijman, T. E. (2014). The Impact of Living and Working Longer on Pension Income in Five European Countries: Estonia, Finland, Hungary, the Netherlands and Poland. *Netspar Discussion Paper No. 08/2014-036*.
68. McGillivray, W. (2004). Contribution Evasion: Implications for Social Security Pension Schemes. Chapter 18 of the Publication: *Reforming Public Pensions (Sharing the Experiences of Transition and OECD Countries)*. OECD Publishing. Paris.
69. Medijainen, M. (2011). Incentives to Retire Imposed by Old-Age Pension Policy in Estonia. *Discussions on Estonian Economic Policy*, №2.
70. Mešťan, M., Šebo, J., Králik, I. (2017, June). How are 1bis pension pillar funds performing? A cross-country analysis. In *Proceedings of the 14th International Scientific Conference European Financial Systems 2017* (pp. 53-60).
71. Müller, K. (2004). The Political Economy of Pension Reform in Central and Eastern Europe. Chapter 1 of the Publication: *Reforming Public Pensions (Sharing the Experiences of Transition and OECD Countries)*. OECD Publishing. Paris.
72. OECD (2019). *Pensions at a Glance 2019: OECD and G20 indicators*. OECD Publishing. Paris.

73. OECD (2011). Pensions at a Glance 2011: Retirement-income Systems in OECD and G20 Countries. OECD Publishing. Paris.
74. OECD (2012). OECD Pensions Outlook. OECD Publishing. Paris.
75. Oksanen, H. (2004). The Role of the European Union in Pensions. Chapter 5 of the Publication: Reforming Public Pensions (Sharing the Experiences of Transition and OECD Countries). OECD Publishing. Paris.
76. Oorn, K. (2004). Developments in the Estonian Pension System. Private Pensions Series №5: Pension Reform in the Baltic Countries, pp. 59-87. OECD Publishing. Paris.
77. Papava, V. (1994). The role of the state in the modern economic system. Problems of Economic Transition, Vol. 37, Iss. 5, pp. 35-48.
78. Puur, A., Leppik, L., Klesment, M. (2015). Changes in pension take-up and retirement in the context of increasing the pension age: the case of Estonia in the 2000s. Post-Communist Economies, Vol. 27, Iss. 4, pp. 497-516.
79. Rahnel, P., Rahe, K., Roosa, K. (2011). Estonia's Multi-Pillar Pension System: Solid First Miles of the Marathon. Journal of Investment Consulting, Vol. 12, Iss. 2, pp. 42-52.
80. Raudla, R., Staehr, K. (2003). Pension Reforms and Taxation in Estonia. Baltic Journal of Economics, Vol. 4, Iss. 1, pp. 64-92.
81. Rajevska, O. (2013). Funded Pillars in the Pension Systems of Estonia, Latvia and Lithuania. RTU scientific journal, Vol. 23, Iss. 1, pp.83-89. Riga.
82. Rajevska, O. (2015). Sustainability of pension systems in the Baltic States. Entrepreneurial Business and Economics Review, Vol. 3, Iss. 4, pp. 139-153.
83. Rajevska, O. (2016). Theoretical old-age pension benefits and replacement rates in the Baltic States: A retrospective simulation. Economics and Business, Vol. 28, Iss. 1, pp. 13-19.
84. Rajevska, O. (2017). Pre-reform service component in pension systems of the Baltic States: How fair is the play?. In Economic Science for Rural Development Conference Proceedings, №46, pp. 338-344.

85. Reiljan, J., Laaser, C. F., Schrader, K. (2014). Structural weaknesses as barriers to social progress in Estonia. The University of Tartu, Faculty of Economics and Business Administration, Working Paper, №96.
86. Rocha, R., Vittas, D. (2002). The Hungarian Pension Reform: A Preliminary Assessment of the First Years of Implementation. Chapter 14 of the Publication: Social Security Pension Reform in Europe. University of Chicago Press.
87. Rozinka, E., Tapia, W. (2007). Survey of Investment Choice by Pension Fund Members. OECD Working Papers on Insurance and Private Pensions, №7.
88. Schiff, J., Hobdari, N., Schimmelpfennig, A., Zytek, R. (2000). Pension Reform in the Baltics: Issues and Prospects. International Monetary Fund. Washington, D.C.
89. Shengelia, T., Berishvili, K. (2014). The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. International Journal of Social Sciences, Vol. 3, Iss. 2, pp. 81-87.
90. Silagadze, A. (2016). Georgia's Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union). International Journal of Business and Management Studies. Vol. 5. №2, pp. 533-540. (C./A.: 1). (USA).
91. Silagadze, A., Gelashvili, S. (2008). Die Entwicklung der Finanzpolitik in Georgien”– Nachhatige Finanz-und Sozialpolitik in Georgien. S. 69-78. UniversitätPostdam (Deutschland).
92. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Multidisciplinary Thought (IJMT), Vol. 5, No 3. pp. 441-447. USA.
93. Silagadze, A. (2014). Integration Economic Indicators of the EU and Some Issues of Development of Post-Soviet Countries – New Associate Members of the EU. Moldavian Journal of International Law and International Relations. Vol. 33, Iss. 3, pp. 78-83.
94. Smith, K. (2000). A Financial Appraisal of Public Pension Programmes in Lithuania and Estonia. Baltic Journal of Economics, Vol. 1, Iss. 1, pp. 9-26.
95. Staehr, K. (2004). Economic transition in Estonia. Background, reforms and results. Contemporary Change in Estonia, Baltic and East European Studies, 4, pp. 37-67.

96. Strumskyte, S. (2004). Private Equity in the Baltics: What role for pension funds?. Private Pensions Series №5: Pension Reform in the Baltic Countries, pp. 239-259. OECD Publishing. Paris.
97. Sundén, A. (2006). How Much Do People Need to Know about Their Pensions and What Do They Know? Chapter 13 of the Publication: Pension Reform: Issues and Prospects for Non-Financial Defined Contribution (NDC) Schemes. The World Bank. Washington, D.C.
98. Tavits, G. (2011). International Standards for Social Security and Their Fulfilment in Estonia: Changes in Pension and Health Insurance and Their Constitutionality. *Juridica Int'l*, 18, 27.
99. Toots, A. (2003). Why Actors Vary? A study of Estonian pension and unemployment insurance legislation. *Politico-administrative Dilemma: Traditional Problems and New Solutions*, pp. 214-223.
100. Tõnnisson, K., Randma-Liiv, T. (2008). Public management reforms: Estonia. *Public management reforms in Central and Eastern Europe*, pp. 93-118.
101. Tukhashvili, M., Shelia, M. (2012). The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period. Migration Policy Centre, CARIM-East Research Report, №29, Retrieved from Cadmus, European University Institute Research Repository, at: <http://hdl.handle.net/1814/24872>
102. Unt, M., Kazjulja, M., Krönström, V. (2020). Estonia. In *Extended Working Life Policies*, pp. 241-249. Springer, Cham.
103. Volskis, E. (2012). *Reforms of Baltic States Pension Systems: Challenges and Benefits*. Tallinn.
104. Võrk, A., Piirits, M., Jõgi, E. (2015). The Impact of Introduction of Funded Pension Schemes on Intragenerational Inequality in Estonia. *NETSPAR Academic Series*, DP, 6, 2015-021.
105. Whitehouse, E. (2004). Comparing the New Pension Systems of the Baltic States. Private Pensions Series №5: Pension Reform in the Baltic Countries, pp. 25-59. OECD Publishing. Paris.

106. Zubiashvili, T. (2010). Globalization and International Labor Migration. FDFP Newsletter, Vol.1, Issue 1, pp.4-5. New York, USA.

107. Zubiashvili, T. (2017). Aspects of Post-Soviet Economy Against the Background of the Associate Agreement with the European Union. Refereed International Journal Ecoforum. Vol. 6. №1. <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/560>

108. Zubiashvili, T., Silagadze, L. (2016). Some aspects of the Georgian Economy at the Contemporary Stage. Ecoforum Journal, Vol. 5, Iss. 2, pp. 70-73.

109. Вайнгорт, В. Л. (2018). Исследование Налоговой Системы Эстонии Как Института Управления Социальными Процессами. Государство и Бизнес. Современные Проблемы Экономики, стр. 22-27.

110. Дмитриева, О., Петухова, Н., Ушаков, Д. (2010). Переход от распределительной пенсионной системы к накопительной: результаты и критерии эффективности. Вопросы экономики, №4, стр. 43-61. Москва.

111. Малева, Т. М., Синявская, О. В. (2010). Повышение пенсионного возраста: pro et contra. Журнал новой экономической ассоциации, №8, стр. 117-139. Москва.

კანონები და ნორმატიული აქტები:

112. საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ.

113. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

114. საქართველოს შრომის კოდექსი.

115. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

116. საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ.

117. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ.

118. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №256/04.

119. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04.

120. Investment Policy for Portfolio of Cash and Cash Equivalents.

121. Funded Pensions Act of Estonia.

122. Old-Age Pensions under Favourable Conditions Act of Estonia.

123. Estonian Central Register of Securities Act.

124. Guarantee Fund Act of Estonia.
125. Investment Funds Act of Estonia.
126. Law of Succession Act of Estonia.
127. Income Tax Act of Estonia.
128. Social Tax Act of Estonia.

ონტერნეტ რესურსები:

129. https://fu-berlin.hosted.exlibrisgroup.com/prime-explore/search?vid=FUB&lang=de_DE&fromRedirectFilter=true
130. <https://data.worldbank.org>
131. <https://openknowledge.worldbank.org>
132. <https://www.imf.org>
133. <https://pensions.ge>
134. <https://www.geostat.ge>
135. <https://www.rs.ge>
136. <https://countryeconomy.com>
137. <https://www.nbg.gov.ge>
138. <https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fasianikagaldebi/2018/sxva/259.04.pdf>
139. <https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fasianikagaldebi/2018/sxva/256.04.pdf>
140. <https://tenders.procurement.gov.ge>
141. <https://mof.ge>
142. <http://www.economy.ge>
143. <http://www.parliament.ge/ge/>
144. <https://moh.gov.ge>
145. <http://ssa.gov.ge>
146. <http://mintrud.gov.by>

147. <http://mintrud.gov.by/system/extensions/spaw/uploads/files/UKaz-17.01.2020-15-PPS-2.pdf>
148. [http://www.pravo.by/document/?guid=2012&oldDoc=2009-14/2009-14\(005-039\).pdf&oldDocPage=28](http://www.pravo.by/document/?guid=2012&oldDoc=2009-14/2009-14(005-039).pdf&oldDocPage=28)
149. <https://www.vsaa.gov.lv>
150. <https://www.enpf.kz>
151. <https://europa.eu>
152. <https://www.pensionikeskus.ee>
153. <https://www.sotsiaalkindlustusamet.ee>
154. <https://tuleva.ee>
155. <https://www.swedbank.ee>
156. <https://www.emta.ee>
157. <https://www.eestipank.ee>
158. www.eksl.ee
159. <https://www.riigiteataja.ee>
160. <https://www.valitsus.ee>
161. www.jus.ee
162. <https://www.president.ee>
163. <https://www.riigikogu.ee>
164. <https://www.stat.ee>
165. <https://www.riigikohus.ee>
166. <https://www.rahandusministeerium.ee>
167. <https://www.lhv.ee/pension>
168. <https://www.luminor.ee/>
169. <https://www.seb.ee/kogumine-ja-investeerimine/investeerimine/investeerimisfondid>

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

1. Karalashvili, Sh. (2020). Estonian state officials' Political games in other words what will happen to the reform of mandatory funded pension scheme. Ecoforum Journal, Vol. 9, Issue 2(22). Suceava, Romania.
2. Karalashvili, Sh. (2020). "Shadow Tax" - one of the challenges of mandatory accumulative pension scheme of Georgia. Ecoforum Journal, Vol. 9, Issue 2(22). Suceava, Romania.
3. ყარალაშვილი, შ. (2020). ესტონეთისა და საქართველოს ცენტრალური ბანკების როლი სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“. თბილისი.
4. Karalashvili, Sh., Veshapidze, Sh. (2018). Pension Reform in Georgia. Ecoforum Journal, Vol. 7, Issue 2(15). Suceava, Romania.
5. ყარალაშვილი, შ., ვეშაპიძე, შ. (2017). ესტონური ეკონომიკური მოდელის შემოღების საფრთხეები საქართველოში. მეხუთე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია: „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, მე-3 გამოცემა. თბილისი.
6. ყარალაშვილი, შ., ვეშაპიძე, შ. (2017). ესტონური მოდელის ცალკეული ასპექტები და საქართველო. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, მე-3 გამოცემა. თბილისი.

დანართები:

დანართი №1. კითხვარი: „წევრი დასაქმებული“.

სქესი: მამრობითი მდედრობითი

ასაკი: _____

1. რომ არა, სავალდებულო წესით გაწევრიანების ვალდებულება, დარჩებოდათ თუ არა დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილედ?

დიახ

არა

2. რას გამოყოფდით დაგროვებითი საპენსიო სქემის მთავარ პლუსად და მინუსად?

პლუსი:.....

მინუსი:.....

3. იცნობთ თუ არა საკუთარ უფლებებს, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით?

დიახ

არა

4. იცით თუ არა, როგორ მოხდება თქვენ მიერ განხორციელებული შენატანების განკარგვა საპენსიო სააგენტოს მიერ?

დიახ

არა

5. გთხოვთ, შეაფასოთ საპენსიო რეფორმა

დროულობა : 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

რეალობაზე მორგებულობა: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

დანართი №2. კითხვარი: „არაწვერი დასაქმებული“.

სქესი: მამრობითი მდედრობითი

ასაკი: _____

1. რა იყო დაგროვებითი საპენსიო სქემის დატოვების მთავარი
განმაპირობებელი?

.....
.....

2. მომავალში, რას შეიძლება გამოეწვია დაგროვებით საპენსიო სქემაში ხელახლა
გაწვერიანების სურვილი?

.....
.....

3. გთხოვთ, შეაფასოთ საპენსიო რეფორმა

დროულობა : 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

რეალობაზე მორგებულობა: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

დანართი №3. კითხვარი: „არაწევრი თვითდასაქმებული“.

სქესი: მამრობითი მდედრობითი

ასაკი: _____

1. იცნობთ თუ არა ახალ საპენსიო სისტემას?

დიახ

არა

ნაწილობრივ

2. რომელმა კონკრეტულმა ფაქტორმა (ფაქტორებმა) ვერ განაპირობა დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის სურვილის გაჩენა?

.....
.....

3. რა იქნებოდა ის, რის გამოც დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის სურვილი გაგიჩნდებოდათ?

.....
.....

4. გთხოვთ, შეაფასოთ საპენსიო რეფორმა

დროულობა : 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

რეალობაზე მორგებულობა: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

დანართი №4. კითხვარი: „40+ წევრი დასაქმებული“.

სქესი: მამრობითი მდედრობითი

ასაკი: _____

1. რა იყო თქვენთვის ის მთავარი მოტივატორი, რამაც გიბიძგათ დარჩენილიყავით დაგროვებით საპენსიო სქემაში?

.....
.....

2. იცნობთ თუ არა საკუთარ უფლებებს, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით?

დიახ

არა

3. იცით თუ არა, როგორ მოხდება თქვენ მიერ განხორციელებული შენატანების განკარგვა საპენსიო სააგენტოს მიერ?

დიახ

არა

4. გთხოვთ, შეაფასოთ საპენსიო რეფორმა

დროულობა : 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

რეალობაზე მორგებულობა: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

